ეროვნული ქართულენოვანი ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

4
2013

კანონი თეატრის შესახებ

„სგბერალისგბრი"

„სგბერალისგბრი"

„სგბერალისგბრი"

თეატრის ინიციატორები ითხოვენ

სალოცავლიერ ლასლი: სიოლოგლიზმი — ეს ვე ვარ!

ნინოსთან სგბერალისგბა ცრეიმლეები ეიყო

ზეთეგს კონსტანტინე სიმონოვს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრთა

საყურადღებოდ!

2013 წლის 11 ნოემბერს გაიმართება საქართველოს თეატრალური საზოგადოების მორიგი ყრილობა.

სცენა სენაკის აკაკი ხორავას სახ. თეატრის
სპექტაკლიდან „დარისპანის გასაჭირი“

თეატრი
და
ცხოვრება

მთავარი რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:
ნოდარ გურაბანიძე,
დავით დოიაშვილი,
ვასილ კიკნაძე,
გიორგი როინიშვილი,
ირაკლი სამსონაძე,
გიორგი სიხარულიძე,
რობერტ სტურუა,
ნათელა ურუშაძე,
თემურ ჩხეიძე

4
2013
ივლისი
აგვისტო
სექტემბერი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“
1950-1990 „თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება
UDC 792(479.22)
თ-391

შინაარსი

საქართველოს კანონი
„პროფესიული თეატრების შესახებ“ ---------- 3
საქართველოს კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე ---------- 10

სპექტაკლები

თამარ ქუთათელაძე — „ჰაჯი-მურატი“ --------- 12
გიორგი ცქიტიშვილი — „ჟამიანობა“ ---------- 16
გუბაზ მეგრელიძე — „ირინეს ბედნიერება“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ---------- 19
ლაშა ჩხარტიშვილი — თანამედროვე ქართული დრამატურგია ბრიტანეთში ----------23

თეატრმცოდნის პირველი ნაბიჯები

გიორგი ცქიტიშვილი — (შესავალი) ---------- 31
ლიკა-ლილე შენგელია — ჭიათურის თეატრის დღევანდელობა ---------- 31
ნინო კენჭაძე — „ცილინდრი“ ----------33
ხატია ჭოხონელიძე — გორის გიორგი ერისთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი ---------- 35
მაკო გოჩაშვილი — „ჰიპ!“
„სექტემბრის თოვლი“ ----------37
ნინო კენჭაძე — „სტრიპტიზი“ ----------40
ნინო მაჭავარიანი — „ლამაზი ცრემლები“ ------ 44
ქართველი რეჟისორი ბროდვეიზე ---------- 45
ვაჟა ძიგუა —
საფესტივალო შთაბეჭდილებანი ----------46

გივი ბერიკაშვილი — 80 ---------- 48
ნოდარ გურაბანიძე —
სამყარო თეატრალის თვალით ---------- 50

მოგონება

სანდრო მრევლიშვილი —
„ეძიებდე და ჰპოვებდე“ ---------- 56

დისკუსია

გიორგი ცქიტიშვილი — რას ვითხოვთ დღეს სათეატრო კრიტიკისაგან? ----------60
თამარ აბესაძე — ქართველი რეჟისორი რუსულ თეატრში ----------61

დრამატურგია

ნინო მირზიაშვილი — მაცეკვე ტანგო! ----------63

ნინო მაჭავარიანი — დაინახე, რაც გესმის! (საქართველოს რადიოთეატრი 60 წლისაა -------83
რუსთაველის თეატრის მუზეუმი იუბილარია ---85
ქეთევან კუკულავა —
ოზურგეთის თეატრი ახალციხეში ---------- 86

გამოთხოვება

რევაზ თავართქილაძე ----------87

CONTENTS

Georgian Law of Professional Theatres ---------- 3
Georgian Law of Professional Theatres (changes in the law) ---------- 10

PERFORMANCES

Tamar Khutateladze – ‘Hadji-Murat’ ---------- 12
Giorgi Skhitishvili - ‘Hard Times’ ---------- 16
Gubaz Megrelidze - ‘Irene’s Happiness’ in Young People’s Theatre ----------19
Lasha Chkartishvili - Modern Georgian Theatre in Britain ----------23

THEATRE CRITIC’S FIRST STEPS

Giorgi Skhitishvili - (Introduction) ---------- 31
Lika-Lile Sengelia - Chiatura Theatre Today ---------- 31
Nino Kenchadze - ‘Top-Hat’ ---------- 33
Khatia Tchokhonelidze - Gori Eristavi Drama Theatre ---------- 35
Mako Gochashvili - ‘Hip!’
‘September Snow’ ----------37
Nino Kenchadze - ‘Strip-Tease’ ---------- 40
Nino Matchavariani - ‘Nice Tears’
Georgian Director On Broadway ---------- 44
Vaja Dzigua - Festival Impressions ----------46

Givi Berikashvili - 80 ---------- 48
Nodar Gurabanidze - The World in the Theatre goer’s sight ---------- 50

MEMOIR

Sandro Mrevlishvili – Seek and Find ----------56

DISCUSSION

Giorgi Skhitishvili - What Do We Demand From Critics ----------60
Tamar abesadze - Georgian Director In Russian Theatre ----------61

DRAMA

Nino Mirziashvili - Let Us Dance Tango ---------- 63

Nino Matchavariani - Watch, What You Hear (Radio Theatre - 60) ---------- 83
Rustaveli Theatre Museum - 80 ---------- 85
Ketevan Kukulava - Ozurgeti Theatre in Akhaltsikhe ---------- 86

OBITUARY

Rezo Tavartkiladze ----------87

საქართველოს კანონი
პროფესიული თეატრების შესახებ

ეს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, სხვადასხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტს, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პროფესიული თეატრების საქმიანობის წესს, მათ დაფუძნებასთან, ფუნქციონირებასთან, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ, სოციალურ და ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს და განსაზღვრავს თეატრალურ სფეროში მოღვაწე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს, პროფესიული თეატრების სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებს.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა პროფესიულ თეატრზე.

მუხლი 2. კანონის მიზანი და ამოცანები

1. ამ კანონის მიზანია:

ა) თეატრალური საქმიანობის შემოქმედებითი თავისუფლების სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა;

ბ) ეროვნული თეატრალური კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნება;

გ) ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

დ) თეატრალურ ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2. ამ კანონის ამოცანებია:

ა) პროფესიული სახელმწიფო, მუნიციპალური, შერეული და კერძო თეატრების საქმიანობის სამართლებრივი გარანტიების დაცვა;

ბ) თეატრის თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა;

გ) ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

დ) თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო მხარდაჭერის თანამიმდევრული პოლიტიკის განხორციელება;

ე) თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა;

ვ) თეატრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა;

ზ) სპექტაკლების აუდიო-, ვიდეო- და ელექტრონული ვერსიების შექმნის ხელშეწყობა;

თ) მაყურებლისთვის სპექტაკლებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ი) საერთაშორისო კონტაქტების განვითარება.

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თეატრი – შემოქმედებითი გაერთიანება (ან ორგანიზაცია), რომელიც ქმნის სპექტაკლს;

ბ) დრამატული თეატრი – თეატრი, სადაც იდგმება დრამატული, ტრაგიკული, კომედიური და სხვა სახის სპექტაკლები, რომელთა ძირითადი გამომსახველობითი საშუალებაა სცენური მოქმედება და სიტყვა;

გ) მუსიკალური თეატრი – თეატრი, სადაც წამყვანი დრამატურგიული ფუნქცია ენიჭება მუსიკალურ ხელოვნებას;

დ) ოპერისა და ბალეტის თეატრი – თეატრი, სადაც სპექტაკლის ძირითადი გამომსახველობითი საშუალება, სცენურ მოქმედებასთან ერთად, არის ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკა და ქორეოგრაფია;

ე) ანტრეპრიზა – თეატრი, რომელიც ახორ-

შეტანილია ცვლილებები
საქართველოს
06/28/2013 796
კანონით

ვებგვერდი, 24/04/2013
სარეგისტრაციო კოდი
450130010.05.001.016970

ციელებს სხვადასხვა თეატრალურ პროექტს, მაგრამ არ ჰყავს მუდმივმოქმედი თეატრის დასი;

ვ) სარეპერტუარო თეატრი – თეატრი მუდმივმოქმედი თეატრის დასით და რეპერტუარით, რომელსაც არ აქვს მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი შენობა;

ზ) სარეპერტუარო სტაციონარული თეატრი – თეატრი მუდმივმოქმედი თეატრის დასით, რეპერტუარით და მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი შენობით;

თ) თეატრალური ხელოვნება – ხელოვნების სინთეზური დარგი, რომელშიც ცხოვრება აისახება სპექტაკლის საშუალებით და რომელიც აერთიანებს ლიტერატურას (პიესა, ლიბრეტო), სამსახიობო ხელოვნებას, სარეჟისორო ხელოვნებას, მუსიკას, არქიტექტურას, სახვით ხელოვნებას და ქორეოგრაფიას;

ი) თეატრალური საქმიანობა – სპექტაკლების შექმნა, გავრცელება და შენახვა;

კ) თეატრის დასი – თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი;

ლ) სპექტაკლი – სცენური ხელოვნების ნაწარმოები;

მ) დამდგმელი რეჟისორი, დამდგმელი ბალეტმაისტერი, დამდგმელი დირიჟორი – პირი, რომელიც დამოუკიდებელი მხატვრული გადაწყვეტის გზით ქმნის სპექტაკლს;

ნ) მთავარი რეჟისორი - პირი, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს თეატრის სარეპერტუარო და სადადგმო პოლიტიკას;

ო) მთავარი მხატვარი - პირი, რომელიც ქმნის სცენოგრაფიასა და კოსტიუმებს, განსაზღვრავს სპექტაკლის მხატვრულ-ესთეტიკურ მხარეს, პასუხს აგებს სპექტაკლისა და სარეკლამო გაფორმების ხარისხისთვის, ხელმძღვანელობს თეატრის სამხატვრო საამქროს მუშაობას და ხელს უწყობს თეატრში მოწვეული მხატვრების შემოქმედებითი პროცესის განხორციელებას;

პ) მთავარი დირიჟორი - პირი, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს თეატრის სადადგმო მუსიკალურ რეპერტუარს;

ჟ) მთავარი ბალეტმაისტერი - პირი, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს თეატრის სადადგმო ქორეოგრაფიულ ნაწილს;

რ) სარეჟისორო კოლეგია - პროფესიონალი რეჟისორებით დაკომპლექტებული ორგანო, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს თეატრის სარეპერტუარო და სადადგმო პოლიტიკას;

ს) პროფესიული თეატრი – თეატრი, რომლის შემოქმედებითი კოლექტივის ძირითად ბირთვს შეადგენს შესაბამისი უმაღლესი განათლების ან/და თეატრში სამსახიობო მოღვაწეობის გამოცდილების მქონე პირი (პირები);

ტ) პროფესიული სახელმწიფო თეატრი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აფუძნებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო და რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი ან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი;

უ) პროფესიული მუნიციპალური თეატრი – კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც აფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

ფ) პროფესიული შერეული თეატრი - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც ერთდროულად აფუძნებენ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო და ფიზიკური პირი (პირები) ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირი (პირები);

ქ) პროფესიული კერძო თეატრი – კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც აფუძნებს ფიზიკური პირი (პირები) ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირი (პირები);

ღ) სამხატვრო ხელმძღვანელი – თეატრის საერთო ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრავს მის შემოქმედებით მიმართულებას და პასუხს აგებს თეატრის ფუნქციონირებისთვის;

ყ) თეატრის დირექტორი – პირი, რომელიც მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს თეატრის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას;

შ) სამხატვრო საბჭო – შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებული, თეატრის საქმიანობის ხელშემწყობი ორგანო, რომლის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება თეატრის დებულებით (წესდებით);

ჩ) სარეკომენდაციო საბჭო – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან არსებული, შესაბამ-

ისი კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებული ორგანო, რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი მინისტრის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 4. პროფესიული თეატრების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და გარანტიები

1. პროფესიული თეატრების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება:

ა) ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაში ქართული თეატრის განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის აღიარებას;

ბ) თეატრისა და თეატრალური საქმიანობის შემოქმედებით დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას;

გ) შემოქმედებითი ნიჭის უნიკალურობის აღიარებას და მის რეალიზებაზე ზრუნვას;

დ) პროფესიული თეატრების ფუნქციონირების სამართლებრივი, სოციალური და ფინანსურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის გარანტიას;

ე) თეატრალური შემოქმედებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას;

ვ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების განუხრელ დაცვას;

ზ) მსოფლიო კულტურულ სივრცეში ქართული თეატრის პოპულარიზაციას.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) პროფესიული თეატრების საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას და შემოქმედებით პროცესში ჩაურევლობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გარდა;

ბ) თეატრალური საქმიანობისთვის სათანადო გარემოსა და პირობების შექმნას;

გ) პროფესიული სახელმწიფო და მუნიციპალური თეატრების სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) ინვესტირებას პროფესიული თეატრების ფუნქციონირების და მათი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით;

ე) პროფესიული კერძო და შერეული თეატრების ფუნქციონირების მიზნით მათთვის საინტერესო ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობას;

ვ) ინოვაციური თეატრალური პროექტების შექმნისა და განხორციელების მიზნით თეატრის მოღვაწეების, ახალგაზრდა, ნიჭიერი დრამატურგებისა და შემსრულებლების მოზიდვასა და ხელშეწყობას;

ზ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციას;

თ) საქართველოს თეატრალური მიღწევების პოპულარიზაციას მსოფლიო კულტურულ სივრცეში, საერთაშორისო და ადგილობრივი თეატრალური ფესტივალების, კონკურსების, დათვალიერებების, გასტროლების, მათ შორის, გაცვლითი გასტროლების ორგანიზებასა და დაფინანსებას.

თავი II
პროფესიული თეატრების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მუხლი 5. პროფესიული თეატრის დაფუძნება

1. პროფესიულ სახელმწიფო თეატრს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო) საკუთარი ინიციატივით ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში პროფესიულ სახელმწიფო თეატრს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო საკუთარი ინიციატივით ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით.

3. პროფესიული სახელმწიფო თეატრის დებულებას (წესდებას) ამტკიცებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი (შემდგომ - მინისტრი).

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში პროფესიული სახელმწიფო თეატრის დებულებას (წესდებას) ამტკიცებენ შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

5. პროფესიულ მუნიციპალურ თეატრს კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

6. პროფესიულ შერეულ თეატრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთდროულად აფუძნებენ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო და ფიზიკური პირი (პირები) ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირი (პირები).

7. პროფესიულ კერძო თეატრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფუძნებს ფიზიკური პირი (პირები) ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირი (პირები).

მუხლი 6. პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების უფლება-მოვალეობანი

1. პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების უფლებაა:

ა) შემოქმედებითი საქმიანობის დამოუკიდებლობა და თავისუფლება;

ბ) მხატვრული მიმართულებისა და რეპერტუარის თავისუფალი არჩევა;

გ) საკუთარი თეატრალური პროდუქციით სარგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი თეატრის დებულებით (წესდებით) განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების მოვალეობაა:

ა) საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა;

ბ) შრომითი ურთიერთობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმართვა;

გ) შემოქმედებითი, ორგანიზაციული და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანგარიშგების წარმოება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) შესაბამისი თეატრის სარგებლობაში არსებული ქონების უსაფრთხოების დაცვა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი თეატრის დებულებით (წესდებით) განსაზღვრული სხვა მოვალეობების შესრულება.

მუხლი 7. პროფესიული თეატრის დამფუძნებლის (დამფუძნებელთა) უფლება-მოვალეობანი

პროფესიული თეატრის დამფუძნებლის (დამფუძნებელთა) უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და თეატრის დებულებით (წესდებით).

მუხლი 8. პროფესიული კერძო და პროფესიული შერეული თეატრების ფუნქციონირება და საქმიანობის პირობები

პროფესიული კერძო და პროფესიული შერეული თეატრების ფუნქციონირება და საქმიანობის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი თეატრის დებულებით (წესდებით).

თავი III
პროფესიული თეატრების სტრუქტურა და მართვა

მუხლი 9. პროფესიული თეატრის სახეობები

1. სტატუსის მიხედვით პროფესიული თეატრი შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო;

ბ) მუნიციპალური;

გ) შერეული;

დ) კერძო.

2. საქმიანობის მიხედვით პროფესიული თეატრი შეიძლება იყოს:

ა) სარეპერტუარო;

ბ) სარეპერტუარო სტაციონარული;

გ) ანტრეპრიზა.

მუხლი 10. პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების სტრუქტურა და მართვა

1. პროფესიული თეატრის მართვა ხორციელდება ამ კანონისა და თეატრის დებულების (წესდების) შესაბამისად.

2. პროფესიული თეატრი შედგება:

ა) თეატრის დასისგან;

ბ) სამხატვრო ხელმძღვანელისგან;

გ) სამხატვრო საბჭოსგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დამდგმელი რეჟისორისგან ან/და რეჟისორებისგან, დამდგმელი დირიჟორისგან;

ე) მთავარი რეჟისორისგან ან სარეჟისორო კოლეგიისგან, მთავარი მხატვრისგან (დრამატულ თეატრში, ოპერისა და ბალეტის თეატრში და სხვ.);

ვ) მთავარი რეჟისორისა და მთავარი დირიჟორისგან (მუსიკალურ თეატრში), თუ სამხატვრო ხელმძღვანელი პროფესიით არ არის შესაბამისად რეჟისორი ან/და დირიჟორი;

ზ) მთავარი ბალეტმაისტერის, დამდგმელი ბალეტმაისტერისა და მთავარი ქორმაისტერისგან (მუსიკალურ თეატრში);

თ) თეატრის დირექტორისგან;

ი) ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისგან.

3. სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს პროფესიით რეჟისორი ან არა ნაკლებ 3 წლის თეატრალური სახელოვნებო გამოცდილების მქონე პირი. სამხატვრო ხელმძღვანელი:

ა) არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი;

ბ) პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე;

გ) განსაზღვრავს საშტატო ერთეულების რაოდენობას, სახელფასო განაკვეთს და თეატრალური საქმიანობის წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არა უმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს მინისტრთან შეთანხმებით;

ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით;

ვ) უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით;

ზ) უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას;

თ) ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმაისტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს;

კ) თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს;

ლ) შეუძლია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება თეატრის დირექტორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან).

4. პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს ნიშნავს მინისტრი 4 წლის ვადით.

5.პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს ნიშნავს მინისტრი 4 წლის ვადით.

6. აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ პროფესიულ სახელმწიფო თეატრში შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი შესაბამის სამინისტროსთან არსებული სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს, ხოლო პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი შესაბამის სამინისტროსთან არსებული სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნიშნავს 4 წლის ვადით.

7. პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო მასთან არსებული სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნიშნავს 4 წლის ვადით.

8. მინისტრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი უფლებამოსილია:

ა) დანიშნოს შესაბამის სამინისტროსთან არსებული სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს მიერ წარდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატი;

ბ) მოსთხოვოს სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს სამხატვრო ხელმძღვანელის ახალი კანდიდატურის წარდგენა;

გ) სამხატვრო ხელმძღვანელი დანიშნოს საკუთარი შეხედულებით, დამოუკიდებლად, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი პროფესიული სახელმწიფო თეატრის შემთხვევაში - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად მინისტრისთვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრისთვის წარსადგენი კანდიდატურის განხილვის უფლებამოსილება სარეკომენდაციო საბჭოს აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

10. სარეკომენდაციო საბჭოსთვის კანდიდატურების წარდგენის წესი განისაზღვრება სარეკომენდაციო საბჭოს დებულებით.

11. კანდიდატი ვალდებულია სარეკომენდაციო საბჭოს წარუდგინოს თეატრის განვითარების საკუთარი ხედვა და კონცეფცია.

12. სამხატვრო ხელმძღვანელს თანამდებობიდან:

ა)პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, ათავისუფლებს მინისტრი, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ პროფესიულ სახელმწიფო თეატრში - შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:

ა.ა) სარეკომენდაციო საბჭოს მიერ წარდგენილი დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე;

ა.ბ) თეატრის დასის ან სამხატვრო საბჭოს

დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში ათავისუფლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო საქართველოს კანონმდებლობით და თეატრის დებულებით (წესდებით) გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

13. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია სამოქმედო პროგრამისა და სამუშაო გეგმის შეუსრულებლობა.

14. თეატრის დირექტორი:

ა) წარმართავს თეატრის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას;

ბ) სამხატვრო ხელმძღვანელთან შეთანხმებით წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკური და დამხმარე პერსონალის მოწვევისა და გათავისუფლების საკითხს;

გ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და თეატრის დებულებით (წესდებით) გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

15. თეატრის დირექტორს:

ა) პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადით, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი;

ბ) აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადით, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;

გ) პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადით, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და საქართველოს კანონმდებლობით და თეატრის დებულებით (წესდებით) გათვალისწინებული წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

16. სამხატვრო ხელმძღვანელის ან/და თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის გადაწყვეტილებით, თეატრს შეიძლება ჰყავდეს სამხატვრო საბჭო. სამხატვრო საბჭო არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებული, თეატრის საქმიანობის ხელშემწყობი ორგანო, რომლის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება თეატრის დებულებით (წესდებით).

თავი IV
პროფესიული თეატრების საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური საფუძვლები

მუხლი 11. პროფესიული თეატრის დაფინანსების წყაროები და ქონება

1. პროფესიული თეატრის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრები;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების სახსრები;

დ) დამფუძნებელთა კერძო საწესდებო ფონდი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახსრები;

ე) უცხოური ინვესტიციები;

ვ) ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების შემოწირულებანი;

ზ) კერძო შემოწირულებანი;

თ) ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი;

ი) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. პროფესიული თეატრის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V
პროფესიული თეატრების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 12. პროფესიული თეატრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

პროფესიული თეატრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და თეატრის დებულების (წესდების) შესაბამისად.

მუხლი 13. საერთაშორისო თანამშრომლობა

პროფესიული თეატრი საერთაშორისო თანამშრომლობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, აგრეთვე თეატრის დებულების (წესდების) შესაბამისად.

თავი VI
პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 14. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი VII
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი

1. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებამდე პროფესიულ სახელმწიფო თეატრს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს აგრეთვე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია და მასზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ნორმები.

2. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ დაფუძნებული პროფესიული სახელმწიფო თეატრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს და მის დებულებას (წესდებას) ამტკიცებს ამ დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ დაფუძნებული პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ამ დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამავე კანონის შესაბამისად უზრუნველყონ სარეკომენდაციო საბჭოების ჩამოყალიბება და მათი დებულებების დამტკიცება.

5. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყონ პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების დებულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

6. ამ კანონის ამოქმედებისთანავე პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების მმართველები და სამხატვრო ხელმძღვანელები გამოცხადდნენ მოვალეობის შემსრულებლებად ამავე კანონით დადგენილი წესით სამხატვრო ხელმძღვანელთა და თეატრების დირექტორთა დანიშვნამდე. პროფესიულ სახელმწიფო და პროფესიულ მუნიციპალურ თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელები და თეატრების დირექტორები ამ კანონით დადგენილი წესით დაინიშნონ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში.

7. ამ კანონის ამოქმედებამდე დაფუძნებული პროფესიული თეატრები ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისად დაფუძნებულად.

თავი VIII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 16.

დასკვნითი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 9 ივნისის №3288-Iს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №24, 29.06.2006, მუხ. 187).

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი
ქუთაისი,
5 აპრილი 2013 წ.
530-IIს

საქართველოს კანონი

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.04.2013, სარეგისტრაციო კოდი: 450130010.05.001.016970) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დრამატული თეატრი - თეატრი, სადაც იდგმება დრამატული, ტრაგიკული, კომედიური და სხვა ჟანრის სპექტაკლები, რომელთა ძირითადი გამომსახველობითი საშუალებაა სცენური მოქმედება და სიტყვა;“.

2. მე-10 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი, ოპერისა და ბალეტის თეატრში - პროფესიით დირიჟორი ან უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე სხვა პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში - სახელოვნებო გამოცდილების, აღიარების, თვალსაჩინო დამსახურების მქონე პირი. სამხატვრო ხელმძღვანელი:

ა) არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი;

ბ) პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე;

გ) განსაზღვრავს საშტატო ერთეულების რაოდენობას, სახელფასო განაკვეთს და თეატრალური საქმიანობის წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არა უმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს მინისტრთან შეთანხმებით;

ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით;

ვ) უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით;

ზ) უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას;

თ) ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმაისტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს;

კ) თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს;

ლ) შეუძლია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება თეატრის დირექტორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან).“;

ბ) მე-9 — მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად მინისტრისთვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურ-

---

ვებგვერდი, 15/07/2013
სარეგისტრაციო კოდი
450130010.05.001.017015

ისა და სპორტის მინისტრისთვის წარსადგენი კანდიდატურის განხილვის უფლებამოსილება სარეკომენდაციო საბჭოს და სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

10. სარეკომენდაციო საბჭოსთვის კანდიდატურის წარდგენის წესი განისაზღვრება სარეკომენდაციო საბჭოს დებულებით, ხოლო სამხატვრო საბჭოსთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კანდიდატურის წარდგენის წესი - თეატრის დებულებით.

11. კანდიდატი ვალდებულია სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სარეკომენდაციო საბჭოს წარუდგინოს თეატრის განვითარების საკუთარი ხედვა და კონცეფცია.";

გ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. თეატრის დირექტორს:

ა) პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადით, სამხატვრო საბჭოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი;

ბ) აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადით, სამხატვრო საბჭოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;

გ) პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადით, სამხატვრო საბჭოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და საქართველოს კანონმდებლობით და თეატრის დებულებით (წესდებით) გათვალისწინებული წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.".

3. მე-15 მუხლის მე-4 — მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამავე კანონის შესაბამისად უზრუნველყონ სარეკომენდაციო საბჭოების ჩამოყალიბება და მათი დებულებების დამტკიცება.

5. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყონ პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების დებულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

6. ამ კანონის ამოქმედებისთანავე პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების მმართველები და სამხატვრო ხელმძღვანელები გამოცხადდნენ მოვალეობის შემსრულებლებად ამავე კანონით დადგენილი წესით სამხატვრო ხელმძღვანელთა და თეატრების დირექტორთა დანიშვნამდე. პროფესიულ სახელმწიფო და პროფესიულ მუნიციპალურ თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელები და თეატრების დირექტორები ამ კანონით დადგენილი წესით დაინიშნონ ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში.".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

ქუთაისი,
28 ივნისი 2013 წ.
796-IIს

სპექტაკლები

ქართულ თეატრში პირველად სწორედ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაიდგა, რუსეთის უგვირგვინო მეფედ წოდებული ლევ ტოლსტოის ერთ-ერთი შედევრი „ჰაჯი-მურატი“. მასში რუსეთის იმპერიული ლტოლვის გამო შეშფოთებულმა, ხელოვნების ფუნქციაზე ღრმად დაფიქრებულმა მწერალმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მიწურულს კიდევ ერთხელ აღიმაღლა ხმა ტოტალური ძალადობისა და კლასიკური ღირებულებების დასაცავად. ლევ ტოლსტოი კაცობრიობის მომავლით შეშფოთებული ჭვრეტდა დღეს უკვე სიმულაკრებად წოდებულ ფსევდოფასეულობათა მოძალების, ერის ღირსეულ პიროვნებათა განადგურების მძლავრ და შემზარავ პერსპექტივას. ავტორის, ისევე როგორც რეჟისორის, თვალსაწიერში ხვდება ის ფაქტიც, რომ უმაღლეს ღირებულებათა დაცვა, ღირსების უკომპრომისო დაფასება მხოლოდ იდენტური ნიშნით გამორჩეულთა ხვედრია, ეს ამაღლებული პიროვნული ღირსებები კი „სხვას“ უსაზღვრო აგრესიითა და მისგან განსხვავებულის სრული განადგურების ვნებით აღანთებს.

„ჰაჯი-მურატის“ ანუ ზოგადად ეროვნული გმირის ტრაგედიას და მასთან დაკავშირებულ პრობლემას თავად ლევ ტოლსტოიც უმთავრეს თავსატეხად მიიჩნევდა. როგორც ცნობილია, ამ თემას იგი დიდხანს და სკრუპულოზურად იკვლევდა და ამუშავებდა (გამოქვეყნდა 1912 წელს). ავტორი ცდილობდა გაერკვია დამპყრობისა და დაპყრობილის ფსიქოლოგია და ხელისუფალის ფუნქცია, ტრადიციული და ახალი ეპოქის მერკანტილური ღირებულებების შეჯახების შედეგები, სამყაროს განვითარების სამომავლო პერსპექტივა, მომავლის რჩეულთა ან ინტელექტუალთა უმთავრესი ორიენტირი.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და ინსცენირების ავტორია გიზო ჟორდანია. იგი ესწრაფვის შეინარჩუნოს დიდი მწერლისადმი ერთგულება და შეძლებისდაგვარად თვალსაჩინო გახადოს ნაწარმოების კონცეფცია. წარმოდგენაში გაჟღერდა თანამედროვეობის უმძაფრესი პრობლემა, - აქვს თუ არა ხელისუფალს უფლება, კრიზისულ ისტორიულ პერიოდში, ნებისმიერი მსხვერპლის მიუხედავად, ფანატიკურად იბრძოლოს უთანასწორო ძალასთან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თუ მოვალეა იგი ერის გენოფონდის გადასარჩენად მიმართოს პრაგმატულ, ლავირების პოლიტიკას?.. დამდგმელი ჯგუფის მკაფიო პოზიცია ქვეყნის მმართველის ფუნქციაზე დადგმაში მკვეთრადაა გაცხადებული შამილისა და მისი მეუღლის, შამილისა და დედის, შამილისა და ჰაჯი მურატის, შამილისა და რუსეთის იმპერატორის ურთიერთობისა თუ დაპირისპირებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ რეჟისორი დიდ ყურადღებას უთმობს სცენიდან მხატვრული სიტყვის გაჟღერების მაღალ კულტურას და სპექტაკლის ცენტრალური როლების განმასახიერებელი მსახიობებიც მაღალპროფესიული მეტყველებით აღმოჩნდნენ გამორჩეულნი.

ზურაბ გაგლოშვილის მუსიკალური გაფორმება რეჟისორული კონცეფციის ძირითადი ემოციური მუხტის შესატყვისია. სპექტაკლის მხატვარი აივენგო ჭელიძე სცენოგრაფიაშივე ქმნის ხელისფლებისა და საზოგადოების, დამპყრობისა და დაპყრობილის, მოძალადისა და თავდამცველის მარადიული კონფლიქტის მეტაფორას. სცენის მარცხენა მხარეს განთავსებულია სახელისუფლო დეპარტამენტის ფრაგმენტი. ავანსცენის შორიახლოს სამუზეუმო ექსპონატად, რუსეთის ყოვლისდამამხობელი ძალის სიმბოლოდ ქცეული მასიური რუსული ჩექმაა

სცენა სპექტაკლიდან

მინის ყუთში მოთავსებული. ოდნავ მოშორებით კი, პოსტამენტზე ბრწყინავს რუსი იმპერატორის სამეფო კვერთხი და გვირგვინი. ავანსცენის მარჯვენა მხარეს კავკასიელთა აულის ნანგრევებად ქცეული სამოსახლოს ნაშთია.

გივი ჩუგუაშვილი სამ ურთიერთგანსხვავებულ სახეს ქმნის წარმოდგენაში. იგი წარმოგვიდგენს ავტორის (კამენეევი) დამოკიდებულებას ადამის მოდგმის უკიდეგანო სიხარბის, მისი ფუნდამენტური მტაცებლური ბუნებისადმი. მსახიობი თამაშობს ემოციურად, დროდადრო რისხვითა და მკვეთრი გამომსახველობითი ხერხებით. პრინციპული და ხისტია გ. ჩუგუაშვილის მიერ შექმნილი მეორე, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი შამილის პორტრეტი. ხელისუფლებისადმი სამსახური მას თითქოსდა უზენაესის მსახურების წმინდა საქმედ, საკუთარ უფლება-მოვალეობად მიუჩნევია და იერარქიის სათავეში აღმოჩენილი რელიგიით დადგენილი ნორმებით ცდილობს მართოს ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფი ქვეყანა. გ. ჩუგუაშვილის შამილს მის მიერვე დადგენილი დოგმების კრიტიკული განსჯა ღალატის ტოლფასად შეურაცხავს და მზადაა საკუთარი დედაც კი, რომელიც შვილს პრაგმატული აზროვნებისკენ მოუწოდებს, უმკაცრესი მეთოდებით დასაჯოს.

შამილის დედის, - ბახუ-მესიდუს სახეს წარმოდგენაში მაღალი პროფესიონალიზმით განასახიერებს თეატრის უხუცესი მსახიობი თამარ სხირტლაძე. მსახიობი როლს ქმნის მკვეთრი და კონტრასტული გამომსახველობითი ხერხებით. მისი ხმა ხან რბილად, დიდი სითბოთი იღვრება ჰაერში, ხან კი მრისხანედ გაიჟღერებს ხოლმე. იგი არ მალავს წუხილსა და აღშფოთებას შვილის თვითნებური პოლიტიკით, იმ უგუნური მსხვერპლით, დაღუპვას რომ უქადის მრავალწლიანი ომით დაუძლურებულ ერს. გივი ჩუგუაშვილის შამილის მიერ დეკლარირებული, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად ღირებული ქვეყნის დამოუკიდებლობა, მის უახლოეს ადამიანშიც ბადებს საფუძვლიან ეჭვს და სამართლიანად იქმნება ძალაუფლებისათვის თავგანწირული მმართველის პორტრეტი.

გივი ჩუგუაშვილის მორიგი სახე, - ნიკოლოზ I-იც ტოტალური და უკონტროლო ძალაუფლების მოყვარე, უპრინციპო, სასტიკი და დემორალიზებული იმპერიის მექალთანე თვითმპყრობელია. რეჟისორმა ამ სამი, თითქოსდა ერთმანეთისაგან განსხვავებული პერსონაჟის განსახიერება ერთ მსახიობს დააკისრა, მაგრამ სამივე მათგანში შესამჩნევია იდენტური თვისება. თავად კამენევიც, მხოლოდ კავკასიური ტრაგედიის სიღრმისეული განცდისა და ულამაზესი ყვავილის ნაცვლად მისი სუროგატის აღმოჩენის შედეგად შეძრწუნებული იწყებს ადამიანის ფუნდამენტური მტაცებლური ინსტინქტის გაცნობიერებას. როგორც ირკვევა, თანამედროვე ადამიანი ჯერ კიდევ არ არის მზად უარყოს ბავშვობის ხანის არქაული ინსტინქტი და ამაღლდეს მასზე.

ლევ ტოლსტოის მოთხრობის შესატყვისად, გ. ჟორდანიას სპექტაკლში შექმნილი პაატა ინაურის ჰაჯი-მურატის სახეშიც მძლავრობს ძალაუფლებისადმი ლტოლვის ამბიცია. სახელოვანი, მამაცი, საზრიანი, ნებისმიერ ძალასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის განწყობილი ნაიბი შინაგანად მზად არის უმაღლესი თანამდებობის მისაღებად. ეს ფაქტი აგრესიასა და შიშს ბადებს დაუმორჩილებელი კავკასიის დამორჩილებისათვის განწყობილთა ელიტაში.

ჰაჯი-მურატის მხატვრული სახე პაატა ინაურის, ამ მზარდი ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის წარმატებული და საინტერესო როლია. მსახიობი სახიერად და ემოციურად წარმოაჩენს თავისი გმირის ფარულ ზრახვებსა და მოწინააღმდეგის სტრატეგიის წვდომის აქტს. მომხიბლავი და პერსონაჟის იდენტურია პაატა ინაურის პლასტიკა, მოვლენებისადმი უსწრაფესი რეაგირების უნარი, უზუსტესი ინტონაციები. მსახიობი სცენაზე ქმნის თავისუფლებისათვის უკომპრომისოდ, მაგრამ გააზრებულად მებრძოლ ეროვნულ გმირს. იგი მისივე უმთავრესი მეტოქის, - შამილისაგან განსხვავე-

ბით, პრაგმატულია და ცდილობს მინიმალური მსხვერპლის ფასად, რუსეთთან ლოიალური ურთიერთობით, არტისტიზმის მოხმობით უზრუნველყოს ქვეყნის ოპტიმალური მომავალი, - მშვიდობის დამყარება, ერის გადარჩენა, ვაჭრობის განვითარება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

ტანმაღალი, გამჭოლი მზერის, პიროვნული ხიბლითა და მრავალი ღირსებით გამორჩეული, გულუხვი, საზრიანი პაატა ინაურის ჰაჯი-მურატის შინაგანი გულწრფელობა, სიმამაცე და ერთგულება საკუთარი ერისა და რელიგიისადმი უმალ ატყვევებს როგორც წარჩინებულ ბანოვანებს, ისე ევროპულად მოაზროვნე, მრავლისმხილველ, ცბიერ მიხეილ ვორონცოვს. ამ როლს სცენაზე თითქმის პორტრეტულ მსგავსებასთან მიახლოებით, ფრთხილი და მოზომილი მეტყველებით განასახიერებს მარლენ ეგუტია. პაატა ინაურის ჰაჯი-მურატის პირისპირ მდგარი მარლენ ეგუტიას მიხეილ ვორონცოვს, აკრთობს პაატა ინაურის ჰაჯი-მურატის შორსმიმავალი, ფარული გეგმები. მეფისნაცვალი სამართლიანადაა დაეჭვებული ძალაუფლების გამო შამილთან შერკინებული სახელოვანი ნაიბის რუსეთისადმი ერთგულებაში. რეჟისორს ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგების გამჟღავნების ეპიზოდები. ამ დროს ერთმანეთს უპირისპირდება მსახიობთა მიერ შექმნილი ნიღბები და კონტრასტული მიზნები. მათი დამოკიდებულება მეტოქეებისა და განვითარებული დრამატული მოვლენებისადმი.

ნატიფი სილამაზით აღბეჭდილი ლელა მებურიშვილის მარია ვორონცოვაც უმწეოა გულგრილი დარჩეს მამაცი, უკომპრომისო პაატა ინაურის კეთილშობილი ჰაჯი მურატისადმი, რომელიც ინტუიტურად გრძნობს ყველა უმაღლეს იმპერატივს და ერთგულად მისდევს მის ლოგიკას. მსახიობი უჩვეულო სისადავით თამაშობს ჰაჯი-მურატით მოხიბლვას, აღტაცებას, გატაცებასა და სიყვარულს. ლელა მებურიშვილის მარია ვორონცოვასაგან განსხვავებით ქეთი ჩხეიძის ბაბალე მანერული ქართველი დიდგვაროვანი ბანოვანია. მსახიობი არქაული მეტყველების მკაცრი აქცენტებით ხატავს კრიტიკული და მედიდური ქალბატონის პორტრეტს. წარმოდგენაში ახალგაზრდა მსახიობი სალომე მაისაშვილი შთამბეჭდავად წარმოსახავს მაცდური, ვნებიანი კოპერვეინის პორტრეტს. მის ხმაში ჟღერს მსუბუქი ირონიაც, მედიდური გამოწვევაც და თავშეკავებული ბრაზიც, სარგებლის მიზნით ყოველგვარი ხიბლისაგან განძარცვული მამაკაცის - გივი ჩუგუაშვილის ნიკოლოზ I-ისადმი იძულებითი მსახურების გამო.

ამ სამყაროში კეთილშობილიცა და მდაბიოც ტოტალური სატუსაღოს მსხვერპლია. მათ არ შესწევთ ძალა საკუთარი მიზნების რეალიზებისათვის, არ აქვთ უფლება დაიცვან თავისი თუ სხვისი ღირსება. წარმოდგენაში სქემატურად მოხაზული ნინო დუმბაძის მაშას, ზაზა იაქაშვილის ბუტლერის, თემურ კილაძის პალტარაცკის, ნოდარ დოღონაძის ვასილ დალგარუკის, ზაზა გოგუაძის ალექსანდრე ჩერნიშევის სახეებიდან იკვეთება იმპერიული პოლიტიკის მძევალთა პორტრეტები. ეს მარიონეტად ქცეული ადამიანები მხოლოდ იძულებით, გაოცებითა და წუხილით მორჩილებენ ძალადობრივ მსოფლწესრიგს, ბოროტების მოჯადოებულ წრეს. ისინი აცნობიერებენ, რომ არ შესწევთ ძალა არსებული მმართველობითი სისტემის შესაცვლელად და უმთავრესად მდუმარე აღტაცებით ადევნებენ თვალს სამართლიანი და დაუმარცხებელი ეროვნული გმირის ტრაგედიას. ისინი მხოლოდ ძალზე იშვიათად თუ გაიბრძოლებენ ხოლმე უმწეოდ და კვლავ მინებდებიან დადგენილი რეჟიმის მონოტონურ რიტმს. აქ ქალიც და კაციც განუკითხაობის მსხვერპლია.

ნინო გაჩეჩილაძის ნაზი და ჰაეროვანი სოფია ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო კონტექსტიდან. დასახვეწია თეკო ჩუბინიძის ანა ულუხანოვას სახე. თეონა ქოქრაშვილის ნუნე კი, ვფიქრობ, არსებითს ვერაფერს სძენს წარმოდგენას. ამ მხრივ, სასურველია უკეთ წარმოჩენილიყო მეამბოხე მაშას, ჰაჯი-მურატის ზნეობრივი ქმედებებისადმი შინაგანი თანამოაზრეობით განწყობილი ბუტლერის, პალტარაცკის, ზნეკეთილი ვასილ დალგარუკის სახეები. ამ უკანასკნელის მხატვრული სახის გამოკვეთა ემოციურ ფონს შემატებდა ქეთი გეგეშიძის დედა ნადეჟდას. აღსანიშნავია ისიც, რომ სპექტაკლში ზოგადად გაცხადდა, მაგრამ სახიერად და მთელი სიმძაფრით ვერ წარმოჩნდა ის გარემო, რომელმაც წარმოშვა გაორებული დამოკიდებულება მარადიული ღირებულებებისა და უსასრულოდ მზარდი იმპერიული ამბიციებისადმი. ყოველივე ამან კი, როგორც ცნობილია, ჩამოაყალიბა დაუცველი, გაბოროტებული, შურისძიებისათვის განწყობილი საზოგადოება და მაღალი ღირებულებებისაგან განძარცვული, სასიცოცხლოდ უაღრესად სახიფათო თანამედროვე სამყარო.

ჟამიანობა

გიორგი ცქიტიშვილი

თითქმის ყველას, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობას, ერთ ფერში გადაწყვეტილი სამოსი აცვია. ესაა მუქი, შავი, ნაცრისფერი. ზურგზე კი, სამუდამოდ დაღდასმულებივით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი თუ ხელსაწყო ახატიათ. ერთს — ცელი, მეორეს — ნამგალი, მესამეს — ურო, ვიღაცას კიდევ — სხვა რამ ამდაგვარი... ადამიანთა საკრებულოს, რომელსაც ძალზე ძნელია საზოგადოება უწოდო, უფრო მასა, უმრავლესობა, ჯგუფი ან ჯოგი შეეფერება, ინდივიდუალური სახე დაუკარგავს. რაღაც ერთ, მთლიან, სტიქიურ ორგანიზმად ქცეულა, რომელსაც ინსტინქტებიღა მართავს. ვიღაცას შეიძლება ოდნავ ცალსახად, პრიმიტიულად, სწორხაზოვნად მოეჩვენოს ამგვარი გადაწყვეტა, მაგრამ დამდგმელი რეჟისორის (იოსებ ნემსაძე) ჩანაფიქრი უდავოდ ნათლად, მკაფიოდ იკითხება.

სანამ, უშუალოდ გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლზე „მსხვერპლი“ (რომელიც დავით კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის საფუძველზეა შექმნილი) უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, მსურს ჯერ სხვა თემას შევეხო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას - მიხეილ თუმანიშვილისა და შალვა გაწერელიას შემდეგ, იოსებ ნემსაძე ის რეჟისორია, რომელმაც ქართული კლასიკური მწერლობის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის სახით თავის თანამოაზრე ავტორს მიაგნო. ამის დასტურია თუნდაც რამდენიმე წლის წინ, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმული წარმოდგენა — „მოთმინება და იმედი“ (დ. კლდიაშვილის პიესის — „უბედურება“ — მიხედვით). ეს სპექტაკლი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში გახლდათ იმისა, თუ როგორ თანამედროვედ, ორიგინალურად შეიძლება აჟღერდეს კლასიკური ნაწარმოები, თანაც ისე, პირველწყარომ საკუთარი სახე არ დაკარგოს; პირიქით, ეს იმგვარ უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენდა, როდესაც რეჟისორი ზედმიწევნით ერთგული რჩებოდა დრამატურგისა.

თავისი იერით, ჩაცმულობით, მხოლოდ რამდენიმე იშვიათი გამონაკლისი, თავიდანვე, ერთი შეხედვით, გამოირჩევა უსახური მასისაგან. პირველ რიგში, ესაა მყვირალა, სისხლისფერ კაბაში გამომწვევად გამოკვართული მარინე (ნათია მელაძე). ზოგადად, წითელი მხურვალე ვნების ფერია, აგრესიული, შემტევი. დამდგმელი რეჟისორი, მხატვრებთან (თამარ ჭავჭანიძე და ბექა სადაღაშვილი) ერთად, სპექტაკლის დასაწყისშივე, თითქოს ხაზს უსვამს ამ მოქმედი პირის სხვათაგან მკვეთრად გამორჩეულობას. ერთსახოვანი, ერთფეროვანი, ნაცრისფერი უმრავლესობის ფონზე ნ. მელაძის მიერ განსახიერებული მარინე აშკარად სულ სხვა ტიპაჟია. მიმზიდველი, მომხიბვლელი, ნდომის აღმძვრელი, სიცოცხლით სავსე, ჯანსაღი ახალგაზრდა ქალი. მის გვერდით რაღაც უფერულად, უსიცოცხლოდ გამოიყურება ფერმკრთალი, ავადმყოფურად მხრებში მოხრილი, საკუთარი არასრულფასოვნებისაგან დაკომპლექსებული მეუღლე, ნიკა (ლევან შენგელია).

საერთოდ, თვალს თუ გადავავლებთ რეჟისორი. ნემსაძის შემოქმედებას, მის ყოველ ნამუშევარში აშკარად იკითხება მკაფიოდ ინდივიდუალური, თვითმყოფადი ხელწერა. ის მკვეთრად ე.წ. საავტორო სპექტაკლებს თხზავს, სადაც ყველა კომპონენტი მისეულ ჩანაფიქრს, კონცეფციას მკაცრად ექვემდებარება, განუხრელად ემორჩილება. შეიძლება ბევრი რამ, რასაც რეჟისორი აკეთებს, ყველასათვის ბოლომდე მისაღები არც კი იყოს. პირიქით, კამათს, პოლემიკას იწვევდეს, მაგრამ ერთი რამ უდავოა. ი. ნემსაძე არავის ჰგავს, იგი არავის იმეორებს; ჯიუტად, მიზანდასახულად, მხოლოდ საკუთარი გზით მიდის.

„მსხვერპლის“ მუსიკალური გაფორმება, ისევე როგორც ამ პროზაული ნაწარმოების გასცენიურება, დამდგმელ რეჟისორს ეკუთვნის. სცენა თითქმის მთლიანად ცარიელია. მთელი ასპარეზი მსახიობებს ეთმობათ სამოქმედოდ. მხოლოდ სამი ბრტყელი, უცნაური მოყვანილობის ფერადი ფარი მოჩანს. ერთი შუაშია, დანარჩენი ორი კი, შესაბამისად, მარცხნივ და მარჯვნივ. თავიდან ისინი ერთიანი, მონოლითური, მთლიანი გვგონია. მაგრამ წარმოდგენის მსვლელობისას, თანდათან აღმოვაჩენთ, რომ მათ სხვადასხვა სიმაღლეზე არაერთი კარი თუ ფანჯარა აქვთ. დამდგმელი ძალზე მახვილგონივრულად, სახიერად იყენებს ამგვარ დეკორაციას. სპექტაკლის სხვადასხვა მონაკვეთში, მოულოდნელად, ხან ერთი, ხან მეორე კარი ან ფანჯარა იღება. მათში ნატალიასა (მაია ტურაშვილი) და კესარიას (მანანა თევდორაშვილი) თავები იელვებს და მოკლე, სხარტი რეპლიკების სათანადო ინტონაციით წარმოთქმით უმალ იქმნება ჭორიკნობის დინამიკური ვიზუალური სურათი.

თითქოს საგანგებოდ, ხაზგასმით ცდილობს საკუთარ იერში ყოველგვარი ქალური საწყისი უკვალოდ წაშალოს ფეფენამ (ლია კევლიშვილი). ქვრივისათვის ტრადიციულ მუქ, შავ სამოსში გახვეულა; ფეხზე უხეში, ლამის სამხედრო ყაიდის, სქელლანჩიანი, მაღალყელიანი, მძიმე ფეხსაცმელი ჩაუცვამს. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მკაცრია და შეუვალი. ენამწარობით, მკვახე სიტყვა-პასუხით გამოირჩევა. თუმც, მიუხედავად საგულდაგულო მცდელობისა, მსახიობი რეჟისორთან ერთად ამ მოქმედი პირის ფარულ მხარესაც წარმოაჩენს. გორის თეატრის სპექტაკლში ფეფენა ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა, მამაკაცის ალერსს დანატრებული ქვრივია. სხვა მიზეზებთან ერთად მის საქციელს ეს მოტივიც განსაზღვრავს.

რძლის თამამი თავის დაჭერით გამოწვეულ გაღიზიანებასთან ერთად, მასში წმინდა ქალური მეტოქეობის, ეჭვიანობის მოტივიც ჭარბად იჩენს თავს. აზნაური დავითი (ზურაბ ხინჩიკაშვილი) მისი ფარული ვნების, ლტოლვის ობიექტია. არადა, ამ უკანასკნელმა მარინეს დაადგა გაუმაძღარი თვალი...

ლია კევლიშვილი ფეფენას განცდათა საკმაოდ მრავალფეროვან პალიტრას გვთავაზობს. გარდა ზემოაღნიშნულისა, იგი იმასაც მტკივნეულად აღიქვამს, რომ მისი ვაჟი ცოლის შესაფერისი არ არის. რძლის შვილზე უპირატესობაც აღიზიანებს დედამთილს. კიდევ არის ერთი მოტივი, რომელსაც დ. კლდიაშვილის მსგავსად, ხაზგასმით გამოჰყოფს დამდგმელი რეჟისორი. ფეფენამ საკუთარი გამოცდილებით იცის, გასაჭირში ის და მისი შვილი, ისევე როგორც ადრე, წლების წინ, სრულიად მარტონი დარჩებიან. ამიტომ, გარშემომყოფთა დათაფლულ სიტყვებს ის არ ენდობა. მხოლოდ თავისი თავის იმედზეა. კიდევ ერთი მოტივი ძალუმად იკითხება ლ. კევლიშვილის მიერ განსახიერებულ სცენურ გმირში. რეჟისორი ყოველივე ამას სახიერი მიზანსცენით გვიჩვენებს. ეპილეფსიური შეტევის დროს, ნიკას თავის შავ, ნაქსოვ მოსასხამს ბადესავით ესვრის ფეფენა; შიგნით სათუთად გაახვევს, ძირს დავარდნილს მთელი სხეულით ზემოდან დაემხობა; უმწეო ჩვილივით მიიხუტებს, გულში ჩაიკრავს; თითქოს, აწყნარებს თუ პატარა ბავშვივით აძინებს. ამ მრავალჭირნახულმა ქალმა ძალზე კარგად იცის, მისი პირმშოს პატრონი, მზრუნველი მომვლელი, მასისაგან დამცველი მხოლოდ და მხოლოდ თავადაა. ეს მძიმე ტვირთიც მან ერთადერთმა, სრულიად მარტომ უნდა ზიდოს... აი, ის მრავალფეროვან განცდათა გამა, რომლის მაყურებლამდე მოტანასაც ახერხებს ლ. კევლიშვილი. მის მიერ განსახიერებული სცენური გმირი ერთდროულად აგრესიასაც იწვევს და თანაგრძნობასაც.

ნათია მელაძე ქმნის ისეთი ახალგაზრდა ქალის სცენურ პორტრეტს, რომელიც, ბუნებრივია, ვერაფრით ეგუება დედამთილის დიქტატს. იგი თავდაპირველად შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს მისი თავისუფლების შეზღუდვის ყველანაირ მცდელობას. მსახიობი სახიერად წარმოაჩენს, რომ მარინეს სურს იყოს ბედნიერი. მისთვის არც ლამაზად ჩაცმის, მოხდენილად მორთვა-მოკაზმვის, გაპრანჭვის ქალური სურვილია უცხო. ისიც ახარებს, დავითი რომ ყურადღებას აქცევს. ნ. მელაძე თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, დამაჯერებლად გვიჩვენებს განსახიერებული სცენური გმირის შინაგან თუ გარეგნულ ტრანსფორმაციას. როდესაც ყველა გზას მოუჭრის ფეფენა, სულისშემხუთავად შებოჭავს, შეავიწროებს, გასაქანს არ მისცემს, ის კიდევ ერთხელ, უკანასკნელად გაიბრძოლებს. თავგანწირულ ნაბიჯს გადადგამს - ქმარსა და დედამთილს გაექცევა. მაგრამ მალევე აღმოაჩენს, რომ ის სულ მარტოა ამ უთანასწორო ბრძოლაში. ფეფენას წინ ვერავინ აღუდგება. ეს სიცოცხლით სავსე, მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი თანდათან საკუთარ თავში ჩაიკეტება, გულჩათხრობილი, უსიტყვოდ მორჩილი ხდება. წარმოდგენის დასასრულს, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად გაიბრძოლებს. ნ. მელაძის შესრულებით ეს მისი შურისძიებაა. იგი, ფეფენას სახალხოდ დააბრალებს ავსულობას, კუდიანობას.

ძველ ქართულ ლექსიკონებში (არა მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანთან) ჟამი დროს ნიშნავს. თუმც, მას მეორე მნიშვნელობაც ჰქონია. ჟამიანობა ეპიდემიურ დაავადებასაც აღნიშნავს. როგორც შუა საუკუნეებში კეთრი, შავი ჭირი, ხოლერა თუ სხვა ამდაგვარი, ჟამიანობაც აფრთხობდა და მუსრს ავლებდა კაცთა მოდგმას. ი. ნემსაძის მიერ დადგმული „მსხვერპლის“ ნახვისას რატომღაც ეს სიტყვა გამახსენდა. იქნებ იმიტომ, რომ მის მიერ შეთხზულ მისტიფიკაციაში სცენაზე მყოფი საზოგადოება, უფრო სწორად მასა, ადამიანთა ჯგუფი, თითქოს რაღაც უხილავი ჟამიანობის მსხვერპლია. ესაა სრული ურთიერთგაუცხოება, მოყვასის სატკივარის გულთან არმიტანა; ყველას საკუთარი პრობლემა აწუხებს; ამიტომ, გვერდით მყოფის მიმართ აბსოლუტურად გულგრილია; თვით უახლოეს ადამიანებსაც კი არ ესმით ერთმანეთის; გარდა ამისა, უსახური, ერთფეროვანი უმრავლესობა აბსოლუტურად უმეცარია, გაუნათლებელი, ამის გამო, სტიქიური, იმპულსურიც კი. მას შეუძლია ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტოს ამა თუ იმ ადამიანის ბედი, მისი ფიზიკური ყოფნა-არყოფნა. აი, ამგვარ აპოკალიფსურ სურათს ვხედავთ გორის თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლში.

ლევან შენგელიას შესრულებით, თავდაპირველად ჩვენს თვალწინაა მშობლის უსიტყვოდ მორჩილი შვილი. ნიკას სურს მშვიდობა სუფევდეს ცოლსა და დედას შორის. ფეფენასა და მარინეს შორის მიმდინარე გააფთრებული ორთაბრძოლის დროს იგი თავს ძალზე უმწეოდ გრძნობს, მაგრამ დროთა განმავლობაში ხაზგასმით წარმოჩენილი არასრულფასოვნების კომპლექსი უკვალოდ ქრება. ნიკა, დედის მსგავსად, არა მარტო მეუღლის, არამედ გარშემომყოფთა მიმართაც აგრესიული ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობი საკმაოდ დამაჯერებლად ძერწავს მოქმედი პირის ურთულეს სცენურ პორტრეტს.

ძალზე კოლორიტულ, სახასიათო წყვილს წარმოგვიდგენენ მსახიობები: ქიშვარდ მანველიშვილი (ონისიმე) და დალი ნათელაშვილი (სოფიო). ქმარს აშკარად გული შესტკივა მარინეს მძიმე მდგომარეობის გამო. ახალგაზრდა ქალი ცოლსაც ეცოდება, მაგრამ ფეფენას შიშით ხმას ვერ იღებს. ონისიმე ცდილობს ჩაერიოს ამ საქმეში. დ. ნათელაშვილი ქოთქოთებს, აქტიურობს, ცდილობს მეუღლე „ჭკუაზე მოიყვანოს“, ანჩხლობს კიდეც. აბსოლუტურად განსხვავებულია ფეფენასთან შეხვედრისას. ჩუმად იცრემლება საკუთარი უღონობის, უმწეობის გამო. მორჩილად, პირდაპირი მნიშვნელობით, მონურად ფეხქვეშ ეგება უკმეხ ქვრივს. ძალზე სახიერ მიზანსცენას თხზავს რეჟისორი - ქ. მანველიშვილის მიერ განსახიერებული სცენური გმირი „ტაშტში“ ჩამდგარი ფეხს იბანს. ეს ირონიული

პერეფრაზი თავისი არსით ნამდვილად შორს დგას ახალი აღთქმისეული საკრალური რიტუალისაგან. პირიქით, ი. ნემსაძეს ამით კომიკური პასაჟი შემოაქვს. თითქოს, ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი ონისიმე ამაოდ იქადის, რომ ფეფენას მოარჯულებს. მის ამგვარ ფიზიკურ მდგომარეობაში ჩაყენებით დამდგმელმა ნათლად დაგვანახა ამ უდავოდ კეთილი, მაგრამ რაიმეს კარდინალურად შესაცვლელად, უძლური ადამიანის ნამდვილი სახე.

იოსებ ნემსაძეს სპექტაკლში შემოყვანილი ჰყავს ძალზე უცნაური „ტრიო“ (ლევან ჯამბრიშვილი, ზაზა ცარულაშვილი და ზვიად მაღალაშვილი). სხვათა შორის, ისინი სპექტაკლ „საქსოფონშიც“ ვიხილეთ. საგანგებოდ, საკონცერტოდ, კლასიკურად გამოწყობილნი, სახის სერიოზული, „ღირსეული“ გამომეტყველებით, გიტარით ხელში, ხშირად უადგილოდ, დაუპატიჟებლად შემოდიან სცენაზე და დიდი მონდომებით მღერიან. წარმოდგენის მსვლელობისას მათი გამოსვლა რამდენჯერმე მეორდება. თავდაპირველად, „ტრიოს“ ჩვენს წინ „გამოცხადება-მოვლინებას“ ერთგვარი ირონიული აბსურდულობის განწყობა შემოაქვს. მერე, ისინიც, სხვების, მასის მსგავსად, დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს მათ წინ განვითარებულ დრამატულ მოვლენებს. მთელი არსებით სმენად, თვალებადქცეულნი, კისერწაგრძელებულნი, ცნობისწადილით აღსავსენი, უმრავლესობის დარად, ჩვეულებრივ სეირის მაცქერლებად იქცევიან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამივე მსახიობი ახერხებს ამ პატარა, ეპიზოდურ როლში ორგანულობის, დამაჯერებლობის მიღწევას. თითოეული მათგანი ინდივიდუალურ სახასიათო ნიშან-თვისებას სძენს პერსონაჟს. მათ საკონცერტო გამოსვლებს უდავოდ ატყვია ლოტბარის (გიორგი საძაგლიშვილი) ხელი.

დავით კლდიაშვილის მოთხრობისაგან განსხვავებით, ი. ნემსაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში, საიქიოს ნამყოფი, სოფელში წმინდანად შერაცხული ვასილი პირწავარდნილი თაღლითია. თურბენდ რევაზაშვილის მიერ განსახიერებული სცენური გმირი, თეთრი წვერით, ხმელი, მჭლე, ასკეტური აგებულებით, სახის ნეტარი გამომეტყველებით, ერთი შეხედვით, გარეგნულად კი ჩამოჰგავს ღვთის კაცს. მაგრამ მსახიობი ახერხებს ნათლად წარმოაჩინოს ირგვლივ მყოფთა მოტყუებით მრავალსარგებელნანახი, თავის სასარგებლოდ გამორჩენის მომლოდინე ავანტიურისტის დამაჯერებელი პორტრეტი. გრძელი ჩოხისა და თანამედროვე შარვლის გარდა, ვასილს შიშველ ფეხზე, თვალშისაცემი შინდისფერ-მოწითალო, ახალთ-ახალი ღია ე.წ. „სანდლები“ აცვია. თან, განუყრელად დააქვს მომცრო, ძველი „საკვოიაჟი“, რომელშიც თავისი „წმინდანობით“ ნაშოვნ-მოპოვებულ „შემოწირულობას“ აგროვებს. თავდაპირველად, შეიცხადებს... „როგორ გეკადრებათო“, მაგრამ მერე, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, იღებს გასამრჯელოს. თ. რევაზაშვილი სახის ნეტარი გამომეტყველებით მოძღვრავს ირგვ-

სცენა სპექტაკლიდან „მსხვერპლი“

ლივ მყოფთ. გარეგნულად ინარჩუნებს სიმშვიდეს, ნაძალადევ, გამომუშავებულ კეთილგანწყობას. მაგრამ მარინეს დაკითხვის ეპიზოდში იგი საკმაოდ სასტიკი, დაუნდობელია.

ძალზე ეფექტურია მარინეს მამის, მარკოზას (კახა ბერიძე) პირველი გამოჩენა. თანამედროვე მუსიკალური ნომრის ფონზე, სცენაზე უამრავი ღვინის ცარიელი ბოთლი მოგორავს. მოქმედი პირი ბარბაცით შემოდის, ხან ერთ ბოთლს დასწვდება, ხან — მეორეს, უკანასკნელ, მათში ჩარჩენილ წვეთებს ყლუპ-ყლუპად სვამს. კ. ბერიძის მიერ განსახიერებული მარკოზა თავდაპირველად ღიმილს იწვევს. მსახიობს მოძებნილი აქვს ის უტყუარი სახასიათო ნიშნები, დეტალები, რაც ამ სცენურ გმირს დამაჯერებელს ხდის. მაგრამ, თანდათან, ამბის განვითარებასთან ერთად, მარინეს მამა განცდათა ჭეშმარიტად დრამატულ სიმაღლეზე ადის. კ. ბერიძე ძალზე ძუნწი, ზომიერი გამომსახველობითი საშუალებებით ახერხებს მის მიერ განსახიერებული სცენური გმირის ემოციური დაძაბულობის კულმინაციის გადმოცემას, თან ისე, რომ არსად არ აჭარბებს.

მარინეს დედას, ესმას ანსახიერებს მსახიობი დარეჯან ჭამაური. იგი ქმნის ჩუმი, უსიტყვო, მორჩილი ქალის პორტრეტს. თითქოს, ჩვენს თვალწინაა ამგვარი დიასახლისების კრებითი ხასიათი. ძალზე ძნელია მინიმალისტური გამომსახველობითი ხერხების არსენალით ასეთი უტყუარი სცენური გმირის მხატვრული სახის შექმნა, მაგრამ, როგორც ნაცად ოსტატს შეეფერება, დ. ჭამაური ახერხებს ამას. ჩვენს თვალწინაა ადამიანი, რომელიც ბევრს განიცდის, იტანჯება, ნერვიულობს, მაგრამ ყოველივე ამას თავის არსებაში ატარებს, გარეშე თვალისაგან მალავს, სამზეოზე არ გამოაქვს. ესაა ჭირთათმენის დიდი უნარის მქონე ცოლის, დედის, დიასახლისის პორტრეტი.

დამდგმელი რეჟისორი ამ სპექტაკლში ხშირად მიმართავს ვიზუალურად ერთი მიზანსცენის რამდენიმე ნაირსახეობის გამოყენებას. მე უკვე ვახსენე, მარკოზას გამოსვლისას, ღვინის ცარიელი ბოთლების გამოგორება. ცდუნების მცდელობის მეტაფორად აღიქმება დავითის (ზ. ხინჩიკაშვილი) მიერ სცენაზე მარინეს მისამართით კაკლის გაგორება. როგორც ნაცადი მონადირე, მსახიობის მიერ განსახიერებული მოქმედი პირი ასე ცდილობს თავისი მსხვერპლის მიტყუებას, შეცდენას. ახალგაზრდა ქალი კეკლუცად კრეფს მიმოფანტულ კაკალს. ეჭვიანობით აღვსილ ცოლთან დავითი სამასრედან იღებს და ძირს ყრის გასროლილ, ცარიელ ვაზნებს. ვფიქრობ, ესეც რეჟისორის მიერ შეთხზულ-მიგნებული, ვიზუალურად ძალზე სახიერი მეტაფორული მიზანსცენაა. ზ. ხინჩიკაშვილი ანსახიერებს შუა ხნის კაცს, რომელიც ბუნებით, სულისკვეთებით მონადირეა. მეუღლესთან, ნატალიასთან (მ. ტურაშვილი) მრავალწლიანი ოჯახური ცხოვრების შედეგად (ასეთი რამ, არა მარტო ჩვენში, არამედ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხშირად ხდება ყველგან), ცოლის მიმართ, როგორც ქალისადმი ყველანაირი ინტერესი გაუქრა; ამიტომ, ცოლზე ბევრად ახალგაზრდა მარინესთან ვნებიან, ახალ, თავშესაქცევ, თავბრუდამხვევ თავგადასავალს ეძებს; პატარა თაგვივით კაკლით ცდილობს თავისი მორიგი მსხვერპლის მიტყუება-ცდუნებას. გაბუტულ მეუღლესთან თამამია, გამომწვევი, თავის თავში დარწმუნებული. იცის, საკმარისია ოდნავ დაუყვავოს, მიეფეროს, რომ მყის აღსდგება ოჯახური „იდილია“. თუმც, ის ვითომ ალერსი, რომელსაც დავითი ნატალიასადმი იმეტებს, ნაძალადევია, ყოველგვარ ნდომას, სურვილს მოკლებული... ისეთივე ცარიელი, როგორც ძირს მიმოფანტული, კარგა ხნის წინ გასროლილი ვაზნები...

მაია ტურაშვილის მიერ განსახიერებული ნატალია, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთ გრძნობს ქმრის უყურადღებობას, მისგან წამოსულ სიცივეს, დაუფარავ გულგრილობას. მაგრამ ის მაინც მოთმინებით, გულში ჩაკლული წყენით ცდილობს არაფერი შეიმჩნიოს, ოჯახი შეინარჩუნოს. დ. კლდიაშვილისეული მოთხრობისაგან განსხვავებით, მანანა თევდორაშვილის მიერ განსახიერებული კესარია სულაც არ არის ნატალიას ხელზე მოსამსახურე პატარა გოგო. მსახიობი ქმნის წელში მოკაკვული დედაბრის სცენურ სახეს. როლის მოცულობიდან გამომდინარე, სულ რამდენიმე შტრიხით, მინიმალისტური გამომსახველობითი საშუალებებით ახერხებს მოქმედი პირის სახასიათო ნიშნების წარმოჩენას. გარდა ამისა, მ. ტურაშვილი და მ. თევდორაშვილი, წარმოდგენის მსვლელობისას, რამდენჯერმე ძალზე კარგად გაითამაშებენ ჭორიკნების მიერ გამართულ დიალოგს; რაც, გორის თეატრში განხორციელებული ამ სპექტაკლისათვის, ერთგვარი ტონის მიმცემია, რადგან მისთვის ასე საჭირო ატმოსფეროს ზედმიწევნით ზუსტად ქმნის.

წარმოდგენის მიწურულს, როცა მამაკაცთა ზურგზე ჩამოკიდებულ მარინესა და ფეფენას, თითქოს ერთდროულად დადაღავენ როგორც კუდიანებს, ჩემს მიერ ნახსენები, სცენაზე მდგარი სამი ფარი სიღრმეში შეერთდება. ზურგის მხრიდან შემობრუნდება ჩვენსკენ. მასზე, რაღაც მისტიკური იერის მქონე ტყეა გამოსახული. თითქოს არაამქვეყნიურ სამყაროში ვხვდებით. ყველა მოქმედი პირი სცენაზე ზის; სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე, ისინი ერთმანეთში აღარ ჩხუბობენ; ყველას მშვიდი სახე აქვს; მათ შორის მხოლოდ ვასილი (თ. რევაზაშვილი) აქტიურობს; თავისი „საკვოიაჟით“ თითოეულს ჩამოუვლის და როგორც რეალურ ცხოვრებაში, აქაც ძღვენსა თუ „შესაწირავს“ ართმევს განურჩევლად ყველას; ჟამიანობას გამორიდებული ადამიანებიც მორჩილად, უსიტყვოდ უყრიან საიქიოში ერთხელ უკვე ნამყოფ „წმინდანს“ უძირო, ამოუვსებ „საკვოიაჟში“ თავიანთ საყვარელ, ძვირფას ნივთებს. თითქოს, აქაც კი, ვასილი მათი სულის რაღაც ნაწილს უსინდისოდ, თავხედურად ითვისებს, ისაკუთრებს; ისეთი შეგრძნება გეუფლება, რაღაც ძალიან ძვირფასს, საყვარელს ართმევს თითოეულ მათგანს...

გუბაზ მეგრელიძე

რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლით „ირინეს ბედნიერება?“ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებს ახლებური ინტერპრეტაცია მისცა. სცენაზე ვხედავთ სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მანეკენებს, რომლებიც ჩოხებში, სამხედრო მუნდირებში, სამოქალაქო და სამღვდელო სამოსით არიან შემოსილნი და მთელ მოქმედებას სტატიკურად ადევნებენ თვალს. ამავე დროს, მოქმედების მსვლელობისას, მანეკენებიდანვე გამოდიან მსახიობები, ზოგი ქუდს იხურავს, ზოგიც ტანსაცმლის დეტალს იყენებს, რაც პასიურ საზოგადოებრივ პოზიციაზე მიუთითებს. ამავე დროს, ისინი პერსონაჟებადაც გვევლინებიან და მსახიობებიც პერიოდულად მიმართავენ მათ, საიდანაც პასუხი არ ისმის. მაგალითად, ვიქტორი, როდესაც ცდილობს აბესალოს განზრახვაზე ხელი ააღებინოს და ეუბნება ირინესა და როდამიშვილის ურთიერთობაზე, აბესალო ირონიულად მიმართავს მღვდლის მანეკენს: „პირობა ჰქონიათ მიცემული“. აბესალო, ასევე დირიჟორობს ამ მანეკენთა ჯგუფს. ორჯერ აწყვეტინებს „სულიკოს“ სიმღერას და დამცინავი ღიმილით მუშტითაც ემუქრება მათ.

აღსანიშნავია, რომ მანეკენების ტრადიციულ ჩაცმულობას მსახიობების თანამედროვე კოსტუმები უპირისპირდება. ამით ნაჩვენებია სხვაობა ძველსა და ახალ დროს, განსხვავებულ შეხედულებებსა და ადამიანთა პიროვნულ თვისებებს შორის. სცენის მეორე მხარეს, წნელის ღობის იქით ვერცხლისფერი პანოა, რომელიც გმირთა სილუეტებს აირეკლავს, სადაც მათი ნამოქმედარი ჩანს. ამავე დროს, სცენას აყვავებული ხის ტოტები დაჰყურებს. მისი ერთი რტო ხან გიჟს უჭირავს, როგორც გმირთა ცხოვრებისეული სიტუაციებიდან გამოუვალობის გამოხატულება, შემდგომ აბესალო იღებს ხელში, რომელიც ირინეს სიცოცხლეს განაპირობებს და ვიქტორიც ხის დაწნილ ღობეში არჭობს ამ ტოტს, როგორც სიცოცხლის გადარჩენის სიმბოლოს. სწორედ ამ ადგილას ასობს აბესალო ხანჯალს, რაც სიკვდილ-სიცოცხლის ალეგორიული გამოსახულებაა, ხოლო ღობეზე ჩამოკიდებილი შავი ყაბალახი, მოვლენების დრამატულ განვითარებაზე მეტყველებს. ტრაგიკული დასასრულის შემდეგ კი, ტოტებიდან ფოთლები სცენაზე ცვივა, რაც გმირთა უპერსპექტივობას, სიცოცხლისუუნარობას გამოხატავს. ყოველი ეს სიმბოლური დეტალი კარგად არის გამოყენებული და თავისი იდეური დატვირთვა აქვს. სწორედ აქ ჩანს რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილისა და მხატვარ ლომგულ მურუსიძის ერთობლივი ჩანაფიქრის განხორციელება.

წამყვანი (ქ. ჩაჩუა) შეკითხვას სვამს „ირინეს ბედნიერება?“ რასაც მოჰყვება ფილიპეს (პ. ნოზაძე) რეპლიკა: „მომიკალი შვილი, ხომ?“ აბესალოც (დ. ხახიძე) ხანჯლით ხელში ტრიალდება დარბაზისკენ. იწყება მოქმედების რეტროსპექტული ჩვენება, სადაც არის მცდელობა გამოძიებულ იქნას ის მიზეზები, რამაც ირინეს მკვლელობა განაპირობა. მსახიობ ქეთევან ჩაჩუას წამყვანი მოსამართლის ინტონაციით ეუბნება დამსწრეთ — მოახსენეთ საზოგადოებას, როგორ მოხდა ყველაფერი. ამ ექსპოზიციური ნაწილით რეჟისორი ცდილობს მოქმედებას განზოგადებული მნიშვნელობა მიანიჭოს, სადაც მსახიობები განსჯიან თავიანთ გმირთა საქციელს, რომ ნათლად გამოკვეთონ მათი მორალურ-ეთიკური ქცევები და რეალური ხასიათები, თუ რამდენად სწორად მოქმედებენ ისინი და რა დადებით თუ უარყოფით გავლენას ახდენენ საზოგადოების განვითარებაზე. ამის მანიშნებელია რეჟისორის მიერ დამატებული ფეხმძიმე ქალიც, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს იმ გარემოს, სადაც მომავალ თაობას მოუწევს ცხოვრება და ამიტომ თანამედროვეთა პასუხისმგებლობაც იზრდება შთამომავლობის წინაშე, თუ როგორ მომავალს შეუქმნიან ახალ თაობას. მოქმედების

დრამატიზებასთან ერთად, წამყვანი ტექსტს ხან ღობის გადაღმიდან, ხანაც მანეკენებთან მდგარი კითხულობს, რაც საზოგადოებრივი პოზიციის სისუსტეზე მეტყველებს.

რეჟისორი დ. ხვთისიაშვილი სოფლის გიჟის პერსონაჟის ჩვენებით ცდილობს წარმოსახოს ადამიანის თავისუფლებისა და სიცოცხლისკენ სწრაფვა, აგრეთვე შექმნილ დაულაგებელ ცხოვრებასა და ურთიერთობებზეც მიგვანიშნებს, რისთვისაც მას ხელში ხის ტოტი როგორც სიცოცხლის სიმბოლო უჭირავს. მსახიობ ქეთევან შერვაშიძის გმირი განიცდის და ემოციურად აფასებს მის თვალწინ მომხდარ მოვლენებს, მისი მოძრაობა პერიოდულად თოჯინის მექანიკურ მოქმედებაში გადადის, რაც არეულ ვითარებასთან შემგუებლობაზე მეტყველებს (იგივე მოძრაობებს აკეთებს შემდგომში ირინეც), თუმცა პასუხისმგებლობას არავინ აკისრებს, სოციალური სტატუსის გამო. აქაც რეჟისორი კითხვას სვამს — რა სჯობს, ადამიანმა თავი მოიგიჟიანოს და არაფერზე აღარ აგოს პასუხი, თუ მოვლენების განვითარებაში ჩაერთოს და თავისი წილი პასუხისმგებლობა გაიზიაროს საზოგადოების წინაშე. ამიტომაც იგი რიგ სცენებში მარიონეტ თოჯინასავით იქცევა და მოვლენებს განერიდება ხოლმე. ამის მიმანიშნებელია ნასვამ აბესალოს (დ. ხახიძე) მიერ ამ ხის ტოტის აღება, როდესაც თავის მეგობრებს ირინეს მასთან მიყვანას ავალებს. სწორედ აბესალო განსაზღვრავს ადამიანთა ყოფნა-არყოფნის საკითხს, რაც მის პასუხისმგებლობას ამძიმებს.

თავიდანვე, დავით ხახიძის აბესალო საკუთარ თავსა და ფიზიკურ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდაა, რომელიც გარშემომყოფთ არაფრად აგდებს და პიროვნული შეურაცხყოფის მიყენებაც არ უჭირს. მისთვის მორალურ ფასეულობებს მნიშვნელობა დაუკარგავთ და მხოლოდ საკუთარი მისწრაფებების განხორციელებას ცდილობს. ამ სცენაში ვიქტორი მანეკენებთან დგას, რითაც საზოგადოების პასიურ პოზიციას გამოხატავს. მსახიობი ვამეხ ჯანგიძე ცდილობს აბესალოს აკვიატებული განზრახვა გადააფიქრებინოს, რადგან ცუდ დასასრულს გრძნობს. თავისი ინტელიგენტობიდან გამომდინარე, იგი ცხოვრებას კეთილშობილებითა და საღი აზროვნებით უყურებს, მაგრამ შეხედულებებისა და რჩევების განხორციელებას პიროვნული სისუსტის გამო ვერ ახერხებს. მისი შინაგანი სამყარო უპირისპირდება აბესალოს მსგავს ანტიპოდებს, მაგრამ სწამთ ჭკვიანური სიტყვითა და ლოგიკით შეაცვლევინონ ცხოვრების წესი. ვიქტორის ამ გარჯას რეჟისორი ერთი დეტალით ასხამს წყალს — აბესალო მის ნაცვლად მანეკენებს ირონიულად მიმართავს — პირობა ჰქონიათ მიცემული როდამიშვილსა და ირინესო. ამასთანავე, სამხედრო მანეკენს ქუდს მოხდის და იხურავს, მოგვიანებით ღობესთან იკმაყოფილებს ბუნებრივ მოთხოვნებს, რითაც საზოგადოების უპატივცემულობას კიდევ ერთხელ გამოხატავს. ვიქტორი კი კვლავ მანეკენებს უბოდიშებს, აბესალოს თავაშვებული საქციელის გამო. ასეთი დეტალებით ხდება სპექტაკლში მანეკენთა „აქტიური" ფუნქციის წარმოჩენა, რითაც თავიანთი სიჩუმით, დატრიალებულ ტრაგედიაში მათაც მიუძღვით ბრალი.

დიმიტრი ხვთისიაშვილი კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოებრივი ნიჰილიზმის ჩვენებას, როდესაც ერთ-ერთი პერსონაჟი მანეკენებს დირიჟორობს, რომლებიც თითქოს „სულიკოს" მღერიან. ამ დროს მიმდინარეობს ჩხუბი აბესალოსა და როდამიშვილს (ნ. კვანტალიანი) შორის, ამავე დროს აბესალო სკამზე უჯდება ირინეს და ეფერება მას. სრულიად ნიველირებულ გარემოში, პერსონაჟები მხოლოდ შექმნილი სიტუაციის ტყვეობაში არიან. ამას გამოხატავს თამარ ჭანუყვაძის ირინეც. მას არ სიამოვნებს აბესალოს შეხება, მაგრამ, შინაგანი პროტესტის მიუხედავად, იძულებულია დაჟინებული თხოვნისა და შესაძლო უსიამოვნების ასარიდებლად ეცეკვოს მას. მოსალოდნელი შფოთის ატეხვის შიშის გამო უსმენს აბესალოს მიერ სიყვარულის ახსნასაც. ირინე შეწუხებულია აბეზარი თაყვანისმცემლით და საშველად ვიქტორს უხმობს, რომელსაც რეჟისორი მათ შორის სკამზე სვამს, როგორც ვითარების განმმუხტველ ძალას, მაგრამ აბესალოს უსაზღვრო მოურიდებლობის გამო, ირინე იძულებულია მანეკენებს შეაფაროს თავი.

ვიქტორისა და აბესალოს დინამიკურ სცენაში კარგად ჩანს მათი შეხედულებების საპირისპირო პოზიციები, განსხვავებული ხასიათებისა და ემოციების გამოვლენა, სადაც ვიქტორის თეორიულ მსჯელობასა და ინტელიგენტურ დახვეწილობას, აბესალოს ინსტინქტური ემოცია და უხეში ძალა უპირისპირდება. მსახიობები ვამეხ ჯანგიძე და დავით ხახიძე კარგად ახერხებენ ვიქტორისა და აბესალოს კონტრასტული ხასიათების ჩვენებას. ამიტომ შინაგანი განწყობისა და საზოგადოებასთან დამოკიდებულების პოლარიზებული

გამოხატვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. აქედან გამომდინარეობს ვიქტორის მორალური მცდელობა აბესალოს თავისი ახირებული, უკადრისი სურვილის აღსრულება გადააფიქრებინოს, რაც პიროვნული მარცხით მთავრდება.

როდამიშვილის (ნ. კვანტალიანი) პიროვნული სისუსტე ჩანს, როდესაც იგი მანეკენებიდან გამოდის და ვიქტორს ფილიპესთან შუამავლობას სთხოვს. მსახიობი ნიკა კვანტალიანი, თითქოს მოვლენებს თვითდინებით მიჰყვება, გულწრფელად სწამს თავისი და ირინეს სიყვარულის გამარჯვების, მაგრამ მის დასაცავად არც შინაგანი და არც ფიზიკური ძალა არ ჰყოფნის. ამიტომ ვიქტორის ფილოსოფიურ-ინტელექტუალური გონების იმედი აქვს.

ირინეს მამის, ფილიპეს ტრადიციული შეხედულებების ილუსტაცია ჩანს, როდესაც იგი მანეკენს ყაბალახს ხსნის და ირინესთან დიალოგს იწყებს. მსახიობი პავლე ნოზაძე შინაგანად კმაყოფილია, მასზე ეკონომიურად ძლიერ აბესალოს ოჯახთან დამოყვრების პერსპექტივით, რაშიც ქალიშვილის ბედნიერებასა და გარანტირებულ კეთილდღეობას ხედავს. ირინეს კი ასეთი „ბედნიერების“ პერსპექტივა აღშფოთებს. ამიტომაც მათი კონტრასტული შეფასებებით აღსავსე დიალოგი სამგლოვიარო მუსიკის ფონზე მიმდინარეობს და ფილიპე გაკვირვებულია ქალიშვილის მისთვის გაუგებარი სიჯიუტით. მათ დიალოგს სოფლის გიჟიც სასოწარკვეთით აფასებს.

პავლე ნოზაძის გმირი თავისი გადაწყვეტილების სისწორეში გულწრფელად არის დარწმუნებული, თუმცა ჯერ ეჭვით აღიქვამს ირინეს უარს, მაგრამ როდესაც გაიგებს, რომ მას აბესალოსადმი გრძნობები არ გააჩნია, შვებით ამოისუნთქებს. ახალგაზრდა ქალის „ახირებას“ ცხოვრებისეული გამოუცდელობით ხსნის და გადაწყვეტილებას იღებს, რომ ქალიშვილს „ბედნიერება“ არ დააკარგვინოს. იგი თვლის, რომ სიყვარული ცოლ-ქმრული მრავალწლიანი თანაცხოვრებით მაინც მოვა და ქალი ოჯახის ტრადიციებს დაემორჩილება. ამის გამომხატველია კვლავ სოფლის გიჟის გამოჩენა და ირინეც მარიონეტ თოჯინასავით იწყებს მოძრაობას. ამდენად, ფილიპეს არაჰუმანურ სურვილს ირინე ინსტინქტურ დამორჩილებამდე მიჰყავს.

მოქმედების დრამატიზების საჩვენებლად მსახიობები თავსხმა წვიმაში ქოლგებით გამოდიან. თითოეული მათგანი საკუთარი გადარჩენისა და თავდაცვის ინსტინქტით მოქმედებს. ამ გათითოკაცებულ საზოგადოებაში აბესალოს მოქმედება უადვილდება. იგი

სცენა სპექტაკლიდან

უკვე მანეკენების დირიჟორობას იწყებს. „სულიკოს“ თავის სურვილისამებრ აწყვეტინებს და დასცინის მათ. ამიტომაც ლოგიკურად გრძელდება ფილიპესა და ვიქტორის დიალოგი, რომელთა უკან ქოლგებით დაფარული საზოგადოება დგას, რომლის სიბრმავესა და სიჩუმეს გამოუსწორებელი შედეგი მოსდევს. პავლე ნოზაძის გმირი გაკვირვებულია ვიქტორის რჩევით აბესალოსთვის უარის თქმის თაობაზე. იგი თითქოს წამიერად ჩაფიქრდება ვიქტორის ნათქვამზე — სასიძო საოჯახოდ არ ვარგა და ირინეთი მხოლოდ გატაცებულიაო. ფილიპეს ამ ყოყმანით ვამეხ ჯანგიძის გმირს იმედი მიეცემა და უმხელს მაშვლობის მიზეზს. ფილიპე გაკვირვებული და აღშფოთებულია როდამიშვილისა და ირინეს სიყვარულით. იგი უფრო პრინციპული და თავდაჯერებული ხდება, საბოლოოდ რწმუნდება მიღებული გადაწყვეტილების მართებულობაში.

შემდგომში, როდესაც სიტუაცია უკიდურესად იძაბება, პ. ნოზაძე უკვე დაბოღმილი და დამწუხრებული შესცქერის მისთვის ერთ დროს სასურველ სიძეს, იმედები არ გამართლდა. მისი თავმოყვარეობა შელახულია და კონფლიქტის გასარკვევად აქტიურად ითხოვს აბესალოსგან სიმართლის თქმას. თავს დამნაშავედაც გრძნობს, რომ ირინეს გათხოვება დააძალა, მაგრამ ვითარების შეცვლა აღარ ძალუძს.

აბესალოს ოჯახში დატრიალებულ ტრადეგიას გარშემომყოფნი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ, რიგ შემთხვევებში ანგარიშსაც არ უწევენ ერთმანეთის გრძნობებსა და განცდებს. აბესალოს მამა, სამსონი დარწმუნებულია თავისი ოჯახის ტრადიციების ურყევობაში და აზარდაც არ მოსდის წესრიგის დარღვევის გარდუვალობა. რეზო თავართქილაძის გმირი ოჯახის ავტორიტეტს უფრთხილდება, როდესაც შვილი სტუმრად მოსულ როდამიშვილის გაგდებას ცდილობს. იგი ახალგაზრდობაში თავისი შვილის მსგავსად იქცეოდა და ამიტომაც ცინიკურად და მთქნარებით ეუბნება აბესალოს — ეს რა ჰქენი, მოკალი ქალი? ამ დროს მას ოჯახის პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი უფრო აღელვებს, ვიდრე შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან ისიც მექანიკურ თოჯინას დამსგავსებული საზოგადოების ტიპიური წარმომადგენელია და მორალურ ფასეულობებზე ნაკლებად ფიქრობს. მის მეუღლე ეკას აღელვებს შვილის ხასიათის გამოცვლა. მსახიობი ნინო ლორთქიფანიძე წარმოსახავს ინტელიგენტ ქალს, რომელიც ირინესავით მოხვდა ამ ოჯახში, მაგრამ ნორმალური ვითარების შენარჩუნება შინაგანი პიროვნული სიძლიერით შესძლო. იგი გულწრფელად განიცდის შექმნილ ვითარებას და გამოსავლის ძიებაშია. შეშფოთებულია ოჯახური ტრადიციების დარღვევით, დაძაბულია ავადმყოფი მეუღლისა და ემოციური შვილის მოსალოდნელი დაპირისპირებით, რომლის განეიტრალებასაც სტუმართმოყვარე დიასახლისის ქცევით ცდილობს.

ეკასა და ირინესაც ვიქტორის გამჭრიახობის იმედი აქვთ, რომლის ავტორიტეტიც საზოგადოებაში გაუფასურებული და უშედეგოა. ამიტომაც წინ ვერ აღუდგა აბესალოს თავხედურ ძალადობას, უზნეო ქცევასა და ირინესადმი უსამართლობას, რასაც უდანაშაულო ქალი ემსხვერპლა.

მოქმედების განვითარებასთან ერთად, დავით ხახიძის გმირი თანმიმდევრულად გამოხატავს მეუღლისადმი თავდაპირველი გრძნობის გაციებას. თითქოს ნანობს კიდეც ნაჩქარევად გადადგმულ ნაბიჯს და თავის გასამართლებლად მეუღლის ღალატზე, თავადვე ავრცელებს ხმებს, რაც საკუთარი ღირსების შელახვის ფასად უბრუნდება. ამიტომაც თავს არიდებს აღელვებული ფილიპესთვის პასუხის გაცემას და ირინეს „ღალატის“ აღიარებას. ამასთანავე, ირინეს მიერ მისი მოულოდნელი მხილებისას, პატივმოყვარეობის ყალბი დაცვის მიზნით მეუღლის მოკვლასაც არ ერიდება.

სპექტაკლი თავისი რეჟისორული თვალთახედვითა და მხატვრული გადაწყვეტით საინტერესო ნამუშევარია, რომელშიც დადანაშაულებულია ის მანეკენად ქცეული საზოგადოება, სადაც მოხდა მსგავსი მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევა და სიცრუის გაბატონება, რომლის განუკითხაობამაც უსამართლობა წარმოშვა და დანაშაულის ჩადენას შეუწყო ხელი.

თანამედროვე ქართული დრამატურგია ბრიტანეთში

პროექტი სახელწოდებით „New writing“, ანუ უორძშოპი ქართველი და უკრაინელი დრამატურგებისათვის

ლაშა ჩხარტიშვილი

გასაცნობად წარმოგიდგენთ პროექტის „New writing“ პირველ (ძირითად) ნაწილს.

ერთადერთი მთხრობელი: მაია დარჩია
პირველი მსმენელი და კურიერი: ლაშა ჩხარტიშვილი
პროექტის ორგანიზატორი: ბრიტანეთის საბჭო საქართველოში და ბრიტანეთის საბჭო უკრაინაში
პროექტის პარტნიორები: „როიალ ქორთ თეატრი“, მარჯანიშვილის თეატრი, თუმანიშვილის ფონდი
პროექტის მონაწილეები: ლაშა ბუღაძე, დავით გაბუნია, ბაჩო კვირტია, ნესტან-ნენე კვინიკაძე, დათა თავაძე, ბასა ჯანიკაშვილი, ნანუკა სეფაშვილი

როგორ მოხვდნენ ქართველები „Royal Court Theatre“-ის პროექტში?

პროექტის „ახალი დრამატურგია“ განხორციელება დაიწყო 2009 წელს. ბრიტანეთის საბჭომ 2009 წელს ჩაატარა ლიტერატურული ფორუმი ქეიბრიჯში. ამ ფორუმზე განაცხადი გააკეთა თუმანიშვილის ფონდის პრეზიდენტმა მანანა ანთაძემ, რომელიც წლების განმავლობაში ახორციელებს პროექტს „ახალი ქართული პიესა“. ქალბატონი მანანას შესახებ ინფორმაცია მოითხოვეს ჩვენგან. რაღა თქმა უნდა, საქართველოს ბრიტანეთის საბჭომ მის მუშაობას დადებითი შეფასება მისცა. მანანა ანთაძემ ლონდონში ვიზიტისას გაიცნო „Royal Court Theatre“-ს წარმომადგენელი ელის დოჯსონი, რომელიც უკვე იცნობდა ლაშა ბუღაძეს და გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ქართულ თეატრზე. ელის დოჯსონი დაუკავშირდა ბრიტანეთის საბჭოს ყოფილ დირექტორს პოლ დაბლდეის და ჰკითხა რამდენად პერსპექტიული შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი დრამატურგიის რეზიდენტურის პროექტის განხორციელება საქართველოში. მოგეხსენებათ, „Royal Court Theatre“-ს ამ მიმართულებით დიდი და მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ისინი მუშაობენ უზარმაზარ ქვეყნებში, მათ შორის, ბრაზილიასა და რუსეთში. ბრიტანეთის საბჭოს ყოფილი დირექტორი პოლ დაბლდეი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ პროექტით როიალ ქორთის დაინტერესებაში, დაუკავშირდა უკრაინელ კოლეგებს, რათა პროექტის განსახორციელებლად გაგვეერთიანებინა ფინანსური სახსრები და ინტელექტუალური პოტენციალი. როიალ ქორთ თეატრთან, მანანა ანთაძესა და მარჯანიშვილის თეატრთან ერთად გამოვაცხადეთ კონკურსი ქართველი დრამატურგებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ პროექტში. მათი ნამუშევრების ნაწყვეტები (შემდგომში პიესების სრული ვერსიები) ითარგმნა ლონდონში დონალდ რეიფილდის მიერ (მას ვაჟა-ფშაველას თარგმანები ეკუთვნის). ლონდონშივე შეირჩა პროექტის მონაწილე ექვსივე დრამატურგი.

„ახალი დრამატურგიის“ განხორციელების ეტაპები

„Royal Court Theatre“-ის დამწყებ, ახალგაზრდა დრამატურგებთან მუშაობის სპეციფიკა არის ძალიან საინტერესო, ბრიტანეთში საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევენ დრამატურგიას და ახორციელებენ პროექტებს დამწყები

ელის დოჯსონი

დრამატურგების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. პროექტი, რომლის საწყის ეტაპზე მონაწილეობდა შვიდი ქართველი დრამატურგი (ლაშა ბუღაძე, ბაჩო კვირტია, ნესტან-ნენე კვინიკაძე, დავით გაბუნია, ბასა ჯანიკაშვილი, დათა თავაძე და ნანუკა სეფაშვილი), ხორციელდებოდა ორი წლის განმავლობაში. პირველ ეტაპზე პროექტის ხელმძღვანელი ელის დოჯსონი ჩადის ადგილზე და ეცნობა იქაურ გარემოს. შემდეგ ტარდება სამი ეტაპი შერჩეული მწერლებისთვის უორქშოპის სახით და ბოლოს ფინალისთვის ხდება შერჩევა „Royal Court Theatre"-ის სცენაზე თეატრალიზებული კითხვისთვის.

ფინალამდე დამწყები დრამატურგები რთულ გზას გადიან. ყველა ეტაპზე ხდება მონაწილეთა გაცხრილვა. თუ ვერ აკმაყოფილებ ორგანიზატორთა მოთხოვნებს, პროექტს ეთიშები.

„New writing"-ის მიზანი

„New writing" არის საგანმანათლებლო პროექტი, რომლის განხორციელების პროცესი, შემოქმედებითი თვალსაზრისით, არის ძალზე საინტერესო. მიზანი კი ის არის, რომ დაიწეროს ახალი პიესა. პირველი დავალებები, რომელსაც პროექტის ხელმძღვანელთან ერთად ტრენერები (გამოცდილი ახალგაზრდა დრამატურგები, რომლებმაც თავად გაიარეს ეს პროცესი) სავარჯიშოების სახითაა მოცემული. მონაწილეები ეტაპობრივად თანხმდებიან რა თემებზე იმუშავებენ.

საწყის ეტაპზე პროექტში ჩართული დრამატურგები მუშაობენ პიესის იდეის ჩამოყალიბებაზე, შემდეგ მათ ეძლევათ ორი თვე პირველი „დრაფტის" დასაწერად. ფაქტიურად, პიესის პირველი ვერსიის დამუშავებას ექვსი თვე სჭირდება. მეორე ეტაპი ლვოვში ჩატარდა, სადაც მონაწილეებმა, ხელმძღვანელებმა კვლავ მიიღეს ინსტრუქციები. ამ ეტაპზეც ვიღაც ეთიშება პროექტს. ჩვენს შემთხვევაში ლვოვის უორქშოფისთვის შვიდიდან ექვსი დრამატურგი დარჩა. ამის შემდეგ კვლავ იმართება დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთმანეთს უზიარებენ აზრებს და აძლევენ რჩევებს. ამ მხრივ, დათო გაბუნია იყო განსაკუთრებით აქტიური და ფანტასტიკური მრჩეველი კოლეგებისთვის. მეორე „დრაფტის" მონახაზების დასრულების შემდეგ კვლავ ორი თვე მისცეს ხელმძღვანელებმა ავტორებს მუშაობისთვის, რომლის შემდეგ თბილისში შევიკრიბეთ. პიესების საფინალო ვერსიაზე მუშაობა თბილისში გაიმართა. ამ პერიოდში ჩატარდა მასშტაბური დისკუსია. პროცესი ძალიან სპეციფიკურია - ხდება თითოეული სიტყვის სკრუპულოზური გარჩევა. 2012 წლის სექტემბერში ახალგაზრდა დრამატურგებმა თავიანთი პიესების საბოლოო ვერსიები ჩააბარეს.

პროექტის საბოლოო მიზანი საუკეთესო პიესის „Royal Court Theatre"-ის სცენაზე თეატრალიზებული წაკითხვაა, იდეალურ შემთხვევაში კი პიესა იდგმება როიალ ქორთის სცენაზე. თუმცა, ფინალამდე პროექტს ჩაემატა ერთი სასიამოვნო შეხვედრა შერჩეული მონაწილეებისა უკრაინაში. დრამატურგიის ფესტივალის ფარგლებში მოეწყო მონაწილეთა პიესების კითხვები უკრაინულ ენაზე, თუმცა თავად უკრაინელი ავტორების პიესები რუსულ ენაზე წაიკითხეს, რადგან ისინი რუსულ ენაზე წერენ.

უკრაინის თეატრალიზებული კითხვებისთვის უკვე ვიცოდით, რომ „Royal Court Theatre"-ის სცენაზე „წაიკითხავდნენ" ლაშა ბუღაძის პიესას, ხოლო დათა თავაძეს რაღაც დეტალები ჰქონდა დასამუშავებელი. დათამ ძალიან ბევრი იმუშავა ხელმძღვანელებთან, ლონდონმაც მიიღო ის ვერსია და კიევში დათაც დაპატიჟეს ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. მისი პიესის რეჟისორად კი ელის დოჯსონმა დათო გაბუნია მიიწვია. სწორედ მან იმუშავა არაჩვეულებრივად უკრაინელ მსახიობებთან. იმედი მომეცა, რომ დათას პიესაც გავიდოდა ფინალში, თუმცა სამწუხაროდ, ის მაინც ვერ მოხვდა საბოლოო სიაში. ამ პროექტს ერთი უცნაური თვისება აქვს: შეიძლება გენიალური დრამატურგი იყო, მაგრამ ვერ თავსდებოდე „Royal Court Theatre"-ის მოთხოვნებში...

პროექტის მოსალოდნელი და საბოლოო შედეგები

მარტში „Royal Court Theatre"-ის სცენაზე ქართველი დრამატურგის ლაშა ბუღაძის პიესას წაიკითხავენ.

ამ პროექტის წარმატებამ განაპირობა ის, რომ ბრიტანეთის საბჭოსთვის საქართველო გახდა საინტერესო გეოგრაფიული არე. ძალიან ძნელია დაინტერესო ის, ვინც დიდ მასშტაბებზე მუშაობს, მაგრამ ქართველმა მონაწილეებმა ეს თავისი პროფესიონალიზმით შეძლეს. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ ბრიტანეთის საბჭომ და როიალ ქორთ თეატრმა განახორციელონ ახალი დრამატურგიის უფრო ვრცელი პროექტი, რომელშიც ქართველ დრამატურგებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ

სამხრეთ კავკასიის, თურქეთის და რუსეთის წარმომადგენლები, არამედ ამერიკელი მწერლებიც და იგი ჩატარდება ბათუმში.

უორქშოპი ქართველი და უკრაინელი დრამატურგებისათვის

პროექტზე „ახალი დრამატურგია“ შეფასება ვთხოვეთ თავად მონაწილეებს, რომლებმაც საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.

დათო გაბუნია: ამ ვორქშოპის განსაკუთრებულობა ჩემთვის იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მოიცავდა მთელ პროცესს - საპიესე იდეის განვითარებიდან დაწყებული, პიესის რამდენიმე დასრულებულ ვარიანტზე მუშაობით დამთავრებული. დამამახსოვრდა და არაერთხელ შემდგომშიც გამოვიყენე ბევრი პრაქტიკული სავარჯიშო თუ ხერხი. ერთი სიტყვით, ეს ის შემთხვევა იყო, როცა თავისთავად უორქშოპების პროცესმა ძალიან ბევრი რამ მასწავლა, საკუთარ ტექსტზე მუშაობის უნიკალური საშუალება მომცა.

ჩემთვის ასევე საინტერესო იყო ჯგუფური მუშაობის პრინციპი - როდესაც სხვა დრამატურგებს ეხმარები შენი რჩევებით და ისინიც გეხმარებიან. ასევე ერთგვარი მოულოდნელობა იყო უორქშოპის ხელმძღვანელის, ელიზ დოჯსონის მიერ ნათქვამი ფრაზა: დაგვისაბუთეთ, რატომ წერთ ამ პიესას სწორედ ახლა და სწორედ საქართველოში, რაშია მისი აქტუალურობა სწორედ თქვენი ქვეყნისთვისო. ველოდი, რომ რაიმე „ზოგადსაკაცობრიოს“ მოგვთხოვდნენ, არადა, პირიქით მოხდა. ამ გამოცდილების შემდეგ საკუთარი სამუშაოს მიმართ სულ მიჩნდება ეს კითხვა: რატომ ვაკეთებ ამას სწორედ ახლა, რითია ეს აქტუალური. თანაც, ჩემს მეგობრებს, იქნებიან ისინი რეჟისორები თუ დრამატურგები, სულ ამ კითხვას ვუსვამ: რატომ დგამ ამ პიესას დღეს, რატომ წერ ამ თემაზე დღეს? თუ მათ პასუხი აქვთ, იდეის მომხრე ვხდები. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი ჭეშმარიტება ყველაზე ძვირფასი შენაძენია ჩემთვის ამ უორქშოპიდან.

ბაჩო კვირტია: ჩემი აზრით, ეს გახლდათ უაღრესად საინტერესო ღონისძიება, განსხვავებული და სრულიად ორიგინალური ხედვით, მეთოდებით, ნიუანსებით და საოცრად ადამიანური, უშუალო და უბრალო მიდგომით უორქშოპის მონაწილეების მიმართ. უორქშოპის ყოველი დღე ისეთივე სხვადასხვაგვარი და ამავე დროს, მრავალფეროვანი იყო, როგორც გამოსახულებები კალეიდოსკოპში. მიუხედავად დაძაბული გრაფიკისა, დაღლილობის შეგრძნება, ფაქტობრივად, არავის ეტყობოდა. ბევრი რამ, რაც ვორქშოპზე მოვისმინე, აქამდე არც მსმენოდა, ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ უკეთ გავიგე, ბევრი დავიწყებული მქონდა და გავიხსენე, ხელახლა გავიაზრე და ისე დავიმახსოვრე, რომ ალბათ, არასდროს დამავიწყდება.

გასული ორი წლის მანძილზე (ეს ის დროა, რომლის განმავლობაშიც, გარკვეული ინტერვალებით, ეს პროექტი მიმდინარეობდა), ყველას ჩემს ირგვლივ, ვინც უორქშოპის შესახებ მეკითხებოდა, ერთსა და იმავეს ვპასუხობდი, და ახლაც ვიტყვი, რომ ლონდონის „როიალ ქორთის“ თეატრის მესვეურებმა – დრამატურგებმა, თეატრმცოდნეებმა, პროდიუსერებმა და მსახიობებმა (უორქშოპის ე.წ. მოდერატორები, ხელმძღვანელის გარდა, ყოველ ჯერზე იცვლებოდნენ): ელიზ დოჯსონმა, ეიპრილ დე ანჯელისმა, ნიკ პეინმა, რორი მალარკმა, ქეროლაინ სტეინბეისმა და რამინ გრეიმ საშუალება მოგვცეს, დრამატურგია განივკვეთში დაგვენახა და მისი უმცირესი, ცოცხალი ნაწილაკებისთვის თვალი მიგვედევნებინა. ფიგურალურად თუ ვიტყვი, ეს გახლდათ თანამედროვე დრამატურგიის მორფოლოგიის შესწავლა მიკროსკოპის ქვეშ.

უღრმესი მადლობა მ. თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელობას და ბრიტანეთის საბჭოს თბილისში, რომელთა დახმარებითაც საქართველოში ეს ბრწყინვალე პროექტი განხორციელდა.

ნესტან-ნენე კვინიკაძე: ლონდონის როიალ ქორთის თეატრის უორქშოფი ქართველი და უკრაინელი დრამატურგებისთვის, სახელწოდებით „ახალი დრამატურგიის განვითარება“, ბრიტანეთის საბჭოს, თუმანიშვილის თეატრის ფონდისა და მარჯანიშვილის თეატრის ერთობლივი პროექტია, რომლის ხელმძღვანელიც ლონდონის „როიალ ქორთ თეატრის“ ასოცირებული დირექტორი და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი ელის დოჯსონია.

როდესაც წელიწადნახევრის მანძილზე, სხვადასხვა ქალაქსა და მოცემულობაში ერთსა და იმავე პროექტზე, პიესაზე მუშაობ, რთულია ნამუშევარი ობიექტურად შეაფასო. მაგრამ, ჩემთვის ძალიან ადვილია ბრიტანული თანამედროვე თეატრის, „როიალ ქორთის“ მიმართ გამოვხატო სიმპატია. „როიალ ქორთთან“ თანამშრომლობით, გამიმყარდა აზრი, რომ საერთაშორისო ბაზარს ყველაზე მეტად ადგილობრივი, ნაციონალური და შენი მშობლიური ისტორიები ხიბლავს. რაც უფრო კონკრეტულია ამბავი, მით უფრო მარტივია მისი განზოგადება. ინტერნაციონალურ

მოცემულობაში დრამატურგებთან, რეჟისორებსა და პროდიუსერებთან მუშაობით, რწმუნდები, რომ საბოლოო პროდუქტის მისაღებად, არ უნდა გეშინოდეს რამდენჯერმე თავიდან გადაწერო ტექსტი და ყველაფერი თავდაყირა დააყენო.

მთავარია ამბავი! საინტერესო გმირები და თამამი გადაწყვეტილებები. ეს „როიალ ქორთის“ სლოგანებად გამოდგებოდა. ჯგუფური მუშაობა საკუთარი პროექტის დახვეწაში გეხმარება. პერსონაჟების თუ ქმედებების შესახებ დასმული კითხვები საუკეთესო საშუალებაა საკუთარ ისტორიას მეტად ჩაუღრმავდე.

„როიალ ქორთის“ თანამედროვე პიესებზე მომუშავე ჯგუფი არტურ მილერის ცნობილი პრინციპით ხელმძღვანელობს. პიესის წერისას, პირველ რიგში, ის ერთი მთავარი წინადადება უნდა გქონდეს გამოკვეთილი, რომელიც საბეჭდ მანქანასთან თუ კომპიუტერთან დიდი ასოებით გაქვს გამოტანილი და გამუდმებით აყოლებ თვალს. ეს ის წინადადებაა, რომელიც პიესის მართვაში გეხმარება.

თუ არ არსებობს ასეთი წინადადება, ანუ ის, რაც რამდენიმე სიტყვაში გამოხატავს მთელი პიესის კონცეფციას, ე.ი. არც პიესა არსებობს რადგან ყველა ნამდვილი ამბის გადმოცემა შეიძლება ძალიან მოკლედ. მაგალითად: ორი კაცი ელოდება მესამეს. ის კი არ მოდის. „გოდოს მოლოდინში“...

ამ პროექტის წარმატებამ განაპირობა ის, რომ ბრიტანეთის საბჭოსთვის საქართველო გახდა საინტერესო გეოგრაფიული არე. ძალიან ძნელია დაინტერესო ის, ვინც დიდ მასშტაბებზე მუშაობს, მაგრამ ქართველმა მონაწილეებმა ეს თავისი პროფესიონალიზმით შეძლეს. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ ბრიტანეთის საბჭომ და „როიალ ქორთ თეატრმა“ განახორციელონ ახალი დრამატურგიის უფრო ვრცელი პროექტი, რომელშიც ქართველ დრამატურგებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, თურქეთის და რუსეთის წარმომადგენლები, არამედ ამერიკელი მწერლებიც და იგი, სავარაუდოდ, ჩატარდება ბათუმში.

ელის დოჯსონი და საქართველო

ელიზ დოჯსონი ლონდონის „როიალ ქორთის“ თეატრის საგარეო ურთიერთობათა პროექტების ხელმძღვანელია. ის წლების განმავლობაში ახორციელებს პროექტს „ახალი დრამატურგია“, რომელშიც საქართველო ორი წლის წინ ჩაერთო ბრიტანეთის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობის, თუმანიშვილის ფონდისა და მარჯანიშვილის თეატრის ხელშეწყობით. თავის შთაბეჭდილებებს ის საქართველოზე ამ მოკლე წერილში გვიზიარებს.

„ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მანანა ანთაძის გაცნობამ, რომელსაც 2009 წლის ზაფხულში ლონდონში შევხვდი. იგი არის თუმანიშვილის თეატრის ლიტნაწილი და თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის პრეზიდენტი. რაც მთავარია, ეს ქალბატონი ემსახურება იმ საქმეს, რაც „როიალ ქორთის“ მთავარ მისიას წარმოადგენს. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ახალი დრამატურგიის განვითარებას საქართველოში. მიამბო თავისი კონკურსების შესახებ, 2006 წლიდან რომ ატარებს. „ახალი ქართული პიესა“ ღია კონკურსია. არც ასაკობრივ, არც პროფესიულ შეზღუდვას არ აწესებს და წელს უკვე კონკურსში ოთხმოცამდე ახალი პიესა შემოიტანეს.

სიხარულით დავთანხმდი თუმანიშვილის ფონდისა და ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივ შემოთავაზებას ჩავსულიყავი საქართველოში. იმედი მქონდა ჩვენს პროექტს დაეხმარებოდა პოლ დაბლდეი, ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიასა და სირიაში, რომელთანაც ადრე ვიმუშავე ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის 7 ქვეყნის ანალოგიურ პროექტზე. კარგია, რომ საქმეში ჩაერთვება გამოცდილი ადამიანი.

ზუსტად ვიცოდი რა იყო ჩემი ვიზიტის მიზანი: 1. გავცნობოდი ახალ ქართულ დრამატურგიას; 2. შევხვედროდი ქართველ დრამატურგებს; 3. მენახა თბილისის თეატრალური სივრცეები; 4. გავცნობოდი თეატრალურ მოღვაწეებს, სამომავლო ურთიერთობისთვის; 5. ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის ამეხსნა, რა მეთოდოლოგიით მუშაობს „როიალ ქორთი“ ახალ დრამატურგიაში; 6. შევხვედროდი ახალგაზრდა დრამატურგთა კონკრეტულ ჯგუფს, ვინც, სავარაუდოდ, შემოიტანდა განაცხადს ჩვენს საერთაშორისო პროექტში.

ხუთ დღეში ყველა პუნქტი წარმატებით შევასრულე და ახლა დაწვრილებით მოგახსენებთ.

24 მარტი, ოთხშაბათი

დილის 3 საათზე ჩავედი თბილისში. დღის სამ საათზე, როგორც დაგეგმილი იყო, მე, მანანა ანთაძე და მაია დარჩია - ბრიტანეთის საბჭოს ხელოვნების პროგრამების ხელმძღვანელი, დავსხედით ერთ-ერთ ლიტერატურულ კაფეში პროგრამის დასაზუსტებლად. აქვე გავიცანი რამდენიმე დრამატურგი,

რომელთაც მოგვიანებით უნდა შევხვედროდი. ეტყობა, ხშირად დადიან ამ კაფეში. შემდეგ მანანამ დამათვალიერებინა ქალაქი და მიამბო ქართული თეატრის შესახებ. საღამოს შევხვდი თამარ ბართაიას, ბოლო კონკურსის გამარჯვებულ ავტორს, რომლის პიესები იდგმება და ასწავლის კიდეც დრამატურგიას სტუდენტებს. შემდეგ წავედით მარჯანიშვილის თეატრის „სხვენში“. უჩვენებდნენ „სიყვარულის ანატომიას“. ეს არ იყო თანამედროვე პიესა, მაგრამ მე ცნობილი თეატრის სივრცე მაინტერესებდა.

25 მარტი, ხუთშაბათი. ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

მანანა, მაია და მე ვესტუმრეთ გიგი თევზაძეს, უნივერსიტეტის რექტორს, რათა გვესაუბრა, შესაძლოა თუ არა უნივერსიტეტიც ჩაერთოს ჩვენს პროექტში. მოგვიანებით შემოგვიერთდა ოთარ ეგაძე, ვაკის სარდაფის ხელმძღვანელი. მითხრეს, რომ უნივერსიტეტი აპირებს სასწავლო პროგრამაში შეიტანოს ახალი დრამატურგიის კურსი, რისთვისაც მოიწვიეს მწერალი ირაკლი სოლომანაშვილი. მიჩვენეს სარდაფის თეატრი და მიამბეს სხვა სარდაფის თეატრის შესახებ, რომელიც 1997 წელს დაარსა რეჟისორებისა და მწერლების ჯგუფმა, ამ თეატრმა 13 წლის განმავლობაში იმუშავა, იყო ყველაზე საინტერესო თეატრი, ახალი დრამატურგიის თვალსაზრისით, მაგრამ ახლა აღარ არსებობს.

შეხვედრა სამ ქართველ დრამატურგთან და მათი შემოთავაზება:

თბილისში ჩამოსვლამდე მე უკვე ვიცოდი, რომ სამი დრამატურგი ერთობლივ პროექტს სთავაზობდა „როიალ ქორთს“. ესენი იყვნენ: ლაშა ბუღაძე, რომელსაც რამდენიმე წლის წინ მოსკოვში შევხვდი და მას შემდეგ ინტერესით ვადევნებ თვალს; ბასა ჯანიკაშვილი და დათო ტურაშვილი, რომელმაც ახლახანს გამოსცა ადრე პიესად დაწერილი რომანი „ჯინსების თაობა“. მათ სურდათ 2008 წლის აგვისტოს ომი რუსული, ოსური და ქართული თვალით დანახული, აესახათ ერთობლივ პიესაში და ამ ხალხების ტკივილი ეჩვენებინათ. მესაუბრებოდნენ იმაზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო ოთხ ომში აღმოჩნდა ჩათრეული და დღევანდელი გადასახედიდან ეს ომები ტრაგიკულიც არის, კომიკურიც და აბსურდულიც. მითხრეს, რასაც ვწერთ, სულ ომს ეხებაო. ვუთხარი, რაც დაწერეთ, დროზე გამომიგზავნეთ, ჩვენი პროექტი 2011 წლის იანვარში იგეგმება და მანამდე ბრიტანელ რეჟისორებთან და მსახიობებთან ერთად განვიხილავ-მეთქი.

შეხვედრა დრამატურგებთან თუმანიშვილის თეატრში

ალბათ 50-მდე დრამატურგი და რეჟისორი მოვიდა შეხვედრაზე. ვისაუბრე „როიალ ქორთის“ ისტორიასა და პროექტებზე, მაია დარჩია თარგმნიდა. ვუამბე, როგორ ვმუშაობთ საერთაშორისო პროექტებზე დამწყებ დრამატურგებთან. საინტერესო კითხვებს მისვამდნენ. თანამედროვე დრამატურგიის მიმართ უდიდესი ინტერესი ვიგრძენი. ამიტომ მონაწილეობენ ხალისით კონკურსებში. საინტერესო იყო იმის აღმოჩენა, რომ თეატრები დგამენ თანამედროვე პიესებს (ლაშა ბუღაძე თითქმის ყველა დიდ თეატრში იდგმება), რასაც ვერ ვიტყვი მსოფლიოს სხვა დიდ თეატრებზე.

„ჯინსების თაობა“ თავისუფალ თეატრში

ეს საინტერესო პიესა დათო ტურაშვილმა 90-იან წლებში დაწერა საბჭოთა პერიოდზე, როცა ყველა ახალგაზრდა ოცნებობდა ლურჯ ჯინსებზე. თავისუფალ თეატრში 200 ადგილია. სულ სავსეა დარბაზი. მე ორჯერ ვიყავი და ვნახე. პიესა გვიამბობს შვიდი ახალგაზრდა კაცის ისტორიას. მათ სცადეს თვითმფრინავის გატაცება 80-იან წლებში, საბჭოთა კავშირიდან, რომ გაქცეულიყვნენ. ყველანი დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს. სუბტიტრები არ იყო, ტექსტის დეტალები არ მესმოდა, მაგრამ ცხადად ვგრძნობდი სპექტაკლის ძალას და იმას, თუ როგორ მოქმედებდა მაყურებელზე.

26 მარტი, პარასკევი

დღე იმით დაიწყო, რომ მე და მანანა ინტერვიუზე მიგვიწვიეს საქართველოს ტელევიზიის დილის ეთერში. ჩემი ტექსტი მაია დარჩიას თარგმანით მიდიოდა. შემდეგ კი სამეფო უბნის თეატრში დათა თავაძეს და დრამატურგ დათო გაბუნიას უნდა შევხვედროდით.

სამეფო უბნის თეატრი – შეხვედრა დათო გაბუნიასა და დათა თავაძესთან.

ულამაზესი სივრცე მეოცე საუკუნის დასაწყისისაა. ახლა რესტავრირებულია. ეს კერძო თეატრია და დათა თავაძის ოჯახს ეკუთვნის. ორი ახალგაზრდა შემოქმედი 25-წუთიანი სპექტაკლების ფესტივალის ორგანიზებითაა დაკავებული, სადაც ადგილობრივი დრამატურგები მონაწილეობენ. ორივე დაინტერესდა „როიალ ქორთის“ პროექტის განხორციელებით საქართველოში. დათომ თქვა, „თანამედროვე დრამატურგიამ რომ გზა გაიკვალოს, დახმარება სჭირდებაო“. დათო გაბუნია ახალი დაბრუნებული იყო ბრიტანეთიდან. ნაციონალური თეატრის სტუდიაში გაიარა

სტაჟირება. ნანახი ჰქონდა სპექტაკლები, მათ შორის, „როიალ ქორთისაც“ და საუბრობდა იმაზე, თუ როგორ ეყრდნობა ტექსტს ბრიტანული თეატრი.

შეხვედრა ეკატერინე მაზმიშვილთან, თბილისის საერთაშორისო ფესტივალისა და მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელთან.

ეს ახალი საერთაშორისო ფესტივალია, წელს მეორე სეზონისთვის ემზადება. ეკა ქართულ თეატრში აქტიურად მოღვაწეობს, ფესტივალსაც უძღვება და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თეატრსაც. ადრე რუსთაველის სარდაფშიც იყო. მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე, რუსთაველის სარდაფის ერთ-ერთი დამაარსებელი ყოფილა. 2008 წელს მარჯანიშვილის თეატრში სტუდიური სივრცეც გაიხსნა სხვენში. პირველ ფესტივალში მონაწილეობა მიუღიათ ლიტვას, გერმანიას, პოლონეთს, თურქეთს, აზერბაიჯანს, საფრანგეთს, შვედეთს, სომხეთს, კორეას. ბრიტანულ „Greco Company“-ს. შესაძლოა „როიალ ქორთიც“ ჩაერთოს ფესტივალში თავისი უორქშოპით. დავათვალიერე მარჯანიშვილის თეატრის ულამაზესი შენობა. დავესწარი რეპეტიციას დიდ დარბაზში.

შეხვედრა ზაალ ჩიქოვანთან

ლეგენდარულ რუსთაველის თეატრს და მის სამხატვრო ხელმძღვანელს, რობერტ სტურუას მთელი მსოფლიო იცნობს. სწორედ ასეთი დიდებული წარმომედგინა ეს შენობა. უმშვენიერესი დიდი დარბაზი და რამდენიმე მცირე. რობერტ სტურუა უცხოეთში იყო დასადგმელად მიწვეული და ზაალმა, რომელიც ამ დასის წევრიც არის, მიამბო რუსთაველის თეატრის ისტორია, მიჩვენა ყველა სცენა. მუზეუმიც აქვთ, დიდი და საინტერესო, სადაც სათუთად ინახავენ აქ მოღვაწე რეჟისორების და დადგმული სპექტაკლების ყველა წვრილმანს. ვისაუბრეთ ახალ დადგმებზეც. თანამედროვე დრამატურგიასაც დგამენ. ლაშა ბუღაძის პიესა თვით რობერტ სტურუას დაუდგამს. ახლა დაკავებული არიან ნაციონალურ თეატრთან არსებული სტუდიის გაცვლითი პროგრამით.

დღის მეორე ნახევარში ინტერვიუ მივეცი ერთ ქართულ გაზეთს, ვიყავი გია ბუღაძის გამოფენაზე (ლაშა ბუღაძის მამაა). შემდეგ ლაშა ბუღაძესთან ვისაუბრე ჩვენს მომავალ პროექტზე. მერე შევხვდით ტერი სენდელს, რომელიც ადრე ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი იყო, ახლა ევროსაბჭოში მუშაობს და მე, მანანა და ტერი თავისუფალ თეატრში ვიყავით სპექტაკლზე „მიყვარხარ, მიყვარხარ...“ პასტორალური პიესა იყო და მაყურებელს ძალიან მოსწონდა.

27 მარტი, შაბათი

მანანამ ხალხური ნაწარმის ბაზრობაზე წამიყვანა, მერე ლანჩზე შევხვდით პოლ დაბლდეის. პოლს ჩემს შთაბეჭდილებებზე ვესაუბრე და იმაზე, რომ პროექტი იქნებ რეგიონის სხვა ქვეყნებთან ერთად შემდგარიყო. ვიცოდი ინტერესი უკრაინასა და თურქეთსაც ჰქონდა. ამ ქვეყნებთან მიმუშავია ადრე. ანდა სასომხეთსა და აზერბაიჯანს დავკავშირებოდით, თუმცა მათ სრულებით არ ვიცნობდი. საღამოს რუსთაველის თეატრში ვნახეთ სტურუას „მეთორმეტე ღამე“, დავათვალიერეთ აფიშების გამოფენა თეატრის ფოიეში. მოგვიანებით ფილარმონიაში გამართულ საქველმოქმედო კონცერტსაც დავესწარით და ცნობილ მომღერალს, ლადო ათანელს მოვუსმინეთ.

28 მარტი, კვირა

მე და პოლს მანანამ გვიმასპინძლა. ვისწავლე, როგორ უნდა მიირთვა ქართული ხინკალი. ვიყავით მცხეთაში. ადრე ეს ყოფილა საქართველოს დედაქალაქი. ვნახე დიდებული ტაძარი, მე-11 საუკუნეში აგებული. საღამოს დათო საყვარელიძე გავიცანი, ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელი. საინტერესო საუბარი გვქონდა. მას ბრიტანეთშიც დაუდგამს სპექტაკლები. დაინტერესებულია თანამედროვე დრამატურგიით და ბევრ ქართველ ავტორს დგამს სხვადასხვა თეატრში. მირჩია უორქშოპი თბილისში არ ჩაატაროთ, რომელიმე რეგიონალური თეატრი შეარჩიეთ და ასე შესაძლოა სახელმწიფო დაფინანსებაც მიიღოთო. მეც თქვენს გვერდით ვიქნები და რაც შემიძლია, დაგეხმარებითო. ბოლო საღამოს თამარ ბართაიას „პეიზაჟს აკლია სითბო“ ვნახე მარჯანიშვილში. ინგლისური ტიტრებით მიდიოდა. ოჯახური ფარსი იყო. მაყურებელს ძალიან მოსწონდა.

რეკომენდაციები

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ამ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში თეატრს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ახალი დრამატურგია ძალას იკრებს და ზოგი დრამატურგი თითქმის ყველა თეატრში იდგმება. ამასთან ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ გაძლიერდეს და განვითარდეს ახალი დრამატურგია. შეიქმნას საინტერესო პიესები. მათ ელოდება ამ თეატრის მოყვარული მაყურებელი. მანანა სწორედ ამას ემსახურება. „როიალ ქორთს“ შეუძლია მას გვერდით

დაუდგეს და დაეხმაროს დრამატურგებს. სიამოვნებით ჩავატარებდი უორქშოფს შერჩეულ მწერლებთან (მაქსიმუმ 15) და შევქმნიდით ახალ პიესებს ზუსტად ისე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ვაკეთებთ. იმუშავებენ მშობლიურ ენაზე. დაახლოებით ორ წელს გაგრძელდება. თემას და ფორმას შევარჩევთ. ცალკე საქართველოსთან ეს პროექტი ვერ შედგება, რესურსი არ ეყოფა. პოლ დაბლდეისთან საუბრის შემდეგ ვფიქრობ, შესაძლოა რეგიონის სხვა ქვეყნებიც ჩავრთოთ. ჩემი სურვილია მარჯანიშვილის თეატრს და ფესტივალსაც დაველაპარაკოთ. ეს კარგი ბაზაა სამუშაოდ. შეუძლიათ სივრცე გამოგვიყონ. თუმცა სხვაც ბევრია ისეთი, ვინც სიამოვნებით ჩაერთვება პროექტში. მე მათ ხალისით დავთანხმდები. ამ პროექტის გული მანანა ანთაძეა და მისი თუმანიშვილის ფონდი. დარწმუნებული ვარ მას გამოცდილებაც ეყოფა და ძალისხმევასაც არ დაიშურებს განავითაროს და ახალ საფეხურზე აიყვანოს იგი.

„პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა...“

ეს ლაშა ბუღაძის არც ისე ახალი, მაგრამ ჯერ გამოუქვეყნებელი პიესის სათაურია. სათეატრო წრეებში ამ პიესის ერთ-ერთი პირველი ვარიანტი ახსოვთ, როცა დრამატურგმა მარჯანიშვილის თეატრის მიერ ორგანიზებული პროექტისთვის „ცხრა პიესა ომზე“ დაწერა პიესა ე.წ. „აგვისტოს ომის“ თემაზე. ეს იყო ქართველი დრამატურგების ერთი ჯგუფის პირველი და ერთადერთი გამოხმაურება თანამედროვე დრამატურგიაში რუსეთის აგრესიაზე. ლაშა ბუღაძის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა...“ პირველად სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მოწყობილ თეატრალიზებულ კითხვაზე გააცნეს მაყურებელს მარჯანიშვილის თეატრის სხვენში.

პიესა ასახავს იმ ისტერიულ სიტუაციას, რომელიც ომმა გამოიწვია ქვეყანაში, მაღალჩინოსნებსა და რიგით მოკვდავებში (ჩვენში ხომ მაღალჩინოსნები ნახევრად ღმერთები არიან). თეატრალიზებულ კითხვაში თავად ლაშა ბუღაძეც მონაწილეობდა.

ორი წლის წინ, თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელის მანანა ანთაძის ინიციატივით, საქართველოს ბრიტანეთის საბჭოს უშუალო ორგანიზებით და ლონდონის „როიალ ქორთის“ თეატრთან უშუალო თანამშრომლობით (ეს თეატრი ორიენტირებულია თანამედროვე და ახალი დრამატურგიის განვითარებაზე) უკრაინელ დრამატურგებთან ერთად დაიწყო პროექტის „ახალი დრამატურგია“ განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა

უორქშოპებს დრამატურგებისათვის და მათ უნდა დაეწერათ ახალი პიესები. პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, ვიდრე მის დასრულებამდე, ლაშა ბუღაძემ პიესის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ ექვსი ვარიანტი შექმნა. სწორედ საბოლოო ვარიანტი აირჩიეს ბრიტანელებმა „როიალ ქორთისთვის“ თეატრალიზებული კითხვისთვის.

პროექტის „ახალი დრამატურგია“ საფინალო აკორდი ლონდონში გაიმართა, რაც „როიალ ქორთის“ სცენაზე ბრიტანელი მსახიობების მიერ გამარჯვებულ ავტორთა პიესების თეატრალიზებულ კითხვას ითვალისწინებდა. საქართველოდან ასეთი ლაშა ბუღაძე აღმოჩნდა. 2013 წლის 13 მარტს „როიალ ქორთის“ თეატრში რამდენიმე ქართველ ინტელიგენტთან ერთად (რომელთა შორის მწერალი აკა მორჩილაძეც იყო) შეიკრიბნენ ბრიტანელი დრამატურგები, მსახიობები და ჩვეულებრივი მაყურებელი, რომელიც დაინტერესებულია აღმოსავლეთ ევროპის დრამატურგების ნამუშევრებით.

თეატრალიზებული კითხვა ახალგაზრდა ბრიტანელმა რეჟისორმა საიმონ გოდვინმა დადგა. ნუ გაგიკვირდებათ, რომ სიტყვა „დადგმა“ გამოვიყენე, რადგან თეატრალიზებული კითხვისთვის რეჟისორი მსახიობებთან ერთად პიესაზე დღეების განმავლობაში მუშაობს. სამუშაო ჯგუფი არა მხოლოდ ადგენს პერსონაჟთა ხასიათებს, არამედ გარკვეულ მიზანსცენებსაც კი აწყობენ. სამწუხაროდ, ჩვენში თეატრალიზებული კითხვა გარკვეულ რეჟისორებს მხოლოდ პიესის ხმამაღალი წაკითხვა ჰგონია. არადა, თეატრალიზებული კითხვა თანამედროვე თეატრში უკვე დამოუკიდებელი სათეატრო ჟანრი ჩამოყალიბდა. ეს არის სათეატრო ფორმა სამაგიდო რეპეტიციასა და სპექტაკლს შორის, ერთგვარი ნახევარფაბრიკატი სპექტაკლისა. სწორედ, ასეთი ფორმით შემოგვთავაზა საიმონ გოდვინმა ლაშა ბუღაძის იუმორით, სატირით, ტრაგიზმით, აქტუალური გლობალური პრობლემებით გაჯერებული პიესა. პრეზიდენტის როლს პოპულარული მსახიობი ტობი ჯონსი ასრულებდა. მსახიობმა შექმნა ზოგადი სახე პრეზიდენტისა, რომელიც ბევრ ადამიანურ თვისებას ავლენს და შორს დგას მაღალჩინოსანისთვის დამახასიათებელი ოფიციალურობისაგან. წარმოდგენაში (მოქმედებებით, მიზანსცენებით) ასევე მონაწილეობდნენ ლონდონელი მსახიობები სხვადასხვა თეატრიდან: პოლ ჩაჰიდი, პანდორა კოლინი, ამანდა დრევი, ტომ გოდვინი, ჯონ ჰეფერნანი, ჯონ კრიკი, საიმონ კუნზი, იზაბელა ლოგლანდი, ელენ სჩელსინგერი და ალან უილიამსი.

ლაშა ბუღაძეს იმაშიც გაუმართლა, რომ მისი პიესა ცნობილმა ქართველოლოგმა, პროფესორმა დონალდ რეიფილდმა თარგმნა, რომელსაც ეკუთვნის წიგნი „საქართველოს ისტორია“ და ვაჟა ფშაველას თხზულებითა ინგლისური თარგმანები. სწორედ მისი დამსახურებაცაა, რომ ლაშა ბუღაძის დრამატურგიისთვის დამახასიათებელი იუმორი და ლექსიკა არ დაიკარგა და ბრიტანელი მაყურებელიც თანმიმდევრულად და თავისუფლად რეაგირებდა ტექსტზე, განსხვავებით ქართველი მაყურებლისაგან, რომელიც უფრო თავშეკავებული და ემოცია სეკვესტრირებულია. ბრიტანელი მაყურებელი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს თეატრში და მას არ ერიდება ხმამაღალი გადახარხარება წარმოდგენის მსვლელობის დროს.

მეორე დღეს წარმოდგენილი „თეატრალური“ კითხვების განხილვა და ავტორებთან მაყურებლის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც „ახალი დრამატურგიის“ სულისჩამდგმელი და მთავარი გენერატორი ელის დოჯსონი უძღვებოდა. იგი უკვე რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს მსგავს პროექტებს, რომელსაც ცალსახად უშრეტი ენერგია და ენთუზიაზმი აქვს. ელის დოჯსონი ის ფიგურაა, რომელიც ქმნის ახალ დრამატურგებს არა მხოლოდ ბრიტანული, არამედ მსოფლიო სათეატრო სივრცისთვის.

პროექტი „ახალი დრამატურგია“ დასრულდა, მაგრამ მან მრავალი პერსპექტივა გააჩინა: ხელი შეუწყო დრამატურგების პროფესიულ განვითარებას, გაზარდა ქართველი ავტორების ცნობადობა ბრიტანეთში და დასახა იდეები სამომავლო პროექტებისთვის, რომელსაც „როიალ ქორთის“ თეატრთან ერთად ბრიტანეთის საბჭო საქართველოში მარჯანიშვილის თეატრთან პარტნიორობით განახორციელებენ.

მინაწერი:

მკითხველს ბოდიშს ვუხდი უხარისხო ფოტოებისთვის, რომელიც სამოყვარულო ფოტოაპარატით ექსტრემალურ ვითარებაში გადავიღე, რადგან წარმოდგენებზე ნებისმიერი ფოტო და ვიდეო გადაღება აკრძალულია. იმედია, ქალბატონი ელის დოჯსონის გულისწყრომას არ დავიმსახურებ, რადგან მეც ისე სიგიჟემდე მიყვარს ჩემი პროფესია, როგორც მომხიბვლელ, ენერგიით სავსე და დრამატურგების პროფესიული წინსვლისთვის გულანთებულ ელის დოჯსონს.

საქმე, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება

არაერთხელ გამიგონია - რა კარგი იქნებოდა, შესაძლებელი რომ იყოს, საქართველოს ყველა პროფესიულ თეატრში დადგმული ყოველი წარმოდგენის შეფასება-გაანალიზება!.. ეს უტოპიური აზრი თუ ოცნება, მომისმენია დრამატურგებისაგან, რეჟისორებისაგან, მსახიობებისაგან, თეატრმცოდნეებისაგან... ეს სურდათ კულტურის სამინისტროში, თეატრალურ საზოგადოებაში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, თეატრებში, კრიტიკოსთა გაერთიანებებსა თუ ასოციაციებში... თითქოს, წინააღმდეგი არავინ იყო. პირიქით, ყველა მხურვალედ უჭერდა მხარს ამ იდეას. მაგრამ, წლები ერთმანეთს მისდევდა... საქმე კი, როგორც ხშირად ან უფრო სწორად თუ ვიტყვით, ყოველთვის ხდება ხოლმე ჩვენთან, წინ ერთი ნაბიჯითაც არ იძვროდა. ტყუილს ვერ ვიტყვი, რამდენიმე მცდელობა კიდეც იყო... თუმც, აქედან მაინც არა გამოვიდა რა...

არადა იმისათვის, რათა თანამედროვე ქართულ პროფესიულ თეატრში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს მიადევნო თვალი, გააანალიზო ძიებები და ნათლად, მკაფიოდ დაინახო, თუ საით, რა მიმართულებით ვითარდება ეროვნული სათეატრო ხელოვნება, ზემოაღნიშნული აუცილებლად რეალობად უნდა იქცეს. სადღეისო გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ. უფრო შორსმჭვრეტელნი თუ ვიქნებით, ხვალ ყოველივე ის, რის თაობაზეც ვსაუბრობთ, ფასდაუდებელი მასალა გახდება ქართული თეატრის ისტორიის მკვლევართათვის, რადგან ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ თუნდაც ფირზე დაფიქსირებულმა თეატრალურმა წარმოდგენამ შეცვალოს რეცენზია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სპექტაკლი ცოცხალ, უშუალო აღქმაზეა გათვლილი და კრიტიკოსიც, საუკეთესო შემთხვევაში, სწორედ იმას აფიქსირებს, რაც წარმოდგენის ხილვისას განიცადა თუ გაიფიქრა. გარდა ამისა, კვლავ აქსიომად ქცეული ჭეშმარიტების გამეორება მიწევს, ფირზე გადაღებული სპექტაკლი მაყურებელს ვერაფრით შეუქმნის სრულყოფილ, სრულფასოვან წარმოდგენას კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებზე. ამდენად, რეცენზიას მაინც ვერაფერი შეცვლის.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივა ამიტომაცაა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი. დასაწყისისათვის, მიმდინარე წლის მარტ-აპრილში, თეატრმცოდნეობის სპეციალობის ბაკალავრიატის მეოთხეკურსელ სტუდენტთაგან შემდგარი ორ-ორ კაციანი ოთხი ჯგუფი გაემგზავრა ქუთაისში, ჭიათურაში, გორსა და ახალციხეში. ერთი-ორი კვირის განმავლობაში მათ იქ რამდენიმე სპექტაკლი ნახეს. დაწერეს რეცენზიები და პრობლემური წერილები ზემოთ ნახსენები თეატრების დღევანდელ მდგომარეობაზე. ყოველივე ეს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ქვეყნდება. ვფიქრობ, ორმაგად სასარგებლო, ძალზე მნიშვნელოვანი საქმე კეთდება. უპირველეს ყოვლისა, გაანალიზებულ იქნება სპექტაკლები. ამასთან, ყოველივე ეს მომავალი თეატრმცოდნეების პროფესიული წვრთნისა და დაოსტატების კიდევ ერთი საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ამ საშურ საქმეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო დაუდგება მხარში როგორც ფინანსურად, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. ვინაიდან, საჭიროა ამ წამოწყებამ მთელი საქართველოს პროფესიული თეატრები მოიცვას. სანუკვარი მიზანი მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მწირი ბიუჯეტი ვერ გასწვდება ამ, ჩემი აზრით, შესანიშნავ, ძალზე საჭირო, აუცილებელ წამოწყებას.

ჩემს სტუდენტებს კი ვუსურვებ, არასოდეს გაქრობოდეთ ენთუზიაზმი, მონდომება. ქართულ პროფესიულ თეატრს ვუსურვებ ამ მნიშვნელოვან პროექტს ხანგრძლივი სიცოცხლე ეწეროს!..

გიორგი ცქიტიშვილი

ჭიათურის თეატრის დღევანდელობა

ლიკა–ლილე შენგელია

იშვიათია, როდესაც თითქმის ქალაქთან ერთად იბადება თეატრი. ასეთი უნიკალური შემთხვევა გვაქვს ქ. ჭიათურაში. საცხოვრებელს ირჩევს ადამიანი და სწორედ ის მოითხოვს მის თანაცხოვრებაში გაჩნდეს ადგილი, სადაც ეზიარება იმას, რასაც ვერ ნახავს სხვაგან. როგორც პიტერ ბრუკი ამბობს: „თეატრი უნიკალური სწორედ იმიტომაა, რაღაც ისეთს რომ გვთავაზობს, რისი პოვნაც არც ქუჩაში შეიძლება, არც სახლში, არც ლუდხანაში, არც მეგობრების წრეში, არც ფსიქიატრის ტახტზე და არც ეკლესიასა თუ კინოში.“ იცვლება დრო და იცვლება საზოგადოება, საწყისი ინტერესი ნელ-ნელა ქრება (რომელსაც არაერთი ფაქტორი განაპირობებს) და ჩვენს ყოფაში არსებულ რეალობამდე მიდის. თუ ადამიანი ითხოვდა,

ქმნიდა, აცოცხლებდა, იგივე ცოცხალი არსების ახალი ნაშიერი წინაპრის შექმნილს აღარ უფრთხილდება. არადა, ამ დალოცვილს დიდი ძალა და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერის კულტურულ ცხოვრებაში. ეს ფაქტი ცალსახაა და ამაზე უკვე აღარავინ დავობს. საქართველოს რეგიონალურ თეატრებში არსებობს სხვადასხვა სახის პრობლემა, რომლის მოგვარებაც აუცილებელია, თუ ჩვენ ვთანხმდებით, რომ თეატრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის აღზრდაში.

დაარსებიდან დღემდე ჭიათურის თეატრმა რთული გზა განვლო (დაარსდა 1894 წელს, ხოლო 1949 წელს თეატრი გადავიდა ახალ შენობაში და მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელი), თეატრს სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ: მ. ქორელი, ალ. იმედაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ალ. წუწუნავა, პ. ფრანგიშვილი, ო. ალექსიშვილი და სხვ. დასში მოღვაწეობდნენ მსახიობები: გრიგოლ ტყაბლაძე, მიხეილ ვაშაძე, ანტონ ბარათაშვილი, ნოდარ ჩაჩანიძე, თამარ აბაშიძე... სპეციალური მოწვევით ამ თეატრის სცენაზე გამოსულან: ნატო გაბუნია (1901 წ.), მაკო მდივანი, ელეონორა წუწუნავა (1907-1908 წ.), ვალერიან გუნია (1910წ.), ნატალია ჯავახიშვილი (1906-1912 წ.) და სხვ.

ამ პერიოდის „სახალხო გაზეთი“ აქვეყნებს წერილს: „...ხალხი თეატრს იმდენი მოაწყდა, რომ ბევრი უადგილობის გამო უკანვე გაბრუნდა..“ (№179, 1910წ.). დიდია გიორგი ნუცუბიძის როლი ჭიათურის სახელმწიფო თეატრის ცხოვრებაში, რომლის სახლ-მუზეუმი დღეს ავარიულ მდგომარეობაშია. აქ ინახება უძველესი აფიშები და სპექტაკლის დეკორაციის მაკეტები. შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში გაქრეს ის ისტორია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თეატრის კულტურული მემკვიდრეობისათვის. ბუნებრივია, სახელოვანი წარსულის მქონე ჭიათურის თეატრის შესახებ ეს მცირე ისტორიული ცნობა ვერ შეგვიქმნის სრულ სურათს, მაგრამ გაგვიზრდის მოტივაციას რეგიონალური თეატრებისადმი და გაგვიჩენს ქმედების სურვილს.

2000 წლიდან თეატრის მმართველია ნანა წერეთელი, სამხატვრო ხელმძღვანელი (2005 წლიდან) — ანდრო ენუქიძე. დასში 28 მსახიობია, მათი ძირითადი ნაწილი საშუალო ასაკისაა. მმართველის ინიციატივით, 2004 წელს თეატრალურ უნივერსიტეტში შედგა ქ. ჭიათურის მიზნობრივი სამსახიობო ჯგუფი, სადაც ათი სტუდენტი სწავლობდა. ჯგუფმა სამი პედაგოგი გამოიცვალა. ახალგაზრდებთან საუბრის დროს აღმოჩნდა, რომ სწავლის პროცესს არასრულყოფილი სახე ჰქონდა. ნანა წერეთელი აღნიშნავს, რომ თეატრს „ახალი სისხლი“ ყოველთვის ჭირდება, განახლების პროცესი აუცილებელია. ამ პრობლემასთან დაკავშირებით მას გარკვეული გეგმები აქვს. ვიმედოვნებ, ქალაქის მუნიციპალიტეტისა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის თანამშრომლობით ეს პრობლემა გადაიჭრება, რადგან მსახიობის როლი თეატრში განუსაზღვრელია. (ვსაუბრობ იმ ორ სპექტაკლზე დაყრდნობით, რომელიც ვიხილე: „ვინ არის დამნაშავე“, რეჟისორი - იოსებ ნემსაძე, „ირინეს ბედნიერება“, რეჟისორი – ჯაბა პაპუაშვილი). რაც შეეხება რეჟისორს, თეატრი იწვევს მას თუ იმ ოსტატს სპექტაკლის განსახორციელებლად. სამხატვრო ხელმძღვანელის გარდა, შტატში რეჟისორი არ არის. მოწვევით მუშაობენ კონკრეტულ სპექტაკლზე მხატვარი და კომპოზიტორი. თეატრში არ არის ლიტერატურული ნაწილი მოწესრიგებული და, შესაბამისად, არ არსებობს მუზეუმი. დიდი სურვილის მიუხედავად, ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული. ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების უფროსის, ბ-ნ. ზურაბ კაპანაძის საუბრიდან ჩანს, რომ ქალაქის გამგეობას არ შეუძლია, სურვილის მიუხედავად, დაეხმაროს თეატრს, თუ სახელმწიფო დაფინანსებას არ გაუზრდის (წელიწადში ფინანსდება მხოლოდ სამი სპექტაკლის დადგმა).

ქალაქში არსებულმა მიგრაციამ და მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ მაყურებელი ჩამოაცილა თეატრს. თუ წლების წინ თეატრში წასასვლელად სპეციალურად ემზადებოდნენ, ეს ადგილი მათთვის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა და ქართული იდეოლოგიის გამტარებლად ითვლებოდა, დღეს ეს პროცესი ჩიხშია მოქცეული. თეატრში თითქმის არ დადიან. ამიტომ, თავიდანაა საჭირო მაყურებლის დაბრუნება, აღზრდა... (ქ. ჭიათურის ირგვლივ 61 სოფელია. სულ, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 75 000 კაცს. აქედან, ქალაქში 12 000 ადამიანი ცხოვრობს). დარბაზი 450 მაყურებელს იტევს, გამოირჩევა ჭერის მოხატულობა, რომელიც უფროს რ. სტურუას ეკუთვნის. თეატრის შენობა კლდეზეა მიშენებული, რაც იწვევს ხშირ ნესტიანობას, ამიტომ მოითხოვს სერიოზულ რემონტს. ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 34 თანამშრომლისგან შედგება.

ირგვლივ ფუსფუსია... ყველა რაღაცას ცდილობს, ყოველ სეზონზე სამი ახალი სპექტაკლი იდგმება, მაგრამ წარმოდგენათა მხატვრული დონე მაინც გასაზრდელია. ადამიანების სულიერ საზრდოს ისევ ადამიანებისაგან ჭირდება თანადგომა, რათა ჩვენთვის კვლავ გაღვივდეს პირველადი ინტერესი (უფრო მეტადაც) და აწმყომ სხვა სინამდვილემდე მიგვიყვანოს.

ნინო კენჭაძე

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში მივემართებით თორნიკე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ედუარდო დე ფილიპოს კომედიის სანახავად. თეატრის შესასვლელთან მისულებს ბატი-ბუტის გამყიდველი გვხვდება დიდი ტომრით და გვთავაზობს, რომ თეატრში შესვლამდე შევიძინოთ უგემრიელესი ბატი-ბუტი... (ისე კი მაყურებელთა დარბაზში აუცილებლად გადააწყდებით ვინმეს, ვინც სასუსნავებით ირთობს თავს სპექტაკლის მიმდინარეობისას). წარმოდგენაზე დასასწრებად მისული საზოგადოება ფოიეში იცდის, სანამ მცირე სცენის დარბაზის კარს გააღებენ. წარმოდგენა საკმაოდ ეფექტურად იწყება. მოულოდნელად, ხმაურითა და შეძახილებით გამოჩნდებიან მათხოვრებად გადაცმული მსახიობები. ისინი ირევიან მაყურებელში და მოწყალებას ითხოვენ. უსინათლო გოგონა ვიოლინოზე უკრავს, ზოგიერთი მათგანი გემრიელად მიირთმევს მოპოვებულ საკვებს. მსახიობები უჩოქებენ ხალხს და საცეკვაოდაც კი იხმობენ. ზოგიერთი მაყურებელი გამოწვდილ ცილინდრში ფულსაც კი უყრის მათ. სპექტაკლის ექსპოზიცია ამით სრულდება და მსახიობები გვაცილებენ დარბაზში ცილინდრის ისტორიის სანახავად.

თეატრის მცირე სცენაზე მსახიობები წარმოგვიდგენენ ოთხი ადამიანის ტრაგიკომედიას - გამხეცებულ, ღირსებადაკარგულ და უპრინციპო ცხოვრებას, სადამდეც ისინი გაჭირვებასა და უიმედობას მიუყვანია. მათ დაუკარგავთ ყველაფერი ადამიანური, აღარც სიყვარული შეუძლიათ და ქცეულან მტაცებლებად, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ ჩაიგდონ ხელში ნადავლი. „თუმცა ადვილია ილაპარაკო გამხეცებასა და კანონებზე ისე, რომ არაფერი იცოდე მიზეზებზე„...

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, სპექტაკლში მრავლადაა კომიკური პასაჟი და მთლიანობაში წარმოდგენა სანახაობრივია. სახლის აივანზე „სანადიროდ გამოსული“ კეკლუცი ქალი, რიტა (სოფიო ჩირაძე) თავის მორიგ მსხვერპლს ელის. იგი იერით, თმის ვარცხნილობითა და მანერებით იტალიელ როსკიპ ქალს მოგაგონებთ. რიტა ფლირტის ოსტატია და უკვე კარგად გამოცდილი ხერხებით იცის, თუ როგორ უნდა „შეაბას“ მამაკაცი. დეკორაციისა და დიალოგების მიხედვით ვხვდებით, რომ მოქმედება იტალიაში, ღარიბთა უბანში მიმდინარეობს. რიტას ხაფანგში ახალგაზრდა კაცი, ანტონიო (თემურ ისაკაძე) ებმება. თ. ისაკაძე წარმატებით ქმნის დაბნეული, მოუხერხებელი ახალგაზრდა კაცის სახეს, რომელსაც თითქოს წვავს უმშვენიერესი ქალის სიყვარული. მასა და რიტას შორის საკმაოდ კომიკური და სხარტი დიალოგი იმართება. ძალიან კომიკური და ეფექტურია სცენა, რომელშიც ანტონიო რიტას უკითხავს მონოლოგს „რომეო და ჯულიეტადან“ და მას ტურფა ჯულიეტას უწოდებს. რიტა სახლში ეპატიჟება მას და აქ უკვე ყველაფერი ნათელი ხდება: ანტონიოს მწველი სიყვარული მხოლოდ ფიზიკური სიამოვნების დაკმაყოფილების ჟინად იქცევა, რიტა კი მას ფულის სანაცვლოდ საკუთარ თავს სთავაზობს და უკვე ათასჯერ მოყოლილ, გამოგონილ ტრაგიკულ ისტორიას ჰყვება. რიტასა და ანტონიოს დუეტი საკმაოდ დინამიური და კომიკურია, დაწყებული სიტყვათა თამაშით და დამთავრებული ეპიზოდით, სადაც ანტონიოს შარვალი თავისით ეხდება. წარმოდგენის დასაწყისში სოფიო ჩირაძე წარმატებით ართმევს თავს დასახულ ამოცანას, მას კარგად აქვს გათავისებული ფლირტის ოსტატი ქალის როლი, რასაც ვერ ვიტყვით შემდეგ ეპიზოდებზე, სადაც ის უფრო დაბნეული და არაბუნებრივია. გარკვეულ სცენებში, როდესაც რიტას ტექსტი არ აქვს და მისი შეფასებები ლოგიკურად სრულიად სხვაგვარი უნდა იყოს, იგი იცინის. როგორც ჩანს, მსახიობი თავს ვერ იკავებს და

თავადვე ეცინება კომიკურ სცენებზე. ანტონიო მზადაა უკანასკნელი გროშიც გაიღოს, ოღონდაც „ტურფა ჯულიეტას“ სიყვარულით დატკბეს, თუმცა, მისი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდება. ფული გადახდილია და ანტონიო კი — მახეში გაბმული. რიტას ვითომ გარდაცვლილი ქმრის დანახვაზე იგი თავქუდმოგლეჯილი გარბის სახლიდან, შეძახილით „ჯულიეტა პუტანა“. მიცვალებული რუდოლფო (აბელ სოსელია) „ცოცხლდება“, სცენაზე გამოჩნდება დამხმარე ძალაც, აგოსტინო (გოჩა ნემსიწვერიძე) და ბეტინა (ლელა ლომთაძე) და ყველანი ერთად ზეიმობენ კიდევ ერთ გამარჯვებას. მსახიობები ცეკვავენ და ცეკვისას თვალშისაცემია, რომ ს. ჩირაძეს ფეხსაცმელი ძვრება და რამდენიმეჯერ ისწორებს მას. ასევე ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნის მსახიობებს სკამის მოღუნული ფეხი, რომელიც პატარა შეხებისთანავე ყირავდება და მსახიობები სკამს რიგრიგობით ასწორებენ. სპექტაკლში იტალიური საუბრის ჩართვა, ერთის მხრივ, კომიკურ ეფექტს ახდენს, თუმცა, მეორეს მხრივ, ეს ხერხი ერთგვარად მცდელობაა, გადაფაროს სპექტაკლში არსებული ხარვეზები. აბელ სოსელიას შესრულება საკმაოდ კარგი და დამაჯერებელია როგორც კომიკურ, ისე ტრაგიკულ ეპიზოდებში, რასაც ვერ ვიტყვი ლელა ლომთაძეზე. იგი ცდილობს კაპასი იტალიელი, ტემპერამენტიანი ქალის სახის შექმნას, თუმცა, მისი თამაში ხშირად ძალიან ხელოვნური და ნაძალადევია. ბეტინა ვეღარც კი ითვლის ყოფილი საყვარლების რიცხვს და ასულელებს ქმარს, რაც კარგადაა გადმოცემული მიზანსცენით, რომელშიც იგი სახეზე აყრის პუდრს აგოსტინოს და რქებს ადგამს თავზე. გარკვეულ ეპიზოდებში ლ. ლომთაძე (მცდელობის მიუხედავად, რომ შექმნას იტალიელი ქალის სახე) მოულოდნელად იქცევა ქართველ დიასახლის ქალად და ფრაზით — „გენაცვალე შენ“ სრულიად არღვევს შექმნილ ატმოსფეროს. განსაკუთრებით დაბნეული და ხელოვნურია ეპიზოდში, რომელშიც თავის გამართლებას ცდილობს და ყვება, თუ როგორ გაასესხა ფული. გოჩა ნემსიწვერიძის შესრულება არაფრით გამორჩეული არ არის. ძნელია მისი დადებითად ან უარყოფითად შეფასება, თუმცა, ზოგჯერ მსახიობი მექანიკურად კითხულობს ტექსტს.

თაღლითების ჯგუფის ხელში ყველაზე მსხვილი ნადავლი ვარდება. მოხუც ატილიოს (ავთანდილ სახამბერიძე) ძლიერ უნდა ახალგაზრდობის გახსენება, გართობა და საკუთარი თავისთვის იმის დამტკიცება, რომ ჯერ კიდევ ბევრი შეუძლია. ამიტომ მზადაა რიტასთვის ნებისმიერი თანხა გადაიხადოს. რიტას და რუდოლფოს მიერ გათამაშებული იგივე სცენა, მასზე შთაბეჭდილებას სულაც არ ახდენს, მოხუცი მიხვდება წყვილის მიერ დადგმულ ბლეფს და ახლა ის აბამს მათ მახეში. ძალიან კარგია რუდოლფოს შეფასებები მოხუცისა და რიტას დიალოგის პარალელურად. ატილიო თანხას ასი ათასამდე ზრდის. მიცვალებული თავს ვეღარ იკავებს ემოციებისაგან და ასი ათასის გაგონებაზე თავზე ხელს შემოირტყამს, რაც დიდ ეფექტს ახდენს მაყურებელზე. ა. სახამბერიძე ტექსტს აბსოლუტურად ავტომატურად, ყველანაირი გარდასახვის გარეშე კითხულობს. მას ხშირად ერევა სიტყვები და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რეპეტიციაც კი არ გაუვლია. სპექტაკლში შემოდის ტრაგიკული მომენტი, როდესაც ატილიო გამოიჭერს თაღლითებს და მათ პოლიციით ემუქრება. ისინი თავის გამართლებას ცდილობენ და სათითაოდ ჰყვებიან საკუთარ გაჭირვებაზე, სწორედ იმ მიზეზებზე, რამაც ისინი აქამდე მოიყვანა. აბელ სოსელიას რუდოლფო ტრაგიკულ გმირად იქცევა. მისი აღსარება გაუბედურებული, ცხოვრებაში იმედდაკარგული კაცის მონოლოგია, რომელსაც დაემსხვრა ყველა ოცნება, გაუქრა ყველა იმედი და მისი ყოველდღიური საფიქრალი მხოლოდ ისღაა, სად და რანაირად იშოვოს ბინის მეპატრონისათვის გადასახდელი ფული. ატილიოს შეთავაზებაზე ყველანი თანახმანი არიან, რუდოლფოს გარდა. თავიდან ის შეურაცხყოფილი და დამცირებულია, აღშფოთებულიც კი, რომ ეს უხამსი წინადადება აკადრეს და შესთავაზეს. ძალიან კარგია ა. სოსელიას შესრულება ამ ეპიზოდში. იგი შეძრულია, აფექტის მდგომარეობაში გადის აივანზე და მეზობლებს, უბრალო ქუჩაში გამვლელებსაც კი, აგებინებს, თუ რა ხდება მის თავს. თუმცა, ფული ჯოჯოხეთსაც ანათებსო. დიდი შინაგანი ორთაბრძოლის შემდეგ რუდოლფო ფულის ცდუნებას ვეღარ უძლებს და თანხმდება. თანხმდება და ამ მომენტში მასში კვდება ადამიანი. მან იცის, რომ მისი ცოლი ახლა სხვა კაცთან წევს, თუმცა უკვე ცდილობს აღარ იფიქროს ამაზე. რიტა კი დუმს... მას ისე ჰყიდიან, როგორც საქონელს. მასზე მსჯელობენ, ის კი ჩუმადაა. მისი დუმილი ამ შემთხვევაში, გარკვეულწილად, ქმრის გამოცდას ემსახურება. იგი ცდილობს მისი სიყვარული და ღირსება გამოსცადოს და აი, რუდოლფო ვერ აბარებს გამოცდას. თუმცა რიტასთვის თითქოს სულერთიც კია, დაწვება თუ არა ატილიოსთან. მოხუცს ჩაეძინება, მოხერხებული აგუსტინო საათის ისრებს წევს და სანთელს გადაჭრის. მოხუცს ჰგონია, რომ

თავისი თანხის საფასური სიამოვნება უკვე მიიღო, ბედნიერი დგება საწოლიდან და წასასვლელად ემზადება. თუმცა, ვინ იცის, შესაძლოა, ხვდება კიდეც, რომ კიდეც გაასულელეს და თავს სიამოვნებით იტყუებს. შესაძლოა, მოწყენილი, ერთფეროვანი უსიცოცხლო ყოფისაგან დაღლილი მდიდარი მოხუცი ერთობა იმით, რომ ადამიანებს მარიონეტებად აქცევს, მათზე თამაშობს და ტკბება. მოხუც ატილიოს ყველა თავს ევლება, საკუთარი ხელით აცმევენ, მოჩვენებითი სითბოთი და პატივისცემით აცილებენ სახლში. რუდოლფო ბედნიერია როცა იგებს, რომ მის ცოლსა და მოხუცს შორის არაფერი მომხდარა, მაგრამ მას ავიწყდება, რომ ცოტა ხნის წინათ საკუთარი ცოლი, როგორც პირუტყვი, ისე გაყიდა. მაგრამ ახლა რიტასთვის მნიშვნელოვანი სულაც არ არის ის ფაქტი, იწვა თუ არა იგი ატილიოსთან. მთავარია, ქმარმა იგი დაამცირა, გაიმეტა და ფაქტობრივად გაყიდა. მოხუცის წასვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, იწყება ჩხუბი. ისინი ფულს ვერ იყოფენ... ეს კარგად არის გადმოცემული იმ მიზანსცენით, რომელშიც წითელი შუქის ფონზე, შენელებული მოძრაობებით მსახიობები ერთმანეთს ეჭიდავებიან, იატაკზე დაყრილ ფულს მხეცებივით ესევიან და კრეფენ. ემოციურ ფონს ამძაფრებს სწორად შერჩეული მუსიკა. ყველა თავისი შეტანილი წვლილისათვის დიდ გასამრჯელოს ითხოვს. იწყება ვაჭრობა. შეურაცხყოფილი ან თუნდაც ქმრისაგან გათავისუფლებული და მოხუცის ფულზე დახარბებული რიტა კი იღებს საკუთარ ფულს და მიდის. მისთვის ახალი, ფუფუნებითა და განცხრომით სავსე ცხოვრება იწყება მოხუც ატილიოსთან ერთად.

ჩასვლა...

გორის გიორგი ერისთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი

ხატია ჭოხონელიძე

ყველაფერი დაიწყო ჩვეულებრივ, უბრალოდ და მარტივად: ხმაურით და მტვრით სავსე დიდუბე, სხვადასხვა ზომისა თუ ფერის ტაქსების განუზომელი რაოდენობა და კლიენტის მოლოდინში გამწარებული მძღოლები, ისეთი გამწარებულები, რომ თითქოს გეშინია, რომელიმე მათგანმა მოთმინებადაკარგულმა უცებ ხელი არ გტაცოს და თავის მანქანაში არ შეგკუჭოს შენი ნების საწინააღმდეგოდ. მაგრამ, საბედნიეროდ, მშვიდობიანად გავიარეთ გზა დიდუბის მეტროდან ტაქსების გაჩერებამდე, გადავურჩით ყოველგვარ „ძალადობას“ და მშვიდად ავიყვანეთ ტაქსი გორის მიმართულებით. ტაქსში ოთხნი ვართ: ორი უცხო მგზავრი და მე და მაკო - კონკრეტული მისიითა და დანიშნულებით გორისკენ მიმავალი სტუდენტები. მოკლედ, მძღოლის უცნაური მუსიკით, ავტობანის სისწრაფით, ოთხი მგზავრის განსხვავებული გემოვნებითა და აზრებით სავსე ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ტაქსი გორისკენ მიემართება.

ჩვენდა გასაკვირად, გორში ძალიან მალე ჩავედით და უკვე შემდეგი ტაქსის მოლოდინში ვათვალიერებდით ისტორიულ ქალაქ გორს. პირველ რიგში ჩვენი ყურადღება მიიპყრო გაჩერებაზე გაკრულმა თეატრის აფიშამ: სპეკტაკლი „ჰიპ“, რომელიც დღეს, სამ საათზე იწყება. ასე რომ, დრო ცოტა გვაქვს, სასწრაფოდ უნდა დავდოთ ჩანთები ჩვენთვის განკუთვნილ სახლში და გამოვიქცეთ გორის თეატრში.

ახლა კი ფილმივით ჩვენ ამბავს სწრაფი გადახვევის რეჟიმით გადავახვევ და პირდაპირ თეატრიდან გავაგრძელებ:

... გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ ვდგავართ, ქალაქის ცენტრალური ადგილი, მზიანი ამინდი, გაზაფხული და მშვენიერი სურნელი ჰაერში, მოსეირნე ხალხი და პატარა სკვერი თეატრის წინ, ყოველგვარი პირობა საამოვნო და კარგი განწყობისთვის.

ერთი, ორი, სამი ნაბიჯი... მე და მაკო უკვე თეატრში ვართ და გვაქვს საშუალება ნელ–ნელა გავეცნოთ ამ შენობას. თავდაპირველად, წესისამებრ, მისალმება, თეატრის სხვადასხვა თანამშრომლის გაცნობა, თბილი დახვედრა, წარდგენა ჩვენი და ჩვენი ჩასვლის მიზეზის: ორი სტუდენტი თეატრმცოდნე, რომელიც აპირებს მოაგროვოს მასალა გორის თეატრის ამჟამინდელ ცხოვრებასა და მიმდინარე სპექტაკლებზე.

თეატრში შესვლისთანავე იგრძნობა საქმიანი განწყობა, რაღაც განსაკუთრებული პროცესი, თითქოს ქაოსი და მზადება მნიშვნელოვანი მოვლენისათვის. ყველგან მოფუსფუსე ხალხი, სხვადასხვა საქმით გართული

ძველი და ახალი თანამშრომლები. ჩვენ კი ნელ–ნელა შევდივართ თეატრის სიღრმეში, ვეცნობით აქაურობას და ყველაფრის მიზეზსაც მალევე ვხვდებით. თუმცა, ჯობს, მოვლენებს არ გავუსწროთ და თანმიმდევრულად გავყვეთ ჩვენს გზას: თავდაპირველად პატარა სცენა მოვინახულეთ, სადაც სპექტაკლები უკვე 6 წელია მიმდინარეობს (ეს თეატრის ერთადერთი სცენაა ამ ეტაპზე), პატარა მყუდრო, ოჯახური სცენა, სადაც ძალიან მშვიდი, მოწესრიგებული და თბილი აურაა, მაგრამ რამდენადაც მშვიდია ეს გარემო, იმდენადვე ხმაურიანი და ქაოსურია კარს მიღმა სივრცე. მოდი შევაღოთ და ვნახოთ, რა ხდება იქ: აქ დიდი სცენაა, სადაც აქტიურად წინ მიიწევს განახლების პროცესი. დიდ სცენაზე, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია დახურულია დაზიანების გამო, მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ის ემზადება ახალი სიცოცხლისთვის, ახალი ენერგიისა და ახალი შემოქმედებითი სეზონისათვის. თეატრი მართლაც, გარდამავალ ეტაპზეა, ყველგან მზადება, შეკეთება, განახლება, გადატანა თუ გადმოტანა..

შემდეგი გაჩერება თეატრის საგრიმიორო აღმოჩნდა, სადაც ჩვეული გარემო და ჩვეული მოლოდინია უკვე რეორგანიზებულ თეატრში მოწესრიგებული, განახლებული სივრცისა. სპექტაკლი მალე იწყება, მსახიობები ემზადებიან, გრიმს იკეთებენ, კოსტუმებს იცმევენ, ჩვენ კი, აშკარაა, ხელს ვუშლით, ასე რომ, ჯობს გზა განვაგრძოთ. შემდეგ ერთი, ორი, არ ვიცი ზუსტად რამდენი დერეფანი, ოთახი, მუშები, რემონტი, მტვერი და ბოლოს ერთი პატარა ოთახი, საიდანღაც ამოზრდილი თეატრის სამკერვალო სახელოსნო, სადაც თეატრის ცხოვრებასა და ისტორიასთან შეზრდილი მკერავი, თავის საკერავი მანქანით, ნემსებით, ძაფებით ზის და გაუთავებლად კერავს და კერავს მსახიობების კოსტუმებს. შემდეგ ისევ ქვევით, კიდევ ქვევით და თეატრის დროებითი გარდერობის ოთახი უამრავი კოსტუმით, ნიღბებით, ქუდებით, ფერებით, რომლებიც ელოდებიან თეატრის განახლებას და საბოლოო ბინას.

სპექტაკლის დაწყებამდე ბევრი დრო აღარ რჩება, მაგრამ, ვფიქრობ, მოვასწრებთ თეატრის სალაროში შევლას და ჩვენთვის სასურველი ინფორმაციის შეგროვებას.

სალაროს მასალების გაცნობისას გავერკვიეთ იმ გარემოებაში, რომ თეატრში მოწესრიგებული და გამართულია საზოგადოებასთან, მაყურებელთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმა: ეს იქნება მოსაწვევი, სააბონენტო სისტემა, პოსტერი, აფიშა, ბანერი, facebook-ის გვერდი მუდმივად განახლებადი ინფორმაციით ყოველივე ამის დიზაინი და გაფორმება კი საკმაოდ სასიამოვნო და ზომიერია.

დღესასწაულებზე თეატრი, მაყურებლის წახალისების მიზნით, აწესებს სასაჩუქრე სისტემას: მაგალითად, საბავშვო სპექტაკლზე ახალ წელს ბილეთს მოყვებოდა პატარებისთვის განკუთვნილი ტკბილეულობა და სათამაშოები. როგორც თანამშრომლებთან საუბრისას გაირკვა, თეატრი აქტიურად არის ჩართული ქალაქის სოციალურ–საზოგადოებრივ პროცესებში. აქ ხშირად იმართება საქველმოქმედო საღამოები, სოციალურად დაუცველ ბავშვებს კი უფასოდ შეუძლიათ დაესწრონ სპექტაკლებს. ასევე თეატრის თანამშრომლები ამა თუ იმ დაწესებულებაში ატარებენ სხვადსხვა ღონისძიებას თეატრის პოპულარიზაციისათვის. თეატრის ტექნიკური მხარეც საკმაოდ მოწესრიგებულია, ის აღჭურვილია განათების და სხვა აუცილებელი აპარატურით. თეატრს ჰყავს ოთხმოცამდე თანამშრომელი. ამის გარდა, ის აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტ რეჟისორებთან, მსახიობებსა და დრამატურგებთან.

ბოლო წლებში თეატრის გუნდმა მოახერხა პატარა ქალაქის მცირე მოსახლეობის აქტიურად ჩართვა თეატრის ცხოვრებაში, ეს იმის დამსახურებაა, რომ თეატრში ამუშავდა ის სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს მაყურებლის მოზიდვასა და დაინტერესებას. მაგრამ თეატრის მოლოდინი უფრო სავსე, აქტიური თეატრალური ცხოვრებისა, გაცილებით მეტია სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

სპექტაკლის დაწყების დროც მოვიდა. ჩვენ დარბაზში გადავინაცვლეთ, დავსხედით ჩვენს კუთვნილ ადგილებზე, ხელში მოვიმარჯვეთ კალამი, ჩანაწერების რვეული და ველოდებით შუქის ჩაქრობას, თუმცა, სანამ შუქი ჩაქრება, ჩვენ გვაქვს საშუალება მოვისმინოთ მაყურებლისგან სხვადასხვა შთაბეჭდილება და ფრაზა, მაგალითად, ის, რომ ამა თუ იმ სპექტაკლს უკვე ესწრებიან მესამეჯერ ან მეოთხეჯერ. ეს ძალიან კარგად მენიშნა: თეატრს ჰყავს მუდმივი მაყურებელი, აქვს საყვარელი სპექტაკლები და აქვს სურვილი დაესწრონ მას რამდენიმეჯერ. მე არ ვიცი, რას გვიმზადებს შემოქმედებითად გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ჯერ არც ერთი სპექტაკლი არ გვინახავს, მაგრამ ნათელია, როგორ ცდილობს თეატრი გაზარდოს მაყურებლის ინტერესი თეატრისადმი და ამით პატარა ქალაქის ცხოვრება გახადოს უფრო ხალისიანი და მრავალფეროვანი.

„ჰიპ!“

მაკო გოჩაშვილი

გორის გიორგი ერისთავის სახელმწიფო დრამატული თეატრში საპრემიერო დღეებია. როგორც ქალაქში გაკრული აფიშებიდან ვიგებთ, სპექტაკლი „ჰიპ!“ პატარა და დიდი მოზრდილი მაყურებლისთვისაა. დამდგმელმა რეჟისორმა, ქეთევან-ხათუნა ბედელაძემ გორის თეატრის მცირე სცენაზე უცხოელი ავტორის, იოკე ვენ ლეეუვენის ზღაპარი გააცოცხლა და ჩვენც დიდი ინტერესითა და ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობის მოლოდინით ვადევნებთ თვალს ერთი მეტად უცნაური ჩიტის ისტორიას.

დეკორაცია საკმაოდ მწირია, მაგრამ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავიგოთ, თუ სად ვიმყოფებით. თეატრის სცენა ცოტა ხნით ხასხასა მწვანე მდელოდ იქცევა, სადაც ორი პატარა გორა, პატარა ბუჩქები და ფერადი ყვავილებია, რომლებიც დასაჯდომი ბალიშის ფუნქციასაც შესანიშნავად ითავსებენ. სცენის უკანა კედელზე პროექტორის მეშვეობით მხატვარ თამარ ჭავჭანიძის ნამუშევრებს ვხედავთ. ეს ნახატები ბავშვის ფსიქოლოგიური აღქმის შესაბამისი ხელწერითაა დახატული, რაც პარტერში მჯდომ ნებისმიერ, პატარა თუ დიდ ადამიანს დაეხმარება მოქმედების უკეთ აღქმაში.

როგორც ჩანს, მოქმედება ერთ პატარა სოფელში ვითარდება, ცოლ-ქმრის სახლში, სადაც უცნაური ჩიტი შემოფრინდება, რომელიც ადამიანისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ფრთები აქვს. შინაარსის მოყოლა რომ არ დავიწყო, შევეცდები ზოგადად სპექტაკლის შესახებ ვისაუბრო, რომელსაც არა მარტო ჩემი თვალით, არამედ შეძლებისდაგვარად, ბავშვის თვალითაც შევხედე.

მოქმედებათა წყობა თითქოს მრავალფეროვანია. არის მომენტები, როდესაც განათება საცირკო შოუს ასოციაციას გვიქმნის. სპექტაკლის მსვლელობისას მრავალხმიანი სიმღერაც კი გაიჟღერებს. მსახიობთა როლებიც მრავალფეროვანია. სპექტაკლში ჩვეულებრივი ადამიანის როლის შემსრულებელი მსახიობების გარდა, ჩიტისა და ხოჭოების როლის შემსრულებელ მსახიობებსაც ვხედავთ. რაც შეეხება სამსახიობო ოსტატობას, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის განმასახიერებელი მსახიობების მოქმედება საკმაოდ არადამაჯერებელი და მოჩვენებითია. ეს შეიძლება საბავშვო სპექტაკლის სპეციფიკამაც განაპირობა, მაგრამ ვთვლი, რომ მსახიობი ყოველთვის დამაჯერებელი უნდა იყოს. მას ყოველთვის უნდა შეეძლოს მაყურებელთან კავშირის დამყარება, რაც სპექტაკლის „ჰიპ!“ შემთხვევაში ნაკლებად გამოვლინდა.

მინდა აღვნიშნო, რომ ზღაპრული შინაარსის, ჭრელი კოსტიუმებისა და მსახიობთა მონდომების მიუხედავად, ეს ის სამყარო არაა, რასაც პირადად მე ველოდი, რადგან ზღაპრის მიხედვით დადგმული სპექტაკლი ზეიმს უნდა ჰგავდეს. ზეიმს, რომელსაც ბავშვები სიამოვნებით, სიცილ-კისკისით, მოლოდინითა და გაფართოებული თვალებით შესცქერიან. ამ სპექტაკლმა კი, სამწუხაროდ, გორის თეატრის მცირე დარბაზში ვერ წარმოქმნა ის ნაპერწკალი, რასაც ნამდვილი, ზღაპრული, ბავშვური სამყაროს ასაგიზგიზებელი ცეცხლი უნდა დაენთო. თუმცა, არ შეიძლება არ დაფასდეს ის შრომა, რაც სპექტაკლის რეჟისორმა, რვა მსახიობმა და მის შექმნაში მონაწილე თითოეულმა ადამიანმა გაიღო.

„სექტემბრის თოვლი“

რა არის ცხოვრება თუ არა მრავალფეროვან მოვლენათა ჯაჭვი, რომელიც მხრებზე ისეთი სიმძიმით აწევს ადამიანს, რომ შეუძლებელია გაუძლოს. რატომ ხდება, რომ თითოეული გარე ფაქტორი მოქმედებს ადამიანის შინაგან სამყაროზე, საკუთარ კლანჭებს შორის იქცევს მას და არ აძლევს გათავისუფლების საშუალებას. რატომ ხდება, რომ ხანდახან არ ვიცით როგორ უნდა მოვიქცეთ, ვიყვიროთ, ვიჩხუბოთ, კედელს ვურტყათ თავი თუ უბრალოდ სეირნობით, წიგნებისა და ეტიკეტების კითხვით ან თეთრეულზე ფოთლების თვლით შემოვიფარგლოთ? როგორც გიორგი შალუტაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის, „სექტემბრის თოვლი“ მთავარი მოქმედი პირი, ლუკა იქცევა.

მოქმედება სცენის დალაგებით იწყება. ქალაქის ერთ-ერთ უბანში მდგომ კორპუსის მეთორმეტე სართულზე, ნომერ 24 პატარა და მყუდრო ბინაში, ყველა ნივთი საკუთარ ადგილს იძენს. დეკორაცია სამკაოდ უბრალოა, რაც გვეხმარება უკეთ მოვერგოთ მოქმედების მსვლელობას და პარტერიდან ვადევნოთ თვალი ამ ბინის ბინადრებს. სცენაზე არსებული საგნებითა და მსახიობთა მოძრაობის მიმართულებებით ადვილად ვიგებთ, თუ სად მდებარეობს სამზარეულო, აბაზანა, საძინებელი, აივანი თუ შემოსასვლელი ოთახი.

პირველი მოქმედება შედარებით მონოტონურია, სცენაზე მხოლოდ ორი მსახიობი ჩანს, ბაჩო ქაჯაია და ნათია მელაძე. ისინი სპექტაკ-

ლის მსვლელობისას ცოლ-ქმრის მოვალეობებს ირგებენ და საშუალებას გვაძლევენ, შეგიხედოთ მათი ოჯახის სიღრმეებში და თვალი ვადევნოთ მათი თანაცხოვრებისთვის დამახასიათებელ სირთულეებს.

პირველი პრობლემა, რაც თავს იჩენს სპექტაკლის დასაწყისში არის ის, რომ ბაჩო ქაჯაიას გმირს — ლუკას არ ეძინება. მისი უძილობის მიზეზი არა ერთი, არამედ უამრავ ფაქტორთა ნაკრებია, რომლის შემადგენლობაშიც შედის სახლში არსებული სიგრილე, აივნიდან შემოსული ნაგვის სუნი, ძაღლის ყეფა, ქალაქის ხმაური, გამაღიზიანებელი სამყარო, შიში, სიკვდილის შიში და ყველაზე მნიშვნელოვანი - ნერვული აშლილობა. 40 წლის ასაკში ტრამვირებული ფსიქიკა ვეღარ იტანს სულ მცირე პრობლემასაც კი. ტრამვის გამომწვევი მიზეზი ჯერ სამსახურის დაკარგვაა, შემდეგ სახლის გაძარცვა, ცარიელ კედლებს შორის გატარებული უთვალავი დღე, შინაგანი სისუსტე და ტვირთი, რასაც ყველასათვის კარგად ნაცნობი სახელი „სიცოცხლე“ ჰქვია.

ბაჩო ქაჯაიას მიერ განსახიერებული ლუკა სპექტაკლის პირველ მოქმედებაში აშკარად ერთფეროვანია. არის წუთები, როდესაც თავს გვაბეზრებს თავისი აკვიატებული აზრებით, თუმცა, მის თითოეულ მოქმედებას ცხოვრების ისეთი დეტალები განაპირობებს, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს შეიძლება შეემთხვას. იქნება ეს უბრალო გაღიზიანება თუ მეზობლებთან კონფლიქტი. მისი შეურაცხყოფა და გაოგნება ყველანაირ საზღვარს ცდება, როდესაც ზედა სართულის მეზობელი წყალს ასხამს აივნიდან. ეს მისთვის შოკისმომგვრელი, აუტანელი, დამამცირებელია. ეს არის წუთები, როდესაც გიპყრობს გრძნობა, რომ მთელი სამყარო შენ წინააღმდეგაა განწყობილი. ეს არის წუთები, როდესაც თავიდან ფეხებამდე ებმები ფსიქიკური ტრამვის კლანჭებში და ადამიანი თავისუფლებიდან ტყეობაში გადადის. ეს არის წუთები, როდესაც თავი დაკარგული ნივთი გგონია და „დაკარგული ნივთების დამაბრუნებელ ბიუროს“ ეძებ.

ბაჩო ქაჯაია ნამდვილად კარგად ირგებს „პატიმრის“ როლს, რომელსაც ენა ებმება და თავისი სიცოცხლის დღეებს სეირნობასა და უამრავ ფიქრთან მეგობრობაში ატარებს, ხან ჩვილი ბავშვივითაა, ამქვეყნად მოვლენილი უცხო არსებასავით, ხანაც ეჭვიანი და ოდნავ საშიში კაცივით, რის შედეგადაც მისი არსებობა სრულიად უაზრო, უმოქმედო ხდება და ამას თვითონაც ძალიან კარგად იაზრებს: „აღარც კი ვიცი რისთვის ღირს სიცოცხლე“. მოვალეობის მოსახდელად მოსული საკუთარი და-ძმაც უცხო სხეულივით უყურებს მას. ეცოდებათ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ნამდვილად საცოდავია. ბაჩო ქაჯაია მოქმედების მიწურულს რადიკალურად განსხვავებულ ლუკას განასახიერებს. აშკარაა, რომ დეპრესიის ძლიერი კლანჭებისგან გათავისუფლებული ლუკა კვლავ უბრუნდება ადამიანურ ყოფას, ხოლო დეპრესია ლუკას არსებიდან მისი ცოლის არსებაში გადაინაცვლებს, რადგან, როგორც ჩანს, არც მას შეუძლია სიცოცხლით სავსე სხეულის გარეშე არსებობა.

რაც შეეხება ლუკას ცოლის, ანას როლის შემსრულებელ ნათია მელაძეს, ის ცდილობს, რომ პიესის პერსონაჟის შესაბამისად მანაც დაგვიხატოს არაერთფეროვანი ბუნების მქონე ადამიანის პორტრეტი, მაგრამ საკითხავია რამდენად გამოსდის ეს. პირველ რიგში მინდა, ყურადღება გავამახვილო მისი მეტყველების მანერაზე. მისი ხმა ძალიან ცივი და მონოტონურია, რაც აშკარად არ ტოვებს გულწრფელობის შთაბეჭდილებას. ეს ძალიან კარგად ჩანს პირველსავე სცენაში, როდესაც ქმრის ფსიქიკური აშლილობის პირველი ნიშნების გამოვლენისას, პრობლემის წინაშე არსებული ქალისათვის დამახასიათებელ ჟესტს - ტირილს მიმართავს. ნათია მელაძე თითქოს დაზეპირებულ სიტყვებს იმეორებს და, შესაბამისად, ის სულ მცირე ემოციაც კი, რის გამოხატვასაც ახერხებს, არაა გადამდები. ის მაყურებლისთვის უცხო და ცივია.

განსხვავებულ ამპლუაში ვხედავთ მას მომდევნო სურათში — ახალი სამუშაო, გამომწვევი ჩაცმულობა, უაზროდ ბევრი საუბარი და მოჩვენებითი იმედი, რომ ყველაფერი მალე დამთავრდება. ამ სცენაში ნათია მელაძის ანა შედარებით თავდაჯერებულია. ჩვენ წინაშე დგას ქალი, რომელსაც სრულიად მოულოდნელად მხრებზე დააწვა ნევრიულ ქმარზე ზრუნვა, რომელიც პატარა ბავშვივით მთელ დღეს საძინებელსა და მისაღებ ოთახს შორის მანძილის ტკეპნაში ატარებს, რომლისთვისაც არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან დღე და ღამე, სინათლე და სიბნელე. ნათია მელაძე განასახიერებს პერსონაჟს, რომელმაც უნდა აიტანოს ეს ყველაფერი, რომელმაც უნდა გაუძლოს ცხოვრების ნებისმიერ დარტყმას. მან საკუთარ თავს არ უნდა მისცეს სისუსტის, ხოლო საკუთარ ფსიქიკას შერყევის საშუალება. თუმცა, სპექტაკლის მიწურულს სცენაზე დგას დაქანცული, უსუსური, ძალაგამოცლილი, წონასწორობადაკარგული, დეპრესიის მომდევნო მსხვერპლი, „ბრაზითა და მრისხანებით სავსე“ ანა. ამჯერად ის ითხოვს დახმარებას, შველას. ითხოვს იგივეს, რასაც თვითონ გასცემდა საკუთარი ქმრისთვის. ამჯერად ჩვენ ირგვლივ არსებული სამყარო ანასთვის ხდება გამაღიზიანებელი, მთელი თავისი სიცივით, ხმაურითა და შიშით.

სპექტაკლში „სექტემბრის თოვლი“ მნიშვნელოვანი როლი აკისრია ასევე კახა ბერიძეს, ლიკა კევლიშვილს, ნათია ტატულაშვილსა და ანა ჩოგოვაძეს, რომლებიც ლუკას და-ძმის

ფუნქციას ირგებენ. მათი გამოჩენით იწყება სპექტაკლის მეორე მოქმედება. ისინი დიდი მწუხარებით საუბრობენ ლუკაზე, რაც მაყურებელს აშკარად უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ლუკა გარდაიცვალა. ზემოთ ნახსენები სამი დისგან თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებული პერსონაჟს ქმნის, თუმცა, არც ისე რთულია მოიძებნოს სამივესთვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისება, რასაც ხელგაშლილობის საპირისპირო ცნება - სიძუნწე შეესატყვისება. მათ სურთ, დაეხმარონ საკუთარ ძმას რაც შეიძლება მცირედით. მათი ანასთან საუბარი სამძიმარს უფრო ჰგავს, ვიდრე ახლობლების შეხვედრას. უფრო მძიმეა მათი და ლუკას შეხვედრა, რომელიც თავის დაძმას მატარებლის ვაგონების ფუნქციებს უნაწილებს და ისე ისტუმრებს საკუთარი სახლიდან.

მეტად დამაჯერებელია ლუკას ძმის, ლეოს როლის შემსრულებელი კახა ბერიძე. ის მზადაა ნებისმიერი თანხით დაეხმაროს საკუთარ ძმას, ოღონდ სასაცილოდ მიაჩნია თავისი რძლის იდეა, რომ ათასობით ფული გაიღოს ბანაკისთვის. თუმცა, სპექტაკლის ბოლოს სცენაზე კვლავ ვხედავთ ჯანმრთელი ლუკას ნახვით აშკარად გაოგნებულ ლეოს, რომელიც ფულის მისაცემად მოვიდა. ფული, როგორც ყველასთვის მნიშვნელოვანი რამ, როგორც დამონების სიმბოლო, ლეოსაც გახდის საკუთარ მონად. მას აღარც თავისი გადაწყვეტილება ახსოვს და აღარც თავმოყვარეობა, რის შედეგადაც მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მდგომ ძმას თანხის ნახევარს სთავაზობს. ეს კი ლუკასთვის იმდენად სასაცილო წინადადებაა, რომ სიცილს ვერ იკავებს. კახა ბერიძის ლეო კი გაბრაზებული, გაცოფებული, დამცირებული, განადგურებული, გათელილი, თავმოყვარეობაშელახული, მაგრამ თავისი ფულით გატენილი ჯიბეებით ტოვებს სცენას.

ოპტიმიზმით სავსეა სპექტაკლის ბოლო სცენა. ბაჩო ქაჯაია და ნათია მელაძე ამჯერად მომავლის იმედით სავსე გულითა და გონებით ნატრობენ „აქედან წასვლას“. მათთვის უკვე ყველაფერი სულერთია — უმუშევრობაც, ქალაქის ჭუჭყიც, ხმაურიც, ათასობით ფულიც და ყველა ის გრძნობაც, რაც აქამდე განუცდიათ. რბილ პუფში მჯდომ ბაჩო ქაჯაიასა და მაგიდაზე გაწოლილ ნათია მელაძის თავზე თეთრი, ქათქათა თოვლის ფიფქები ჩნდება. თოვლი მოვიდა, სექტემბრის თოვლი. იქნებ ამან მაინც გაანათოს მათ სამყაროში არსებული სიბნელე.

ფსიქოლოგიურ დრამად გადაწყვეტილი სპექტაკლი „სექტემბრის თოვლი“, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია, რაც გიორგი ერისთავის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეპერტუარშია, ახერხებს მაყურებლამდე მიიტანოს ადამიანის პიროვნული სტრუქტურის რღვევის ეტაპობრივობა. ამერიკელი დრამატურგის, ნილ საიმონის პიესა, რომლის ავტორიზებული თარგმანიც ირაკლი სამსონაძეს ეკუთვნის, აშკარად შეესატყვისება დღევანდელ რეალობას. როგორ შეიძლება სიცოცხლით სავსე ადამიანი ცხოვრების მარიონეტად, დამუნჯებულ, უსუსურ არსებად იქცეს, როგორ ჩნდება გაუცხოება ორ უახლოეს ადამიანს შორის, როგორ ერქმევა საგნებს „ჩემი“ და „შენი“, როგორ ჩნდება უამრავი უაზრო და აზრიანი კითხვა, როგორ იცვლება ადამიანის გრძნობები და მისწრაფებები. თითქმის ორსაათიან სანახაობად შეფუთული ყველა ზემოხსენებული ნიუანსი თავს იყრის გორის თეატრის მცირე სცენაზე და აშკარაა, რომ მაყურებელს არ ტოვებს გულგრილს.

ნინო კენჭაძე

უკანასკნელ წლებში სამეფო უბნის თეატრი მეტად საინტერესო და გამორჩეულ შემოქმედებით კერად გვევლინება. თეატრში თავმოყრილნი არიან ახალგაზრდა რეჟისორები, მსახიობები და დრამატურგები, რომლებსაც, ვფიქრობ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი კონცეფცია და სათქმელი აქვთ, რომლის გამოხატვის გზებსა და ფორმებზეც ისინი ბევრს მუშაობენ. ჩემი აზრით, თეატრის მიერ არჩეული გეზი, ძიებების და ექსპერიმენტების თვალსაზრისით, ერთმნიშვნელოვნად საჭირო და საინტერესოა თანამედროვე ქართული თეატრისათვის. ამჯერად მინდა შევჩერდე ნიკა თავაძის სპექტაკლზე „სტრიპტიზი“, რომლის პრემიერაც 2012 წლის 22 აპრილს შედგა. „სტრიპტიზი“ პოლონელი დრამატურგის, მწერლისა და კარიკატურისტის, სლავომირ მროჟეკის პიესაა. იგი 1930 წლის 29 ივნისს დაიბადა პოლონეთში. ს. მროჟეკი მთელი ცხოვრება ტოტალიტარიზმს ებრძოდა და სიცოცხლის დიდი ნაწილი ემიგრაციაში აქვს გატარებული. მის პიესებში პოლიტიკა და ზოგადად ადამიანის თავისუფლების საკითხი, საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს. სლავომირ მროჟეკი ყველაზე ცნობილი პოლონელი აბსურდისტია. პიესა „სტრიპტიზი“ მან 1961 წელს დაწერა.

ვფიქრობ, ნიკა თავაძის არჩევანი - აბსურდის ჟანრის პიესა, მისი ჩანაფიქრი, საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ იდგა, თუ რამდენად შედგებოდა ხარისხიანი, ღირებული და საინტერესო წარმოდგენა. ფაქტობრივად გამოუცდელი რეჟისორის (ეს მისი რიგით მეორე სპექტაკლია) თამამმა ნაბიჯმა გაამართლა... ვფიქრობ, სპექტაკლი როგორც რეჟისორის, ისე ახალგაზრდა მსახიობების წარმატებაა. წარმოდგენა უდავოდ საინტერესო და გამორჩეული აღმოჩნდა, როგორც ფორმით, ისე შინაარსითა და სწორად გადმოცემული სათქმელით.

სამეფო უბნის თეატრის სცენაზე კიდევ ერთი, მრგვალი სცენაა. მაყურებელთა დარბაზში შესული საზოგადოება წარმოდგენის ნაწილი ხდება. სანამ მაყურებელი დარბაზში საკუთარ ადგილს მოძებნის, პარალელურად თვალს ადევნებს ორი მამაკაცის უხმო ქმედებებს, რომლებიც კითხულობენ ფურცლებზე დაწერილ ტექსტს. ისედაც დაძაბულ ატმოსფეროს, კიდევ უფრო ამძაფრებს მუსიკა (კომპოზიტორი - ნიკა ფასური). ერთ-ერთი მამაკაცი (დათა თავაძე) ხევს ფურცლებს, ღეჭავს და შემდეგ აფურთხებს. გაურკვეველი ხმაურნარევი რიტმები უფრო და უფრო ხმამაღლა ისმის. მამაკაცი ვეღარ უძლებს ფსიქოლოგიურ წნეხს, წამებას, არღვევს მძიმე სიჩუმეს და განწირულად ყვირის: „ეს რა გამიკეთეს“. ორივე მამაკაცი გარეგნულად ერთნაირად გამოიყურება (მეორე მამაკაცი - პაატა ინაური). ისინი რაღაც გაურკვეველი ძალის ზემოქმედებით ამ ოთახში არიან გამომწყვდეულნი, სადაც მხოლოდ ვედრო, ტელევიზორი (რომელიც, ვფიქრობ, რეჟისორს სპექტაკლის სცენოგრაფიაში ჩართული აქვს, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ყველაზე პოპულარული საშუალება) და ერთი შავი ყუთია, რომელიც მსახიობებისათვის სკამის ფუნქციას ასრულებს. ოთახის კარი ღიაა და მამაკაცებს გასვლა ჯერ კიდევ შეუძლიათ, თუმცა ისინი არ გადიან და იწყებენ იმის გახსენებას და გარჩევას, თუ რატომ ან როგორ მოხვდნენ „აქ“ და რატომ არ უნდა დატოვონ ახლა ეს ოთახი. ორივეს, თითქმის ერთნაირი ისტორია აქვს. ისინი მიემართებოდნენ „დასახული მიზნისაკენ“, როდესაც უეცრად სრულიად ამოუცნობი და გაურკვეველი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მოხვდნენ „აქ“. დ. თავაძის გმირი ფიქრობს, რომ შესაძლოა მას სპილო გადაეღობა გზაზე ან მოზეიმე ხალხის ხროვა. ფაქტი კი ერთია, ისინი ცხოვრობდნენ ჩვეულებრივად და უეცრად მოხვდნენ „აქ“. მამაკაცებს ოთახიდან გასვლა უნდათ, მაგრამ ვერ ბედავენ. ისინი დადიან ჩაკეტილ წრეზე და ვერ აბიჯებენ მას. ეს თითქოს სულიერი პატიმრობაა, ფსიქოლოგიური წნეხი - მათ შეუძლიათ უბრალოდ კარის ზღურბლს გადააბიჯონ, მაგრამ ვერ აკეთებენ ამას. იმიტომ რომ ეშინიათ, რადგან გამბედაობა არ ჰყოფნით დაარღვიონ ჩაკეტილი წრე, რომელსაც რეალური საზღვარი არ გააჩნია... იწყება დ. თავაძის ყველაზე შთამბეჭდავი და აბსურდული მოსაზრებების თხრობა, შინაგანი თავისუფლებისა და სისავსის შესახებ, რომელიც, პ. ინაურის განრისხებას იწვევს. „რას ნიშნავს თავისუფლება? ეს არის

არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. სანამ მე აი, აქ ვზივარ, კარი ღიაა და ვიცი, რომ ნებისმიერ წუთს შემიძლია გავიდე, თავისუფალი ვარ. მაგრამ, საკმარისია ავდგე და გავიდე, არჩევანს გავაკეთებ და, შესაბამისად, გამოვრიცხავ შესაძლებლობას ან ასე მოვიქცე ან ისე. სხვაგვარად, შევიზღუდავ თავისუფლებას. ჩემი გასვლის მონა გავხდები!“ (მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ამ ეპიზოდში დ. თავაძის ოსტატური შესრულება. მის მონოლოგს თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ირონიისა და სარკასტული იუმორის ელფერი დაკრავს). მსახიობი განათლებული, თითქოს ოდნავ ნერვიული, საკუთარ მეცნიერულ გამოთვლებში ჩაკარგული, მხდალი მამაკაცის სახეს ქმნის, რომელსაც ალბათ ცხოვრებაში ბევრ კომპრომისზე უწევს წასვლა, საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებების საწინააღმდეგოდ. პ. ინაური კი უფრო აქტიურ და მებრძოლ მამაკაცს წარმოაჩენს. მამაკაცები ერთმანეთს ახსენებენ, რომ დასახული მიზანი და ამორჩეული გზა, მათი სრულიად გააზრებული არჩევანი იყო. „გზატკეცილზე ვიდექი, იყო მხოლოდ ერთი სწორი გზა, მაგრამ მოხდა რაღაც ჩვენგან დამოუკიდებელი და მოხდა ეს“- ამბობს დ. თავაძე. ავტორს უნდა დაგვანახოს ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ საკუთარი არჩევანის და საკუთარი სურვილების შესაბამისად, მაგრამ შესაძლოა მოხდეს რაღაც ისეთი, სრულიად დამოუკიდებელი მათგან, რაც ადამიანის ცხოვრებას სრულიად სხვა გზით წაიყვანს. თუმცა, რა თქმა უნდა, ისიც საკამათოა, თუ რამდენად ვცხოვრობთ ადამიანები საკუთარი გააზრებული არჩევანის შესაბამისად, მაშინაც კი როდესაც ასე გვგონია.

როგორც უკვე აღვნიშნე, ორივე მამაკაცი გარეგნულად თითქმის ერთნაირად გამოიყურება. ტრუსებიც კი ერთნაირი აცვიათ... ორივე სამსახურში მიდიოდა, როდესაც ეს ამოუხსნელი გარემოება შეემთხვათ, რამაც მათ თავისუფლება აღუკვეთა. ჩვენ არ ვიცით მათი სახელები და ეს არც არის საჭირო. ისინი, თითქოს არა კონკრეტულ ადამიანებს, არამედ რაღაც განზოგადებულ სახეებს გვიჩვენებენ, გნებავთ ტიპაჟებს. დ. თავაძეს ეშინია წინააღმდეგობის გაწევის და ამიტომ არ აქვს ოთახის დატოვების მცდელობა. საკუთარ სიმხდალეს კი რაღაც გაურკვეველ შინაგან თავისუფლებას აბრალებს, რომლის მიხედვითაც არჩევანის გაკეთება თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს. პ. ინაურის გმირი კი ბრძოლას აპირებს და გადაწყვეტს დატოვოს ოთახი. ორი მამაკაცის განსხვავებული შეხედულებები ერთმანეთს ეჯახება და ამ კამათისას იწყება მამაკაცების დასჯა - კარი იკეტება. ახლა კი ისინი ნამდვილად პატიმრობაში არიან. პ. ინაური ცდილობს დაკეტილი კარის გაღებას და სწორედ ამ დროს გამოჩნდება ეკრანზე ბატონი ხელი, რომელიც საჩვენებელი თითის მოძრაობით ანიშნებს პ. ინაურს, რომ გაიხადოს ფეხსაცმელი და მოიხსნას ქამარი. რეჟისორს ეკრანი საკმაოდ ეფექტურად აქვს გამოყენებული. ეკრანზე გამოსახული ხელი, ერთგვარად სპექტაკლის მესამე პერსონაჟი ხდება. პ. ინაური ნებდება და იხდის, თუმცა ეს არ არის ხელისათვის საკმარისი. იგი იგივე მეთოდებით დ. თავაძესაც სჯის. მიუხედავად იმისა, რომ მას ოთახიდან გასვლასთან დაკავშირებით სულ სხვა მოსაზრება ჰქონდა. დ. თავაძე ცდილობს არგუმენტირებულად აუხსნას ხელს, რომ მას არაფერი დაუშავებია, მას არ გაუწევია წინააღმდეგობა, არ გაუკეთებია არჩევანი და ამიტომაც უსამართლობაა, რომ პ. ინაურის მსგავსად დაისაჯოს. თუმცა, ხელისთვის ეს სულერთია. აქედან იწყება მამაკაცების სტრიპტიზი... მაყურებლის წინაშე ისინი ნელ-ნელა შიშვლდებიან და აშიშვლებენ საკუთარ თვისებებს, საკუთარ სულს. ხელის ძალადობას ისინი მიჰყავს პიროვნების ნგრევისაკენ. ნელ-ნელა ვხედავთ პ. ინაურის გმირში, როგორ სუსტდება წინააღმდეგობის გაწევის უნარი, „ხელი“ როგორ თრგუნავს მასში ბრძოლის სურვილს, როგორ იწყება ადამიანში პრინციპების და ღირსების დათმობა. მამაკაცები საკუთარი პრინციპების, ღირებულებების საწინააღმდეგო ქცევას იწყებენ. აქ ჩანს ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ფაქტორი - საკუთარი პრინციპების უგულვებელყოფა, საკუთარ ღირსებაზე და მორალზე უარის თქმა, ანდა უბრალოდ მარტივად, რომ ვთქვათ, კონფორმიზმი, რომელიც ასეთი დამახასიათებელია ზოგადად ადამიანისათვის. ყველანაირი პიროვნული და ინდივიდუალური თავისებურებების დათრგუნვა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი იგრძნო დაცულად და უსაფრთხოდ; გაერიო უსახურ მასაში, სადაც ისეთივე უფერული გახდები, როგორიც სხვა დანარჩენია და ამიტომ, შეუძლებელი გახდება საკუთარი გამორჩეულობით ვიღაცისათვის შესამჩნევი გახდე. კონფორმიზმის თემა მეტად აქტუალურია, როგორც თანამედროვე ლიტერატურისათვის, ისე ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, სადაც ხშირად თანამედროვე ადამიანი „საკუთარი თავის გადარჩენის“ მიზნით, სწორედ ამ ხერხს მიმართავს. „სტრიპტიზის“ მონაწილენიც დაახლოებით იგივე პრობლემის წინაშე დგანან. თავის გადარჩენის მიზნით, ისინი ყველაფერზე თანახმანი არიან. აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა - „სიკვდილი ან სიცოცხლე“. სწორედ ეს ხდება მათი ქმედებების მოტივაცია. სიცოცხლე — კონფორმისტული, უპრინციპო, უსაზრისო და მონური ან ბრძოლაში დამარცხება და სიკვდილი.

სანამ პ. ინაურს ჯერ კიდევ შესწევს ბრძოლის ძალა, იგი ანსახიერებს მეთევზის ეტიუდს და თან შუბერტის „კალმახს“ მღერის. ეს კვლავ ხელის განრისხების მიზეზი ხდება და ახლა მა-

მაკაცები მხოლოდ ტრუსების ამარა რჩებიან. დ. თავაძე, მიუხედავად იმისა, რომ თავად არაფერს აკეთებს, მაინც იგივენაირად ისჯება. საკუთარ სასჯელს ის პ. ინაურს აბრალებს და თავად, კვლავ არც იცვლის პოზიციას შინაგანი თავისუფლების შესახებ, რაც უფრო და უფრო კომიკურ ხასიათს ღებულობს. იგი იქცევა იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში, სხვისი მითითებების მიხედვით მოქმედებენ, მონურ ყოფაში ატარებენ მთელ ცხოვრებას; თანაც, ამას რაღაც გაურკვეველი მიზეზებით ამართლებენ ანდა სულაც არ აღიარებენ და სამაგიეროდ თავს ესხმიან იმ ადამიანებს, რომლებიც არ ეგუებიან არსებულ ვითარებას და „რაღაცის“ შეცვლისათვის იბრძვიან. ხელი ნელ-ნელა მამაკაცებს ყველანაირ უფლებას ართმევს, უფრო და უფრო მეტად ძალადობს მათზე; ჯერ მხოლოდ ფსიქოლოგიურად, შემდეგ კი ფიზიკურადაც, რასაც ვხვდებით პ. ინაურის ოთახიდან გაყვანის და შემდეგ „მოთვინიერებულის“ უკან დაბრუნებით; რაც ვითარდება მას შემდეგ, რაც დ. თავაძე კვლავ არ იტეხს იხტიბარს და შინაგანი თავისუფლების შესახებ საუბრობს. ეს უკვე პ. ინაურის პერსონაჟის აღშფოთებას იწვევს და ისინი ჩხუბობენ. ხელისაგან ახლა პ. ინაურს აშკარად განსაკუთრებული სასჯელი ელის. საკუთარ თავთან მარტო დარჩენილ, შეშინებულ, დაბნეულ და უკვე სულიერად შეძრულ დ. თავაძეს აღარ უწევს სხვის წინაშე თამაში და თავის მხნედ მოჩვენება. აქ თამაშდება ძალიან საინტერესო მიზანსცენა, რომელსაც ალბათ, შესაძლოა სხვადასხვა ახსნა მოუძებნო. ის პირში იგუბებს წყალს და შადრევანივით აფურთხებს წითელ ხალიჩაზე. თითქოს, მაყურებელს (საზოგადოებას) ართობს საკუთარი ქმედებებით. დაქანებულ მრგვალ სცენაზე გადაშლილი წითელი ხალიჩა მთის ასოციაციას იწვევს. ახლა დ. თავაძე ღიღინებს შუბერტის „მეთევზეს“. იგი სველ ხალიჩაზე ჯდება და მომღიმარი, თითქოს კმაყოფილი გამომეტყველებით სრიალით ეშვება ბოლომდე, ეცემა სცენაზე და ამას აკეთებს დაღლამდე, განადგურებამდე. მისი დაშვება ნელ-ნელა უფრო და უფრო გამეტებული და მძაფრი ხდება. ეს რეჟისორული ჩანაფიქრი, მსახიობის გამეტებული სრიალი და დანარცხება ფიცარნაგზე, ჩემი აზრით, პიროვნების უსუსურობის, მრავალჯერ დაცემის, მისი სიმხდალის, მონური ხასიათის, თვითგვემის მანიშნებელია. დ. თავაძე ვერ იმარჯვებს ვერც გარემო პირობებზე, ვერც თავის თავზე, ვერც საკუთარ ცხოვრებაზე. იგი ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მწარედ ენარცხება და მარცხდება, ნადგურდება როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება. მინდა აღვნიშნო დ. თავაძის შესრულება ამ ეპიზოდში, სადაც იგი თავდაუზოგავად, უდავოდ ემოციურად, ფიზიკურად რთულ მანევრებს ასრულებს და ამასთანავე, სრულყოფილად გადმოსცემს საკუთარი პერსონაჟის ემოციებს. მისი შესრულების ყურებისას სისავსის გრძნობა გიჩნდება, რადგან მაყურებლის წინაშეა სრული ბუნებრიობით, ორგანულობით, დამაჯერებლობით ნაჩვენები ადამიანის ფიზიკურად და სულიერად განადგურების ფაქტი. დ. თავაძის „დაშვებების“ ფონზე მუსიკას, რომელიც ერთიორად ამძაფრებს ემოციურ ფონს, ჯერ ემატება რაღაც გაურკვეველი ხმაური, შეძახილები, თითქოს აქციის მონაწილე ადამიანების ხმა, ყვირილი, სასწრაფო დახმარების მანქანის გაბმული სირენა, ქუჩის ხმაური. დ. თავაძე კი თითქოს ბოლო შემორჩენილ ძალებსაც არ ზოგავს, კვლავ ადის „მთის მწვერვალზე“, საიდანაც ისევ ეშვება. მისი თავგამეტებული დაშვება კიდევ უფრო შემზარავია ამ ერთმანეთში არეული „ხმების“ ფონზე. ამ აუტანელი ხმაურის ფონად დადებაში თითქოს ჩანს ადამიანური ყოფის და მთელი სამყაროს უსაზრისობა, უსუსურობა, წარმავალობა, ადამიანის განწირულობა, უიმედობა, შრომის უშედეგობა და გარდაუვალი დამარცხების აშკარა პერსპექტივაა დ. თავაძე ასრულებს საკუთარ „ბრძოლას“ და დაქანცული, კვლავ მომღიმარი გამომეტყველებით ჯდება სკამზე. ამ დროს კი იდუმალი კარიდან შემოდის „დამორჩილებული“ პ. ინაური, წითელი ბოათი დაბმული, რომლის მეორე ბოლოც არ ჩანს. სადავეები ვიღაცის ხელშია, ვიღაცის, რომელიც ჩვენთვის უხილავია. გატეხილი და უკვე მონად ქცეული პ. ინაური ატყობინებს დ. თავაძის პერსონაჟს, რომ აუცილებელია ბოდიშის მოხდა. მართალია, თავადაც არ ესმის, რისთვის უნდა მოიხადონ ბოდიში, მაგრამ უნდა მოიხადონ, რადგან ეს ხსნისა და გადარჩენის ერთადერთი გზაა. „უნდა დავემორჩილოთ, რომ გადავირჩინოთ თავი“. დ. თავაძე თავდაპირველად უარზეა და არ სურს ბოდიშის მოხდა. მისთვის ეს ქმედება, გარდა სხვა ფაქტორებისა, არჩევანის გაკეთებასთანაა დაკავშირებული, რაც მისი აბსურდული შინაგანი თავისუფლების რღვევას ნიშნავს, ანდა რეალურად შესაძლოა მისი ამ ფილოსოფიის მიღმა, საკუთარი ქმედებებისა და არჩევანის გაკეთების შემდეგ, პასუხისმგებლობისგან გაქცევის მცდელობა იმალება. სწორედ ამიტომ ცდილობს ბოლომდე დ. თავაძის პერსონაჟი გაექცეს არჩევანს და ამიტომაც იგი ეუბნება პ. ინაურს: „თქვენ უნდა მაიძულოთ თქვენთან ერთად მოვიხადო ბოდიში. მაშინ არავითარ არჩევანზე აღარ იქნება საუბარი“. ამით ის საკუთარ თავთან და სამყაროსთანაც იხსნის პასუხისმგებლობას და კვლავ პ. ინაურის პერსონაჟს აკისრებს. ფსიქოლოგიურად და მორალურად ორივე მამაკაცი ბოლომდე დაცემული და განადგურებულია, მაგრამ იმისათვის, რომ იცოცხლონ, ისინი გადაწყვეტენ ბოლომდე დამორჩილებას და ბოდიშის მოხდას, მიუხედავად იმისა, რომ

კარგად ესმით, არამცთუ საბოდიშოდ აქვთ საქმე, არამედ თავად არიან მსხვერპლნი. მაგრამ ახლა აქ ღირსებას და იდეალებს არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარი გადარჩენაა, მხოლოდ გადარჩენა და სამაგიეროდ მიღებული ჯილდო - მონური ცხოვრება. ღირსებების და პრინციპების რღვევა უკვე მათთვის უმნიშვნელოა. დ. თავაძე იღებს მიკროფონს და იწყება მთელს წარმოდგენაში ყველაზე მეტი სარკაზმითა და შავი იუმორით გაჯერებული არაჩვეულებრივი მიზანსცენა - ვრცელი და მძიმე ბოდიშის მოხდა. რეჟისორის გადაწყვეტით სცენაზე „აბსურდულად“ ირთვება ბარის ან კაბარესათვის დამახასიათებელი ფერადი შუქი. პ. ინაური, მაყურებელთან ნახევრად ზურგშექცეული, ტანის მსუბუქი მოძრაობით ჰყვება მუსიკის ჰანგებს. დ. თავაძე კი განაგრძობს თავის ვრცელ ბოდიშს. იგი ყველაფრისათვის იხდის ბოდიშს და ამ დროს, არც კი იცის რისთვის. ავტორის ოსტატური სარკაზმი და ირონია იქამდე მიდის, რომ საბოლოოდ ის საკუთარი არსებობისთვის, უბრალოდ იმისთვისაც კი იხდის ბოდიშს, რომ სუნთქავს. არაჩვეულებრივია როგორც დრამატურგის ტექსტი, ისე დ. თავაძის შესრულება, მისი ინტონაციები, მიმიკა, მოძრაობები, სადაც ყველა აქცენტი სწორადაა დასმული და არ შემიძლია, რომ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფრაზა მაგალითად არ მოვიყვანო: „ძვირფასო ხელო, ბოდიში იმისათვის, რომ მივდიოდით, რომ მივემართებოდით, გვაპატიეთ ყველაფრისთვის, ჩვენ არაფერი ვიცით. მე მესმის, რომ ჩვენი მოსმენა თქვენი ძირითადი საქმიანობა საერთოდ არ ყოფილა, მაგრამ გთხოვთ მიიღოთ ჩვენი ბოდიში... ბოდიში იმისთვის, რომ ბოლომდე არასოდეს ვიცავდით საგზაო მოძრაობის წესებს; ბოდიში იმისთვის, რომ კვირაში ერთხელ თავს უფლებას ვაძლევდით ცოტა ალკოჰოლი დაგვეღია; ბოდიში იმისთვის, რომ სიხარბე გვძლევდა ხოლმე და იმაზე მეტს ვჭამდით, ვიდრე ჩვენი ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო; ბოდიში იმისთვის, რომ ვწერდით მარცხნიდან მარჯვნივ და ასევე ვკითხულობდით და არა პირიქით; ბოდიში იმისთვის, რომ უფრო მეტი შვილი არ გვყავს; ბოდიში იმისთვის, რომ ბანკში შავი დღისთვის ფული მაქვს გადადებული უზრუნველყოფილი სიბერე რომ მქონდეს; ბოდიში იმისთვის, რომ როცა მარტო ვარ, ტუალეტიდან გამოსული არასდროს ვიბან ხელებს; ბოდიში იმისთვის, რომ მეზარება დილაობით ვარჯიში და ძველებურ ფორმაში ვეღარ ვარ; ბოდიში იმისთვის, რომ დილაობით აუცილებლად მივირთმევ ერთ თოხლო კვერცხს, თუმცა ამის ობიექტური აუცილებლობა არ არსებობს; ბოდიში იმისთვის რაც მინდოდა, ახლა მინდა, ოდესმე მომინდება, ან მომდომებია. თუ შეიძლება, ასე ვთქვათ, გიხდით ერთ, დიდ, გაერთიანებულ და გენერალურ ბოდიშს!..“ - ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი.

ხელის მისია შესრულებულია, ადამიანების პიროვნული რღვევა და დამორჩილება შედგა. რეჟისორის გადაწყვეტილებით, ის უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია ამ ორმა მამაკაცმა დაიბრუნა თუ არა, მხოლოდ ზედაპირული, ფიზიკური თავისუფლება თუ დარჩნენ პატიმრობაში ან სულაც არ გაამართლა მათმა ბოდიშმა და სიკვდილით დაისაჯნენ. მთავარია, რომ მათ სწორედაც დაკარგეს თავისუფლება. ვერ გაუძლეს ფსიქოლოგიურ წნეხსა და ძალადობას, ხელის გავლენას და დანებდნენ, დანებდნენ საკუთარი ცხოვრების ხარჯზე.

მაყურებელს აუცილებლად დააფიქრებს წარმოდგენის ფინალი და შესაძლოა გაიხსენოს, თუ რამდენჯერ ყოფილა ცხოვრების მანძილზე თავადაც მროჟეკისეული სტრიპტიზის მონაწილე. არც პიესის ავტორი და არც რეჟისორი არ აკონკრეტებს ხელის ვინაობას. ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მკითხველს და მაყურებელს არჩევანის უფლება რჩება, მასში შეუძლია დაინახოს ის, ვინც ან რაც, თავად სურს. ხელი შესაძლოა იყო ნებისმიერი ავტორიტეტული და გავლენიანი ინსტიტუტი, საზოგადოება, პოლიტიკა, სახელმწიფო თუ რეჟიმი, ტრადიციები, ან უბრალოდ რომელიმე კონკრეტული ფიგურა, წარსულიდან ან ჩვენი თანამედროვეობიდან. ამ ანალოგიების გაკეთება კიდევ უფრო მარტივია დღეს ჩვენთვის, ქართველებისთვის, რადგან ამგვარი მაგალითები, სამწუხაროდ, ნათლად და მრავლად გვაქვს, იქნება ეს ხელშეუხებელ ავტორიტეტებად ჩამოყალიბებული და გაღმერთებული ადამიანები თუ მეტად გაძლიერებული, თავისი არსით მახინჯი ინსტიტუტები. ჩვენს ირგვლივაც მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც სწორედ ამგვარი სტრიპტიზის ცეკვა, საკუთარი შეხედულებების და პრინციპების დამალვა უწევთ მხოლოდ იმიტომ, რომ იცხოვრონ და ვიღაცამ ან რაღაცამ არ აღკვეთოს მათი თავისუფლება ან უფრო მეტიც, სიცოცხლე. ვფიქრობ, ამ სპექტაკლის ღირსებაც პირველ რიგში სწორედ ამაში მდგომარეობს, რადგან ის იდეალურად ეხმიანება ჩვენს საზოგადოებასა და ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და მისი თემატიკა არ არის განყენებული. ეს არაა შორეული წარსულის მოვლენები, რომელიც მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად, მინდა დავამატო, რომ სპექტაკლის სათქმელი სწორად შერჩეული ფორმებითა და ხერხებითაა გადმოცემული, იქნება ეს უდავოდ ოსტატური სამსახიობო შესრულება, აბსურდის თეატრისათვის დამახასიათებელი „ჩართვები“ (ქმედებები, მოკლე ფრაზები, ალოგიკური სიტყვები და სხვ.), სადა დეკორაცია, ზედმიწევნით შესატყვისი მუსიკალური ფონი თუ სხვა ვიზუალური და ვერბალური ხერხები.

„ლამაზი ცრემლები“

ნინო მაჭავარიანი

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო კონსულტანტია. ეს ფაქტი უკვე აისახა და მომავალში უფრო უკეთ გათვალსაჩინოვდება ამ შესანიშნავი თეატრისათვის. მას კიდევ ერთხელ შეიძლება მივულოცოთ გენიალური რეჟისორის ყურადღება, რომელიც ჯერჯერობით კიდევ ერთი მხრივ გამოიხატა — თელავის თეატრს რუსთაველი ხშირად უმასპინძლებს და თბილისელ მაყურებელს მისი საპრემიერო სპექტაკლების ხილვის საშუალება მიეცემა.

17 მაისს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლის „ლამაზი ცრემლები“ ავტორი და შემსრულებელი, თელავის თეატრის წამყვანი მსახიობი თემურ ხუნაშვილი წარდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე.

სპექტაკლის მსვლელობისას მსახიობს საკუთარი მონოლოგების, მიხეილ ჯავახიშვილის, რეზო ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის, კარლო კობერიძის, რეზო გეთიაშვილის ნაწარმოებების საკმაოდ გრძელი ნაწყვეტებისა და თავის ე.წ. მეორე ხმასთან დიალოგის წარმართვა მოუხდა. უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი არა მხოლოდ ნაწარმოებების მხატვრულ კითხვას, არამედ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ფლობს დარბაზს. თ. ხუნაშვილს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს მაყურებლის ყურადღება. პირიქით, მან მღელვარედ, გადამდები ემოციურობითა და სრულყოფილი სამსახიობო ოსტატობით მოახერხა მისი ჩართვა სპექტაკლის მსვლელობაში. მსახიობმა კლასიკური და თანამედროვე ქართული პროზის მარგალიტები შინაარსობრივად ერთიანი ძაფით შეკრა, რომელსაც პირობითად ქართველი კაცის შინაგანი ბუნების სცენური წარმოსახვა შეიძლება ვუწოდოთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს პატარა წარმოდგენა ქართული ლიტერატურის იმ საღამოდ იქცა, რომელმაც მაყურებელს კიდევ ერთხელ განაცდევინა ცნობილ ქართველ მწერალთა შემოქმედების განუმეორებელი ხიბლი.

სცენოგრაფმა ლევან როსტომაშვილმა სცენა ქართული სოფლის ნამდვილ ინტერიერად წარმოგვიდგინა — მარჯვნივ მან ბუხარი, პატარა მაგიდა, სკამი და ზედ დადგმული ლამპა მოათავსა, რამაც სცენის ამ კუთხეში მყუდრო ოთახის განწყობა დაბადა. შერჩეულ ნაწარმოებებში ხსენებული ნივთების მიხედვით კი სცენაზე შესაბამისი სცენოგრაფიული ანტურაჟიც განათავსა — მარჯვნივ ფერადი ნაჭრებით მორთული დიდი ნატვრის ხე, მის ძირში ჯორკოთი, სკამის მაგივრობას რომ სწევს. ავანსცენაზე — წითელი ხალიჩა, ზედ დაწყობილი ვერცხლის თუნგებითა და ზედ დარჭობილი დიდი, მამაპაპური ხმლით. სცენის სიღრმეში, მარცხნივ — სალოცავი თავზე ჯვრითა და ჩამოკიდებული დიდი ზარით, მარჯვნივ — დუქანი. ყოველი ნაწარმოების კითხვისას მსახიობი უახლოვდებოდა თითოეულ მათგანს — ხან ბუხართან ჯდებოდა, ხან — ნატვრის ხის ქვეშ დადებულ ჯორკოზე, ხან ლამპას ანთებდა, ხან — სანთელს, ხან ზარს რეკავდა, ხან კი წითელ ხალიჩაზე წაიჩოქებდა და თუნგით წყალს ასხამდა. ის იმ ცხოვრებით ცხოვრობდა, რითაც მისი წარმოსახული გმირები.

მიხეილ ჯავახიშვილის „ორი შვილი“, ისევე როგორც დანარჩენი ნაწარმოებები, მსახიობმა თავისი კვანძის შეკვრით, მოქმედების განვითარებით, კულმინაციითა და კვანძის გახსნით, ანუ არა მხოლოდ სცენური თხრობის დინამიკურობით წარმოგვიდგინა, არამედ სცენური პლასტიკის ნიუანსებითაც გაამდიდრა — მისმა ქმედებამ სცენაზე წუთითაც ვერ მოადუნა მაყურებლის ყურადღება. მისი ყოველი მოძრაობა სცენოგრაფიული დეტალებით განმარტავდა და აძლიერებდა თხრობის ეფექტს, რაც ყველაზე უკეთ მის მიერ ამ ნაწარმოებთა ღრმა შინაგანი განცდით წარმოდგენამ განაპირობა.

სპექტაკლში ყოველი ლიტერატურული ნაწარმოების სცენურ თხრობას თავისი ექსპოზიცია აქვს. ამ მხრივ, განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო დიალოგი გოდერძი ჩოხელთან.

— გამარჯობა, ვერ მიცანი? გოდერძი ვარ, ჩოხელი! — მიმართავს შინაგანი მეორე ხმა სცენაზე მდგარ მსახიობს. გოდერძი ერთადერთი მწერალია, რომელსაც „შეუშინაურდა“ თ. ხუნაშვილი, ალბათ იმიტომ, რომ თავად გოდერძი იყო ასეთი თბილი და ახლობელი ყოველი ჩვენგანისათვის. მსახიობმა „გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი“ მწერლის შესაფერი პოეტური სიტყვით წაიკითხა და მის ამ უკვდავ ნაწარმოებთან ერთად რეზო გეთიაშვილის „კახეთით“, კარლო კობერიძის „აღდგომით“, რეზო ინანიშვილის „კახური საშუაღამეოთი“ და „ლამაზი ცრემლებით“ მაყურებელს ქართული სოფლის ემოციური და პოეტური აღქმის ლამაზი ცრემლი მოგვარა.

მსახიობმა ეს წარმოდგენა ანთებული ლამპით, სცენის სიღრმეში დანთებული სანთლითა და ავანსცენაზე დანთებული დიდი კანდელით დაიწყო. სხვა მრავალ საყურადღებო ფრაზასთან ერთად მისმა მეორე ხმამ თავიდანვე გააფრთხილა, რომ გამოჩენილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ღირსეული გასცენიურება ხელოვანისათვის ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავსო.

წარმოდგენის დასასრულს კი ხაზგასმული კახური კილოთი ჰკითხა:

— რა ქენი? გაიარე ბეწვის ხიდზე?

— რა ვიცი, — უპასუხა მსახიობმა და მაყურებლისკენ მობრუნდა. ამ უკანასკნელის მხურვალე აპლოდისმენტებმა კი კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თემურ ხუნაშვილმა არა მხოლოდ გაიარა ამ ბეწვის ხიდზე, არამედ ჩვენც გაგვატარა მასზე ისე, რომ საათზე მეტმა დრომ ერთი წუთივით ჩაიარა და ქართული სიტყვის მადლითა და მწერალთა უკვდავი ნაწარმოებების ფილოსოფიური სიღრმით ჭეშმარიტი ესთეტური სიამოვნება განგვაცდევინა.

ქართველი რეჟისორი ბროდვეიზე



2013 წლის გაზაფხულზე ჩეხოვის „თოლიას“ დასადგმელად ერთი ამერიკელი პროდიუსერი ეძებდა რეჟისორს. ნაცნობებმა მას შესთავაზეს ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი ირინა გაჩეჩილაძე, რომელმაც ნიუ-იორკში, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს, სწორედ იმ ხანებში საკმაო წარმატებით იმუშავა ერთ თანამედროვე ამერიკულ პიესაზე, რომელიც სექტემბრის ტერაქტზე იყო დაწერილი. ისიც იცოდნენ, რომ ირინას მოსკოვში, კერძოდ, რუსეთის თეატრალური ხელოვნების აკადემიაში („გიტისში“) ჰქონდა მიღებული მაგისტრის ხარისხი.

დამოუკიდებელი კომპანიები, როგორც წესი, ქირაობენ თეატრალურ სივრცეს. ასე რომ პროდიუსერმა და რეჟისორმა მონახეს ჩეხოვის „თოლიასათვის“ შესაფერისი დარბაზი, რომელსაც თეთრი უპრეტენზიო ანტურაჟი ახასიათებს. შუა მანჰეტენზე მდებარე პატარა თეატრს (სულ 75 დასაჯდომი ადგილით) ჰქვია „Theatrelab“ და ის მასპინძლობს როგორც კლასიკურ, ასევე ექსპერიმენტულ პროექტებს. ამ თეატრის სცენაზე ხუთი დღის განმავლობაში თამაშობდნენ ირინა გაჩეჩილაძის დადგმულ „თოლიას“ და აქედან ოთხი დღე სრული ანშლაგი იყო: მაყურებლის ნაწილი თანახმა იყო იატაკზე მჯდარიყო, რადგან სკამები არ ეყოთ, ბევრი საერთოდ ვერ შევიდა გადაჭედილ დარბაზში.

პროექტი ანტრეპრიზული იყო და მსახიობების ქასთინგი გაგრძელდა თვეზე მეტხანს. სპექტაკლში მონაწილე10 გმირისათვის რეჟისორს მოუხდა 180 მსახიობის ნახვა და მათგან 10-ის შერჩევა. დანარჩენი სამი მცირესიტყვიანი გმირი სპექტაკლის მუსიკალურ-ხმოვან გამფორმებელ ტრიოდ იქცა, რომლებიც ქმნიდნენ შესაბამის ხმებსა და მუსიკას.

ქასთინგის დროს მთავარი როლის შემსრულებლად არჩეული ერთ-ერთი მსახიობი, ცნობილი კინორეჟისორის სტივენ სპილბერგის ვაჟიშვილი აღმოჩნდა. ის ამას მალავდა, იყენებდა სხვა სახელსა და გვარს და პროექტის მონაწილე სხვა მსახიობებმა ვერც გაიგეს ვინაა იგი. რეჟისორმა, რომელმაც მისი ნამდვილი გვარი ადრე შეიტყო, უმალავდა ამას პრესას, რომ აჟიოტაჟი არ ატეხილიყო. ახალგაზრდა კაცს უნდოდა დამოუკიდებლად გამოეცადა თავისი, უდავოდ, გამორჩეული სამსახიობო ნიჭი და ამიტომაც არ სურდა თავისი ნამდვილი ვინაობის გამხელა. რეჟისორსაც უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მაყურებელი მოდის მის დადგმაზე და არა სხვისი სახელის გამო! რასაკვირველია, მას რომ ეთქვა ეს ჟურნალისტებისათვის, სპექტაკლი, ალბათ, ამერიკული პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა...

ირინა გაჩეჩილაძისათვის სპექტაკლის აფიშა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კოსტუმებისა და დეკორაციის დიზაინი. მის მიერ დადგმულ ყველა სპექტაკლსა და ფილმში გაფორმება, დეკორაციები და აფიშაც კი მისი იყო. ჩეხოვის „თოლიას“ შემთხვევაშიც რეჟისორმა, რომელიც დიზაინერის ფუნქციასაც ითავსებდა, მიიჩნია, რომ თოლია, როგორც რაღაც უაზრო მსხვერპლის სიმბოლო, სპექტაკლის ყველა გმირს მიესადაგებოდა. ამიტომაც თავისი აფიშისათვის აიღო რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მონარქის, ნიკოლოზ II-ის ოჯახის (რომელიც, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად დახვრიტეს ბოლშევიკებმა) ცნობილი ფოტო და მათი სახეები თოლიას თავებით შეცვალა.

ირინას რუსულ კლასიკაზე მეორედ მოუწია მუშაობა. ამ მიმართულებით მისი პირველი პროექტი იყო პუშკინის „ონეგინი“, რომლის დრამატული ვერსია, გადამუშავებული ბესო ხვედელიძის მიერ, თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში 2010 წლის თებერვალში დაიდგა.

ირინას დიდი სურვილია ამერიკელ მაყურებელს გააცნოს ქართული დრამატურგიაც.

საფესტივალო შთაბეჭდილებანი

ვაჟა ძიგუა

უკვე კარგა ხანია, პრესის თუ სხვადასხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით, საზეიმოდ გვაუწყებენ ხოლმე საქართველოდან წარგზავნილი თეატრების, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კოლექტივებისა თუ ცალკეული შემსრულებლების თვალსაჩინო წარმატებების შესახებ. ცოდვა გამხელილი სჯობს და ზოგჯერ ეჭვიც კი გაჩენილა შეფასების კრიტერიუმების მართლზომიერებაში — ნუთუ, ნებისმიერი მოგზაურობა გამარჯვების მომტანია?.. სულის სიღრმეში ეს კითხვა ბუნებრივად იბადება. ისიც ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო, ამიტომაც სიამოვნებით დავთანხმდი შემოთავაზებას, მონაწილეობა მიმეღო თურქეთში გამართულ მოსწავლეთა და სტუდენტთა თეატრების საერთაშორისო ფესტივალში.

ფესტივალი გაიმართა ქემერში — ანტალიის სამხარეო კულტურის სამინისტროს, ქემერის მერიის კულტურის სამსახურის, ტურისტული სააგენტოს „ვოიაჯ-ტურის“, ქართული ფოლკლორის და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირ „ჰარმონიას“ ინიციატივით; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქართულ-ევროპული აკადემიის რექტორატთა მხარდაჭერით და ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის გამგის — მეუფე, პროფესორ მიტროპოლიტ ანანიას ლოცვა-კურთხევით.

ფესტივალს წინ უძღოდა ინტენსიური შესარჩევი ტური თბილისში, სადაც მონაწილეობდა დედაქალაქისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის საბავშვო და სტუდენტური კოლექტივები. ამიერკავკასიის ქვეყნების მასშტაბით, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი ნუგზარ ბუცხრიკიძე. მან ორგანიზატორული თვისებებითაც გამოიჩინა თავი — იოლად მოახერხა სხვადასხვა კოლექტივებთან ურთიერთობის დამყარება, ძალთა მობილიზება.

მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალი არ შემოიფარგლება ერთი პროფილით, იგი ჟანრთა მრავალფეროვნებით (მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური და ასე შემდეგ), იქცევს ყურადღებას. ამჯერადაც, შვიდი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით ქალაქ ქემერში, ერთი კვირის განმავლობაში, გაიმართა როგორც თეატრალური, ასევე მუსიკალური კონკურს-ფესტივალი. მუშაობდა საერთაშორისო ჟიური: პროფესორ ვიქტორ სირელსონის, რეჟისორ ზიგფრიდ კრაინერის, მსახიობ ელკე ლაკნერის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მსახიობ ცუცა კაპანაძის შემადგენლობით. აქვე მინდა ორიოდე სიტყვით შევჩერდე ქართველი მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი მსახიობის ცუცა კაპანაძის მოღვაწეობაზე აშშ-ში. რამდენიმე წელია იგი ამერიკაში მცხოვრებ და დაბადებულ ბავშვებს აზიარებს ქართული სიტყვის მშვენიერებას, მის განუმეორებლობას, უნერგავს სცენის, თეატრის სიყვარულს და შედეგიც ფანტასტიკური აქვს — ყველა მისი აღსაზრდელი მხოლოდ საქართველოში ჩამოსვლაზე და აქ დამკვიდრებაზე ოცნებობს. ვუსურვოთ მას დიდი წარმატებები ამ ნოსტალგიით შეფერილ, უკეთილშობილეს სარბიელზე!

ჟიურის შემადგენლობაში საქართველოს წარმომადგენლებიც შედიოდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა პაპასკირი და ამ სტრიქონების ავტორი.

სპექტაკლების საჩვენებლად განკუთვნილი იყო საზაფხულო თეატრის მოედანი ღია ცის ქვეშ. ძირითადი მონაწილენი საქართველოდან იყვნენ. გახსნის პატივი წილად ხვდა სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-ჯესსის“ მოსწავლეთა ძალებით განხორციელებულ ინგლისურენოვან სპექტაკლს „პინოქიო“, რომლის ინსცენირების ავტორი და რეჟისორი გახლავთ ამავე გიმნაზიის პედაგოგი ეკატერინე ფიფია. მან ინსცენირებაში „ბურატინოს“ პოპულარული პერსონაჟებიც ჩართო, რითაც უფრო დინამიკური და ხალისიანი სანახაობა წარმოადგინა. ასაკობრივად ყველაზე ნორჩმა (მესამე კლასელები) „მსახიობებმა“ უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინეს. მაყურებელი მოიხიბლა ხასიათების შესატყვისი, ფერადოვანი კოსტიუმებით, სახიერი პლასტიკით (ქორეოგრაფი გურანდა ჩხაიძე), ჟანრის ბუნებისთვის ზუსტად მისადაგებული მუსიკალური გაფორმებით (თოვლია მიქავა). გერმანიის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მათი მიწვევაც, სადაც სულ მალე გაემგზავრებიან, სწორედ ამ წარმატებული გამოსვლის კანონზომიერი შედეგი გახლდათ.

ასევე ლაღი და ქართული ხასიათებით გამორჩეული ნაწყვეტები წარმოადგინა თბილისის 130-ე და 147-ე საჯარო სკოლების სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებმა — გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექიას“ და ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ მიხედვით, მანანა სიმონიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან.

ფესტივალში მონაწილეობდა თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული კერძო სკოლა „კაი ყმა“ (დირექტორი თამარ ჩანტლაძე).

ამ სკოლამ უკვე ხუთი ჯგუფი გამოუშვა და დღიდან დაარსებისა, აკადემიური მოსწრების მხარდამხარ, განუხრელად ზრუნავს ბავშვთა სულიერ, ესთეტიკურ აღზრდის უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე. ბოლო ორი წელია სკოლის თეატრალურ წრეს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა პროფესიონალი რეჟისორი და მსახიობი ლაშა გოგნიაშვილი, მას არ ახასიათებს იოლი გზით ფონს გასვლა, მხოლოდ მაღალი კრიტერიუმებით საზრდოობს. ამის ნათელი ნიმუში იყო, რომ ლაშამ ფესტივალზე წარმოადგინა ორი დიდებული მწერლის: გენიალური ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ და არჩილ სულაკაურის „სალამურა“. მონაწილეთა ასაკი ამ შემთხვევაშიც მცირეა და, ბუნებრივია, მათი შესრულება სრულყოფილებისგან შორს იდგა, მაგრამ თვით ფაქტი, რომ ისინი ადრეული ასაკიდანვე ეზიარებიან მაღალ ლიტერატურას, მრავლისმთქმელია.

უშუალოდ ნუგზარ ბუცხრიკიძის ინიციატივით, ქემერის ფესტივალის მონაწილეთა რიცხვს შეემატა 2012 წლის იმერეთის თეატრალური ფესტივალის მთავარი ნომინაციის მფლობელი, ხარაგაულის სახალხო თეატრი სპექტაკლით „თანამდევი სული“ (ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ირინე ჩხეიძე), რომელიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების საგულისხმო ეპიზოდებს ეხება. უცხო მიწაზე სწორუპოვარი ილიას ნაზრევმა განსაკუთრებული პატრიოტული ჟღერადობა შესძინა. ხარაგაულის თეატრალური კოლექტივისთვის ქემერის საერთაშორისო ფესტივალის უმაღლესი ჯილდო მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება.

ფესტივალი დაამშვენა გერმანიის სანდკორნ-თეატრის მონოსპექტაკლმა „კოოლჰაასი“ (რეჟისორი მიმი შვაიბერგერი). ეს არის თავისუფალი მონოლოგი ჰაინრიხ ფონ კლაისტის ნოველის „მიხაელ კოოლჰაასის“ მიხედვით. მთხრობელი, კოოლჰაასი, ყველა დანარჩენი როლების და გიტარაზე შემსრულებელი ქრისტიან თაილი პროფესიონალი მსახიობია. სამსახიობო განათლება ფრაიბურგის სკოლაში მიიღო. აქვე იწყებს და შემდგომ მუშაობას აგრძელებს მიუნხენის და კარლსრუეს თეატრებში. 2009 წლიდან ახალგაზრდული კლუბის სანდკორნის ხელმძღვანელია, ხოლო „კოოლჰაასი“ მისი პირველი სოლო როლი. ის ასახიერებს უბრალო ადამიანს, ცხენებით მოვაჭრეს, რომელმაც კარგად იცის და თავისუფლად მსჯელობს ყველაფერზე: კანონებზე, ადამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრების წესებზე. ქრისტიან თაილი სინთეზური მსახიობია — აზროვნებს, მკაფიოდ მეტყველებს, მღერის, საოცარი პლასტიკით გამოირჩევა, ოსტატურად უკრავს გიტარაზე... მსახიობს მეტი რა მოეთხოვება!

მონოსპექტაკლისთვის დაწესებული გრან-პრი, ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით სწორედ „კოოლჰაასს“ გადაეცა.

ფესტივალის ბოლო აკორდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპექტაკლი — ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ იყო. ინსცენირება, სცენოგრაფია, მუსიკალური გაფორმება და რეჟისურა ნუგზარ ბუცხრიკიძეს ეკუთვნის. მახვილგონივრული რეჟისორული მიგნებები, დუმბაძისეული ხასიათების გამოკვეთა, აღმავალი ტემპო-რიტმი განაპირობებდა სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის სასურველი კონტაქტის დამყარებას. ფესტივალის მთავარი პრიზი დამსახურებულად ერგო ამ ნიჭიერ, პერსპექტიულ კოლექტივს.

ფესტივალის დღეები დატვირთული იყო სხვადასხვა სახის საინტერესო ღონისძიებებით. ტარდებოდა მასტერკლასები, იმართებოდა სემინარები და საუბრები რეგიონული თეატრების როლსა და დანიშნულებაზე, აგრეთვე სამოყვარულო თეატრების საქმიანობაში არსებულ პრობლემებზე. დისკუსიაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც საქართველოს, ლიტვის, აშშ-ს, გერმანიის, ასევე მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები. მრავლისმომცველი იყო ანტალიის სამხარეო კულტურის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სემინარი, სადაც ქემერის კულტურის სამსახურის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. ფესტივალის სტუმრებს საინტერესო ექსკურსიები შემოგვთავაზეს ანტალიასა და მის შემოგარენში.

ჩემი შთაბეჭდილებები ფესტივალზე არასრულყოფილი იქნება, თუ გვერდს ავუვლი პარალელურად მიმდინარე მუსიკალურ კონკურს-ფესტივალს. აქ სრულ უპირატესობას საქართველოს წარმომადგენლები ფლობდნენ. თუ არ ჩავთვლით სომხეთისა და თურქეთის თითო-თითო წარმომადგენელს, თითქმის ყველა ჯილდო ქართველებს შორის განაწილდა. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ვოკალური განყოფილების XII კლასის მოსწავლის თეონა დალაქიშვილის (პედაგოგი თამარ სარვაზიშვილი) გრან-პრი. ამ წარმატებებს გამარჯვებულებთან ერთად იზიარებდნან ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი გია ქორქაძე და კონკურს-ფესტივალის ორგანიზატორი ციცინო ბიჭიკაშვილი, რომლებიც მეგზურობას უწევდნენ თავიანთ აღსაზრდელებს.

ფესტივალმა საქართველოს წარმომადგენელთა სრული უპირატესობა თვალნათლივ გამოკვეთა. ჯერ კიდევ შემოგვრჩა თითო-ორ-ოლა ურწმუნო თომები. მჯერა, რომ ქართული გენისა და ნიჭის ამოუწურავი პოტენცია მათაც დააყრევინებს ფარ-ხმალს!..

გივი ბერიკაშვილი — 80



ხალხის რჩეული

გივი ბერიკაშვილი საქართველოს უპირველესი მსახიობია. რაშია მისი პოპულარობის საიდუმლოება?

გივი თავისი ბუნებით ხალხოსანია. გალაკტიონს სწამდა, რომ „საზოგადოებას არ უყვარს ადამიანი, რომელიც მას არ ჰგავს". გივი კი თავის ხალხს ჰგავს. მან ფეხით მოიარა მთელი საქართველო. არ დარჩენილა კუთხე-კუნჭული, მისი კეთილი იუმორი რომ არ ეგრძნო მთელ საქართველოს. ყოველთვის გულგახსნილი, ნათელი ღიმილით ხვდებოდა თავის ხალხს, ესაუბრებოდა გლეხკაცის უშუალობითა და უბრალოებით, მისთვის უცხოა არტისტული პოზა და ზეაწეულობა. გივი „ჩვენი ეროვნების შემნახველ სოფლიდან" (ილია) მოდის და მუდამ მტკიცედ უდგას ფეხი ქართულ მიწაზე. ამიტომ მისი ყველას ესმის, სოფელსაც და ქალაქსაც, დიდსაც და პატარასაც — ნამდვილი სახალხო არტისტია. მაგონდება კოტე მახარაძის ნათქვამი. ერთხელ კოტემ, რომელსაც პოპულარობა არ აკლდა თავისი ბრწყინვალე კომენტატორობისა და სხვა დამსახურებათა გამო, გულახდილად მითხრა: ქვეყანა მიცნობს, მაგრამ საქმის გაკეთება რომ მინდა, გივის ვთხოვ ხოლმეო.

მართლაც საოცარია გივის ცხოვრება. ჩვენ ერთ სახლში, ერთ კორპუსში ვცხოვრობთ მეზობლად და ვიცი, დილიდან-საღამომდე სხვადასხვა დახმარების მთხოვნელთა რიგი ედგა. გივი ყველა ადამიანს მხარში ედგა ლხინშიც და ჭირშიც. ასე, სხვებზე ზრუნვაში გაატარა მთელი ცხოვრება.

გივი ყველას იმედი და მოჭირნახულეა. გამთლიანებულია მისი ცხოვრებაცა და შემოქმედებაც. გივი ბერიკშვილის მიერ შექმნილი სახეები ყოველთვის გამოირჩევა შინაგანი ადამიანური სითბოთი და უშუალობით.

უნივერსალური დემოკრატიზმი ყველასაგან გამორჩეულ თვისებებს ანიჭებს მის სახელს. მას სცენაზეც კი არ შეუძლია გმირის სატირული „მხილება". მისი მხატვრული ფერები ყოველთვის თბილია, რაღაც განსაკუთრებული და ადამიანური, „საწყისის ლამაზი არსით" განათებული. თვით ქურდის ბონდო ლანჩავას (ა. ჩხაიძე, „შთამომავლობა") შესრულების დროსაც კი მაყურებელში ღიმილს იწვევდა, რადგან მსახიობი სატირული ძალით კიცხავდა გმირს.

ასეა, „ბუნება მბრძანებელიაო“ – თქვა ვაჟა-ფშაველამ.

გივი ბერიკაშვილი თვით ბუნებაა სცენაზე და ხიბლავს მაყურებელს.

გივი ბერიკაშვილის მაყურებელი თბილისიდან რუსთავში ჩადიოდა გივის მიტუას (ო. იოსელიანი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“) სანახავად. მანამდე წარმატებები არ აკლდა, მაგრამ მიტუას როლში ერთგვარად შეჯამდა და განზოგადდა ხალხური სიბრძნისა და სისადავის გამომხატველი თავისებურებანი.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გივი ბერიკაშვილმა სოხუმის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა, სადაც განასახიერა განსხვავებული ჟანრის გმირები. მათ შორის: მეფე ერეკლე (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“) და ფლორინდო (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“).

გივი ბერიკაშვილმა მთელი ცხოვრება დაუკავშირა მარჯანიშვილისა და რუსთავის თეატრს. მრავალფეროვანია გივის რეპერტუარი. ერთმანეთს ენაცვლება უცხოური კლასიკა (ენგსტრანი - ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“, ფალსტაფი – უ. შექსპირის „ჰენრიხ IV“ და სხვ.) და ქართული თანამედროვეობა (ტიგრან გულოიანი და ბულიკა . ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, „მარადისობის კანონი“, ჩინჩახელი – კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“ და სხვ.).

როცა გივი ბერიკაშვილის შემოქმედებით პორტრეტზე ვფიქრობთ, მის პიროვნულ თვისებებთან ერთად ნათლად წარმოგვიდგება გოსტაშაბის, მიტუას, თავბერიკა ლალეს, ბონდო ლანჩავას, ტიგრან გულოიანის, ლონდრეს, ფირუზას და სხვათა მხატვრული სახეები თეატრსა და კინოში. მათ განსაზღვრეს გივი ბერიკაშვილის არტისტული პროფილი და წარმოაჩინეს მსახიობის ყველა საუკეთესო თვისება.

გივი ბერიკაშვილმა ცხოვრების დიდი გზა განვლო და მოიპოვა ხალხის სრულიად განსაკუთრებული სიყვარული, რომელიც მხოლოდ ხალხისაგან რჩეულთა ხვედრია.

ვასილ კიკნაძე

გივი! მოგილოცო? რა ვიცი, ასაკი გვემატება და ამაში მოსალოცი რა არის, მაგრამ მაინც მინდა მოგილოცო. მოგილოცო ის, რომ ამდენ „ტურტლში“ გაიარე და მაინც ასეთი სუფთა დარჩი — აი, ამას გილოცავ!!!

კახი კავსაძე

ჩემი შემოქმედების გზაზე ბედმა გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ბევრ მსახიობს შემახვედრა. გამორჩეულთა შორის შენ განსაკუთრებული ხარ, ჩემო გივი! მე და შენ შვიდი სპექტაკლი გვაკავშირებს მარჯანიშვილის თეატრში.

ხშირად ვუყვები ჩემი თეატრალური სკოლის ბავშვებს, „ბერიკელებს“, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს შენს შესახებ, მაგრამ რაშია შენი ნიჭიერების ხიბლი, რატომ უყვართ შენთან მუშაობა რეჟისორებს, პარტნიორ-მსახიობებს, ტექნიკურ პერსონალს და, რაც მთავარია, რატომ უყვარხარ ასე მაყურებელს... ზუსტი პასუხი არა მაქვს. თუმცა, შენი ნიჭიერების ფენომენი, ალბათ, მაინც ხალხშია, ქართველ ხალხში, რომლის ისტორია უხსოვარი დროიდან მოდის. მოდის და თან მოყვება ბუნებრივი თეატრალური ნიჭი, არტისტიზმი, ხალასი და გულწრფელი სიტყვა, კეთილი და ნაღდი იუმორი — ჭეშმარიტად ქართული და ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი.

ემოციურად საოცრად გადამდებია შენი ყოველი სცენური სიტყვა... და ეს სიტყვა რაღაც მაგიური ძალით იპყრობს მაყურებლის გულს (ეს არც ერთ თეატრალურ სკოლაში არ ისწავლება). ამ თეატრალურ ნიღაბს სხვა ვერავინ მოირგებს, ის შენეულია, ერთადერთი და განუმეორებელი! დრო გვიჩვენებს, რომ შენი სახით ქართულ სცენაზე უნიკალურ მოვლენასთან გვქონდა საქმე, თუმცა, სიცოცხლეშივე არ მოგკლებია, ჩემო გივი, შენ ხალხისგან ზღვა სიყვარული და პატივისცემა. როცა სცენაზე დგახარ და მაყურებელი ბედნიერია, განა ეს ცოტაა!

გილოცავ იუბილეს! შენ კიდევ დიდხანს უნდა გაახარო შენი მაყურებელი იმიტომ, რომ დღეს, როგორც არასდროს, მალამოსავით სჭირდება ჩვენს ერს სახეზე ღიმილი. ამის უტყუარი გარანტი კი შენ ხარ, ჩვენო უბერებელო ნიჭის პატრონო!

პატივისცემით
გოგი თოდაძე
სანდრო ახმეტელის პრემიის ლაურეატი

სამყარო თეატრალის თვალით

ნოდარ გურაბანიძე

რა ვიფიქრო?

არაფერს ვამტკიცებ და არც არაფერს გამოვრიცხავ, მხოლოდ უცნაურ და საინტერესო დამთხვევაზე მივუთითებ.

დღევანდელი რუსული თეატრის ერთ-ერთ გამორჩეულ რეჟისორად უკვე კარგა ხანია მიჩნეულია იური ბუტუსოვი. მის მიერ პეტერბურგის თეატრ „ლენსოვეტში“ დადგმული შექსპირის „მაკბეთი“ კი (2011) რუსულმა თეატრალურმა კრიტიკამ აღიარა როგორც უკანასკნელი თეატრალური სეზონების ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი, ორიგინალური, ახლებური და, მეტიც, რადიკალური, გააზრების გამო.

მაკბეთის როლს თამაშობს სამი მსახიობი, რათა (რეჟისორის ჩანაფიქრით) ეს სცენური სახე მთელი თავისი მრავალფეროვნებით გამოჩნდეს. მიუხედავად მსახიობთა თამაშის, სტილთა განსხვავებულობის, სამივეს მაკბეთი „დედალია“, მშიშარა, მტირალა, ყურმოჭრილი ყმა მძვინვარე და მომხიბლავი, მაცდური მეუღლისა, რომლის როლს ლაურა ფიცხელაური თამაშობს (აქვე შევნიშნავ, რომ 2000 წელს, პოლონურ თეატრ „ბაგატელაში“ დადგმულ „მაკბეთშიც“ მთავარი გმირი ლაჩარია, მტირალა და გონებასუსტი. მეფე დანკანის მკვლელობის წინ მას ლედი მაკბეთი სახეში აფურთხებს). სამი მსახიობის მიერ ერთი როლის შესრულების ფაქტი კარგადაა ცნობილი ქართველი მაყურებლისათვის: 1980 წელს რ. სტურუამ დადგა მიხეილ შატროვის პიესა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“, რომლის მთავარი გმირია ვლადიმერ ლენინი. ეს სპექტაკლი, ჩემი აზრით, რ. სტურუას რეჟისურის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში იყო. სპექტაკლში ლენინის როლს სამი მსახიობი ასრულებდა — ედიშერ მაღალაშვილი, გიორგი ხარაბაძე და ჟანრი ლოლაშვილი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის, ლიტერატურის, თეატრისა და კინოს მიერ ათეული წლების მანძილზე დამკვიდრებული ლენინის მითოლოგიზირებული სახეხატება, ამ პიროვნების ღვთაებრიობა და მესიანურობა, რობერტმა კი არ უარყო, არამედ კიდევ უფრო გაზარდა, ჰიპერრეალიზმის მეშვეობით იმ დონემდე აიყვანა, რომ ღვთაებრივი „სამების“ — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა — ცოცხალ გამოხატულებად აქცია. აქ შეფარული იყო რ. სტურუასათვის დამახასიათებელი ირონია, ანუ, ასე რიგად განზიდული სახე-ხატი დიდ პარადოქსში გადადიოდა. უფრო მარტივად რომ ვთქვა, „ფორმა“ იმდენად იყო გაზრდილ-გაფუყული, ხოლო „შინაარსი“ იმდენად „გამასხრებული“, რომ ბუნებრივად წარმოიქმნებოდა შეუსაბამობანი (რაც ყოველთვის კომიზმის საფუძველია), რაც უკუ ეფექტს იწვევდა. ამავე დროს, ეს სცენური სახე იყო დამდაბლებული, ყოფით-რეალისტური, ჩვეულებრივი. თუ ერთ სცენაში ლენინი მასთან სათხოვნელად მოსულ ღატაკ, მშიერ-მწყურვალ გლეხებს, ვითარცა მაცხოვარი, „აპურებდა“ — ჩაის კოვზით ასმევდა წყალს და ისე ისტუმრებდა, მეორე სცენაში ტკივილებისაგან ყვიროდა როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი, ხან კი მშვენიერ არმანდას ვნებიანად ეარშიყებოდა. „მაღალისა“ და „მდაბლის“ ეს შეპირისპირება კიდევ უფრო ამძაფრებდა შეუსაბამობას. მაგრამ, როგორც გაირკვა, ვირეშმაკა რუსი კომუნისტები არც ისეთი გულუბრყვილოები აღმოჩნდნენ, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ რეჟისორის მზაკვრულ ჩანაფიქრს. რუსთაველის თეატრის მოსკოვში გასტროლებისას ეს სპექტაკლი პირველივე წარმოდგენისთანავე აკრძალეს, თუმცა, ამ ერთხელ ნაჩვენებმა სპექტაკლმა ისეთი ფურორი გამოიწვია, ისეთი ხმები დაირხა მოსკოვში, რომ მეორე, გამოცხადებულ სპექტაკლზე უამრავი მაყურებელი მიაწყდა თეატრს, მაგრამ იმედგაცრუებულნი დარჩნენ. სალაროებთან გამოკრული განცხადება აუწყებდა მაყურებელს, რომ „მსახიობის ავადმყოფობის გამო სპექტაკლის ჩვენება გადადებულიაო“. საბედნიეროდ, ბევრმა თეატრალმა მაინც ნახა სპექტაკლის პირველი წარმოდგენა (კარგა ხნის შემდეგ ჟურნალ „Театр“-ში დაიბეჭდა ჩემი ვრცელი წერილი „რატომ ჩამოვიდნენ ლურჯი ცხენები სცენიდან“).

თუ ბუტუსოვს ერთ როლში სამი მსახიობის გამოყვანა იმისთვის დასჭირდა, რომ მაკბეთის სახის მრავალფეროვნება „წარმოეჩინა“, რ. სტურუამ, ამ სამი მსახიობის მეშვეობით, შესძლო ახალი „სამების“ შექმნით დაემსხვრია თუ დაემდაბლებინა, როგორც გნებავთ, ლენინის მითოლოგიზირებული სახე.

მაგრამ ისევ ი.ბუტუსოვის „მაკბეთს“ დავუბრუნდეთ. სპექტაკლის დასასრულს საქორწილო კაბაში და სისხლისფერ, საბალეტო „პაჩკებში“ გამოწყობილი ლაურა ფიცხელაურის ლედი მაკბეთი, თვითმკვლელობის შემდეგ, კიდევ ერთხელ გამოდიოდა სცენაზე, რათა ჭკუიდან შეშლის ერთი ფაზა — „შეშლილის ცეკვა“ შეესრულებინა მაიკლ ჯეკსონის „Smooth Griminal“-ის ხმებზე... წითლად განათებულ სივრცეში, შემზარავი ყვირილით. ამ სპექტაკლს მიჰყვება კინო გადაღების იმიტაცია. მაყურებელი სცენაზე ხედავს ოპერატორებს, კამერებს, მიკროფონებს, პროჟექტორებს. ამით რეჟისორი მიანიშნებს აუდიტორიას, ნუ შეშინდებით, რაც იხილეთ, ეს მხოლოდ რეპეტიცია ან კინო გადაღებაა. ეს ხერხიც, რ. სტურუას სპექტაკლში — რ. იბრაგიმბეკოვის „მკვლელობა კალიფორნიაში“ (1983წ.) – იყო გამოყენებული. აქ, იმთავითვე „ღიად“ იყო ნაჩვენები, რომ მაყურებელთა თვალწინ კინოგადაღება მიმდინარეობდა. სცენაზე რკინის ლიანდაგი იყო დაგებული ოპერატორების მოძრავი ურიკისთვის, პროჟექტორები ანათებდნენ სცენას, სხვა ოპერატორები, გადამღები კამერებით ხელში, თან დაჰყვებოდნენ მსახიობებს.

ეს სპექტაკლიც ნანახი აქვთ მოსკოველებს.

არაფერს ვამტკიცებ. და, როგორც თავშივე გითხარით, არაფერს გამოვრიცხავ...

დიდი თეატრალური კო(ჰ)აბიტაციის კრახი

ცნობილი რუსი თეატრალური მკვლევარის ოლგა რადიშჩევას ფუნდამენტურ, სამტომიან გამოკვლევაში, „სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო. თეატრალური ურთიერთობის ისტორია“ (რიმა კრეჩეტოვას თქმით, „ეს არის რუსულ თეატრმცოდნეობაში პირველი და ძალიან წარმატებული ცდა ფსიქოლოგიური რეკონსტურქციისა“) ცხადდაა ნაჩვენები, რომ ამ თეატრის დამაარსებლების კ.სტანისლავსკისა და ვლ.ნემიროვიჩ-დანჩენკოს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციამდე დაწყებულა (სხვა ცნობების მიხედვით ეს გაცილებით გვიან მომხდარა).

მართალია, ამ ორ დიდ თეატრალურ მოღვაწეს შორის იმთავითვე გაფორმდა „ხელშეკრულება“ (მათი შეხვედრა რესტორან „სლავიანსკი ბაზარში“ ისტორიული ეპიზოდია: ჩვიდმეტი საათის განმავლობაში ბჭობდნენ და, ბოლოს, მიაღწიეს შეთანხმებას), რომლის მიხედვით, ორივეს ეძლეოდა „ვეტოს“ გამოყენების უფლება სადავო პრობლემებზე. კ. სტანისლავსკის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა თეატრის მხატვრულ შემოქმედებაზე (ვუწოდოთ მას „სამხატვრო ხელმძღვანელი“), ვლ.ნემიროვიჩს — ადმინისტრაციულ-ფინანსურზე (ამას კი - „მმართველი“). მაგრამ ნემიროვიჩი იმ დროისთვის უკვე ცნობილი დრამატურგი (როგორც კი ა. ჩეხოვის პიესები გამოჩნდა, უმალ შეეშვა ამ საქმეს) და რეჟისორი იყო და თანამედროვე რუს მწერალთა შემოქმედებას თავის დიდ კოლეგაზე უკეთ იცნობდა. სწორედ ნემიროვიჩის დიდი ძალისხმევის შემდეგ დაიდგა ა. ჩეხოვის „თოლია“, რომელიც კ. სტანისლავსკის სასტიკად არ მოწონდა: - აქ მხოლოდ ლაპარაკია და დრამატული მოქმედება არ ვითარდებაო. ამის გამო „თოლიას“ დადგმა ძალზე ჭიანურდებოდა, რამაც ამგვარი კურიოზი წარმოშვა. შეწუხებულმა ჩეხოვმა, თურმე, დეპეშა გაუგზავნა კ. სტანისლავსკის „Ставь Чайку!“ (ე.ი. დადგი ჩემი პიესა „თოლიაო“). კ. სტანისლავსკი კი თავის მეუღლეს მ. ლილინას ეუბნებოდა: ამ საღამოს ჩეხოვი გვესტუმრება და ჩაი (Чайку) დაადგიო“.

ჩეხოვი, რასაკვირველია, არ გამოჩენილა. ამის შემდეგ კიდევ ორი დეპეშა მიიღო სტანისლავსკიმ, ვიდრე, ბოლოს არ მიხვდა, თუ რას გულისხმობდა ჩეხოვი. ცხადია, ეს ამბავი ანეკდოტს უფრო ჰგავს. სინამდვილეში პარადოქსი ისაა, რომ მაინც, სწორედ კ. სტანისლავსკიმ დადგა ეს პიესა, რითაც, ფაქტიურად, დაიწყო სამხატვრო თეატრის ნამდვილი ისტორია. ადვილი მისახვე-

დრია, რომ ნემიროვიჩი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით. თავის მხრივ, სტანისლავსკისაც ჰქონდა პრეტენზიები ადმინისტრაციულ-ფინანსური განხრით. მით უმეტეს, რომ რევოლუციამდე იგი ამ თეატრის მთავარი მეპაიე იყო (მამამისი, სერგეი ალექსეევი, მილიონერი გახლდათ). ცხადია, იყო სხვა უთანხმოებანიც, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მოკლედ, დიდ მმართველსა და დიდ სამხატვრო ხელმძღვანელს შორის გაუგებრობანი თანდათან კონფლიქტში გადაიზარდა და ვითარება ისე გამწვავდა, რომ „თეატრის მამები“ ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. აუცილებლობის შემთხვევაში კი ერთმანეთს წერილებს სწერდნენ ან მდივანი ქალების მეშვეობით ურთიერთობდნენ. ბუნებრივია, ასეთი კურიოზული სიტუაცია ბევრ უხერხულობას და კომიკურ სიტუაციას წარმოქმნიდა. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა მიხეილ ბულგაკოვმა (რომელმაც, სტალინის რეკომენდაციით, კარგა ხანს იმუშავა ამ თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ) და შექმნა თავისი „თეატრალური რომანი“ — კულისებსმიღმა ცხოვრების, სარეპეტიციო ოთახებში თუ კაბინეტებში ჩასახული კონფლიქტების, მსახიობთა ამბიციების, რეჟისორთა ფუჭი ოცნებების თუ ამაო მცდელობათა ამსახველი შედევრი.

ამგვარი კონფლიქტები თეატრალური ცხოვრების თანამდევია (განსაკუთრებით მაშინ, თუ დაპირისპირებულნი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევიან) და, შეიძლება ვივარაუდოთ კიდეც, რომ ძველ ბერძნულ თეატრშიც კი იღებს სათავეს, რომ არაფერი ვთქვათ მომდევნო ეპოქებზე და განსაკუთრებით, დღევანდელობაზე, როცა ნაციონალები, უპირატესად, გაურკვეველი პროფესიის და რეპუტაციის ადამიანებს ნიშნავდნენ თეატრის მმართველად.

მთელი რუსეთის იმპერიისა და, შემდგომ, საბჭოთა თეატრალურ სივრცეში ცნობილი იყო ამ უცნაური კონფლიქტის ამბავი და თეატრალური ფოლკლორი მდიდრდებოდა მრავალი ახალი მითით თუ ლეგენდით, შეთხზული ამბებით თუ ანეკდოტური კურიოზებით.

ერთი მათგანი ასეთი იყო: ძალიან შეწუხდა სამხატვრო თეატრის დასი ხელმძღვანელების კონფლიქტით და გადაწყვიტა მათი შერიგება. ორივემ თანხმობა განაცხადა. სპექტაკლი „მეფე თეოდორე ივანის ძეს“ (ალექსეი ტოლსტოის ტრაგედია, რომელიც მათ ერთობლივად დადგეს), წარმოდგენის შემდეგ სცენაზე გამოვიდა მთელი დასი ყვავილებით ხელში, ორკესტრმა დააგრიალა საზეიმო მარში, მსახიობებმა მქუხარე ტაში დაცხეს. ავანსცენაზე დაგებული იყო „წითელი ხალიჩა“. გეგმა ასეთი იყო: სცენის ორივე მხრიდან, ერთმანეთის შესახვედრად, ერთდროულად გამოიმართებოდნენ მომდურავნი, ცენტრში შეხვდებოდნენ, ხელს ჩამოართმევდნენ ერთმანეთს შერიგების ნიშნად და, ამით, თეატრში ბოლო მოეღებოდა ორხელისუფლებიანობას. კ. სტანისლავსკი მაღალი იყო, უჩვეულოდ იმპოზანტური, ვლ. ნემიროვიჩი — ტანმორჩილი. ადრე, როცა ფოტო-სურათებს ერთად იღებდნენ ხოლმე, ნემიროვიჩი ყოველთვის ცდილობდა მაღალ ადგილზე, მაგალითად, კიბეებზე, დამდგარიყო. მოკლედ, დაიძრნენ ერთმანეთისაკენ. სტანისლავსკი უფრო ადრე მივიდა დანიშნულ ადგილზე, ეს რომ დაინახა ნემიროვიჩმა, აჩქარდა, მაგრამ ვაი ამ აჩქარებას, მოულოდნელად ფეხი წამოსდო ხალიჩის ნაკეცს და ზუსტად სტანისლავსკის ფეხებთან გაიშხლართა. ამის შემხედვარე სტანისლავსკიმ ხელები გაშალა და წამოიძახა „Ну, зачем же так-то“. ე.ი. ჩვენებურად რომ ვთქვათ, ეს უკვე ნამეტანიაო.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარასოდეს დალაპარაკებიან.

ასე განიცადა კრახი დიდმა თეატრალურმა კო(ჰ)აბიტაციამ...

ამ ავადსახსენებელმა კო(ჰ)აბიტაციამ შეიძლება გაგვახსენოს კიდევ ერთი ასეთი ამბავი, რომელიც მე თვით მიხეილ ბულგაკოვის შეთხზული მგონია. ამ მწერლის თანამედროვეთა მოგონებებიდან ცნობილია, რომ „თეთრი გვარდიის“ ავტორი უცნაური, არაჩვეულებრივი ამბების მომგონიც იყო და მათი ბრწყინვალე მთხრობელიც.

დღეს ყველა თეატრალმა იცის, რომ სამხატვრო თეატრში დადგმული მ. ბულგაკოვის პიესა „ტურბინთა დღეები“ უდიდესი წარმატებით სარგებლობდა და სტალინსაც განსაკუთრებით მოსწონდა (ზუსტი ცნობებით თოთხმეტჯერ ნახა), მაგრამ სპექტაკლი მოსკოველმა თეატრალურმა ჩინოვნიკებმა რამდენჯერმე აკრძალეს. და, ერთხელ, სამხატვრო თეატრის ხშირი სტუმარი სტალინი და მასპინძელი სტანისლავსკი სხედან ლოჟაში... სპექტაკლის დაწყებამდე სტალინი ათვალიერებს თეატრის რეპერტუარის განრიგს და ვითომ საქმის კურსში არ არის, კითხულობს „რატომაა, რომ ჩვენ დიდი ხანია რეპერტუარში ვერ ვხედავთ მწერალ ბულგაკოვის „ტურბინთა დღეებს?“ სტანისლავსკიმ, რომელიც ცნობილი იყო თავისი გულუბრყვილობით, ხელები უმწეოდ გაასავსავა, საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიდო და უჩურჩულა „სუუუ!“.. შემდეგ პირი ყურთან ახლოს მიუტანა ბელადს და ხმადაბლა უთხრა, თან საჩვენებელი თითი მაღლა, ჭერისაკენ, აიშვირა „იმათ აგვიკრძალეს! მაგრამ იცოდეთ, ეს საშინელი საიდუმლოა და ძალიან გთხოვთ არავის უთხრათ“. სტალინმა მშვიდად მიუგო — „Они разрешат! Сделаем“ (სტალინს სჩვეოდა მესამე პირში ლაპარაკი).

მოდით, ჩავთვალოთ ეს ეპიზოდი კო(ჰ)აბიტაციად სახელმწიფოს მმართველსა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს შორის!

„მელოდე“

რუსთაველის თეატრის მსახიობი ბადრი კობახიძე, რომელმაც ს. ესენინის, ბ. პასტერნაკის, ვ. მაიაკოვსკის უამრავი ლექსი ზეპირად იცოდა და კარგადაც კითხულობდა, თამადობდა ბესარიონ ჟღენტისა და თეატრმცოდნე ეთერ გუგუშვილის ოჯახში გამართულ ერთ-ერთ წვეულებას.

ბ-ნი ბესო არაჩვეულებრივი მასპინძელი იყო, ზედმიწევნით ყურადღებიანი, ტაქტიანი, გულთბილი, საინტერესო ამბების და საკუთარი თავგადასავლების შესანიშნავი მთხრობელი.

ამ ოჯახში მე და ვასო კიკნაძე პირველად ეთერ გუგუშვილის წყალობით მოვხვდით. გაკვირვებული დავრჩი ბატონი ბესარიონის მეტამორფოზით — ადრე, ხშირად დავსწრებივარ მის გამოსვლებს მწერალთა კავშირში. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა — იგი იყო ბრწყინვალე ორატორი, გონებამახვილი პოლემისტი. ხშირად დაუნდობელი კრიტიკოსი, რის გამოც ბევრი მომდურავი ჰყავდა. ბევრიც მტრად მოიკიდა. შემდეგ კი, როცა ჩემი უახლოესი მეგობარი, ბრწყინვალე მუსიკათმცოდნე, ანტონ წულუკიძე, ბ-ნი ბესოს სიძე გახდა, ბუნებრივია, მრავალგზის შევხვედრივარ მას სხვადასხვა წვეულებაზე თბილისში, წყნეთსა თუ ოქროყანაში. თავად ბ-ნი ბესო შესანიშნავი თამადა იყო, მაგრამ იმ საღამოს, რატომღაც, ეთერ გუგუშვილმა ისურვა, რომ სუფრას გასძღოლოდა ბადრი. უნდა ვთქვა, რომ ბადრიმ თავი გამოიჩინა და სასახელოდ ითამადა. სტუმართა შორის რუსი მწერლებიც იყვნენ. მათგან აშკარად გამოირჩეოდა პოეტი და პროზაიკოსი კონსტანტინე სიმონოვი. ლამაზი და მომხიბლავი მამაკაცი იყო, მოკლედ შეჭრილ შავ თმაში ჭაღარა შეჰპარვოდა. სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა მისი ჩიბუხიდან ადენილი კვამლი. უზადო გემოვნებით ეცვა — ძვირფასი ინგლისური მონაცრისფერო ტვიდის პიჯაკი, გარე გულის ჯიბიდან მოუჩანდა მუქი წითელი ფერის, ჰალსტუხის შესატყვისი ტონის, სამკუთხედად გაკეცილი ცხვირსახოცი. ფეხზე ემოსა ასევე ინგლისური ძვირფასი „ინსპექტორები“, ეკეთა ოქროს საათი და მანჟეტებზე ოქროსივე საკინძეები. მოკლედ, როგორც ა. პუშკინი იტყოდა „Как денди лондонский одет“ – მაგრამ ფრანტი კი არ იყო, არამედ დახვეწილი მანერების, თავის თავში დარწმუნებული მამაკაცი, ერთხანს საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალ „ნოვი მირის“ და იმ დროს ძალზე პოპულარული „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქტორი.

სწორედ ასეთ მამაკაცს უნდა ჰყოლოდა ცოლად ისეთი მზეთუნახავი, როგორიც იყო ვალენტინა სეროვა, ერთ-ერთი უპირველესი რუსი კინოვარსკვლავი („Девушка с характером“, „Сердце четырех“), რომლის პირველი ქმარი, ლეგენდარული მფრინავი, ესპანეთის სამოქალაქო ომის გმირი, ანატოლი სეროვი, დაიღუპა ისე, რომ ერთი წელიც არ უცხოვრიათ ერთად. ვ. სეროვას სურათები სსრკ-ს ყოველ კიოსკში იყიდებოდა. ე.ი. მილიონობით ტირაჟი იყო დაბეჭდილი. კ. სიმონოვმა კი, სულ ახალგაზრდამ, სახელი გაითქვა მეორე მსოფლიო ომის დროს დაწერილი ლექსით „მელოდე“ („Жди меня“). ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ემახსოვრებათ, რომ ეს ლექსი ზეპირად იცოდა იმ პერიოდის ყველა ქალმა, ვისაც შვილი, ქმარი, სატრფო თუ უახლოესი ნათესავი ჰყავდა ფრონტზე. ასეთები კი მილიონებს შეადგენდნენ. წარმოიდგინეთ, თუ რა პოპულარული კაცი იყო კ. სიმონოვი...

ბადრი თითქმის ყველა სადღეგრძელოს მოაყოლებდა ხოლმე ლექსს, რითაც სტუმრების გაოცებასა და აღტაცებას იწვევდა ერთსა და იმავე დროს. ბოლოს კ. სიმონოვს სთხოვა, იქნებ, თქვენც წაგვიკითხოთ თქვენი ლექსიო. კ. სიმონოვს დიდი თავპატიჟი არ დაუწყია, უმალვე წამოდგა ფეხზე და დაიწყო

(ეტყობა, ელოდა ასეთ შეთავაზებას):

Жди меня, и я вернусь
Только очень жди.
Жди меня и я вернусь

Всем смертям на зло...
და ბოლოს, როცა წარმოთქვა
Просто ты умела ждать
Как никто другой...

თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მთელი ტრაგიზმი კი სიმონოვისათვის ის იყო, რომ ვალენტინა სეროვა სრულიად არ ელოდებოდა ფრონტზე წასულ მეუღლეს და უღმერთოდ ღალატობდა საბჭოთა კავშირის მარშალ კონსტანტინე როკოსოვსკისთან, უჩვეულოდ წარმოსადეგ და ლამაზ მამაკაცთან (როგორც დღეს აღიარებენ, იგი იყო ყველაზე ნიჭიერი საბჭოთა მარშლებს შორის და სტალინის ფავორიტი). სხვათა შორის, როცა სტალინს მოახსენეს ამ, ერთობ გახმაურებული რომანის ამბავი და ჰკითხეს რა ვქნათო, უპასუხია „Ничего! Нам остается только завидовать маршалу Рокосовскому!“

კ. სიმონოვმა, თურმე, ყველაფერი იცოდა, მაგრამ ისეთი თავდავიწყებით უყვარდა ვ. სეროვა, რომ პატიობდა ღალატს, ლოთობას, გერი ვაჟიშვილის აღვირახსნილ ცხოვრებას... თხუთმეტი წელი იცხოვრეს ერთად. ბოლოს, ვიდრე ლოთობისაგან მთლად ხელიდან არ წავიდა ეს ქალი, დაშორდა. მათი ქალიშვილი მაია სიმონოვა ერთ ინტერვიუში ამბობდა: „Отец выдавал желаемое за действительное“.

ახლა, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, ჩემთვის გასაგებია თუ რატომ აუცრემლიანდა თვალები
კ. სიმონოვს. მაშინ კი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი.

„სიურეალიზმი — ეს მე ვარ“

სახელგანთქმული მხატვარი, მოქანდაკე, ინსტალაციების, კოლაჟების, ფოტო-სურათების ავტორი, ერთ-ერთი პირველი შემქმნელი ე.წ. „ბოდი არტისა“ — სალვადორ დალი, ეს „ძლევამოსილი „ექსგიბიონისტი“ (როგორც მას უწოდა ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა), ახალგაზრდობაში კინემატოგრაფიითაც იყო გატაცებული და რამდენიმე ეპიზოდიც აქვს გადაღებული სიურეალიზმის სტილში. მოხუცებულობაში ტელეგადაცემებმა გაიტაცა, თუმცა, ტელევიზიას „მასობრივი კრეტინიზაციის იარაღს“ უწოდებდა.

პირველად დალის შემოქმედების სრულმასშტაბიანი გამოფენა ვნახე მილანში, 1990 წელს, როცა რუსთაველის თეატრი აქ, „ტეატრო ლირიკოში“ („ლა სკალას“ მეორე დიდი სცენაა) გასტროლებს მართავდა (შექსპირის „მეფე ლირით“). მილანის ცენტრში ჯვარისებურად გაშლილი კოლოსალური შენობის შუაგულში, ანუ ვიკონტ ემანუელ მეორის თვალუწვდენელ გალერეაში, რომლის ერთი ფრთა გადის უდიდესი და უბრწყინვალესი ტაძრის „დიუმოს“ მოედანზე, ხოლო მეორე — „ლა სკალას“ შედარებით მცირე მოედანზე (სადაც აღმართულია ლეონარდო და ვინჩის ფიგურა), წაკვეთილ პირამიდაზე დაშნასავით იყო ჩარჭობილი სალვადორ დალის ოქროს სახელურიანი ხელჯოხი. პირამიდის ოთხივე მხარეს კი გამოსახული იყო სკამზე გვერდულად მჯდარი გალინა დიაკონოვას (დალის მეუღლე, მისი მუზა, ადრე პოეტ პოლ ელუარის ცოლი და სიურეალისტი მხატვრის, მაქს ერნსტის საყვარელი) შიშველი ფიგურა. პატარა ასოებით აწყობილი ტექსტი გამოფენის დროს და ადგილს მიუთითებდა! თავდაპირველად, ყველაზე მეტად იმან გამაკვირვა, რომ მილანში, ამხელა ქალაქში, ეს იყო ერთადერთი აფიშა, მაგრამ მერე, როცა გამოფენაზე მივედი და უამრავი ადამიანი ვიხილე, დავრწმუნდი — სალვადორ დალი არ საჭიროებს რეკლამას.

ამ წუთში კი მახსენდება ერთი პატარა ეპიზოდი ამერიკაში ჩემი პირველი მოგზაურობიდან. მანჰეტენში, „როკფელერ ცენტრის“ მოედანზე გამოკრული იყო უზარმაზარი (5X5 მეტრზე) მთლად ყვითელი აფიშა, რომელზედაც არაფერი არ იყო გამოსახული. მე და რობერტ სტურუა დავინტერესდით. ახლოს მივედით და მერე შევნიშნეთ მცირე ზომის ასოებით დაბლა მიწერილი ერთი ფრაზა: „ფორდი არ საჭიროებს რეკლამას!“

მილანში ისიც გამიკვირდა, რომ სალვადორ დალის გამოფენა იმართებოდა არა სახელმოხვეჭილ დიდ სამხატვრო გალერეიებში — „პოლდი პეცოლისა“, ან „ბრერაში“ (რომლის შიდა ეზოში ანუ პატიოში, ნაპოლეონის ერთ-ერთი საუკეთესო ქანდაკება დგას), ანდა სფორცას გრანდიოზულ ციხე-სასახლეში, (სადაც მრავალ შედევრთაგან გამოირჩევა მიქელანჯელოს „პიეტა რონდანინი“), არამედ ცენტრიდან კარგა მოშორებულ სანტა ამბროსიას დიდ სამონასტრო კომპლექსში, მის ღია გალერეიებში და პატიოებში (აქ, უპირატესად, ქანდაკებანი).

მაგრამ მილანის გამოფენაზე გაცილებით დიდი, ყოვლისმომცველი ექსპოზიცია დალის შემოქმედებისა, უფრო ადრე გაიმართა პარიზში, „პომპიდუს ცენტრში“ (1979-1980წ.წ.), რომელიც ერთ მილიონამდე ადამიანმა დაათვალიერა.



დალის მიერ გადაღებულ ფოტო-სურათებსა თუ კინოფირზე მის მიერ აღბეჭდილ მცირე-მცირე ეპიზოდებს ასეთ დიდ გამოფენებზე ადრე არ უჩვენებდნენ. მაგრამ, კვლავ პარიზში და კვლავ „პომპიდუს ცენტრში“ გამართულ ჭეშმარიტად გრანდიოზულ ექსპოზიციაში (01. XII.2012-25.03.2013) „მთელი დალი“ იყო წარმოდგენილი. აქ, პარალელურად, უჩვენებდნენ მის კინემატოგრაფიულ „ოპუსებსაც“. მაგალითად, ერთ ასეთ ეპიზოდს... მაგრამ სანამ ამ ეპიზოდს გადმოგცემდეთ, შეგახსენებთ, რომ დალის, უპირატესად, როგორც დიზაინერ-არქიტექტორს, როგორც ჩანს, მოგვიანებით, კვერცხის ფორმა იდეალურად სრულყოფილად მიაჩნდა და ხშირად იყენებდა უზარმაზარ თეთრ კვერცხს, როგორც განსაკუთრებულ დიზაინურ ელემენტს. ეს კარგად ჩანს ბარსელონაში, მისი სახლ-მუზეუმის მიმდებარე სკვერის დიზაინშიც და ფიგერასში, მის მიერ საკუთარ მუზეუმად გადაკეთებული ძველი თეატრის რეკონსტრუქციაში.

ახლა დავუბრუნდეთ მის კინო-მინიატურას: ეკრანზე ჩანს უზარმაზარი თეთრი კვერცხი. მოულოდნელად ეს კვერცხი შიგნიდან იმსხვრევა და იქიდან გამოდიან შიშველი დალი და მისი მეუღლე გალინა დიაკონოვა. სულ ეს არის. ერთი ამის მსგავსი „სიურეალისტური კინემატოგრაფიული კინო-რეპლიკა“ დიდი ხნის წინ მაქვს ნანახი (თუ არ ვცდები ესპანელი რეჟისორის ხუან ბარდემისა): მშვენიერი ქალი თავისი სრულყოფილი სხეულის დემონსტრაციას ახდენს – ხელებშემართული ტრიალებს. უეცრად შეჩერდება და ამ დროს მისი იღლიიდან მოწყდება შავი თმის ბღუჯა და თვალისდახამხამებაში სალვადორ დალის ზემო ტუჩზე მიეკვრება (პაროდია მხატვრის აწკეპილ თუ აპრეხილ ულვაშებზე).

მე კი ჩემი ფანტაზიის უცნაური იმპულსით წარმოვიდგინე: ვთქვათ და ასევე უეცრად გასკდა ბათუმში დადგმული „შლოპანციანი“ კვერცხები და ერთი მათგანიდან გადმოვა მიხეილ სააკაშვილი და ძუძუმოჭმული ქალი (ამორძალი), ხოლო მეორიდან გადმოფრინდება ქართულ ჩიხტი-კოპში გამოწყობილი ჩიორა და ბლანჟიანი გოგა ხაჩიძე თავისი ველოსიპედით. რა მშვენიერი, ეფექტური პერფორმანსი იქნება?! მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ შუა ზაფხულში, გაგანია ტურისტული სეზონის დროს, რათა, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა ნახოს ეს პიკანტური სცენები. ეს იქნება მართლაც შესანიშნავი პიარი და ბათუმისათვის დიდი შემოსავლის წყარო იმ შემთხვევაში, თუ ეს კლოუნადა ხშირ-ხშირად გამეორდება. თუმცა რატომ, არ უნდა განმეორდეს, მე შენ გეტყვი ჭკუა დაუშლით თუ რა!

აი, მაშინ ნახეთ რამდენი პარტიის ლიდერი ჩამოვა მათ მოსანახულებლად, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარის ინიციატივით.

მოგონება

„ეძიებდე და ჰპოვებდე“

ანუ ამბავი

ერთი თეატრის შექმნისა

სანდრო მრევლიშვილი

ძველი არაკია:

ხეიბრად დაბადებულმა, ხელდაკრუნჩხულმა კაცმა ღმერთს შეთხოვა, ისე ჰქმენ, ორივე ხელი ერთნაირი მქონდესო. სასწაულმა არ დააყოვნა და იმ უბედურს მეორე ხელიც დაეკრუნჩხა. რა ექნა? მღვდელთან მივიდა — მამაო, რა ვქნაო? წესიერად მოთხოვეო. როგორო? სულისთვისო. იფიქრა იმ კაცმა და შეთხოვა ღმერთს: ღმერთო, ისე ჰქმენ, რომ სანთლის ანთება შემეძლოს და ლოცვის დროს ხელების ზეცად აპყრობაო. არც ახლა დააყოვნა სასწაულმა და იმ კაცს ორივე ხელი გაუმთელდა.

„ითხოვე და მოგეცეს“. . .

მოგეცემა, მაგრამ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რას, რისთვის და როგორ ითხოვ. და საქმე მხოლოდ სიტყვებში როდია. ფორმა მოთხოვნისა ზუსტად უნდა ესადაგებოდეს შინაარსს, პათოსი — ერთადერთ აუცილებლობას და მიზანი— კეთილშობილურ იდეას.

ნუგზარ ფოფხაძეს წერილის ტექსტი მივუტანე.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის შექმნის თაობაზე მხარდაჭერას თხოვდა კულტურის სამინისტროს, თეატრალურ საზოგადოებას და თეატრალურ ინსტიტუტს. სამივე ადრესატთან დაახლოებით ერთი და იგივე ტექსტი გაიგზავნა, რა თქმა უნდა, მათი მოღვაწეობის სფეროსა და შესაძლო თანამონაწილეობის გათვალისწინებით.

რამდენიმე დღის შემდეგ თეატრალური საზოგადოების იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა დოდო ანთაძემ დამიბარა — წერილია მოსული კომკავშირიდან, ჩვენი საზოგადოების ახალგაზრდული სექციის თავმჯდომარე შენა ხარ, და მოდი, პასუხის ტექსტი ერთად შევადგინოთო.

დამიბარა თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა — ბატონმა ილია თავაძემ — წერილი მოვიდა, კომკავშირის ამბები შენ იცი, გამირკვიე, რა უნდათ ჩვენგან, ეთერი გუგუშვილთან (პრორექტორთან) ერთად პასუხი შეადგინეთ და დროზე გაუგზავნეთ.

ბატონმა კაკო დვალიშვილმაც დამირეკა, მოდი, როგორც საქმეს ჭირდება, ისეთი პასუხი მივწეროთო.

ჩემს შედგენილ წერილზე სამივე ორგანიზაციიდან მევე მომიხდა პასუხის გაცემა. ჭეშმარიტად, „ითხოვე და მოგეცეს!“

საქართველოს კულტურის სამინისტრომ ბრძანებით გადამიყვანა მარჯანიშვილის თეატრიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის რეჟისორად ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის შექმნის მიზნით.

საქართველოს თეატრალურმა ინსტიტუტმა თანხმობა განაცხადა მეოთხე კურსის სტუდენტების სადიპლომო სპექტაკლები მომავალი თეატრ-სტუდიის რეპერტუარს დადებოდა საფუძვლად.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებამ მხარდაჭერა აღუთქვა ახალგაზრდული თეატრის შექმნას.

ფილარმონიის დირექტორი იმ დროს ბატონი აპოლონ ყიფიანი გახლდათ. აპოლონი მისი ოფიციალური სახელი იყო („აპოლონ კონსტანტინოვიჩ!“), თორემ ისე ყველა „გუგული“ ყიფიანად მოიხსენიებდა.

საოცარი მოღვაწე იყო ბატონი გუგული, უნიჭიერესი ანტრეპრენიორი, ხოლო თანამედროვე ენით რომ ვთქვათ — ბრწყინვალე მენეჯერი!

საბჭოთა კულტურის მართვის სისტემაში ფილარმონიულ სტრუქტურას განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩნეული. ფილარმონია აწესრიგებდა, საკონცერტო-საესტრადო საქმიანობას, საშემსრულებლო კოლექტივების შექმნასა და მათ საკონცერტო-საგასტროლო მოღვაწეობას.

ბატონი გუგული ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოშიც და. . . საბჭოთა კავშირის საკონცერტო-საგასტროლო უზარმაზარ სივრცეშიც. რკინის ფარდაში შემოღწეული არა ერთი მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოს-შემსრულებელი თუ სახელოვანი კოლექტივი სწორედ მისი წყალობით, ჩამოდიოდა თბილისში. რა თქმა უნდა, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანაც მუშაობდა, მაგრამ სწორედ საქართველოს ფილარმონია, ბატონი გუგულის ხელმძღვანელობით, ქმნიდა იმ ატმოსფეროს, რომელიც ესადაგებოდა

გაგრძელება.

დასაწყისი იხ. „თ და ც“ №5,6. 2012 წ. №2. 2013 წ.

ოფიციალურ კურსსაც და ჩვენი საზოგადოების ინტერესსაც — მეტი ინფორმაცია მიეღო მსოფლიო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე, ერთი მხრივ, და ქართული კულტურა „გაეტანა“ საზღვარგარეთ, მეორე მხრივ. ეს ურთულესი რამ გახლდათ ტოტალურ სისტემაში. ბატონი გუგული ბევრ ეროვნული მნიშვნელობის იდეას პრაქტიკულად ახორციელებდა, ოსტატურად ფლობდა ორგანიზაციულ მექანიზმს. მისი პიროვნული ხიბლი მეორეხარისხოვან როლს როდი თამაშობდა!

ბატონი გუგული მიცნობდა, იცოდა რა ოჯახის შვილიც ვარ.

ამ წიგნის ფურცლებზე ხშირად მომიწევს ამა თუ იმ ქართველი მოღვაწის ასე მოხსენიება: „კარგად მიცნობდა“, „მიცნობდა,“ „იცოდა, რა ოჯახიდან ვარ“ . . .

შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ომისშემდგომ ქართულ სინამდვილეში არ ყოფილა თითქმის არც ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელთანაც ურთიერთობა, თუნდაც ეპიზოდური, არ მქონოდა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი მშობლების დამსახურებაა. საერთოდ, ქართული ინტელიგენცია ერთი, დიდი ცხოვრებით ცხოვრობდა. ტოტალურ სისტემაში მოქცეული საზოგადოება შინაგანად დაკავშირებული იყო, და ეს კავშირი, სულიერი ერთობა ქმნიდა იმ ატმოსფეროს, რომელშიც ჩემი თაობის „ოჯახის შვილები“ იზრდებოდნენ. მამაჩემი ხშირად დავალებით მაგზავნიდა ამა თუ იმ მწერალთან, მეცნიერთან თუ მოღვაწესთან — წიგნი ან სხვა რამ ნივთი მიმეტანა, ან წამომეღო, დავყავდი მწერალთა სახლის (მაჩაბლის ქუჩაზე) ბაღში, სადაც მწერლები გაუთავებლად კამათობდნენ, პრემიერებსა თუ კონცერტებზე. . . აღარას ვამბობ ქვიშხეთში გატარებულ ზაფხულის არდადაგებზე — მწერალთა დასასვენებელი სახლის გარშემო ხომ საზოგადოების მთელი ელიტა იკრიბებოდა,

ბატონმა გუგული ყიფიანმა და ფილარმონიის ხელმძღვანელობამ თეატრის შექმნის იდეას თანადგომა გამოუცხადა და პირადად ჩემს გარშემო ნდობისა და ყურადღების ატმოსფერო შექმნა. ამ გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: დირექტორის მოადგილე — ოთარ პაპიტაშვილი, მთავარი რეჟისორი— გაიოზ ქართველიშვილი, მთავარი ადმინისტრატორი — დიმა ბილანიშვილი . . .

დღეს თეატრის დაარსება იურიდიულად, ფორმალურად ძალზე ადვილია: რამდენიმე საბუთს წარადგენ და მორჩა, „დარეგისტრირდები!“ საზოგადოების მხარდაჭერა სულაც არ არის საჭირო. და თუ ეს იურიდიული აქტი მხატვრული თვითგამოხატვის აუცილებლობის ფორმალური დადასტურებაა, შემოქმედებითი ცხოვრების პერსპექტივას, ინიციატივის საზოგადოებრივ მასშტაბსა და მაყურებელთან ურთიერთობას —ესთეტიკური კრედო, მხატვრული აზროვნება, მსოფლმხედველობა და „აფეთქებული ფორმა“ განსაზღვრავს. ფინანსირების წყაროც — სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ კერძო კაპიტალიდან — ამისდა მიხედვით წარმოდინდება.

სოციალისტურ სისტემაში კი თეატრის შექმნის პროცესი, მისთვის ფორმალური, იურიდიული სტატუტის მინიჭება, ბუნებრივად დაბადებული „საზოგადოების მოთხოვნით“, ან რომელიღაც კაბინეტში, პროპაგანდისტული კონიუნქტურით განპირობებული, მოგონილი „მშრომელთა მოთხოვნით“ იწყებოდა.

იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას (ყველა დონეზე) რომ არ დაეჭირა ჩვენთვის მხარი, ჩვენ, რა თქმა უნდა, თეატრს ვერ შევქმნიდით.

1973 წლის მაისი.

„ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია“ იურიდიულად არსებობს, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის „სალაპარაკო ჟანრის“ კოლექტივი, რომელსაც რეპერტუარში აქვს მხოლოდ ერთი სპექტაკლი - („საკონცერტო პროგრამა“!) „მოდი, ვნახოთ ვენახი!..“

ჯგუფი IV კურსზე გადავიდა. უნდა დაიდგას ორი სადიპლომო სპექტაკლი. სადადგმო ხარჯებს, მინიმალურად, მაგრამ თეატრალური ინსტიტუტი აანაზღაურებს. ახლა მთავარი დრამატურგიული მასალის არჩევანია.

ჩამოვაყალიბე პიესის შერჩევის აუცილებელი კრიტერიუმები.

I. — იდეურ-თემატური შინაარსი: მძაფრი მოქალაქეობრივი ჯანყი, პიროვნული მიუღებლობა გაბატონებული დოქტრინისა, სიცრუისა, მორალური გარყვნილებისა, მხილება კეთილ ზრახვებში გახვეული ბოროტებისა.

II. — დრამატურგიული სტრუქტურის უპირობოდ მაღალი მხატვრული დონე.

III. — მოქმედების სივრცეში კონცეპტუალურად აგების, მეტაფორული აზროვნების შესაძლებლობა. გამახსენდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ფორმულა: „თეატრი კონსტრუქციული თამაშია, ერთადერთი შესაძლებლობით შედედებული“.

IV. — პიესის შინაგანი რიტმი უნდა ეხმიანებოდეს ჩვენს (ანუ თეატრის შემქმნელთა) აჩქარებულ მაჯისცემას.

V. — პიესის როლები უნდა ესადაგებოდეს „მსახიობთა“ პიროვნულ მონაცემებს. ამასთან, საინტერესო სამუშაო ყველას უნდა ჰქონდეს.

VI — პიესის არჩევანი უსათუოდ ახალგაზრდულად გაბედული და გამაღიზიანებლად გამომწვევი უნდა იყოს.

„ ჰამლეტი“!

დიახ, უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“!

დანიის პრინცი ხომ მეამბოხე ახალგაზრდა კაცია, რომელიც ჯერ ამწიფებს ბოროტებას

და შემდეგ თამამად ანგრევს მის ზღუდეებს; ერთს, მეორეს, მესამეს...

როგორი უნდა იყოს ახალგაზრდული თეატრის ჰამლეტი? ეჭვებით სავსე, გაუბედავი ინტელექტუალი თუ გულანთებული მებრძოლი?

შექსპირი ხომ მრავალნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა! ჩვენთვის რომელია ის „ ერთადერთი შესაძლებლობა“ , რომელზედაც აღმოგვხდება — ასე, და მხოლოდ ასე!

გულანთებული მებრძოლი!

წინ ხომ უამრავი წინააღმდეგობა გვაქვს დასაძლევი!

ჩვენი მაჯისცემა ჰამლეტის მაჯისცემასთან გაერთიანდება უსათუოდ. ჰამლეტი — ერთი ყველას პირისპირ!

ხელოვნებაში კონსერვატიზმის პირისპირ კი — ჩვენ:

აკაკი ხიდაშელი — ჰამლეტი
გოგი თურქიაშვილი — კლავდიუსი
თემურ ნაცვლიშვილი — პოლონიუსი
ლამარა დორეული — გერტრუდა
თამარ დათუაშვილი, დოდო ჩოგოვაძე — ოფელია
ლაერტი — თეიმურაზ ბიჭიაშვილი
ჰორაციო — ზურაბ ცინცქილაძე (ზურაბმა უკვე დაამთავრა ინსტიტუტი, თამარ დათუაშვილზე დაქორწინდა და ამრიგად, კიდევ ერთი, ნიჭიერი მსახიობი შეგვემატა)
როზენკრანც — აკაკი კობალაძე
გილდენსტერნ — მოვიწვევთ სტუდენტს პარალელური ჯგუფიდან
მესაფლავე — პავლე ნოზაძე (პარალელური ჯგუფიდან)
მსახიობები — კანდიდ გურგენიძე, ლუდმილა ალიმბარაშვილი.

სპექტაკლის მხატვრად მიხეილ ჭავჭავაძე მოვიწვიე. აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა ხელოვნებაში და საერთოდ, ცხოვრებაში. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ბედმა ამ ლეგენდარულ კაცთან დამაკავშირა. თეატრისა და ჩემი პირადი ცხოვრება იმიერიდან მიშასთან გადაიჯაჭვა. მისმა ინტუიციამ, ნიჭმა, განათლებამ და ცხოვრების წესმა ბევრი რამ განაპირობა და დაამკვიდრა ჩვენს შემოქმედებაში და კოლექტივის წევრთა ეთიკურ ურთიერთობებში. რამდენი იდეა — ერთი შეხედვით, თითქოს განუხორციელებელი, — რეალობად ვაქციეთ, რამდენ ოცნებას შევასხით ფრთა! რამდენი ღამე დაგვათენდა, რამდენი სასმისი დაილია, რამდენი იგავი და ქარაგმა ითქვა.

მიშას ინტუიციას ღრმა და მრავალმხრივი განათლება კვებავდა. კარგად ჭვრეტდა ხელოვნების იდუმალებას, კარგად იცოდა ლიტერატურა და მათემატიკური მსჯელობის თავისებური მეთოდი ჰქონდა. მექანიკის კანონების ცოდნა კი სცენური სივრცის ამოქმედებისა და ამოძრავების მოულოდნელ ხერხებს სთავაზობდა. კარგად გრძნობდა რეჟისორის ინდივიდუალობას და თავის ხედვით არა მარტო გარემოს ქმნიდა, არამედ რეჟისორულ გადაწყვეტასაც გვთავაზობდა. ასე გაამდიდრა მან შალვა გაწერელიას, თემურ ჩხეიძის, ავთანდილ ვარსიმაშვილის, ჩემი და სხვათა და სხვათა შემოქმედება. . . „ინტელექტუალური რომანტიზმი“ მის პიროვნებას განსაზღვრავდა, ყოფაშიც და შემოქმედებაშიც, და საერთოდ, მოღვაწეობაში.

სცენოგრაფიაში თავისი, განსაკუთრებული სტილი შექმნა. . . მკვეთრად სახასიათო, ამოსაცნობი სიღრმითა და ნატიფი ფერებით.

მკაცრი და ბოლომდე ერთგული იყო მეგობრობაში...

მიშა უმალ მიხვდა, რომ თეატრის შექმნა —შესაძლებელია.

მაშინ, პირველი შეხვედრის დროს, კაფე „თბილისში“, მოლა ნასრედინის ერთი იგავი გაგვახსენდა.

მოლა სახლიდან გავიდა. მეზობელი შეხვდა, სად მიდიხარო ჰკითხა. მოლამ ხუმრობით უპასუხა — კუთხეში ბრინჯს უფასოდ არიგებენ და იქნებ მეც შემხვდესო. მეზობელი სახლში დაბრუნდა ჭურჭლისთვის. მოლამ გზა განაგრძო და ქუჩის კუთხეში ერთი ალიაქოთი დახვდა: თურმე ბრინჯს მართლა არიგებენ . . . უფასოდ!

შემდეგ, მორიგი ახალი იდეით შეპყრობილთ, ხშირად გვითქვამს ერთმანეთისთვის: ვცადოთ, იქნებ, ბრინჯს მართლა არიგებენ!

ეძიებდე და ჰპოვებდე!

გუნდში კიდევ ერთი წევრი — მაია კობახიძე მოვიწვიეთ.

მაია პირველი კურსის დასრულების შემდეგ თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე გადავიდა. პიერ კობახიძის შვილიშვილი, შესანიშნავი თეატრალური მოღვაწისა და პიროვნების —ბადრი კობახიძის ოჯახში გაიზარდა. საფუძვლიანი განათლება მიიღო. უზადო გემოვნება ჰქონდა და ღრმა ანალიზის უნარიც. მას ლიტერატურული მრჩეველის მოვალეობის შესრულება ვთხოვეთ.

1973 წლის ზაფხული.

ინტუიცია მკარნახობდა, რომ თეატრის შექმნის ამ ეტაპზე არამც და არამც არ შეიძლება ენთუზიაზმის „გაციება“, რიტმის „ჩაგდება“.

ფილარმონიის ხელმძღვანელობას წინადადებით მივმართე, ჩვენი სპექტაკლის „მოდი, ვნახოთ ვენახი“-ს საქართველოს მასშტაბით საგასტროლო მოგზაურობაში გაშვების თაობაზე. ივლისის თვეს ამ გასტროლებს მოვანდომებთ, ხოლო ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა საშუალებას მოგვცემს აგვისტო ერთად გავატაროთ სადმე და მთელი დრო „ჰამლეტის“ რეპეტიციებს დავუთმოთ, ბოლომდე ვუერთგულოთ სტუდიური მუშაობის

პრინციპს.

ფილარმონიის ხელმძღვანელობამ ჩემი წინადადება გაიზიარა: „კონცერტების რაოდენობას“ ოცამდე დამატებითი ერთეული შეემატებოდა და საერთო ფილარმონიული გეგმა გადაჭარბებით შესრულდებოდა. გამოგვიყვეს შესანიშნავი, კომფორტული ავტობუსი, მოგვამაგრეს გამოცდილი ადმინისტრატორი, რომელმაც ოპერატიულად დაგეგმა გასტროლები.

რაც შეეხება აგვისტოში ერთად დასვენებასა და მუშაობას, საჭიროა იყო ისეთი ბაზის გამოძებნა, სადაც სარეპეტიციო სივრცეც იქნებოდა, კვების პრობლემაც გადაწყდებოდა და საყოფაცხოვრებო პირობებიც სათანადო იქნებოდა.

ბაკურიანში კომკავშირის „ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტს“ შესანიშნავი დასასვენებელი სახლი ჰქონდა— „მზიური ველი“. კვებაც სათანადო იქნება და არც ყურადღება მოგვაკლდება. არც საგზურები ღირს ძვირი, — გასტროლებით ნაშოვნმა თანხამ უნდა გადაფაროს ეს ხარჯები.

ისევ ნუგზარ ფოფხაძის კაბინეტი. საკითხი, რა თქმა უნდა, დადებითად გადაწყდა. ვიცხოვრებთ სასტუმრო „ბაკურიანში“, კვებასა და სარეპეტიციო დარბაზს უზრუნველყოფს „მზიური ველი“.

1 ივლისს „ვენახით“ გავემგზავრეთ საგასტროლოდ.

დადგა დრო შენობაზე ვიფიქროთ.

სადღაც უნდა დავიდოთ ბინა.

როგორც ადრე ვთქვი, ჩვენი სურვილი მოკრძალებულია: ჩემი ფიქრები ვერ სცილდება იმ დროს ევროპაში გავრცელებულ ტენდენციას -— არატრადიციული სივრცე, თუნდაც სარდაფი, რომელიც აივსება აქტუალური შემოქმედებით. ერთი სიტყვით, „ანდერგრაუნდი“. ეს ესადაგება ჩვენს მხატვრულ და მსოფლმხედველურ პოზიციას.

მივდივარ ქალაქ თბილისის მთავარ მხატვართან ბატონ ოთარ ლითანიშვილთან.

ოთარ ლითანიშვილი . . . საოცარი კაცი, ნიჭიერი შემოქმედი. . . შესანიშნავი ორგანიზატორი. . . სრულიად არაორდინარული პიროვნება... სულით და გარეგნობით რაინდი. . . ნამდვილი თბილისელი. . . იუმორით სავსე. . . დიდთან— დიდი, პატარასთან— პატარა, მასთან ურთიერთობა ზეიმი გახლდათ. . .

ბატონმა ოთარმა უკვე იცოდა ჩვენი ინიციატივის შესახებ.

— ბატონო ოთარ, ზეპირად იცი მთელი ქალაქი. სარდაფი გვინდა, დიდი სარდაფი, სადმე, ქალაქის ცენტრში.

— როდესაც გავიგე, რომ თეატრის გახსნას აპირებთ, ერთი იდეა დამებადა... გეტყვი, მაგრამ ვიდრე პასუხს მეტყოდე, კარგად დაფიქრდი. . .გითხრა?

— რა თქმა უნდა.

— მეტეხის ტაძარი.

— ????

(გაგრძელება იქნება)

დისკუსია

რას ვითხოვთ დღეს სათეატრო კრიტიკისაგან?

გიორგი ცქიტიშვილი

ვფიქრობ, ლევან ხეთაგურმა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ (№1. 2013 წელი.) ფურცლებზე ძალზე საჭირო და აუცილებელი დისკუსია წამოიწყო. კარგა ხანია ამ თემაზე პოლემიკა კულუარებში მიმდინარეობს. ალბათ, დროა ზემოაღნიშნულ საკითხზე ხმამაღლა, საჯაროდ, დაუფარავად იმსჯელონ პროფესიონალებმა. ის, რომ ეს პროფესია საჭიროა, ვფიქრობ, დავას არ უნდა იწვევდეს. სპექტაკლი აუცილებლად უნდა შეფასდეს. ამის შესახებ, არაერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი მოსაზრება როგორც თბილისის, ისე საქართველოს სხვა ქალაქების (სადაც პროფესიული თეატრი ფუნქციონირებს) თეატრის მოღვაწეებს. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ მიმდინარე წლის მარტ-აპრილში, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, მომავალ თეატრმცოდნეთა (მეოთხე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტები) ორ-ორ კაციანი მობილური ჯგუფები გაემგზავრნენ საქართველოს რამდენიმე პროფესიულ თეატრში (ქუთაისი, ჭიათურა, ახალციხე, გორი). მათი მიზანია მიმდინარე რეპერტუარში არსებული სპექტაკლების გაანალიზება-შეფასება. ზოგიერთმა მათგანმა უკვე წარმოადგინა პრესაში გამოსაქვეყნებელი რეცენზია. მომავალი თეატრმცოდნეების ამ ვიზიტს ყველა თეატრში დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. იმედი გვაქვს, ამგვარი აქცია უდავოდ შეუწყობს ხელს მათი შემდგომი დაოსტატების პროცესს. უბრალოდ, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ფინანსურად ვერ მოახერხებს იმას, რომ ამ სახით მთელი საქართველოს პროფესიული თეატრები სრულად მოვიცვათ. არადა, ეს შესაძლებლობას მოგვცემდა შეგვექმნა უპრეცედენტო რამ - დღევანდელ ქართულ პროფესიულ თეატრში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესის, ძიებების სრული სურათი. სახელმწიფოს მძლავრი მხარდაჭერის გარეშე ყოველივე ამის მიღწევა ყოვლად წარმოუდგენელია.

ახლა კი მივუბრუნდეთ იმ საკითხს, რაც შეეხება თანამედროვე ქართულ სათეატრო კრიტიკას. უდავოა ის ფაქტი, რომ ოცდამეერთე საუკუნემ გარკვეული კორექტირება შეიტანა ხელოვნების ამ დარგის კრიტიკოსის სტერეოტიპად დამკვიდრებულ პორტრეტში. ისიც ფაქტია, დღეს სპექტაკლის ფირზე აღბეჭდვა და ამ სახით მომავალი თაობისათვის მისი შემონახვა უკვე აღარ წარმოადგენს დაუძლეველ დილემას. თუმც, ერთიცაა: ხელოვნების სხვა სფეროსგან განსხვავებით, სათეატრო წარმოდგენა უშუალო, ცოცხალ აღქმაზეა გათვლილი. ის არ წარმოადგენს ფიქსირებული ხელოვნების ნიმუშს. ამაში თავად კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, როდესაც ფირზე გადაღებულ თეატრალურ სპექტაკლს ვუყურებ. შთაბეჭდილება, ემოცია, ბუნებრივია, ისეთი სრულფასოვანი ვერ არის, როგორიცაა სცენაზე ცოცხლად წარმოდგენის ხილვისას.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელმა სათეატრო კრიტიკოსმა, ალბათ სულ ცოტა, ოდნავ განსხვავებულად უნდა წეროს, ვიდრე ამას მეოცე საუკუნის თეატრმცოდნე აკეთებდა. ვგულისხმობ, ენას, სტილს, მანერას. მისი რეცენზია მხოლოდ პროფესიონალთა ვიწრო წრის ინტერესზე არ უნდა იყოს ორიენტირებული; მან ფართო მკითხველიც უნდა მიიზიდოს. მაგრამ, უმთავრესი მაინც ყველა დროისა და ეპოქისათვის ერთადერთია - კრიტიკოსი თუ სპექტაკლის როგორც მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება-შეფასებას ვერ ახერხებს, მაშინ სულ ტყუილად ეფარება ე. წ. „თანამედროვე მოთხოვნათა“ თვალისასახვევ კედელს. არადა, დღეს ძალზე მომრავლდა, წარმოდგენის როგორც ზეპირი, ისე წერილობითი განხილვისას აბსოლუტურად უაპელაციო, დაუსაბუთებელი, ყოველგვარ არგუმენტაციას მოკლებული, ამბიციური განცხადებები - მე ეს მომწონს!.. ან მე ეს არ მომწონს!.. იქვე ჩნდება ლოგიკური კითხვა: რატომ მოგწონს ან რატომ არ მოგწონს?!.. უბრალო, რიგითი მაყურებლისაგან განსხვავებით, კვალიფიციურმა კრიტიკოსმა, უპირველეს ყოვლისა, ამ კითხვებს უნდა გასცეს ამომწურავი პასუხი.

ერთია კიდევ, ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა თეატრმცოდნე რეცენზიის 90%-ს უთმობს იმის ახსნას, თუ რაზეა სპექტაკლი, აანალიზებს სარეჟისორო კონცეფციას, მაგრამ მსახიობზე თითქმის არაფერს ამბობს. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, ამოხსნა და გააანალიზო ის, თუ რას და როგორ თამაშობს არტისტი, უფრო რთულია, ვიდრე ის, რის თაობაზეც ზემოთ უკვე მქონდა საუბარი.

ცალკე, ძალზე მტკივნეული თემაა ე.წ. პლაგიატობა. ტექნიკურმა პროგრესმა, ინტერნეტის ქსელმა უდავოდ სწრაფად ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაციის მოპოვება. მაგრამ, ამასთან ერთად, ხელ-ფეხი გაუხსნა, რბილად რომ ვთქვათ, უსინდისო ადამიანებს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, ეს პროცესი არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება.

გარდა ამისა, კარდინალურად უნდა შეიცვალოს კრიტიკოსის შრომის მიმართ დამოკიდებულება. თუ დრამატურგი, რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი და მსახიობი, ჩვენს ქვეყანაში, ასე თუ ისე, მართალია არასახარბიელოს, მაგრამ მაინც იღებს გარკვეულ ჰონორარს, თეატრმცოდნის შრომა აბსოლუტურად გაუფასურებულია. იგი, ძირითადად სხვა საქმითაა დაკავებული (სამუშაო ადგილს ვგულისხმობ), რათა საკუთარი თავი და ოჯახი არჩინოს. ფაქტიურად, შიშველ ენთუზიაზმზე უწევს წარმოდგენის შეფასება.

ვიმედოვნებ, კიდევ არაერთი ადამიანი გამოთქვამს ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას. მაგრამ, გულწრფელად მეპარება ეჭვი, სამწუხარო გამოცდილებიდან გამომდინარე, რაიმე არსებითად, კარდინალურად შეიცვალოს.

ქართველი რეჟისორი რუსულ თეატრში

15 და 16 ივნისს რუსთაველის დრამატული თეატრის დიდი სცენა ვოლგოგრადის თეატრს მასპინძლობდა. სამსახიობო დასმა ორი სპექტაკლი — ალექსანდრე ტოლსტოის „მეფის მკვლელები“ და კენ ლუდვიგის „პრიმადონები“ წარმოადგინა. ასე აღნიშნა თეატრის ქართველმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ ჯანგიშერაშვილმა 70 წლის იუბილე და თეატრის რეჟისორობის 25-ე წლისთავი.

„თეატრი და ცხოვრება“ ბ-ნ ოთარს მისი თეატრალური ცხოვრების შესახებ ესაუბრა.

- გვიამბეთ თქვენი თეატრალური გზის შესახებ. როგორ მოხვდით თეატრალურ სამყაროში?

- 16 წლისამ დავამთავრე სკოლა და გავემგზავრე მოსკოვში.

ვაბარებდი კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე. სკოლის წლებიდან ვოცნებობდი გავმხდარიყავი ცნობილი კინომსახიობი. მოსკოვში ჩასულმა, არც რუსული ენა ვიცოდი კარგად და არც ნაცნობი მყავდა. მივაგენი ინსტიტუტს და გავედი გამოცდაზე, რომელსაც იბარებდა სერგეი გერასიმოვი. წავიკითხე ჰამლეტის მონოლოგი ქართულად, კომისია ხარხარებდა, ვიფიქრე რომ ეს იყო წარმატება, თუმცა მითხრეს, კარგი ბიჭი ხარ, როგორც ჩანს ენა არ იცი, დარჩი აქ, იმუშავე კინოსტუდიაში გამნათებლად ერთი წელი და შემდეგ ჩააბარეო. ასეც მოვიქეცი, თუმცა, ახლგაზრდული ხულიგნური თავგადასავლების გამო, დაახლოებით შვიდი თვის შემდეგ საქართველოში დაბრუნება მომიწია. გაზაფხული იყო, გადავწყვიტე თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისოროზე ჩამებარებინა. გამოცდაზე კომისიის თავმჯდომარე იყო ბ-ნი დოდო ალექსიძე. 1961 წელს ჩავირიცხე მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში. კურსზე ერთად ვსწავლობდით: მე, გოგი ქავთარაძე, დათო კობახიძე, ნანა გელაშვილი, გურამ ჩერქეზიშვილი. თეატრალურ ინსტიტუტში ორი წელი ვისწავლე, შემდეგ გამიწვიეს ჯარში. ერთ დღეს კალინინგრადის ქუჩებში გამოსულმა ფილმის გადაღების სცენა შევნიშნე, მივედი და შევიტყვე, რომ იღებდნენ „ჯარისკაცის მამას“. ბ-ნ რეზო ჩხეიძისა და სერგო ზაქარიაძისგან, რომელთან ერთადაც ვთამაშობდი მასიურ სცენებში „ფიროსმანში“, გავიგე, რომ დოდო ალექსიძეს კიევში აყავდა ჯგუფი. გავემგზავრე, ჩავირიცხე და დავამთავრე კიევის სახელოვნებო ინსტიტუტი.

- რა მოგცათ თქვენმა პედაგოგმა დოდო ალექსიძემ?

- მყავდა ორი პედაგოგი, მიხეილ თუმანიშვილი, რომელმაც მასწავლა იმპროვიზაციის გაგება, ანალიზის საჭიროება და დოდო ალექსიძე, რომელსაც ჰქონდა უდიდესი ემოცია, ენერგეტიკული მონაცემები, მან ძალიან დაწვრილებით და კომპლექსურად შეგვასწავლა სტანისლავსკის სისტემა.

- როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები პროფესიულ ასპარეზზე? რა დროიდან წახვედით რუსეთში?

- პირველი სპექტაკლი იყო „ჭირვეულის მორჯულება“. მარჯანიშვილის თეატრში. სპექტაკლი წარუმატებელი იყო სხვადასხვა მიზეზის გამო. ჩემი რეჟისორობით ეს გამოდიოდა აბსურდული თეატრი, დოდო რომ ჩამოვიდა, გვერდზე მიხმო და მითხრა: ახლა მე გავაკეთებ რაც საჭიროაო. მსახიობებიც მას მიენდნენ და მე, როგორც ახალგაზრდა რეჟისორს, მიღალატეს. სპექტაკლი არ გამოვიდა და ასე გულდაწყვეტილი დავბრუნდი უკრაინაში. ამიყვანეს კიევის ახალგაზრდულ თეატრში, შემდეგ მიმიწვიეს პუშკინის საიუბილეო საღამოზე სპექტაკლის დასადგმელად. 1971 წელს დავდგი სპექტაკლი „რატომ გალახეს კორესპონდენტი“, ქართველი დრამატურგის გიორგი მდივნის პარტიული პიესა. სპექტაკლი ითამაშეს 6-ჯერ და დახურეს.

ამ დროისთვის უკვე გამომიჩნდნენ მეგობრები, მფარველები თეატრალურ სამყაროში,

რომელთაც „მიშვილეს“. ოდესაში, ნოვოსიბირსკში დავდგი 4-5 გახმაურებული სპექტაკლი, კლასიკური რუსული პიესები, მომემატა ავტორიტეტიც, მიუხედავად ამისა, ისევ დავბრუნდი თბილისში. ვითხოვე გორის თეატრის ხელმძღვანელობა. სამინისტროში უარი მითხრეს ასაკის გამო. კვლავ დავბრუნდი რუსეთში, ჩამაბარეს პეტროზავოდსკის სახელმწიფო თეატრი, რომლის დასში 150 მსახიობი იყო. აქ ვიმუშავე 6 წელი. შემდეგ ცეკადან მომივიდა წერილი, შემომთავაზეს გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელობა. ვუთხარი, რომ მოვიფიქრებდი. კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვლმა შეხვედრაზე მითხრა, რომ სასიხარულო იყო ჩემი ჩამოსვლა, მაგრამ მისი სიმპათია გიზო ჟორდანიასკენ იხრებოდა, იქვე გამაცნეს გიზო ჟორდანია. ამ ფაქტს ხშირად იხსენებს ხოლმე ბ-ნ გიზოც. ისევ დავბრუნდი რუსეთში, სადაც მომცეს გორკის (რომელიც მესამე ქალაქია რუსეთში) აკადემიური თეატრი 1983 წელს. ეს იყო 250 წლის თეატრი. გორკში ვიყავი 5 წელი. თეატრის სამსახიობო დასში იყვნენ 80 წელს გადაცილებული სსრკ სახალხო არტისტები, შევკრიბე ახალი ჯგუფი და ერთ წელიწადში დავდგი 8 სპექტაკლი, ამ თეატრის ბილეთში ცვლიდნენ „ვოლგის“ საბურავს, რომელიც ძალიან იშვიათი იყო იმ დროისთვის. ასეთი შეფასება მიიღო ამ თეატრმა.

– როგორ მოხვდით ვოლგოგრადის თეატრში?

- გაზეთ „საბჭოთა კულტურაში“ მიმდინარეობდა დისკუსიები თეატრის შესახებ, რომლის აქტიური მონაწილე ვიყავი. ეს ის დროა, როდესაც თეატრის ავტორიტეტი დაეცა, ის გაჟღენთილი იყო იდეოლოგიით. 1988 წელს, მე როგორც დისკუსიების აქტიური მონაწილე, მიმიწვიეს ვოლგოგრადის თეატრში. გორკიდან ვოლგოგრადში გადასვლა რთული იყო. ვოლგოგრადის მთავრობას ძალიან უნდოდა მეხელმძღვანელა თეატრისთვის. გორკის მთავრობა არ მიშვებდა ვოლგოგრადში. იმის გამო, რომ გორკიდან არ წავსულიყავი დამნიშნეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად, საბოლოოდ მაინც გადავედი ვოლგოგრადში. თეატრის შენობის შეკეთების და საჭირო აპარატურისთვის შესაძენი თანხისთვის ჩავედით გორბაჩოვთან. გამოიყო ნახევარი მილიონი დოლარი, რომელიც არ ტრიალებდა საბჭოთა კავშირში. ყველა ჩემი მოთხოვნა დააკმაყოფილეს, სახლი მომცეს, ახალი დასი ბინებით უზრუნველყვეს, მანქანა „Чайка“-ც კი მომაკუთვნეს, რომელიც ყველა ქალაქში მხოლოდ ერთი იყო და მთავრობას ემსახურებოდა. ცხრა თვეში მოვამზადეთ სამი სპექტაკლი: „რომეო და ჯულიეტა", „მასკარადი“ და „ თვითმკვლელი“- ით. მას შემდეგ 25 წელიწადია ვარ ვოლგოგრადის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

– როგორია თეატრის რეპერტუარი? დიდი სამსახიობო დასი გყავთ?

- რეპერტუარის 60% კლასიკურ პიესებს უჭირავს, 15% — კომედიებს, დანარჩენი თანამედროვე პიესებია. დასში არის 47 მსახიობი, რომელთაგანაც 80% ჩემი მოწაფეები არიან. ვოლგოგრადში შევქმენი ხელოვნების ინსტიტუტი და გამოვუშვი 4 კურსი. 25 წელია ჩვენ მთელი კვირა ორშაბათის გარდა, ვთამაშობთ სპექტაკლებს. ვოლგოგრადი, რომელიც ერთ-ერთი არათეატრალური ქალაქი იყო, თეატრალურ ქალაქად ჩამოყალიბდა.

– დაფინანსების რა პრინციპზეა თეატრი?

- 45% არის სახელმწიფო დაფინანსება, დანარჩენი თანხა შემოდის სალაროდან.

– საქართველოში ჩამობრძანდით თქვენს 70 წლის იუბილეზე დასთან ერთად?

- თეატრი გასტროლზე ნამყოფია დაახლოებით 12 ქვეყანაში, საქართველოში დასთან ერთად ჩამოვედი პირველად. მინდოდა დასისთვის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამეკეთებინა საჩუქარი, მეჩვენებინა მათთვის ჩემი ქვეყანა. რუსთაველის თეატრის სცენაზე თამაში დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მეშინოდა მაყურებლისაც, მაგრამ მივიღეთ ფანტასტიკური შედეგი, სპექტაკლის დასრულების შემდეგ 15- 20 წუთი ვიდექით სცენაზე, ხალხის ასეთ დაფასებაზე დიდი ჯილდო არაფერია. ჩემი დიდი რისკი წარმატებით დასრულდა. უდიდესი საჩუქარი იყო ჩემთვის ვიზიტი პატრიარქთან, რომელმაც ვოლგოგრადში ჩვენს მიერ აშენებული ქართული ტაძრისთვის გვაჩუქა ხატი.

– ჩამოტანილი გქონდათ ისტორიული დრამა და კომედია. ამან საშუალება მისცა ქართველ მაყურებელს, მრავალმხრივად ენახა თქვენი სამსახიობო დასი. რატომ მაინცდამაინც ეს სპექტაკლები?

- ალექსანდრე ტოლსტოის „მეფის მკვლელები“ ძალიან რთული პიესაა. ეს არის რუსული კლასიკა, რომელიც დაწერილია ლექსად. ამ პიესით ისეთი აქტუალური და თანამედროვე სპექტაკლი გავაკეთე, რომ ვფიქრობ, საქართველოშიც გამოიცნო მაყურებელმა ეს აქცენტები. ეს არის უმაღლესი კლასიკა, რომელშიც დასს შეუძლია მოახდინოს რეალიზება, თუ ის ძლიერია. კომედიაში კი ჩანს პლასტიკური, ვოკალური მომზადება, ის თუ რისი საშუალება და შესაძლებლობა აქვთ მსახიობებს.

– რა არის თქვენი რეჟისორული კრედო?

- გიპასუხებთ. ოსტაპ ბენდერის სიტყვით „всегда“. სპექტაკლი ყოველთვის უნდა იყოს ცოცხალი, სხვა შემთხვევაში მაყურებელი თეატრში არ მივა, ეს არის მთავარი საიდუმლოება. თეატრმა უნდა აჩვენოს ის, რაც ცოცხალია, მწვავეა, აქტუალურია. სპექტაკლი ეს არის პროდუქტი, რომელსაც ყიდი, ამიტომ მაყურებელს უნდა მიაწოდო ის, რაც მას აინტერესებს.

ესაუბრა თამარ აბესაძე

დრამატურგია

ეს პიესა ჩემი და ჩემი ახლობლების თავს გადახდენილი სახალისო ისტორიების ნაკრებია.

არც მწერალი ვარ და არც დრამატურგი. გაგიმხელთ და... არც ახალგაზრდა - ერგასს გადავაბიჯე. განათლებით ქიმიკოსი ვარ. თეატრი მიყვარს. თან ძალიან.

სხვადასხვანაირი ფორმით ხან მეტად ვუახლოვდებოდი ამ სამყაროს, ხან ნაკლებად - სტუდენტობისას ვრეჟისორობდი, ვთამაშობდი, მერე უფროსი ქალიშვილი „ავათამაშე“ — მსახიობია, ახლა შვილიშვილს „ვწამლავ“ თეატრის სიყვარულით ...

რომ არა მწერალ დათო ტურაშვილის დადებითი შეფასება, ვერც გავბედავდი თუმანიშვილის სახელობის ფონდის მიერ გამოცხადებულ „თანამედროვე ქართული პიესის“ კონკურსზე მის წარდგენას... გამარჯვებას ვინ ჩივის, პირადად ვერ გავიცნობდი მის თავდადებულ პრეზიდენტს, არაჩვეულებრივ მანანა ანთაძეს და ამ სფეროში მოღვაწე ბევრ სხვა კარგ ადამიანს.

მოხდა ის , რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი: ჩემს პიესას ხვდა პატივი, გაიმარჯვა, მერიის დაფინანსებაც მიიღო და დაიდგმებაო, ამბობენ, თუმანიშვილის სახელობის თეატრში!

ახლა კიდევაც იბეჭდება...

ემოციით სავსეს, ასე მგონია , ტანგოს ვცეკვავ!

მაცეკვეთ ტანგო!

ავტორი

ნინო მირზიაშვილი

მაცეკვე ტანგო!

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

კოტე – საშუალო ასაკის მამაკაცი
ნელი – მისი მეუღლე, საშუალო ასაკის
ზაზა – მათი ვაჟი
გიორგი – მეზობელი
ნატუკა – გიორგის ქალიშვილი
ბექა – ნატუკას შეყვარებული
სასწრაფოს ექიმი
სამარშრუტოს მძღოლი
მეზობლები

პირველი მოქმედება

ოთახი. დილა. გამოდის ასაკოვანი ქალი ხალათში, თავისთვის ლაპარაკობს.

ნელი: ...ამინთო შუაღამისას სინათლე... არ ეძინებოდა, ბატონო და რა ექნა? ატეხა გაზეთების შრიალი, თითქოს დღისით უშლიდეს ვინმე კითხვას... რა საქმე აქვს, ნეტავი?... გამათენებინა... ახლა თვითონ ხვრინავს... შენ იყავი მთელი დღე დარეტიანებული, ვის აინტერესებს... (შლის მაგიდას საუზმისთვის. გამოდის ასაკოვანი კაცი, ახალი გაღვიძებულია. ტელევიზორს რთავს. დადგება და უყურებს) აჰა, გამობრძანდა გამოძინებული!.. მოდი, ახლა, კაცო! ვისაუზმოთ და ალაგდეს ეს მაგიდა, შუადღემდე რომაა გაშლილი!... (თავისთვის) ჩაუჯდა დილიდან ტელევიზორს... შუაღამემდე ხომ უზის... მერე - არ მეძინებაო! რა დააძინებს? რომ დაიძინო, უნდა დაწვე და თვალები დახუჭო! ეს ზის, დაქაჩული აქვს თვალები ვასაკასავით და ელოდება, ეკრანიდან ხელს როდის გამოყოფს ვინმე და გამოურთავს ტელევიზორს!.. (გადის. შემოაქვს ტაშტით გასაფენი სარეცხი) ვერაფერს ამჩნევს, ვერავის ამჩნევს... გინდა მე ვყოფილვარ და გინდა კოღოს უწუილია... (გადის აივანზე სარეცხის გასაფენად)

კოტე მდუმარედ უყურებს ტელევიზორს. შებრუნდება. მიიხედ-მოიხედავს, დაინახავს აივნის ღია კარს, მივა, მიხურავს, გადაკეტავს გასაღებით და გადის მეორე ოთახში.

ბინა დაბნელდება. განათდება მეორე ბინა. ოთახი. ტახტზე გაშლილ ლოგინში ნატო წევს. ყურსაცვამებით უსმენს მუსიკას. კარი ფრთხილად იღება, ნატო თავზე საბანს წაიფარებს. შემოდის გიორგი.

გიორგი: გაიღვიძე, ნატუკა?

ნატო საბნის შიგნით გადატრიალდება.

გიორგი: ნატუკა! ნატო!

ნატო: ჰა? (მოიხსნის ყურსაცვამებს)

გიორგი: გაიღვიძე?

ნატო: ხო! (იკეთებს ყურსაცვამებს)

გიორგი: არ ადგები? იოგურტები ამოგიტანე, ფუნთუშები, ბანანი... კიდევ გინდოდა რამე?

ნატო: (ამოყოფს თავს საბნიდან, მოიხსნის ყურსაცვამებს) ჰა?

გიორგი: კიდევ ხომ არ გინდა რამე?

ნატო: არა! (ისევ იკეთებს ყურსაცვამებს)

გიორგი: ახტი, აბა, მამიკო და ისაუზმე. ხომ არ გადაიფიქრე? იქნებ წამოხვიდე ნაკვეთში, ჰაერზე... დაისვენებ, გაერთობი... გინდა გოგოებიც წავიყვანოთ? დაურეკე ლიკას, თიკას... რა ვიცი, ვისაც გინდა... მერე იქიდან სადმე შეგიყვანთ და გასადილებთ, სადაც გინდათ... გინდა კინოში წაგიყვანთ...

ნატო: (ამოხედავს საბნიდან) ჰა? არა! (ისევ გაიკეთებს ყურსაცვამებს)

გიორგი: კარგი რა, ნატუ! ნუ მებუტები! რატომ არ გინდა გაიგო, რომ ის ბიჭი შენი შესაფერისი არ არის? ლუიზამ მითხრა, გაგიჟებულები არიან იმის მეზობლებიო, ქალების რიგი მიდის, რიგი მოდისო... შენ კიდევ შტერივით გჯერა, რასაც გეუბნება... შენ რა იცი, გამოუცდელი ხარ ჯერ... მაგისთანების ამბავი მე მკითხე... რა ენაღვლება რა! ყველაფრით უზრუნველყოფილი, ანგელოზივით გოგო გამოგიჭირა და გასულელებს. დედაშენმა რომ გაიგოს, ფეხით ჩამოვა... ცხრა მთას იქეთაა ქალი გადახვეწილი, შენ რომ არაფერი მოგაკლდეს... (ნატო დგება. აშკარად არ ესმის მამის ლაპარაკი) ...ის იქ იდგამს წელებზე ფეხს, მე — აქ... და რა ? გადაეყრება მერე შენი ნალოლიავები შვილი ვიღაცა ყალთაბანდს და მოგჭამა ჭირი... აღარც დედა ახსოვს, აღარც მამა... იხეთქე გული, დაიმართე ინფარქტი და ინსულტი... ლუიზა რომ არა ...

ნატო: (სადღაც აღიქვამს მამის სიტყვებს) ვაიმე, საწყალი... (სხვათა შორის შეიცხადებს) მერე?

გიორგი: მერე უკვე გვიან იქნება... მერე რაღას უშველი?

ნატო: და ასე ცუდადაა?

გიორგი: ხო და, სანამ ძალიან ცუდად იქნება საქმე და სანამ შველა შეიძლება...

ნატო: მე რა ვქნა? (თან რაღაცას ეძებს ოთახში) არაფერი ეშველება?

გიორგი: დაანებე თავი და ეშველება ყველაფერს!

ნატო: მე რა შუაში ვარ? ასი წელი, რა!

გიორგი: შვილო, ის თუ არ გეშვება, მითხარი და თავს წავაწყვეტ!

ნატო: რაღა თავის წაწყვეტა უნდა, ინფარქტი და ინსულტი ქონია...

გიორგი: ვისა, კაცო? როდის?

ნატო: ახლა არ თქვი?

გიორგი: რა?

ნატო: ინფარქტი და ინსულტიო...

გიორგი: ხო და მერე გვიან იქნება-მეთქი...

ნატო: მერე მიხედეთ ნათესავებმა!

გიორგი: შვილო! ვერ მითხარი ასე თუ იყო საქმე? მაგის სეირს გაყურებინებ! რა ნათესავები მინდა მაგასთან, ცალი ხელით მოვერევი.

(ნატო აღარ უსმენს მამას)

გიორგი: სად ვნახო მითხარი და მაგას... სად იქნება, სად?

ნატო: სად იქნება და საავადმყოფოში.

გიორგი: საავადმყოფოში რა უნდა?

ნატო: აბა, სახლში...

გიორგი: ჰო და მომეცი მისამართი. ნატო! მისამართი მითხარი!

ნატო: ჰა? აგერ არ ცხოვრობს, პირდაპირ კორპუსში?

გიორგი: აქ მოგვიჩოჩდა ახლა? გადმოვიდა?

ნატო: ჰა? სულ აქ არ იყო?

გიორგი: როდის, კაცო? ლუიზას დაქალის მეზობელი არაა? სოლოლაკში არ ცხოვრობს? აღმართზე რომ ახვალ, ოღონდ რომელი სახლია, ზუსტად არ ვიცი. ნატო! ამოიღე ხმა!

ნატო: ჰა? რა მეზობელი? ვისზე მეუბნები?

გიორგი: იმ ვაჟბატონზე, ბექაა თუ რაღაცა...

ნატო: (ყურსაცვამებს იხსნის) აბა ლუიზას ინსულტი თუ ინფარქტი აქვსო? ბექა რა შუაშია?

გიორგი : რას ლაპარაკობ, გოგო? ლუიზა რაღა შუაშია?

ნატო: შენ არ თქვი?

გიორგი: ამხელა კაცი აქ ქადაგად ვარ დავარდნილი და ამას აცა-ბაცად ესმის ყველაფერი, თურმე! მოიწყვიტე ის ვაჟბატონი, მე შენ გელაპარაკები, თორემ მე ვიცი, რასაც ვუზამ!

ნატო: რას გადაეკიდე, ვერ გავიგე, არ იცნობ, თვალით არ გინახავს და იმ ჭორიკანა ლუიზას უჯერებ? რას გადაგვეკიდა ეს ლუიზაა თუ ვიღაცაა... თუმცა ვიცი, რაც აწრუწუნებს (ბაძავს ლაპარაკში) „მაგფერი ბაღანე ნატუკა რომაა, სადაა... მაგიზა ერთი იმფერი ჩუმი, წყნარი, ოჯახის ბიჭი მყავს - მეფის ასულს შეშურდება! დილას გაკაკუნდება მისი ქუსლიანი, ოთხკუთხედცხვირიანი ფეხსაცმელებით სამსახურში, საღამოს მოკაკუნდება... გაკაკუნდება - მოკაკუნდება... მერე დაკაკუნდება კომპიუტერთან და კაკუნებს და კაკუნებს თავისთვის... ხმას არ იღებს....“ ჰო და ყავდეს ის კოდალა! რა გამიწყალა გული? მაგიტომაც იგონებს სისულელეებს, ფეხი ვერ გადამიდგამს ქუჩაში... შენ კიდევ მაგის გჯერა და ჩემი მოსმენა არ გინდა! არ მინდა არავინ სხვა! მე ბექა მომწონს და მიყვარს და არ მაინტერესებს, ვინ რას ლაპარაკობს! მორჩა და გათავდა!

გიორგი: ახ, ასე არა? გადაგაცდინა ხომ ჭკუიდან იმ უსაქმურმა!... ახლა მე მიყურეთ შენც და იმანაც! მე შენ გეუბნები, არც შეხვდები, არც დაელაპარაკები! ჩაიცვი ახლავე და წამოდი ჩემთან ერთად ნაკვეთში!

ნატო: არა, არ წამოვალ! რა ჯანდაბა მინდა იქ! ვიჯდები სახლში!

გიორგი: ჰოდა იჯდები! ფეხს ვერ გაადგამ გარეთ! მომეცი შენი გასაღები! თანაც ლუიზას დაგიყენებ გარეთ ყარაულად!

ნატო: აუ, ისევ ლუიზა!

გიორგი: (გამორთავს ქალაქის ტელეფონს, ამოიჩრის იღლიაში, მერე ნატოსთან მივა, მობილურს გამოგლიჯავს ხელიდან) ადამიანი ჩვენთვის ცდილობს და ეს დასცინის! მე მალე მოვალ და მერე კიდევ დაგელაპარაკები!!!

(გავარდება ოთახიდან)

ნატო: აუუ, მამა, კარგი რა, კარგიიი... (დაემხობა ტახტზე)

ბინა ჩაბნელდება. განათდება ნელის და კოტეს ბინა.

ნელი: (ამთავრებს სარეცხის გაფენას, კარებს ეჯაჯგურება, მერე ატეხავს კაკუნს) კოტე! კოტე!!!

კოტე: (ნახევრად ჩაცმული გამოდის. უხმოდ მიიხედ-მოიხედავს. ნელი აკაკუნებს, რაც ძალი და ღონე აქვს. კოტე უღებს კარს. ეცინება)

ნელი: რა გახდა ეს საკეტები!!!! ხომ ვამბობ, მე ვარ თუ არა - კაცი ვერ ამჩნევს!!! მერამდენედ უნდა ჩამკეტო აივანზე? რომ წასულიყავი, რას მიბრძანებდი, რა უნდა მექნა? ფრთები ამექნია და გავფრენილ-იყავი, თუ აქვე გამეკეთებინა ბუდე? დღესვე წაიღე ორივე საკეტი გასაკეთებლად!!! ერთი გარედან არ იღება, მეორე შიგნიდან არ იკეტება! რა უბედურებაა, ბოლოს და ბოლოს!

კოტე: მიმაქვს! დღეს მიმაქვს! დილიდან იწყება ღრრრრ-ღრრრრ (ხერხვის იმიტაცია)

ნელი: ხო, როგორ იჩაგრები... მეცოდები პირდაპირ!... ჩემი ნერვების მოშლის გარდა, არაფერს აკეთებ! ეს ვის გადავეყარე, ღმერთო ჩემო!... (გადის, მალევე შემოდის) მოდი, ახლა, ისაუზმე და... (კოტე გადის) კაცო, მე მოდი გითხარი თუ მიდი?... რას დადის, რას ეძებს... გამაგიჟა ქალი! რას აკეთებ მთელი დილა? (გასძახებს) მოდიხარ, თუ არა? (კოტე ისევ შემოვა, ინსტრუმენტებით ხელში. ცოტა ხანს დადგება. მერე მიდის აივნის კარებთან და საკეტს ხსნის. ნელი უცებ გაჩერდება, თავზე ხელებს შემოიდებს) ღამე თითქოს ყელში რაღაც მიჭერდა... მახრჩობდა...

კოტე: (გამოხედავს) ჩემზე გაქვს ეჭვი?

ნელი: შენ! შენ გენაცვალე, კითხვა აგიტყდა შუაღამისას! დამანათა პროჟექტორი... მომიწყო აქ „სიომ-კები“... ნათურა მაინც გამოცვალე და შედარებით სუსტი დააყენე!... აპაჰ, როგორ გეკადრებათ!... იცინე, იცინე! მოვკვდები და მერე დამცინე.

კოტე: მოკვდები და გაგასვენებ „პალიროვკიანი“ კუბოთი ჩემს მამაპაპისეულ სასაფლაოზე რაჭაში!

ნელი: აბაა, რაჭაში, ხო! რა მინდა რაჭაში! რა დამრჩენია რაჭაში? იქ არ დავსაფლავდები მე! ამოვხტები საფლავიდან! ზაზუკას და ნუცას დავუბარებ... კატეგორიულად!... შენც და მეც აქ დავსაფლავდებით!

კოტე: აქ მე ამოვხტები!... და ვიხტუნაოთ ასე პინგ-პონგის ბურთებივით აქეთ-იქეთ... (იცინის)

ნელი: (გაცხარებული) და არც „პალიროვკიანი“ კუბო და მაიმუნობა არ მჭირდება მე!

კოტე: აბა, „მეტრაჟნი“ ცელოფანი? თუ პირდაპირ ზედ მოგარტყათ სახელურები? (კოტე გადის და მალევე შემოდის, ამჯერად ჩაცმული)

ნელი: იცინე, ხო იცინე და იმაიმუნე! ვნახავ, ვინ იქნება შენი პატრონი. შვილების იმედი თუ გაქვს - იმათ თავიანთი ცხოვრება აქვთ! მე მომიარე გირჩევნია...

კოტე: რაც მე შენს მოვლაში ღამეები მითენებია...

ნელი: ღამეები უთენებია! ძალიან კი გადაიღალე, შენმა მზემ! მთელი ჩვენი ნაცნობობის მანძილზე ფეხბურთის ორი სხვადასხვა მატჩის თითო ტაიმი შემომწირე, ისიც ვიდეოჩანაწერი!

კოტე: რატომ? ერთხელ პირდაპირი ტრანსლაციაც შემოგწირე. „სპარტაკი“ - კიევის „დინამო“! კარგად მახსოვს!

ნელი: ხო, სამშობიაროში რომ მიგყავდი, ზაზას რომ ვაჩენდი! იმას ვფიქრობ, ჩემი გასვენება რომ დაემთხვას ფეხბურთის მატჩს, დაუმარხავს დამტოვებ! ვაიიი... სად მქონდა ჭკუა, შენ რომ მოგყვებოდი!

კოტე: რას ლაპარაკობ, მომყვებოდი კი არა, სირბილით არ მომდევდი? გადაგარჩინე, თორემ დარჩებოდი შინაბერა.

ნელი: აბა, საწყალი!.. რიგი მედგა, რიგი! სწორედ მათმა ცოდვამ მიწია, ვისაც უარი ვუთხარი!..

კოტე: კარგი, აჰა, მოვედი და ვისაუზმოთ! ამას არ შევჭამ, მარტო ჩაის დავლევ. უცებ წავალ, მალევე მოვალ და მერე შევჭამ...

ნელი: კაცო, მე აქ კვების ობიექტი კი არა მაქვს! მთელი დღე შენს მომსახურებაში უნდა ვიყო? ათასი საქმე მაქვს... მეც წასასვლელი ვარ!

კოტე : წადი მერე...

ნელი: არც არავინ იკითხავს სად მიდიხარ, ვისთან მიდიხარ, როდის მოხვალ...

კოტე: სად მიდიხარ? ვისთან მიდიხარ და როდის მოხვალ?

ნელი: ძალიან გაინტერესებს რა! ნეტავ როდის გიკითხავს...

კოტე: მე ყოველთვის გეკითხები... თვალებით.

ნელი: თვალებით და „ამირან გულში მღეროდა“ ამომივიდა ყელში! არც გაინტერესებს ჩემი არაფერი... იქნებ სად მივდივარ?..

კოტე: დარწმუნებული ვარ შენში და ვიცი, შენს თავს ვერავინ წამართმევს (ყალბი პათოსით)

ნელი: კარგი, კარგი ერთი, რა!... ხუთწლედში ერთხელ ხმას ამოიღებ და ისიც რაღაცას მასხარაობ...

კოტე: (გაიმზადა კარაქიანი პური, გაშალა გაზეთი და ჩარგო თავი შიგ. ნელიც მიუჯდება მაგიდას. საუზმობენ)

ოთახი ჩაბნელდება. განათდება ნატოს ოთახი. ნატო ახლა კომპიუტერთნ ზის და მიწერ-მოწერითა დაკავებული. შემოიხედავს მამა.

გიორგი: საუზმე მაგიდაზეა! მე მივდივარ! გესმის რას გეუბნები? ნატო!

ნატო: დამანებე თავი!

გიორგი: მე შენ გაჩვენებ, „დამანებე“-ს! ჩემი ხელით დაგახრჩობთ შენც და იმ უსაქმურსაც!

ნატო: უსაქმური არაა, გითხარი, მხატვარია!

გიორგი: მხატვარი არა, ის! (გაიხურავს კარს)

ნატო: აუუუ!

ნელის და კოტეს ბინა

ნელი: გუშინ ნათელამ დარეკა. გოგის ოპერაციას უკეთებენ თურმე... ძალიან აწუხებს ის ფეხი, შარშან რომ მოიტეხა...

კოტე: (გაზეთს არ აშორებს თვალს) უჰუ...

ნელი: მარიკას, გენაცვალე, არაფერი აღელვებს... დაურეკავს ნათელას, შენი ძმა ამ დღეშია, მოდი, ხან შენ მიხედე, ხან მეო და მე სად შემიძლია მაგის მოვლა, იქით ვარ მისახედიო... არადა მივლინებებში კარგად დაქრის - ხან გერმანიაშია, ხან — შვეიცარიაში...

კოტე: (მდუმარედ კითხულობს)

ნელი: ახალი მეზობლები გადმოგვივიდნენ გვერდით. ერთი კვირაა ლაგდებიან, ლაგდებიან... რით ვერ დალაგდნენ... ამ სახლში ვინ გადადის, ვინ გადმოდის, ვეღარ გავიგე... ძველი აღარავინ დარჩა... ვერავის დაელაპარაკები... სანამ გაიცნობ და დაუახლოვდები, - გაყიდიან ბინას და გადადიან..

კოტე თავს აქნევს.

ნელი: ნუკას ტაშის დაკვრა უსწავლია... ხან გაარტყავს ხელებს ერთმანეთს, ხან აცილებს... ზაზამ დამირეკა გუშინ, იმდენი მაცინა....

კოტე: (ღიმილისმაგვარი გამოეხატება სახეზე)

ნელი: მორჩაااა... დაიკარგა საზოგადოებისთვის... ან ხელი აიქნიე, ან ფეხი... ან რამე მომიყევი, ან რაიმეთი გამართე... მთელი დღე ან გაზეთს კითხულობ, ან ტელევიზორს უყურებ, ან ჭადრაკის პარტიებს არჩევ... მე პირში ბალახი ამომივიდა, ყურებში ხავსი... გინდა ვყოფილვარ, გინდა — არა... მარტო იმისთვის მეკონტაქტები „ეს სად არის, ის სად არის“ მკითხო... რა უბედურებაა ეს! ღმერთო ჩემო, ვის შევეწირე!.. გესმის, რას გელაპარაკები?

კოტე: (გაოცებული ახედავს) რა გინდა ნელი?

ნელი: დავიღალე მონოლოგების კითხვით... რაღაცა რეაქცია გქონდეს, რაიმე კომენტარი გააკეთე... ქვეყნის ინფორმაცია დავაფრქვიე დილიდან... სოფლის კლუბის რადიო ხომ არა ვარ, ბოლოს და ბოლოს, ჰაერში ვილაპარაკო.

კოტე: რა კომენტარი გავუკეთო გოგის ოპერაციას და ნათელას და მარიკას ძიძგილაობას? გინდაც ჩვენი მეზობლების მიგრაციას, ან ნუკას ტაშისკვრას?

გავიგე და გეთანხმები, ხტუნვას ხომ არ დავიწყებ? შენ რაღაც მარცხენა ფეხზე ადექი დღეს და შარზე ხარ!

ნელი: ხო, რა იყო, რა! მომბეზრდა - აჭამე, გაურეცხე, დაუუთოვე... მთელი დღე ხმასაც არ გაიღებ... ან რამე მომიყევი, ან ფეხი დააბაკუნე, ან მუშტი დაარტყი მაგიდას, ან, ბოლოს და ბოლოს, ფანჯარა ჩაამტვრიე...

კოტე: რატომ გინდა ჩემში მიძინებული მხეცი გააღვიძო?

ნელი: კინოში და თატრში შენ არ მომყვები, სასეირნოდ - როგორ გეკადრება, ”აშეინიკი” მაინც ჩამაბი და ისე წამიყვანე სადმე...

კოტე: კინოშიც დადიხარ და თეატრშიც, სეირნობითაც აგერ კუს ტბაზე ხომ იკრიბებით და დასეირნობთ...

ნელი: მე სად ვიკრიბები და რას ვაკეთებ ეგ სხვაა. მე გეუბნები, მე და შენ... შვილებს თავიანთი ოჯახები აქვთ, შვილიშვილები წამოიზარდნენ... ხომ არის, ღმერთის წყალობით, საშუალება, გავიაროთ, გამოვიაროთ... საზღვარგარეთ ჩვენს ასაკში იწყებენ ცხოვრებას - მოგზაურობენ, ერთობიან... აჰ, როგორ გეკადრებათ! მსოფლიო „დისკავერით“ შემოვიარე მარტომ!

კოტე; „ვაკრუგ ევროპი“ გინდა გაგასეირნო?

ნელი: „ვაკრუგ ევროპი“ კი არა, თუ გინდა გლდანში წამიყვანე მეტროთი სასეირნოდ - იმაზეც თანახმა ვარ! მაგრამ ...ეჰ... კარგი, ბატონო! არ მინდა... მე ვიცი, რასაც ვიზამ... გადავწყვიტეთ მე და ჩემმა გოგოებმა, ვივლით კაფე-რესტორნებში, კაზინოებში.. დღეს პლასტიკურ ქირურგთან ჩავეწერები, ლულუმ მიმასწავლა...

კოტე: პასპორტში ასაკის გადასწორება არ გასწავლა ლულუმ?

ნელი: იცინე, შენ! ახლა ასაკოვანი, სიმპატიური ქალებია მოდაში...

კოტე: ასაკოვანი, სიმპატიური ქალები... ნუ, აგიწყვეტიათ, აბა, დაქალებს...

ნელი: ვნახავთ, ბოლოს მხიარულ ხასიათზე ვინ დადგება... მე აბაზანაში შევდივარ... (გადის)

კოტე: (გაზეთის გაცნობას აგრძელებს) მე უნდა წავიდე...

ნელი: (აბაზანიდან) რაა?

კოტე: უნდა წავიდე და გარედან ჩაგკეტავ... (თავისთვის) იმედია, ჩემს მოსვლამდე სიმპატიურ, ასაკოვან ქალებზე მონადირეების არმია არ მოადგება ჩვენს კარს. მოვალ და მერე რიგრიგობით შემოვუშვებ... Строго по-очереди! (გაზეთს კეცავს, ემზადება და მიდის)

ოთახი ჩაბნელდება. განათდება ნატოს ოთახი. მამა წავიდა. ნატო სარკის წინ იპრანჭება. კარზე კაკუნია. შემოდის ბექა დიდი თაიგულით ხელში.

ნატო: უკვე მოხვედი?

ბექა: ეგრევე გამოვვარდი, როგორც კი მომწერე. რა მოხდა? დაგცხო მამაშენმა? რაო?

ნატო: აუ, არ ვიცი, რა! ახალი არაფერი. გააგიჟეს და რა ქნას...

ბექა: ვაა, რა ხალხია! დაველაპარაკები და ავუხსნი ყველაფერს...

ნატო: რას დაელაპარაკები, ისეა გადარეული, ლამის მომკლას... ჩამოვა დედაჩემი და მერე დაელაპარაკე ორივეს.

ბექა: მოიცა და მანამდე რა, ასე ყოველდღე გიწეწოს ნერვები?

ნატო: რა ამის ბრალია? ლუიზა და იმისი დაქალი აგიჟებენ.

ბექა: აუ, ეს „ლუიზა ენდ კომპანი“ საიდან გაეძრო... ვინ არიან, აზრზე ვერ მოვდივარ, რა „სასტავია“, საიდან მიცნობენ, რეებს იგონებენ... აუ, შენ ნუ ნერვიულობ, რა! მე მოვაგვარებ ყველაფერს. დავისვამ ერთ დღეს მამაშენს დილიდან საღამომდე და ვაჩვენებ, როგორ ვმუშაობ, რას ვაკეთებ... გამოფენის გახსნაზე დავპატიჟებ, ნახატებს დავათვალიერებინებ... დავკერავ, ნუ გეშინია...

ნატო: არაფერი არ გამოვა...

ბექა: მაშინ დავახრჩობ იმ ლუიზას და ეგ იქნება...

ნატო: დაახრჩობ არა...

ბექა: მაშინ წამოდი და გავიპაროთ!

ნატო: რაა?

ბექა: გავიპაროთ. წამოხვალ? (ოფიციალურ პოზაში დგება) მე გთხოვ, ცოლად გამომყვე!!! (გაუწვდის თაიგულს)

ნატო: რას მაიმუნობ... შენ გეხუმრება.... ერთი მე მკითხე...

ბექა: არ ვმაიმუნობ და არც ვხუმრობ! მე ოფიციალურად გთხოვ, გამომყვე ცოლად! ასე აღარ შეიძლება... წამოდი და მორჩება ეს დამალობანა-დაჭერობანა...

ნატო: დაგვხოცავს ორივეს..

ბექა: ჩემთან ნურაფრის გეშინია... (ეფერება)

(კარზე ზარია. მერე ბრახუნი. ისმის გიორგის ხმა: " ნატო! ნატო!")

ნატო: ვაიმე! მამაჩემი დაბრუნდა! (ბექა შეცბება)

ბექა: რა მოხდა, დაველაპარაკები...

ნატო: გაგიჟდი? მომკლავს! აივანზე გადი, დროზე! (ბექა გადის)

გიორგი: ნატო! გამიღე ახლავე! (ნატო თვალებს ისრესს, ვითომ ისევ ტირის. უცებ შეამჩნევს თაიგულს, გააწოდებს ბექას აივანზე)

გიორგი: ნატო!

ნატო (ბექას): აუ, რამე მოიფიქრე, არ დაენახო...

ბექა: კარგი, რა! აქ ხომ არ ვიდგები... მოვაგვარებ, დამიჯერე...

ნატო: არა, არა... ახლა არა, გაგიჟებულია...

ბექა: აბა, რა ვქნათ... (აივანზე მიიხედ-მოიხედავს. ეტყობა, რაღაც გადაწყვიტა) გააღე, მიდი!

ნატო კარის გასაღებად გადის. ბექა აივანზე რჩება.

ნელის ოთახი.

ნელი აბაზანიდან გამოდის, ხალათს გაიხდის და გამოიპრანჭება საგარეოდ, მერე სარკესთან მიდის, იკეთებს მაკიაჟს.

აივნიდან ოთახში ახლაგაზრდა კაცი შემოიხედავს, ხელში ყვავილები უჭირავს. ქალს დაინახავს, ძალიან ფრთხილად, რომ არ შეაშინოს, ეძახის.

ბექა: არ შეშინდეთ ქალბატონო, ქურდი და ყაჩაღი არ ვარ...

ნელი: (შეხტება მოულოდნელობისაგან.) ვაიმე, ვინ ხარ? კოტეეე! მიშველეთ! კოტე!

ბექა: ქალბატონო! ყვავილებიანი ყაჩაღი ან ქურდი ვინ გაიგონა! ერთი წუთით, დამშვიდდით და აგიხსნით ყველაფერს... მეზობლისგან გადმოვძვერი... ნატო რომაა, თქვენი მეზობელი...შეყვარებულია ჩემი... მამამისი ვერ მიტანს და ... დამშვიდდით...

ნელი: ვინ ნატო?... ა, ხო, ხო... (ნელ-ნელა გონს მოდის, წყნარდება) აქ რატომ გადმოძვერით? ვერაფერი ვერ გავიგე...

ბექა : ცუდი არაფერი იფიქროთ ნატოზე. არც ჩემზე. მიყვარს, ცოლად მინდა... მამამისმა - არაო. ვერ მიტანს! მიცნობდეს მაინც... თვალით არ ვუნახივარ... აყოლია ვიღაცეების ლაპარაკს... დღეს დილით ნაკვეთში გაისტუმრა ნატომ და ამოდიო, გაპარვაზე უნდა მოგველაპარაკა. სხვაგან ვერ ვხვდებით ერთმანეთს, მამამისი სულ კუდში დასდევს ან ნათესავების მთელი არმიით თუ გამოუშვებს გარეთ... შემოვედი თუ არა, თხუთმეტ წუთში კარებს არ მოადგა? ვიღაცამ შეატყობინა... იქ რომ ვენახე, დაგვხოცავდა მეც და ნატოსაც... ჰო და, გადმოვძვერი... ბოდიში, გული რომ გაგიხეთქეთ, ახლავე წავალ...

ნელი: კარგი, კარგი... გული კი გამიხეთქე და.... (მიდის კარებისკენ) ნატო... ნატო.... ხოოო... ახლახან გადმოვიდნენ... მამა-შვილი... (უცებ მოაგონდება, რომ კოტემ გარედან ჩაკეტა) ვაიმე... როგორ გახვალ, როცა ჩემმა ქმარმა გარედან ჩამკეტა გასაღებით... რა ვქნათ ახლა?

ბექა : ჩაგკეტათ? (ეცინება) თქვენ რატომ, ქალბატონო? არ გენდობათ?

ნელი: აბაზანაში ვიყავი და ვერ დამელოდა, ეჩქარებოდა და საერთოდ რა შენი საქმეა? ახლა რა გიყო? როგორ წახვალ?

ბექა: მთავარია იქედან გამოვედი და ნატოს მამამისი ჩემ გამო არ დაახრჩობს... რას ვიზამ, თუ არ გამაგდებთ... თუმცა , როგორ გამაგდებთ...

ნელი: და რას გერჩის ნატოს მამა?

ბექა: რა ვიცი, რას მერჩის... ვიღაცეებმა მოქოქეს. უსაქმურიაო, „ბაბნიკიაო"...

ნელი: და მართლა ხარ?

ბექა: მე, ქალბატონო, თავისუფალი პროფესიის ადამიანი ვარ, მხატვარი.... მაპატიეთ... ბექა გაგნიძე (ხელზე კოცნის). სახლში მაქვს სახელოსნო და ვმუშაობ... ვხატავ... ვხატავ ძირითადად პორტრეტებს. გამოფენებიც მაქვს, ნორმალური შემოსავალიც... „ბაბნიკობას" ანუ მექალთანეობას რაც შეეხება - ქალბატონებს დიდ პატივს ვცემ... რა თქმა უნდა, ვხატავ კიდეც მათ... კლიენტები, ძირითადად, ქალები, ჩემთან მოდიან სახელოსნოში, ჰოდა, ბატონ გიორგის ამბავი მიუტანეს, ქალები მიდი-მოდიან მაგასთანო... ნატოსთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული გეგმები მაქვს, მაგრამ მამამისს ჩემი მოსმენა კი არა, დანახვაც არ უნდა! ვიღაც ნათესავმა ისე დაამუშავა, ჩემი სახელის გაგონებაზეც კი გიჟდება! მინდა რაღაც-

ნაირად გავიცნო, დაველაპარაკო, მაგრამ... (მეზობლის აივანზე ხმაური ატყდება)

გიორგი: არ შეეშლებოდა ლუიზას არაფრით... ვიცი, რომ მოვიდა... სად არის? ხომ არ გაფრინდებოდა? სად დამემალება? (რეკავს მობილურით) ხო, ლუიზა! არ გამოსულა ხომ სადარბაზოდან? არა, აქ არ დამხვდა... რა ვიცი, სად გაქრა! ჰო, ჰო... შენ ფანჯარას არ მოცილდე! (შემოჰყოფს თავს აივანზე) მეზობელო! უკაცრავად...

ისმის ნატოს ხმა „აუ, მამაააა! სირცხვილია! რას აკეთებ... კარგი რა, მამა!“ ნელი და ბექა ოთახში სამალავს ეძებენ. ნელი ბექას ყვავილებს გამოგლეჯს ხელიდან, ლარნაკში ჩაარჭობს და მეორე ოთახში შეაგდებს. და მაშინვე გიორგი გამოჩნდება აივნის კარებში. ნელი ვითომ ძალიან შეშინდება.

ნელი: მიშველეთ! ვინ ხართ? კოტე, კოტეეე!

გიორგი: დაწყნარდით, ქალბატონო! მეზობელი ვარ კედლის იქით ვცხოვრობ... გიორგი...

ნელი: რა გინდათ მერე აივნიდან რომ მოძვრებით? კოტე! კოტე!

აივნიდან ისმის ნატოს ხმა. „მამა! რას აკეთებ?!“

გიორგი: აი, ხომ გესმით? ნატოს მამა ვარ... დაწყნარდით, ქალბატონო... ერთი ოხერი და მუდრეგი გადაეკიდა ჩემს ნატოს... ამ ჩემს შტერსაც ტვინი აქვს არეული.... უსაქმური, ქალს არ უშვებს... ნაკვეთში მივდიოდი და... გარეთ რომ ვერ ჩაიგდო ხელში, ახლა სახლში შემომივარდა... ნათესავს დაუნახავს, წინა სახლში ცხოვრობს, თაიგულით ავიდა, როგორც კი წახვედიო - დამირეკა... კი გამოვვარდი მაშინვე, მაგრამ გამასწრო... უნდა მოვკლა! ძირს ვერ ჩახტებოდა, სადარბაზოდან არ გასულა - ის ნათესავი ყარაულობს ფანჯრიდან... იქნებ ვერ დაინახეთ და შემოძვრა, სადმე დაიმალა... დავძებნი ყველგან... მოვკლავ, გელაპარაკები, ჩავჯდები ციხეში...

ნელი: როგორ გეკადრებათ, ბატონო, ასეთი ლაპარაკი! რას ქვია, ვიღაც გადმოვიდა და ვერ შევამჩნიე... რას ქვია დაძებნით... რას კადრულობთ!

კარი გასაღებით იღება და შემოდის კოტე. დაინახავს უცნობ მამაკაცს და გაშეშდება.

კოტე: (ხან ნელის უყურებს გამოპრანჭულს, ხან უცნობს) რა ხდება აქ? (ნელის) ვინ არის ეს კაცი?

ნელი (კმაყოფილია, რომ ცოტა ხნით მაინც აეჭვიანა ქმარი): მეზობელია... აივნიდან გადმოვიდა...

გიორგი: ნატოს მამა ვარ... გიორგი... მეზობელი... კედლის... ნაძირალა გადაეკიდა ჩემს შვილს და აქ ვეძებ... უნდა მოვკლა...

კოტე: რა უნდა აქ ნაძირალას? (ნელი და გიორგი ორ ხმაში ცდილობენ აუხსნან კოტეს. კოტე ვერაფერს იგებს.. იღრიალებს) ჩუმად! გაჩუმდით ყველა!

აივნიდან ისმის „მამა!.. მამა!..“

გიორგი: აი, მამაო... ნატოა! ნატოს მამა ვარ...

კოტე: ვინ ოხერია ნატო? რა უნდა მამამისს ჩემს სახლში აივნიდან? (ნელის ეკითხება. გიორგი არ აცლის ნელის)

გიორგი: ნატო ჩემი შვილია. მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ. გიორგი. ჩემს შვილს, ნატოს, ერთი უსაქმური გადაეკიდა. ბიჭი, რა, ვიღაცა... არაფრის მაქნისი, უვარგისი... ნახა მშვენიერი გოგო, ოჯახისშვილი, გაწყობილი სახლ-კარი... რატომაც არაო, ფიქრობს, ალბათ... ჰოდა, დღეს დილით ნაკვეთში გადავწყვიტე წასვლა და მაშინვე აქ მოსულა, ყვავილებით... გამიგულა თუ არა... ლუიზამ დამირეკა... წინა სახლში ცხოვრობს... ლუიზა ნათესავია ჩემი... ძალიან გული შესტკივა ჩემს ოჯახზე ... ჩემი ცოლი წასულია... აქ არაა... მუშაობს საზღვარგარეთ.... ჰოდა ლუიზამ, დავინახე სადარბაზოში როგორ შემოვიდა ყვავილებით ხელშიო... მაშინვე გამოვვარდი, მაგრამ გამასწრო... დავურეკე ლუიზას, სადარბაზოდან გამოსული აღარ დაუნახავს... ვიფიქრე... აქ გადმოძვრა-მეთქი...ძირს ვერ ჩახტებოდა, მაღალია... იქით მეზობელთან არავინ ცხოვრობს და ჩაკეტილ-ჩარაზულია ყველაფერი.... გამიგეთ, გამწარებული მამა ვარ...

ნელი: ხომ გითხარით, აქ არავინ გადმომძვრალა-მეთქი...

კოტე: ხომ გითხრათ, არავინ გადმომძვრალაო...

გიორგი: (თვალებს აცეცებს) იქნებ, ვერ შენიშნეთ, ისე დაიმალა... ან იქით ოთახში...

კოტე: რას ქვია, ვერ შენიშნა!

გიორგი: რა ვიცი, აბა სად წავიდოდა...

კოტე: აქ არავინ არისო... გითხრეს....

გიორგი: (შეამჩნევს ყვავილებს) ეს რა ყვავილებია აქ?

კოტე: რა ყვავილები... (თვითონაც დაინახავს) ა, ნელი... ყვავილები...

ნელი: ვერ გავიგე, არ მაქვს უფლება, ყვავილები ვიქონიო? ეს ჩემი თაიგულია... მე მომართვეს... წეღან... ჩემმა ნაცნობმა გამომიგზავნა...უი.... მიეხვდი!!! (ძალად იცინის) კურიერი, ვინც თაიგული მომართვა, თქვენმა ლუიზამ ნატოს თაყვანისმცემელს მიამსგავსა... ნამდვილად ასეა, ნამდვილად...

კოტე: კი მაგრამ, ვინ მეგობარი კურიერი...

ნელი: შენ რომ არ იყავი სახლში, მაშინ მოვიდა კურიერი და გადმომცა თაიგული...

კოტე: კი მაგრამ, როგორ გადმოგცა,როცა კარი...

ნელი: მოგიყვები კოტიკო! ჯერ დაწყნარდეს ადამიანი...

კოტე: დაწყნარდეს?...

გიორგი: ა?.. კურიერი?.. ლუიზამ იმას მიამსგავსა? ჰოო.. შეიძლება... ესენი ყველანი ერთმანეთს კი

გვანან, ჰო იცი შენ...

ნელი: (გიორგის) აი, ხომ ხედავთ, გაირკვა ყველაფერი... მიბრძანდით, ბატონო გიორგი, ნატოს მიხედეთ, საწყალი გოგო, როგორ ანერვიულეთ ტყუილუბრალოდ... (აცილებს კარებისკენ)

კოტე: ნელი, გამაგებინე...

ნელი: კოტიკო, ხომ გაირკვა ყველაფერი.. შენც დაწყნარდი... მერე აგიხსნი ყველაფერს... (გიორგის) ძალიან ეჭვიანია! (ძალად იცინის)

მეზობელი გადის. ნელი კარებს კეტავს.

ნელი: შენ რაღა მოგივიდა?

კოტე: ქალო ვინ კურიერმა მოგიტანა ყვავილები? რა ხდება აქ საერთოდ? რას გავხარ კი არა და რას გამოპრანჭულხარ?

ნელი: (ძალიან კმაყოფილია) ხომ გეუბნებოდი, ჩემს თავს მე თვითონ მივხედავ-მეთქი... გასართობს გამოვძებნი-თქო... შენთვის რომ აღარ ვარსებობ, გამოჩნდა ხალხი, ვინც...

კოტე: შენ ხომ არ შექანებულხარ, ქალო? ნერვებს ნუ მიშლი...

ნელი: ჰო, რა იყო? მომბეზრდა ერთი და იგივე - აჭამე, გაურეცხე, გაუუთოვე, დაალაგე, ხმას რომ არ იღებ მთელი დღე...

კოტე: ეგ ტექსტი გავიარეთ წინა სცენაში... გამაგებინე საიდანაა ეს ყვავილები?

ნელი: Эти цветы мне преподнес некий мужчина, Месье Инкогнито!

კოტე: ინკოგნიტო, არა? ერთი საათით გავედი გარეთ და რა?.. აივნიდან მეზობლის კაცები გადმოგულავდნენ, ვიღაც კურიერები რაღაც ცოცხებს ეზიდებიან... ეს აქ „პუდრი-პამადით“ დამიდის... კარგია, რა... (ცოტა ხანს ორივე დუმს. მერე კოტე თითქოს რაღაცას გადაწყვეტს) მასხარაობაა ეს ყველაფერი.... კარგი, რაც იყო - იყო... არ მაინტერესებს!!! მინდოდა ორი ლუკმა შემეჭამა, იმიტომ დავბრუნდი... ვინ გაცალა... დამხვდა აქ „კარდაბალეტი”.

ნელი: ჯერ ეს ერთიც, კორდებალეტი!

კოტე: მე დამხვდა კარდაბალეტი!!!! კარი და ბალეტი!!!!!! მდაა... (საათზე დაიხედავს) ისევ წასასვლელი ვარ. მზად იქნება უკვე ის ოხრად დასარჩენი გასაღები... მოდი, დაკეტე კარი! (დგება და გადის. ნელი კარებს შიგნიდან კეტავს, საძინებლიდან ბექა გამოჰყავს).

ბექა: მაპატიეთ, ქალბატონო ნელი... თქვენც რა შარში გაგხვიეთ... წავალ ახლა...

ნელი: (ცოტა არ იყოს განაწყენებულია კოტეზე) რა შარში... მე არაფერი პრობლემები არ შემქმნია... შენ კიდევ ჩასაფრებული ლუიზა არ დაგავიწყდეს... გახვალ თუ არა სადარბაზოდან, იმ წამსვე მოახსენებს გიორგის ყველაფერს და ამდენი ხლაფორთი წყალში ჩაგვეყრება...

ბექა: რა ვქნა, აბა...

ნელი: მოვიფიქრე უკვე! ჩაიცვი კოტიკოს პიჯაკი და ეს ბერეტი დაიხურე... ახლა ცოტა წელში მოიხარე... ხო... და ნელ-ნელა გაუყევი...

ბექა: სიტყვები არ მყოფნის, ქალბატონო ნელი... ცოტა ხანში დაგიბრუნებთ ამ ტანსაცმელს უკან. ხომ არ დასახლდება, ის ლუიზაა თუ ვიღაცა, ფანჯარაში... დიდი მადლობა... გადაგვარჩინეთ...

მიდიან კარებთან, ბექა ხელზე კოცნის ნელის, ნელი მეორე ხელით კარებს უღებს და იქ კარების გასაღებად გამზადებული კოტე დგას. ნელი პირველი მოდის გონს და ნაძალადევად იცინის.

ნელი: მოხვედი, კოტიკო?... აი, ეს არის ჩვენი ბექა.

კოტე: ჰოო? (ათვალიერებს ბექას ჩაცმულობას) მე მეგონა, მე ვიყავი - ჩემი პიჯაკი, ბერეტი....

ბექა: ბატონო კოტე! ახლავე აგიხსნით ყველაფერს...

კოტე: რას ა მ ი ხ ს ნ ი თ ?

ბექა: მე ნატოსგან გადმოვედი აივნიდან...

კოტე: ვინ ნატოსგან გადმოხვედი შენ აივნიდან?

ბექა: თქვენ ხომ კარები გარედან ჩაკეტეთ?

კოტე: რა კარები ჩავკეტე მე გარედან?

ბექა: თქვენი ბინის კარები...

კოტე: რა ჩემი ბინის კარები?

ნელი: კოტე, კოტე! რა კითხვები დაგვაყარე, უაზრო... ახლავე აგიხსნით ყველაფერს... დამშვიდდი... ხუმრობაა ყველაფერი... ვიხუმრე... წნევა გაგიზომო?

კოტე: წნევა ამას გაუზომე!.. რა ხდება ჩემს სახლში? ვისი ყვავილების კურიერის ნატო ხარ მეზობელი გიორგის აივნიდან ჩემს ტანსაცმელში?

ბექა: მე ნატოს შეყვარებული ვარ... ყვავილებით მოვედი ნატოსთან... და მამამ მოგვისწრო... ვერ მიტანს...ჰოდა, გადმოვძვერი აივნიდან თქვენთან...

კოტე: და აქ ქმარმა მოგისწრო და გადაძვერი აივნიდან მამასთან კარადაში პიჯაკისა და ბერეტისთვის...

კარზე კაკუნია. ნელი კარის გასაღებად მიტრიალდება.

კოტე: სდექ! ადგილზე! (გასძახებს) ვინ არის?

კარს მიღმა - „გიორგი ვარ , მეზობელი”. კოტე კარისკენ მიდის. ბექა აივნისკენ გარბის, გზადაგზა

კოტეს პიჯაკს და ბერეტს მიაგდებს, დაბნეული ნელიკო ჯერ პიჯაკს დასტაცებს ხელს და ბექას აძლევს, მერე ისევ გამოართმევს და ახლა ყვავილებს აჩეჩებს ხელში. ბექა აივნიდან გადადის. კოტე ყველაფერ ამას მშვიდად ადევნებს თვალს, დააცდის ბექას გადასვლას და მერე აღებს კარს.

კოტე: მობრძანდით, ჩემო ბატონო!

გიორგი: არა, ბატონო, არ შემოვალ , არ შეგაწუხებთ... დიდი ბოდიში მინდა მოგიხადოთ კიდევ ერთხელ... მაპატიეთ... ახლა მეუბნება ის ჩემი დეგენერატი ნათესავი ლუიზა, შეიძლება შევცდიო... ის თქვენი ყვავილების კურიერი... (შეამჩნევს ცარიელ ლარნაკს) და თქვენი კურიერის ყვავილები?

კოტე: (უხეშად) თქვენ თქვენს ნატოს მიხედეთ და ჩვენს ყვავილებს და კურიერებს ჩვენ მივხედავთ!

ნელი: (ანყვეტინებს კოტეს): ნატოს ვაჩუქე... ამ წუთას გადავაწოდე აივნიდან... ასეთი სტრესი მიიღო და ცოტა გულს გადააყოლებს-მეთქი... ჰო...

კოტე: (ირონიულად) ჰო, ჰო... ნატოს გულის გადასაყოლებლად რას არ გადავაწოდებთ აივნიდან...

გიორგი: (რაღაც დააეჭვებს) კარგი. ბოდიში (გადის სწრაფად)

კოტე: ახლა შენ აქ დამიჯექი და დალაგებით მომიყევი, სანამ...

აივანზე ბექა მოძვრება ყვავილებით.

ნელი: ყვავილები უნდა დატოვო, უნდა დატოვო!..

კოტე: (გამწარებული მივარდება ბექას) რას დაათრევ, ბიჭო, ამ ცოცხს აქეთ-იქეთ? ან აქ დატოვე, ან იქ დატოვე... ან... (გამოგლეჯს თაიგულს ხელიდან და გადაისვრის აივნიდან. თაიგული აივანთან მდგარ ხეზე შერჩება).

ბექა: ბატონო კოტე! რაზე მიბრაზდებით, ხომ აგიხსენით, მეტი რა ვქნა?

ნელი: კარგი რა, კოტიკო, რამ დაგაჩლუნგა, ჩიტუნა, ხომ გაგარკვიეთ ყველაფერში?

კოტე: ახლა გავხდი, არა, ჩიტუნა? რა ბალაგანია ჩემს სახლში? გაგონილა, კაცო, აივანი ასე გაღმა-გამოღმა სიარულში გაეცვითოს ვინმეს? რა გინდა, ყმაწვილო, ჩვენგან? დაგვანებე, თუ ძმა ხარ, თავი... ვიყავით ჩვენთვის... სამოგზაუროდ ვაპირებდით წასვლას... გლდანში... რას შემოგვივარდი და აგვიწეწე ცხოვრება? აგერ, ბიძია კარი და მიბრძანდი ადამიანურად...

ნელი: ჰო, ბექა, წადი, წადი...

(მიდიან კარისკენ, ნელი იქვე მიყრილ პიჯაკს და ბერეტს აძლევს ბექას.)

კოტე: ეს კიდევ რა მასკარადია? (კარზე აბრახუნებენ)

გიორგი: ბატონო კოტე, ბატონო კოტე!

კოტეს ტანსაცმელში გამოწყობილი ბექა თავპირისმტვრევით გადადის აივნიდან. კოტე მშვიდად მიაცილებს მზერით. როგორც კი ბექა თვალს მიეფარება, კარს აღებს.

გიორგი: მიშველეთ, ბატონო კოტე, ქალბატონო ნელი! ნატომ ისტერიკები მომიწყო, თავის ოთახში ჩაიკეტა, კარს არ მიღებს, ხმას არ მცემს... მეშინია, თავს რაიმე არ აუტეხოს... გადამიშვით აივნიდან... ბოდიში... მაპატიეთ, გამწარებული მამა ვარ...

კოტე: (თავისთვის) დეგენერატი მამა ხარ (აღებს კარს)!

ნელი: (გიორგის დაასწრებს, გარბის აივნისკენ და გადასძახებს) ნატო, ნატუკა, რატომ უხეთქავ მამას გულს? აივნიდან აპირებს გადმოძრომას და გამოხედე, შვილო, მამას აივანზე დახვდი, ნატო!

გიორგი აივანზე გადადის, ისმის ნატოს ხმა: „კარგი, რა, მამა! კარგი, რა!..“ კოტე და ნელი შეთნხმებულებივით აღებენ კარს, ბექა შემოვარდება კოტეს ტანსაცმელში.

ბექა: ბატონო კოტე! ქალბატონო ნელი...ასეთი თავგადასავალი ჩემს ცხოვრებაში არ მქონია! თქვენც რა დღეში ჩაგყარეთ! ბატონო კოტე! არაჩვეულებრივად საზრიანი მეუღლე გყავთ... ნატოსთვის რომ არ დაეძახა... ქალბატონო ნელი, უნდა გემთხვიოთ...

კოტე: კურიერი ხარ თუ ვიღაც ბრექა, ახლა გაასწარი გამწარებულ მამასაც და გაცოფებულ კოტიკასაც, თორე რას გამთხვევ, მერე ნახავ, ლაწირაკო, შენ!

აივნიდან გიორგის ხმა: „ქალბატონო ნელი! სადაა ყვავილები, ქალბატონო ნელი? აკი ნატოს გადავაწოდეო? მე ყველაფერს ვაფიქსირებ, იცოდეთ!“ კოტე ბექას გარეთ აგდებს და ნელისთან ერთად აივნისკენ გარბის.

ნელი: დამშვიდდით, გიორგი!..

კოტე: ჩაუვარდა, გიორგი, შე კაცო, ნელიკოს თაიგული... აგერაა, აი... (დაანახებს), ნატოს რომ აწოდებდა, ჩაუვარდა...

გიორგი: ამას ჩაუვარდა არ ქვია! ესაა აუვარდა... ნატომ - რა ყვავილებიო, რის ყვავილებიო... მაგიჟებთ, თუ როგორაა თქვენი საქმე! რა ხდება აქ, გამაგებინეთ!

კოტე: (დაღლილი) კარგით, ბატონო, გეტყვით ყველაფერს...

ნელი: (შეშფოთებული) კოტიკო, გვრიტო, არ გინდა...

კოტე: გვრიტო, არა, ნიბლია! ვიეჭვიანე, ბატონო და გავისროლე თაიგული მე! და დამანებეთ ყველამ თავი! და საერთოდ! ამ აივანზე კაცისშვილი აღარ დავინახო, თორემ დავხოცავ ყველას! ამოვაშენებ ხვალვე!!! ვერ გიეჭვიანია კაცს საკუთარ ოჯახში, მთელმა სამეზობლომ რომ არ გაიგოს!

ნელი: (შვებით ამოისუნთქავს) დაწყნარდი, კოტიკო, გენაცვალე! ამოვაშენოთ ეს აივანი ხვალვე!

კოტე: გამოდი, ქალო შენ აქეთ! მიბრძანდით თქვენ თქვენ ბინაში! აივანზე არ დავინახო არავის ფეხი გადმოდგმული...

ნელის ძლივს შემოყავს გაცოფებული კოტე სახლში.

კოტე: ვოტ იშჩო! არ გამიხადეს აქ ბალაგანი! სულ შენი ბრალია ყველაფერი! გართობა მოუნდა ქალ-ბატონს..

კოტე ნერვიულად მიდი-მოდის ოთახში. ნელი ჩუმად დგას და თვალს აყოლებს. კოტე რაღაცას გადაწ-ყვეტს და მაგიდას მიუჯდება.

კოტე: კარგი, მოდი ვისადილოთ...

ნელი უხმოდ შლის მაგიდას. კოტე ცოტა ხანს ნელის ადევნებს თვალს, მერე დგება, გაზეთს იღებს და ისევ მაგიდას მიუჯდება. თან კითხულობს, თან ჭამს. ნელიც მიუჯდება მაგიდას.

კოტე: გადაირევა კაცი... რა ამბავია ამდენი სტიქიური უბედურება... ამდენი წყალდიდობა... ქარიშხა-ლი... მიწისძვრა...

ნელი ხმას არ იღებს.

კოტე: მდა�ა... (ათვალიერებს გაზეთს) მოკლედ, რა დაძაბული სიტუაციაა მსოფლიოში, გაგიჟდები! რა უნდა ამ ხალხს? შეიფერე მშვიდობიანი ცხოვრება, გაერთე, გაიარე, გამოიარე... იჭუკჭუკე ოჯახში... აჩინე შვილები... ზარდე...

(უცებ მიუტრიალდება ნელის) კი, მაგრამ, ეს გიორგია თუ ვიღაცაა, დალაპარაკებოდა იმ კურიერს... ბექას... იქნებ კარგი ბიჭია...რო აუსხამს იარაღი და დასდევს მოსაკლავად... მგონი სახეზეც არ იცის რო-გორია და... იქნებ როგორი განძია! ვიღაცის ნალაპარაკევით ასე გადარევა შეიძლება? (ნელი თავს მძიმედ უკანტურებს)... მერე კიდევ... შენ რომ მამა ხარ... რაც არ უნდა გაჯიქდე და გადაირიო, თუ ერთმანეთი უყვართ, ვერაფერსაც ვერ იზამ... მაინც გაიპარებიან!... (ნელი ხმას არ იღებს) არა, შენ მაინც როგორ უცებ მოისაზრე ყველაფერი... მე, მაგალითად, მაგდენს ვერ მოვიფიქრებდი... ხოდა შემოაკვდებოდა კიდევაც ის საწყალი ბიჭი ამ ჩვენს ოტელო რა შუაშია და გიორგის!... არა, რამენაირად უნდა დავეხმაროთ ახალგაზ-რდებს... არ ჩანს, ერთი შეხედვით, ეს ბექა ცუდი ბიჭი... მაგრამ ამ გიორგის დაყოლიება არ გინდა?

ნელი დუმს.

კოტე: კარგი, რა, ნელი! რა გინდა, მითხარი და გავაკეთებ... (ვითომ მუშტს ურტყავს მაგიდას, მერე სკამს იღებს და აივნის კარებს მოუქნევს) რა დავლეწო, მითხარი...

ნელი: (ამოიოხრებს) მანდ დარიგება და სწავლება არ შეიძლება... ეგ სპონტანურად უნდა მოხდეს... ხა-სიათში უნდა გქონდეს...

კარზე კაკუნია. ნელი და კოტე ჯერ ერთმანეთს შეხედავენ, მერე კოტე კარს აღებს. დგას გიორგი კო-ნიაკის ბოთლით ხელში.

გიორგი: ისევ მე ვარ... ბატონო კოტე, ქალბატონო ნელი... ბოდიში... ვიფიქრე, რაც მე დღეს ამათ ნერვე-ბი ვუშალე... (ბოთლს აჩვენებს) ამბობენ შველისო და თითო ჭიქა... შესარიგებელი... მოსარიგებელი... მაპატიეთ... მეზობლები ვართ... ერთად უნდა ვიცხოვროთ და... არ გამოვა ლამაზი... ნატოც დამშვიდდა...

კოტე: მობრძანდით!

ნელი: რა თქმა უნდა, მობრძანდით... დაბრძანდით... (ჭიქებს და თეფშებს აწყობს. გიორგი კონიაკს ასხ-ამს)

გიორგი: გაგიმარჯოთ, ბატონო კოტე... ქალბატონო ნელი! ჩვენი მეზობლური ურთიერთობა ცოტა უცნაურად დაიწყო, მაგრამ იმედი მაქვს, ეს გაუგებრობა ჩვენს შემდგომ მეგობრობაზე არ იმოქმედებს... ცუდია, რომ აქამდე ვერ მოხერხდა ჩვენი გაცნობა... ცხოვრებაა ასეთი... არადა, მეზობელი, ეს ისეთი რამეა... ჭირია, ლხინია - ჯერ მეზობელი დაგიდგება გვერდში და მერე იგებს ნათესავი და მეგობარი..

კოტე: გაგიმარჯოთ! რას ვიზამთ, მთავარია თქვენი პრობლემები მოგვარდეს...

სვამენ.

გიორგი: ეჰ, ჩემო კოტე! აღარ ვიცი, რა ვქნა! ეს ერთი შვილი მაბადია! ამაზე ვამყარებ იმედებს! ყვე-ლას გვინდა, ჩვენი შვილები ბედნიერები იყვნენ! მე და დედამისი ტყავიდან ვძვრებით, რომ ამას არაფერი მოაკლდეს... სად იპოვა ეს უსაქმური... ლუიზა მეუბნება - აი, ჩემი ნათესავი - მთელი დღე სახლში ზის უსაქმოდ და ვიღაცა ქალები მიდიან - მოდიან მაგასთანო. ნატოს ვეუბნები, ეგეთი რა ჯანდაბად გინდა-მეთქი და შენ არ იცნობო, ნიჭიერი მხატვარიაო... ქალები-მეთქი და... რა ქალები, ხატავსო... რაღა ქალებს ხატავს, მამაცხონებული, ვაშლებს ვერ დახატავს? არადა... ლუიზამ, ამ ჩემმა ნათესავმა, ძალიან გვპა-ტრონობს, რა... ისეთი ბიჭი შეგირჩიეთო... მოკლედ, ყველანაირადო... გაგონება არ უნდა ჩემს ნატოს... არც უნახავს და არც იცნობს, მაგრამ - არაო და მორჩა...

ნელი: თუ მართლა უყვართ ერთმანეთი, გიორგი, ვერაფერს გახდებით... თქვენ ხომ არც იცნობთ ნა-ტოს შეყვარებულს? იქნებ შეხვდეთ, გაიცნოთ კარგად... იქნებ როგორი კარგია...

კოტე: ხო, გიორგი... შენობით მოგმართავ... მეზობლები ვართ... გაიცანი ის ბიჭი, დაელაპარაკე კაცუ-რად... მარტო იმ თქვენი ნათესავის ჩვენებებს ნუ დაეყრდნობი მაინცდამაინც. ხომ ნახე - დღეს შევცდიო, აღიარა (მთლად თამამად ვერ ამბობს), იქნებ, საერთოდაც, ცდება...

ნელი: აი, ჩვენს ბიჭს, ზაზას ჰყავს მეგობარი მხატვარი , არაჩვეულებრივი მეოჯახეა, სამი შვილი ჰყ-ავთ, უწესიერესი ბიჭია... მერე რა - ხან ქალებს ხატავს, ხან კაცებს... მაგით არჩენს ოჯახს და სხვათა

შორის , მშვენივრადაც არჩენს...

გიორგი: რა ვიცი... რომ გავიგე, ასეთიაო... ასე ქალების ხატვაში, აგერ, პიკასოს ექვსი ცოლი ყოლია... სალვადორ დალის....

კოტე: მოიცა, თუ ძმა ხარ, ხატვა რა შუაშია! აგერ ძმაკაცი მყავს, მშვიდობიანი ფიზიკოსია, „ტოჩკა-ტოჩკა ზაპიატაიას“ მეტი არაფერი დაუხატავს, მაგრამ მეხუთედ შეუღლდა ახლახანს! და საერთოდ, რაღა პიკასო და დალი... ქართველი მხატვრები, ჩემო ბატონო, ძირითადად მორალურად მდგრადები არიან...

გიორგი: რა ვიცი, თან იმასაც ვფიქრობ, რომ გავიცნო და ჩავეხუტო, მერე სულ ვეღარ მოვიშორებ-მეთქი... ნატოც სულ მეხვეწება, გაგაცნობო... ლუიზამ...

კოტე : რას გადაეკიდე, კაცო ამ უჩინარ ლუიზას? რა გახდა ეს ლუიზა? ლუიზას ანგრევინებ ოჯახს? და საიდან იცნობს ლუიზა ამ ბიჭს ასეთი უარყოფითი მხრიდან?

გიორგი: ლუიზას დაქალის მეზობელია...

კოტე: კარგი, რა გიორგი... მე ვფიქრობ... (კარზე კაკუნია. კოტე თან კარის გასაღებად მიდის, თან ლაპარაკობს) აუცილებლად უნდა გაიცნო... (კარს აღებს და იქ ბექა დგას კოტეს ტანსაცმლით ხელში. კოტე გაშეშდება)

ბექა: ბატონო კოტე! უკაცრავად... ეს თქვენი პიჯაკია და...

ნელი უცებ წამოვარდება და ბექას მივარდება, გადაკოცნის.

ნელი: როგორ ხარ, საყვარელო? ზაზამ გამოგატანა, ხომ? (გიორგის) ზაზამ გამოატანა, ჩვენმა ბიჭმა. თვითონ ვერ მოახერხა, ხომ, შემოვლა? (გიორგის) ზაზა ისეთი დაკავებულია, ეგ საძაგელი... ეს ჩვენი ზაზას მეგობარია... (ხელს წაკრავს გაშეშებულ კოტეს. კოტე გამოერკვევა და მხარს უბავს ნელის)

კოტე: როგორ ხარ, ბიჭო? რა მოგვანატრე თავი? გადაგვრია სიზმრებმა... მოდი, დაჯექი ჩვენთან... გაიცანი... ეს ჩვენი მეზობელია, გიორგი... გვერდითა მეზობელი... დაახლოებით შენხელა ქალიშვილი ჰყავს, ნატო...

ბექა დაბნეულია.

ნელი: მოდი, გენაცვალე... მოდი...

ბექა მიენდობა ნელის და კოტეს.

კოტე: ნელი, აბა, თეფში, ჭიქა... (გიორგის) სხვათა შორის, ეს ყმაწვილი მხატვარია...

გიორგი: ა, ეს არის სამი შვილის მამა? სასიამოვნოა, სასიამოვნო...

კოტე: არა, არა...

ნელი: ეს სხვაა...ზაზას ბევრი მხატვარი მეგობარი ჰყავს... ეს უცოლოა... უწესიერესი ბიჭი... შრომის-მოყვარე, პატიოსანი...

გიორგი: გაგიმარჯოს, გენაცვალე! კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! წესიერ და შრომისმოყვარე ახალ-გაზრდა კაცს ნამდვილად მივესალმები და მიყვარს... ეს ოჯახი ჩემთვის დღეიდან ძვირფასი ოჯახი გახდა და ამ ოჯახის ახლობელი - ჩემი ახლობელია...

კოტე, ბექა: გაგვიმარჯოს!

ნელი: ნამდვილად, ნამდვილად... დღეს ისე იშვიათია წესიერი ბიჭები, სანთლით საძებარია, სანთლით... (ბექას) აბა, რას შვები? რას საქმიანობ ამჯერად? ხატავ ხომ ბევრს? გამოფენა ხომ არ გაქვს დაგეგმილი ახლო მომავალში?

ბექა: თვის ბოლოს მექნება გამოფენა გალერეაში აქ და მერე მიგვაქვს ფრანკფურტში...

ნელი: ყოჩაღ, გენაცვალე... აი, ბატონო გიორგი... ხედავთ? ბევრი შრომა გიწევს ალბათ, არა,ზიხარ სახლში მთელი დღე... ხატავ... რას იზამ, თქვენი საქმე ეგეთია...

ბექა თავს უქნევს.

გიორგი: მე მხატვრობის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ რადგან გამოფენები იმართება, რადგან მოთხოვნილებაა - ეს ძალიან კარგია... გაგიმარჯოს ჩემო...

ბექა: ბექა!

გიორგი: ბექა?!

ნელი: ბექა-რ, ბექა-რ! დიახ.. ჩვენი ზაზუკას მეგობარია... ბექარ, ესე იგი, ფრანკფურტის მერე საით გაქვთ გეზი? ხომ გაფინანსებენ?

ბექა: კი, რა თქმა უნდა... კარგად გვაფინანსებენ... მერე ბენელუქსის ქალაქები... ძალიან დიდი გეგმები გვაქვს... (ნელის, ჩუმად) ისე, მართლა.

ნელი: (აღფრთოვანებულია) ხედავთ, გიორგი, ასეთი ახალგაზრდებიც არიან!

კოტე: (ჩაერევა) და ალბათ, ნახატებიც კარგად იყიდება, არა?

ბექა: არ ვემდური... აი, ახლახანს ორი ნახატი გავყიდე და მანქანა ვიყიდე...

გიორგი: ყოჩაღ, ყოჩაღ! ორი ნახატით?! და რა დახატე ეგეთი?

ბექა: (გათამამდება) მე, ძირითადად, პორტრეტებს ვხატავ...

გიორგი: შიშველი ქალები?.. ა?...

ბექა: რატომ? არაა აუცილებელი...თუმცა ეგეც არის... (ცდილობს აკადემიური იყოს) ქალის შიშველი სხეული მხატვრისთვის, ასე ვთქვათ, მხოლოდ რთული გეომეტრიული ფიგურაა, მეტი არაფერი...

გიორგი: როგორ, კაცო...

კოტე: როგორ და გინდა შიშველი ქალი დაუხატია და, გინდა, ვთქვათ კუბიკი... ან ცხენი... შეუკაზმავი...

ნელი: დიდი მადლობა, კოტიკო, ქალების სახელით!

კოტე: კარგი ახლა, ნელიკო! „ჯიშიანი ცხენივით ქალიაო," რომ იტყვიან...

ნელი: ძალიან კომპლიმენტია, კი..

კოტე: ჰოდა აქვე, ხელოვნების, სილამაზის, მშვენიერების, ქალის და საერთოდ, ყველაზე ლამაზი გრძნობის - სიყვარულის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ!

ნელი: და შიშველი ცხენების... რა ამბავია ერთ სადღეგრძელოში ამდენი რამის გაერთიანება?

კოტე: (არ აქცევს ყურადღებას) სიყვარული ძლიერი თუა, ვერანაირი წინააღმდეგობა ხელს ვერ შეუშლის... მთებს გადაგაბრუნებინებს, ფრენას შეგაძლებინებს... ასე, ა! შემოჰკრავ ფრთას ფრთას და... კარიდან გაგაგდებენ - ფანჯრიდან შეფრინდები... (ბექას გადახედავს) რას არ გადაგატანინებს, რას არ მოგათმენინებს... (ნელიკოს მოიხმობს და ხელს გადახვევს) რასაც ჩვენ ვითმენთ და ვუძლებთ!.. გაუმარჯოს სიყვარულს! ვინ თქვა, „როგორც მოვა, ისე წავაო"... არსადაც არ მიდის! აქ იბუდებს, აქ! და სამუდამოდ აქ რჩება! (მკერდზე იბაგუნებს მუშტს) ბევრის თქმა მინდა... ათასი რამე მაგონდება, მაგრამ... დღეს თავს შევიკავებ... და მომავალი - ჩვენია!

სვამენ.

გიორგი: არა, კაცო! მე სიყვარულის წინააღმდეგი კი არ ვარ და ვერც ვიქნები. მაგრამ მინდა ჩემი შვილი განსაცდელს ავარიდო...

ნელი: ეჰ, ჩემო გიორგი, მეც გამოუცდელი ვიყავი, რომ გავთხოვდი და...

კოტე: რა გამოცდილება უნდა გქონოდა, ნელიკო-ჩემო? (იცინის)

ნელი: იმის თქმა მინდოდა, რომ მე ნასტუდენტარ ფიზიკოსს გავყევი, უმუშევარს... მაგრამ, ავაწყვეთ ცხოვრება... რაღაცნაირად...

კოტე: ჰო, და ვართ დღემდე ასე ერთმანეთის სულის ბერვაში...

ნელი: (კოტეს) იმიტომაც სულ გაცივებული ვარ, რადიკულიტმა მომკლა!

გიორგი: (ისევ ბექას მიმართვს) არა, როგორ წარმოგიდგენია ახლა შენ, ცოლს რომ მოიყვან, ლამაზი იქნება, შენ აქეთ ქალები ხატო და იმან იქით ხაჭაპური აცხოს?

ბექა: მე რომ ცოლს მოვიყვან, იმას ეცოდინება, რომ ეს ჩემი სამსახურია და თუ მე არ დავხატე, ხაჭაპურს კი არა, ერბოკვერცხს ვერ გააკეთებს! ის ქალი, რომლის შერთვასაც ვაპირებ, ქვეყანას მირჩევნია და თუ რამეს ვაკეთებ, იმისთვის ვაკეთებ, რომ ის ბედნიერი იყოს...

გიორგი: როგორ დამისაბუთა, ხედავთ? შენ გენაცვალე, ჩემო ბექარ! ა? ხედავ, კოტე? ბედი არ უნდა ყველაფერს? ესეც მხატვარია... ბექარ!... და ისიც მხატვარია... ბექა...

მართალი ხარ, ხომ იცი, ჩემო კოტე... უნდა გავიცნო და გავიგო ერთი რა აზრები უტრიალებს თავში იმ ბექას...

ბექა: (მთლად გათამამდა) ვინ ბექაა?

გიორგი: არის ერთი... აბა, გაგვიმარჯოს და შენს წარმოთქმულს გაუმარჯოს, ჩემო კოტე...

კოტე: ჩვენს შვილებს გაუმარჯოს! ახალგაზრდებს გაუმარჯოს! ნატოს გაუმარჯოს! შენ გაგიმარჯოს ჩემო ბექა...რ... შენი მიზნებით... იმედებით და აბა, შენ იცი... გაგემართლებინოს შენი მშობლების და ახლობლების იმედები... მათი იმედები, ვინც გენდო... წარსულშიც და ახლაც... არ ჩანხარ ცუდი ბიჭი და... არც ადრე ჩანდი ურიგო... და ნურც გამოჩნდები ნურასდროს... რაღაც ავირიე... ხომ იცი, ნელი! (გიორგის) ვინერვიულე დღეს ბევრი....

ნელი: კი, მაგრამ ნატო რომ მარტო დავტოვეთ, დაგვეძახა... ცოდოა გოგო... ბექასაც... ბექარსაც გავაცნობდით...

კოტე: მართლია, ნელიკო! ა, გიორგი? რა იცი, რა ხდება... ხალხნი ვართ... ისიც ხომ ბექაა და ესეც ხომ ბექაა.. ბექარრაა... ა? მიდი, ერთი, ნელიკო, დაუძახე ნატოს... იქნებ დამეგობრდნენ კიდეც ახალგაზრდები და იმ ჩვენს ფანჯრის ტანჯულ ლუიზასაც ხომ არ დავუძახოთ, ჰა? იქნებ შეეცვალოს წარმოდგენა მხატვრებზე...

გიორგი: ეჰ, ლუიზა, მგონი, სულ დავკარგე დღევანდელი ამბების გამო...

ნელი: რას ამბობთ, გიორგი? რატომ?

გიორგი: წეღან დავურეკე, ველაპარაკე... მგონია, შევცდიო... არადა, საიდან მომაქანა თავპირისმტვრევით... ნატოს ერთი ამბავი დავაწიე... თქვენ დაგაწიოკეთ... და ახლა მეუბნება, შეიძლება შევცდიო!

ნელი: ახლა, ერთი შეცდომის გულისთვის ნუ მოიგლიჯავთ გულიდან საყვარელ ნათესავს...

გიორგი: რა ნათესავია, ყვავი ჩხიკვის... სულ მაგის ბრალია ყველაფერი... ჭორიკანა დედაკაცია! გადამრია... რეები არ მითხრა იმ ბიჭზე... არ უნდა დამეჯერებინა ასე სიტყვაზე... კი მეუბნებოდა ნატო, იმას სხვა ჭია ხრავს!

ნელი: კარგით, გიორგი...დღევანდელისთვის ნუ მოიმდურებთ ლუიზას! დარწმუნებული ვარ, თქვენდა სასიკეთოდ მოინდომა... თანაც... იქნებ, სულაც არ შეშლია არაფერი... (ფრთხილად შეაპარებს) იქნებ და მართლაც ბექა იყო მოსული... და იქნებ... ახლაც აქაა ...

გიორგი: ჰოო... რა ვიცი... აღარაფერი აღარ ვიცი... დავანებოთ თავი ლუიზას... რა ვქნა გაგიმარჯოთ! შენ გაგიმარჯოს, ჩემო ბექარ! თქვენც გაგიმარჯოთ...რაო? ახლაც აქაოო? სად აქ?...

კოტე: დაწყნარდი, გიორგი.... ნელი, მიდი ერთი, ნატოს დაუძახე... (ნელი აივნისკენ მიდის ჩქარი ნაბიჯით „ნატო, ნატოოო...“ მოუტრიალდება მამაკაცებს: „ახლავე გადავალ და გადმოვიყვან!“) სად გადახვალ, ქალო? რით ვერ ავკრძალე მე ამ ოჯახში აივნის არადანიშნულებისამებრ გამოყენება? (იცინის)

გიორგი: (დაბნეულია, ვერაფერი გაიგო) რა ხდება, კოტე, ჩემს თავს?

კოტე: ცუდი არაფერი, ჩემო გიორგი!.. ლაგდება რაღაც–რაღაცეები თავის ადგილზე!

გიორგი: (თითქოს ხვდება რაღაცას, მაგრამ მთლად ბოლომდე ვერა) რა რაღაცეები... კოტე... ბექარ თუ... ა???... ბექა? ჰოოო... სიმართლე გითხრათ, როგორ მოვიქცე, აღარც კი ვიცი... ვაჰ, კაცო! სხვას რომ მოეყოლა, დავცინებდი... რა მეთქმის... გავალთ მე და ბექა, ჩემო კოტე, ნატოსთან და იქ წავისაუბრებთ... დიდი მადლობელი ვარ თქვენი ყველაფრისთვის... გამარკვიეთ რაღაც–რაღაცეებში... მაგრამ, თან რომ გამაცუცურაკეთ...

კოტე: მხოლოდ კეთილი განზრახვით, ჩემო გიორგი, კეთილი განზრახვით!

ბექა დაბნეული და, ცოტა არ იყოს, დარცხვენილია. დგებიან და კარისკენ მიდიან. კოტე და ნელი უხმოდ აცილებენ.

კოტე: ერთი წუთით... (გადის აივანზე. სარეცხის ჯოხით ცდილობს ყვავილების თაიგულს მიწვდეს. წვალებით ჩამოიღებს ხიდან და ბექას აწვდის) მომაცილე, თუ ძმა ხარ... თანაც ხელცარიელი ხომ არ შეხვალ ოჯახში... ნელიკო! ხომ აჩუქებ „შენს“ თაიგულს?

ნელი თავს უქნევს, იცინის. ბექა და გიორგი მიდიან.

გიორგი: რა ტყუილა ვაგინე ლუიზას... თუ ... ა? (ბექას უყურებს. ბექა თავს გადააქნევს ეჭვით. გადიან)

კოტე: აჰა, ნელიკო! ეგეც შენ!... ხომ გაერთე დღეს? ხვალ გლდანში გაგასეირნებ მეტროთი... კიდევ რა გინდოდა? არ მინდა რამეზე გული დაგწყვიტო... ა? ხო! (ჯერ მაგიდას დაჰკრავს მუშტს, მერე სკამს დასტაცებს ხელს და აივნისკენ გარბის სკამმოღერებული)

მეორე მოქმედება

რამდენიმე დღის შემდეგ. დილა. გამოდის ნელი. ცუდადაა. იზომავს წნევას. მიდის ტელეფონთან.

ნელი: სასწრაფო დახმარებაა? დიახ... გამოძახება მინდა... (მისამართს კარნახობს) უკმარისობა... ტაქიკარდია... დიახ. კარგით... (დებს ყურმილს, წამოწვება ტახტზე. გამოდის კოტე)

ნელი: კოტე! ცუდად ვარ... წვეთები დამალევინე..

კოტე: (დაფაცურდება) რა მოგივიდა, ნელიკო? ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება... აბა, რა წვეთები დაგალევინო, სად არის?

ნელი: წამლებში... ვალოკორდინი...

კოტე: (საქმიანად) წამლები სად არის?

ნელი: სამზარეულოში... კარადაში... ზედა უჯრა...

კოტე: (სამზარეულოდან) აბა, კარადა?

ნელი: (ადგება, გალასლასდება სამზარეულოში, გამოდის უკან, წვება... კოტე ბრუნდება სამზარეულოდან ჭიქით და წამლის ბოთლით)

კოტე: რამდენი წვეთი?

ნელი: 30. წყალი ცოტა.

კოტე: წყალიც უნდა? ონკანის თუ ანადუღარი?

ნელი: მმმმმ....

კოტე: სასწრაფო გამოვიძახოთ ნელიკო? ზაზას ხომ არ დავურეკო?

ნელი: (ხელს დაიქნევს, უკვე გამოვიძახეო. კოტე ვერ ხვდება) ყურები დამისრისე... გული მიმდის...

კოტე: (უსრესს ყურებს) სასწრაფო?... რა ჯიუტი ხარ... დავრეკავ ახლავე და გამოვიძახებ...

ნელი: ნიშადურია წამლებში... სამზარეულოში... ბოთლით... კარადაში...ზედა...

კოტე: (აწყვეტინებს) ვიცი, ვიცი... (გამოაქვს) რამდენი წვეთი დაგალევინო?

ნელი: (ხელს აიქნევს თუ ჩაიქნევს... ბოთლს გამოართმევს... ყნოსავს... უბრუნებს... კოტეც დაყნოსავს - გადმოსცვივდება თვალები)

კოტე: ჰა, როგორ ხარ, ნელიკო? უკეთ არ ხარ? რა ვქნა ახლა მე?... არ მინდა, ნერვები აგიშალო დამატებით, მაგრამ.... გამოვიძახებ რა... (კარზე ზარია) ეს კიდევ ვინღაა... ამისთვის მცალია ახლა მე? (კარს აღებს)

სასწრაფოს ექიმი: სასწრაფო თქვენ გამოიძახეთ?

კოტე: (გაბრაზებული) გამომაძახებინა? არა, ბატონო, არა! (მიხურავს კარს და ჩქარ-ჩქარა ბრუნდება ოთახში) ჯიუტი ხარ, რა, ჯიუტი! რა გახდა ერთი სასწრაფოს გამოძახება! ბარემ აქვე იყვნენ... შემოვიყვან, ნელიკო, ჰა?

ნელი: ვის?

კოტე: სასწრაფოა ვიღაცასთან, თქვენ ხომ არ გამოიძახეთო და... არა-მეთქი... შემოვიყვან, რა იქნება?...

ნელი: (ხელს იქნევს. კოტე გადის და შემოყავს სასწრაფოს გაოცებული ბრიგადა)

კოტე: რა ვიცოდი, თუ გამოიძახა, სულ ხელები მისავსავა და... კი ვიფიქრე... მაგრამ რას ვიფიქრებდი... ვაჰ, კაცო! ეს ქალი გადამრევს...

ეძიმი: რა გაწუხებთ, ქალბატონო?

ნელი: ეს კაცი მაწუხებს.

კოტე: ჰმ! აღარაფერი აღარ აწუხებს, ბატონო ამას.

ეძიმი: აბა ვნახოთ წნევა... პულსი... (კოტეს) ყველაფერი კარგად იქნება, დამშვიდდით...

ოთახი ცოტა ხნით ბნელდება და ისევ ნათდება. ნელი კვლავ წევს. კოტე თავთან უზის. ნელი უკეთაა.

კოტე: რა გული გამიხეთქე... ხომ კარგად ხარ უკვე?

ნელი: კარგად ვიქნები, შენს ხელში?

კოტე: კარგი, ახლა... რა იყო, რა დაგემართა? გადაიღალე, ნელიკო შენ... თან ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვს... ძალიან ემოციური ხარ... არ შეიძლება ასე..

ნელი: ემოციური კი არა... თავის მოკვლა მინდა! შეიძლება ასე ღრუბლებში დაფრინავდე? რა უბედურებაა ეს!

კოტე: მე რას ვიფიქრებდი, ჯერ სასწრაფოს თუ გამოიძახებდი და მერე გახდებოდი ცუდად!

ნელი: შენი იმედი რომ არ მქონდა, იმიტომ დავიჭირე წინასწარ თადარიგი!

კოტე: მერე, გენიშნებინა რამენაირად... მედიკამენტებზე და დოზებზე რომ იძლეოდი ინსტრუქტაჟს, ერთი გეთქვა, გამოვიძახე უკვეო... ან ხელი აგექნია, ან ფეხი....

ნელი: შენ თუ ჩემი ხელ–ფეხის ქნევა ვერ შეამჩნიე და, აღარ ყოფილა საშველი... გინდაც არ გამომეძახა და შემთხვევით მოსულიყვნენ, ასე უნდა გაგებუნძულებინა ღვთის საჩუქარი?

კოტე: დავიბენი, ნელიკო... შემეშინდა ძალიან. ვიფიქრე, ვაი, თუ დამტოვა მარტო-თქო... რაღა ვქნა, რა მეშველება-მეთქი... ან პანაშვიდებზე რა ჩავიცვა... ან სად დავდგე...

ნელი: დაგიბარებ, კოტე, ნუ გეშინია... აი, ამ საღამოს დავჯდები და ჩამოგიწერ ყველაფერს... ადგილსაც მოგინიშნავ, ეგერ, კართან...

კოტე: რა მოგივიდა, ნელი, ვხუმრობ, რაც შემიძლია...

ნელი: მე არ ვხუმრობ, რა მეხუმრება... მართლა თუ არ დაგიბარე და დაგიწერე ყველაფერი, შენი ამბავი რომ ვიცი, შეიძლება ფეხბურთის მატჩს შერჩე ტელევიზორთან!

კოტე: იმ დღეებში სულ არ ჩავრთავ, ნელი ტელევიზორს... რას ლაპარაკობ! შენ ის დამიბარე, რა ჩავიცვა...

ნელი: ჰო, აბა რა! საერთოდაც, რას ვფიქრობ, იცი? მოდი ერთი ხელი ტანსაცმელი გადავდოთ, ეკიდოს საკიდზე ასე გამზადებული...

კოტე: მე როგორც ვატყობ, შენ აღარაფერი გაწუხებს უკვე! წავალ, მაშინ მე ახლა სამსახურში. დღეს საბჭოს სხდომა მაქვს და... როგორც დამთავრდება, მოვალ მაშინვე...

ნელი: (ადგება) ხო, აღარაფერი მიჭირს... უფ! ვიფიქრე, არ დამრჩეს გვერდზე ეს სიმწრით მოპოვებული მოგზაურობა– მეთქი...

კოტე: მაგაზე მე სულ არ მიფიქრია! შენ იყავი კარგად, და პარიზი სულ იქ იქნება, სადაც ახლაა...

ნელი: არ იცი, რა ბედნიერი ვარ! ისე მიხარია, ამ ჩემმა ქაქანმა რომ გაჭრა, ბოლოს და ბოლოს... რამდენი ხანია ერთად არსად ვყოფილვართ მე და შენ და უცებ –პარიზი... ლამის გავგიჟდე სიხარულისგან!.. ეს დღეები, წასვლამდე, ერთი კარგად დავისვენებ საოჯახო საქმეებისგან... იქ იმდენი უნდა ვიაროთ... სულ ფეხით შემოვიაროთ პარიზი, ხო, კოტე? ბარგი უკვე ჩავალაგე. ახლა ჩემს თავს უნდა მივხედო! საპარიკმახერო, კოსმეტოლოგი, რაღაც წვრილმანებიც მაქვს საყიდელი... ისე, შენც რომ შეგესწორებინა თმები, არ იქნებოდა ურიგო!

კოტე: თმა შევისწორო კი არა, სახე უნდა დავისერო, თორემ რო შემომესევიან ფრანგი ქალები, მერე ნახე შენი გასაჭირი... დღეს და ხვალ მეც ბევრი საქმე მაქვს, უნივერსიტეტშიც უნდა მივიდე... (კოტე წასასვლელად ემზადება. გადის და შემოდის. ხელში თეთრი პერანგი უჭირავს, თან ფეხსაცმელებზე იყურება). ნელიკო, გავცვითე ლამის ეს ფეხსაცმელები და ახლა აღმოვაჩინე, მარცხენაზე სხვანაირი კალაპოტია, მარჯვენაზე სხვანაირი... გასაოცარია, არა?

ნელი დახედავს კოტეს ფეხსაცმელებს, ერთნაირი სტილის, მაგრამ ცალი მუქი რუხია, მეორე — შავი.

ნელი: (გაოგნებული) მარტო კალაპოტშია ვითომ განსხვავება, კოტე? მითხარი, რომ მეხუმრები, თორემ გამისკდება გული, იცოდე! ან ეგ რა პერანგი გიჭირავს? საიდან აიღე.. ჩაიცვი, ჩაიცვი, მაინტერესებს ერთი როგორ ჩაეკვეტები ჩემს პერანგში!

კოტე: შენს პერანგში??? და რატომ ეკიდა ჩემს განყოფილებაში შენი პერანგი? ან ასე ცალ–ცალად ვინ დააწყო ჩემი ფეხსაცმელები? ვერ დააწყვილე?

ნელი: ვიცოდე მაინც, რისთვის ვისჯები ასე მწარედ! რას იცვამ, არ უნდა დახედო? ან მაგ პერანგს საყელოზე ნაქარგები რომ აქვს, ვერ უნდა შეამჩნიო?

კოტე: მოიცა კაცო ერთი! მიყრი–მოყრი რაღაცეებს და მე სად ვალაგო და ვარჩიო! საყელოს ნაქარგებს ვათვალიერებ კიდევ...

ნელი: მე ხომ კარგად შემამჩნიე და ამომარჩიე! გასაქანი არ მომეცი! არ დამაყენე ჩემს დედ–მამასთან!

კოტე: ხო, მეც დედას მოგწყვიტე ძუძუდან! წავედი მე, წავედი... სადაა ჩემი კეპი?

ნელი: საკიდზე, სა–კიდ–ზე! სადაც ყოველთვის! ქოლგა კიდია მანდ კიდევ და დააკვირდი კარგად, რას დაიხურავ!!!

კოტე: ძალიან სასაცილოა!!!!

კოტე გადის. რეკავს ტელეფონი.

ნელი: ხო, ვეერიკო, გენაცვალე... რატომ შეწუხდი... კარგი, კარგი... დიდი მადლობა... ჰოოო... სამ–ოთხ საათში ჩამოვა, ალბათ, ხომ?.. კარგი... (ყურმილს დებს. მერე მაცივარში შეიხედავს) უფ! მაწონი აღარ გვქონია... ნეტავ დამებარებინა კოტესთვის... თუმცა, მირჩევნია სუფთა ჰაერზე გავიარო ცოტა...

იცვამს და გადის. ცოტა ხანში ბრუნდება კოტე. რეკავს ზარს –კარს არავინ აღებს. რეკავს მობილურით ტელეფონზე – არავინ პასუხობს... მერე ნელის მობილურზე რეკავს – მობილური მაგიდაზე დევს... კოტე მეზობლის კარზე აკაკუნებს.

მეზობელი ნაზიკო: გამარჯობა, კოტე, გენაცვალე...

კოტე: ნელის გასაღები ხომ არ დაუტოვებია?

ნაზიკო: არა... არაა სახლში? სახლში უნდა იყოს... კარის ხმა არ გამიგია... რაო სასწრაფომ? ნაბანევი ვიყავი და ვეღარ გამოვედი თქვენთან... იმ წუთის გამოსული ვიყავი აბაზანიდან და არ დამკრას სიცივემ მეთქი... ისე, რა დაემართა ნელის, თან ამ წასვლის წინ... ხომ კარგად...

კოტე: (აღარ უსმენს... მიდის ისევ კართან, მუშტებით აბრახუნებს...) ნელი...ნელი!!!!

ნაზიკო: ვაიმე, მომიკვდეს თავი... დავიღუპეთ???

კოტე: (აკანკალებული ხელით რეკავს ტელეფონით) ზაზა! სად არის დედაშენი.... რას მაიმუნობ, რა „წავიდა სხვისასა“ !.. დილას ცუდად იყო... სასწრაფო გვყავდა... მე გავედი, სახლში დავტოვე... ახლა კარს არ მიღებს... გასაღები არ წამიღია... რად მინდოდა –სახლში იყო! მალე მოხვალ? იქნებ ნუცას დაურეკა და უთხრა სად მიდიოდა? მოდიხარ უკვე? კარგი... (ისევ აბრახუნებს კარზე... ამასობაში ნაზიკო დანარჩენ მეზობლებს ეძახის)

ნაზიკო: სად ჯანდაბაშია ეს გიორგი, ან ნატო!!! აივნიდან გადავძვრებოდით... ვაიმე, ნელიკო! ვაიმე!!!! არადა, პარიზში მიდიოდნენ... მაშველები გამოვიძახოთ...

კოტე: ჰო...ჰო...

ამასობაში მოდის ზაზა. აკანკალებული ხელით იღებს ჯიბიდან გასაღებს, ცდილობს გააღოს კარი... კოტე გამოგლეჯს ხელიდან გასაღებს... ვერ აღებს კარს, დაემხობა კიბის მოაჯირზე.

კოტე: დავიღუპეთ... ამით რას გავაღებთ, ახალი საკეტი დავაყენე ამას წინათ...

ნაზიკო: ვაიმეეეე, ნელიკო... მოგიკვდეს ჩემი თავი... ვინ იცის, რა გიჭირს...

მეზობლები: დავრეკეთ უკვე, მოდიან მაშველები...

შეგროვილ ხალხში გზას ნელიკო იკვლევს. ზევით აწეულ ხელში მაწვნის ქილა უჭირავს... დაინახავს თავისი ბინის კართან შეგროვილ ხალხს, ქილა უვარდება და ტყდება...

ნელი: დავიღუპე???? რა ხდება ჩემს თავს?!! კოტეეეე!!!

ზაზა: არაფერია, დედა... მშვიდობაა... დამშვიდდი... მამა აგერაა!.. ყველანი კარგად ვართ!..

კოტე: (გაცოფებული) სად იყავი, ადამიანო, სად?!!!!

ნელი: აგერ ვიყავი, გასული... მაწონზე!

კოტე: მაწონზე???? რის მაწონზე?!

ნელი: მათიკოს მაწონზე... ორი წუთით გავედი... საღამოობით მაწონს რომ ითხოვ ხოლმე... გაგვთავებია...

ნაზიკო: როგორ გადაგვრიე, ნელი! კარების ხმა არ გამიგია... როგორ გაიპარე ასე ჩუმად?.. (გადასძახებს დანარჩენ მეზობლებს) მაწონზე გასულა... მაწონზე...

კოტე: რა მაწონი აგიტყდა!

ზაზა: შენ რა მაწონი აგიტყდება ხოლმე ყოველ საღამოს!

კოტე: მე რა შუაში ვარ! (ზაზას) შენ არ იყავი, კარი რომ ვერ გააღე?

ზაზა: შენ არ თქვი, ახალი საკეტი დავაყენეო?..

ნელი: (კოტეს) შენ არ თქვი, სხდომა მაქვსო?..

კოტე: (ნელის) შენ არ კვდებოდი ამ დილით? დაგვხოცე ნერვიულობით! რად მინდოდა მაწონი! ერთი საღამო ვერ გავძლებდი მაწვნის გარეშე? სად წახვედი? ან რომ წახვედი... არ დავინახო მაწონი ამ ოჯახში შემოტანილი!!!!

ნაზიკო: (მეზობლებს) დილით ცუდად იყო... კი დავინახე, სასწრაფო რომ მოვიდა, მაგრამ ნაბანავები ვიყავი... იმ წუთის გამოსული ვიყავი აბაზანიდან და ვეღარ გავედი... მე რომ დღეს არ მებანავა, წავიდოდი და მოვუტანდი იმ მაწონს....

მეზობელი ირინა: რა გახდა ეს მაწონი, ავადმყოფი ქალი რომ არ გასულიყო საყიდლად... ერთი დღე როგორ ვერ უნდა გაძლო ადამიანმა მაწვნის გარეშე...

შემოდიან გიორგი და ნატო.

გიორგი: რა ამბავია, კოტე? ქვემოთ მითხრეს, გეძებდნენო, აივნიდან უნდათო გადმოსვლაო... აგერ,

ბატონო, ახლავე შევალ და გადმოდით, ვისაც გინდათ... რა ხდება, ისე?

ნაზიკო: მაწონზე იყო ნელი გასული... კოტეს კი ეგონა, ჯვარი აქაურობას და... მარილზე გავიდა...

გიორგი: მაწონზე გასვლაც რამეს ნიშნავს?

ირინა: კოტეს ყვარებია საღამოობით მაწონი...

მეზობელი ირაკლი: აუ, მაგარია ცივი მაწონი საღამოს შაქრით... მეც მიყვარს...

მეზობელი ნანა: აწყობილი აქვს, გენაცვალე კოტეს საქმე... მომაკვდავი ცოლი თავპირისმტვრევით გარბის, მაწონი რომ არ მოაკლოს....

ნაზიკო: კოტესთანა ქმარი დასაფასებელია, ჩემო ნანა! ცივ ნიავს არ აკარებს... ისეთი ცოლ–ქმრობა აქვთ, სანატრელი... ახლა, აგერ, ამ დღეებში, პარიზში მიდიან...

მეზობელი ვახტანგი: აბა მე, ცეცხლი რომ წამეკიდოს, წყალს არ მომასხამს ჩემი ცოლი!

მეზობელი ეთერი (ვახტანგის ცოლი): წყალი ჩაგაქრობს? დასპირტული ხარ!

მეზობელი ნანა: მე თელავს არ გამაცილა ჩემმა ქმარმა...

ნაზიკო: ნელის ოცნება იყო პარიზი!

მეზობელი ნანა: თელავზე არ მიოცნებია მე არასდროს!

ნაზიკო: კოტე დღე და ღამეს ასწორებს, მსოფლიო დონის მეცნიერია, აქვს გენაცვალე და უსრულებს ოცნებებს ცოლს!

ზაზა: ერთი წუთით... (მეზობლებს, მაშველებს) დიდი ბოდიში და დიდი მადლობა... გვაპატიეთ... (მშობლებს) აბა, შევედით სახლში და იქ გავაგრძელეთ ანალიზი და დებატები...

შედიან სახლში.

კოტე: (აგრძელებს) ...ან რომ წახვედი, ტელეფონი ვერ წაიღე თან? რისთვის გაქვს ეს მობილური, რისთვის? დაადებ თავს და მიდიხარ... ვდგავარ აქ, ვამტვრევ კარს...

ნელი: კარს რატომ ამტვრევდი? გასაღები ხომ გქონდა? შემოხვიდოდი და ნახავდი...

ზაზა: მამა! გასაღები გქონდა? გადავირევიიიი!!!!

კოტე: (ნელის) გასაღები მქონდა?(იღებს ჯიბიდან გასაღებს) მე მეგონა არ მქონდა! რად მინდოდა გასაღები, შენ სახლში არ დაგტოვე? შენ არ მითხარი, მე ჩავკეტავო?... სულ არ გამხსენებია გასაღები...

ნელი: ხო, კარებთან რომ დგახარ, რატომ უნდა გაგახსენდეს გასაღები... უფრო მარტივია, შეამტვრიო... ან სასწრაფოს რომ ხედავ, რატომ უნდა გაგახსენდეს სასწრაფო!

კოტე: ვერ მოინელა რა�ა!!! სამაგიერო გადამიხადა! ერთი სიცოცხლე გავათავე! ღირსი არ ხარ დაგახრჩო?

ზაზა: ვაااა, წეღან ცხარე ცრემლით ქვითინებდი, ვაითუ ცოცხალი აღარაარ... და ახლა შენი ხელით კლავ?

ნელი და კოტე (ერთდროულად): შენც ხომ გქონდა გასაღები, ვერ გააღე კარი?

ზაზა: მამა, შენ არ მითხარი, საკეტი გამოვცვალეო?

კოტე: მერე რა... გეცადა მაინც... გეზარება ყველაფერი...

ნელი: გეზარება, ხო! და არაფერი არ გახსოვს, შენი საქმის მეტი! რატომ არ წაიღე ახალი გასაღები? ამას წინათ გაგიმზადე და დაგავიწყდა... საერთოდ, აღარაფერი გახსოვს... გასაღები რომ გქონოდა, შემოხვიდოდით, ნახავდით, რომ სახლში არ ვარ... ტელეფონსაც ნახავდით და არ ატყდებოდა ამხელა დავიდარაბა...

კოტე: აჰა, აიღე ახლა ეს გასაღები და გქონდეს... წაგეღო რა თავის დროზე! მაინცდამაინც მე უნდა ჩაგიდო ჩემი ხელით ჯიბეში, არა? რა იცი, რა ხდება... გქონდეს, რა!!!

ნელი: გქონდეს, ხო, მანქანაში, დაგამძიმებს, თუ რა! თავის შეწუხება არ გინდა არაფრით! შენს იმედზე უნდა ვიყოთ აქ ჩვენ და ბრიუსელში — ნუცა?

ზაზა: კარგით... ბოდიში... მე მაპატიეთ ამ ერთხელ და... მეტს აღარ ვიზამ... ჩემი ბრალია ყველაფერი... ნუცასთანაც ბოდიში მომხადეთ... კიდევ კარგი, არ დავურეკე, გავუხეთქავდი გულს... წავედი... ხომ არ გჭირდებათ რამე? მაწონი, მაგალითად!

კოტე: არაფერი გვინდა ჩვენ! ჩვენ თვითონ მივხედავთ ჩვენს თავს! მძულს მაწონი! მაწონი აღარ მიხსენოს არავინ!

ზაზა: ბოდიში, ბატონო! ბოდიში!.. რაც მე თქვენ გიყურებთ... კი არ ცხოვრობთ, თითქოს ტანგოს ცეკვავთ...

კოტე: ახლა ამის ფილოსოფიას უსმინე!

ნელი: (გული უჩუყდება) ზაზუკა, დედა!

ზაზა გადის. კოტე აღშფოთებული ბოლთას სცემს. ნელი დამნაშავე სახით უყურებს.

ნელი: კოტე!

კოტე: რა გნებავს?!

ნელი: კარგი ახლა, კოტე...

კოტე: ადვილი სათქმელია – კარგი...

ნელი (ეშმაკური სახით): როგორ გყვარებივარ...

კოტე (ეღიმება): მყვარებიხარ არა ის კიდევ!.. იმაზე ვინერვიულე, შენ რომ თქვი, საღამოს დაგიწერ და

გადაგიწყობ ტანსაცმელსო... ვიფიქრე, ვერ მოასწრებდა–მეთქი და მაგაზე გადავირიე...

ნელი: კოტე... მაცეკვე ტანგო!

კოტე: გაცეკვო არა, ის კიდევ...

ბინა ცოტა ხნით ბნელდება და ისევ ნათდება.

ნელი: ჰო, სულ დამავიწყდა... ვერიკომ დარეკა სოფლიდან... ხილი გამოუტანებია სამარშრუტოს მძღოლისთვის...პირდაპირ სახლში მოგიტანენო... კოტე რომ არ შემიწუხდესო... ხედავ, რა ადამიანია? გული ამიჩუყდა პირდაპირ...

კოტე ეთანხმებასავით ირონიული ჟესტიკულაციით.

ნელი: პირს გაისველებთო აქაური ხილითო, ჩემს კოტიკოს კომპოტს მოუხარშავო... ან ჯემსო...

კოტე: გამვლელსაც აჭმევთო, გამომვლელსაცაო იმ ორ კაკალ ვაშლსო...

ნელი: რანაირი ხარ, კოტე! თვითონ რა აბადია და მაინც გავახსენდით, გვიწილადა... ლუკმა გაგვიყო...

კოტე: კარგი, ჰო, კარგი!!! შარშანდელივით გადამაყოლე ახლა! ორი კილო მსხალი გამოგვიგზავნა და მთელი წელი მადლობები მახდევინე! რაც მე ოკრიბაში მარბენინე და მთელი დასავლეთ საქართველოსთვის შაქარი,ზეთი და რა ვიცი, კიდევ რა არ მაგზავნინე... ერთ კონტეინერ ხილ-ბოსტანს ვიყიდდი მაგ ფულით!

ნელი: არ იყავი, კოტე შენ, ასეთი მეწვრილმანე... რა მოხდა, რა დაგემართა!... პირს გავისველებთ გზაში...

კოტე: ხო, ახლა პარიზში მათრევინე პანტა და მაჟალო! ტყემალი და სუნელები არ დაგავიწყდეს კიდევ, ნოსტალგიის შემოტევას რომ ვერ გაუძლო ამ ორ კვირაში!.. დღეს, დრო გამომიჩნდა და ტასო დეიდასთან წავალ! უნდა ვნახო აუცილებლად! რამდენი ხანია მეხვეწება მოდიო და უნდა შევურბინო წასვლამდე... კარგია, თუ სადგურში არ მიწევს მისვლა ვერიკოს ძღვენის წამოსაღებად.

ნელი: ვაიმეეეე... სიმღერა მინდა, ცეკვა მინდა... პარიზი... პარიზი... ისე მომბეზრდა ერთფეროვნება, პარიზი კი არა ჩხოროწყუში მოგზაურობაც გამაბედნიერებდა...

კოტე: მდაა...უფრო დეტალურად უნდა შემესწავლა შენი ოცნების გეოგრაფიის მასშტაბები!

ნელი: (არ უსმენს, ცეკვავს. ზარი. ნელი ცეკვით მიდის კართან) აი, მოიტანეს კიდეც, მე მგონი, ვერიკოს ძღვენი!.. ნახე, доставкой на дом! რა ტიპია...ოჰ, ვერიკო, ვერიკო... (კარს აღებს. კარებში ოფლში გახვითქული მძღოლი დგას, მის უკან უამრავი უზარმაზარი ყუთია მსხლით სავსე)

მძღოლი: გამარჯობა! აგი, ვერიკიამ გამომატანა, სხალია თქვენზა...

ნელი: (გულგახეთქილი) ეეეს... სულ ჩვენ? ვაიმე, კოტე!

კოტე: აუფ! რა ამბავია, შე კაი კაცო.... და რა უნდა ვუყოთ ამდენ მსხალს?

მძღოლი: წრეულს სხლის კაი მოსავალი იყო ნამეტანი... აგი რაია? ჩვენში იმდენია... ჭურშიც ჩავყარეთ - არაყს გამოვხთით ... კაი სხლის არაყი, ა? (კოტეს თვალს ჩაუკრავს) არა, ახლა ბუზის არაყი ქე ჯობია, მარა...

კოტე: ჰოოო... არაყი - კარგია... მსხლის... აფსუს, წელს ბუზის მოსავალმა ვერ ივარგა ეტყობა, თორემ...

ნელი: მაიმუნობის დროა, არა, კოტე? იმის მაგივრად, გამოსავალს ეძებდე... რა ვქნათ, ახლა? ვაიმე, დედა! ამდენი მსხალი... პარიზი...

მძღოლი: რა ბევრი აგია, ჩემო დაია! სხალი რაია? შეჭამ და ვსიო! ჯემებს დახარშავ... კამფოტებს...

ნელი: კოტე! მოიფიქრე რამე, თორემ გადავხტები ფანჯრიდან! რა ჯემებს დავხარშავ, სად შემიძლია... გზაზე ვდგავარ... და ისედაც... ვინ ჭამს ჯემებს ჩემს ოჯახში, ან ამდენ მსხალს ვინ შეჭამს!

კოტე: (ფიქრებში წავიდა) სკოლის ბუფეტში პურზე წასმული მსხლის ჯემი მიყვარდა მე! 5 კაპიკი ღირდა... მიმწვარის გემო ქონდა... სამკუთხედიც მიყვარდა, ჯემიანი... კიდევ სკოლის კატლეტი მიყვარდა... ზოგს სოსისი ერჩია, დაყოფილები ვიყავით რაღაცნაირად –კატლეტისმოყვარეულები და სოსისისმოყვარულები... ერთმანეთს სულ იმას ვუმტკიცებდით, რომელი რომელს ჯობია... (წაიმღერებს) „ერთმანეთს ეუბნებიან, რომელი რომელს ჯობიაა...“ მაგრამ მე კატლეტი...

ნელი: კოტე, მოიფიქრე რამე! მოგონებების საღამო მერე გავმართოთ!

მძღოლი: რა უნდა ამ სხლის დაბინავებას, თქვე კაი ხალხო! მიადექით და ჭამეთ ნელ-ნელა...

კოტე: არაა ურიგო აზრი, ნელი? რომ გადავიანგარიშოთ და მეზობლები დავიხმაროთ... არტურასაც თუ წაუღებ საპარიკმახეროში... იქაც „მანიკიურშა,“ „კოსმეტიჩკა“... ათი წუთი ორ კილოზე, ეს იქნება...

ნელი: კოტე! სანამ გადავრეულვარ... (მძღოლს) თქვენ რა შუაში ხართ, შემობრძანდით ჩემო ბატონო, დაბრძანდით აგერ... დაისვენეთ... აგერ, ხილი მიირთვით... ვაიმე! ორი კოლო ხილი ვიყიდე სამი დღის წინ და მოვკვდი ამის მაცივარში შესვენება-გამოსვენებით! ამდენი მსხალი სად დავაწყო... გავდივართ ქალაქიდან, თან...

მძღოლი: რავა, აღარ შემოხვალთ, თუ? აგერ დააწყობთ ლამაზათ ზალაში...

კოტე: დავაწყოთ, ხო, აგერ ეს ყუთები და რომ დავბრუნდებით, მერე შევუბეროთ....

ნელი: რას ლაპარაკობ, რას!!! ამ ორ კვირაში დალპება ეს ამ სიცხეში და აქ იმდენი ქინქლა და ბუზი დაგხვდება...

კოტე: ჰოდა, მსხლის არაყი ხომ გვექნება და გვექნება, და აგერ, ბუზის არაყის მასალაც გაგვეჩითება...

მძღოლი: რასაა, რომ ჩივი, ძამია! ბუზის არაყი ბუზისგან კი არ კეთდება...

ნელი: იცის, ბატონო... ხუმრობს, თავისებურად... ასე იცის, რომ განერვიულდება...

კოტე: არაფერს არ ვნერვიულობ მე! რა მაქვს სანერვიულო? პირიქით, ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ! მსხლის ჯემი მენატრებოდა და, აგერ ბატონო....

ნელი: სულ მაიმუნობა შეიძლება? შემარგე ეს ერთი მოგზაურობა! მოიფიქრე რამე, გემუდარები...

კოტე: კარგი, კარგი... არ ინერვიულო, ნელიკო, არ გაგიმეოროს დილანდელმა... მოვიფიქრებ რამეს, აბა, რას ვიზამ... შენ არ ინერვი... მეგობარო! აი, აგერ, შენ ფული და ეს მსხალი აგერ, ა... (ფურცელზე მისამართს დაუწერს) ამ მისამართზე მიიტანე. აგერ, კიდევ ფული და თუ ძმა ხარ, ამის შაქარი იყიდე გზად და ისიც თან მიაყოლე.

მძღოლი: (დახედავს ფულს, გაებადრება სახე) კი ძამა! მთელი დღე საჭის ტრიალში სად მრჩება ამდენი... რავარც მეტყვი, ისე მევიქცევი. შენ გეიხარე შენს ცოლ-შვილში! ჩავზიდავ ახლა ამას ნელ-ნელა...

ნელი: (დამფრთხალი) კოტე, რა მოიფიქრე?

კოტე: (ამაყად) მაკოცე ჯერ!

ნელი: (გაიპრანჭება) რომ არ ღირდეს? (კოცნის) მითხარი, სად გაატანე?

კოტე: მანანასთან! ეგ ხომ იცი, ციყვივითა - სულ ზამთრის მარაგების კეთებაშია, ვენაცვალე! ამას წინათ რომ ვიყავი სტუმრად კაკლის მურაბით გამიმასპინძლდა - „კაკალი 2004“ გესმის შენ? ჯერ 2004 წლის მარაგს „ამუშავებს“! ახლა შექმნის „მსხალი 2012“! მაგარია, რა!!!! ზოგიერთ ჭრიჭინას კი არ გავს! მეოჯახე ქალმა 50 კილო მსხლის საზამთროდ დაბინავება როგორ ვერ უნდა მოახერხო?!

ნელი: გენიოსი ხარ, კოტიკო, გენიოსი! გინდა ჭრიჭინა მეძახე და გინდა ხარაბუზა! ჯანდაბას, ჩემი თავი, რადგან შენ ეს დავიდარაბა ამაცილე... ჩეეეემო გვრიტო!

კოტე: ხო! ახლა გვრიტი ვარ!

ნელი: ბუ ხარ, ბუ! ჭკუისკოლოფობის ამბავში!

კოტე: ბუ და ჭოტი მაშინ იქნება, მანანამ მაგ მსხალს და შაქარს ქილები თუ დაამატა და უკან გამოგვიგზავნა...

ნელი: რას ამბობ, კოტე! ენამ არ გიყივლოს, ფუი ეშმაკს!!! არ ვიცი, რა მეშველებოდა უშენოდ!

ზარი. ნელი კარს აღებს და ისევ ის მძღოლი დგას უზარმაზარი ჩანთით.

მძღოლი: სულ დამავიწყდა, აი პაწა ატამია და ა, ამაზე მაინც ნუ იტყვით უარს — ეწყინება ვერიკიას! ხო, და ჩანთა არ დამიკარგონო, ნონაიამ გამომიგზავნა საბერძნეთიდანო. გამოვივლი მე საღამოს და წევიღებ მაგ ჩანთას (ტოვებს ჩანთას და მიდის. კოტე გაჭირვებით შემოათრევს ჩანთას სახლში)

კოტე: ნელი, არ გადაირიო, ახლა! ამას რამეს მოვუხერხებთ... აგერ ვარ მე და არ შეგეშინდეს! ნაწილი მეზობლებს დავურიგოთ, ნაწილს დღეს დეიდა ტასოსთან რომ ვაპირებ წასვლას, იმას წავუღებ... იმდენ მსხალს მოვუხერხე რაღაც და ეს ატამი რაა...

ნელი: უფ, გადამიქანდა გული! შენ გენაცვალე, კოტიკო! წაუღე, წაუღე, ხო... მე მეზობლებს დავურიგებ ამ ატამს უცებ... მერე მაღაზიაში ჩავალ.მერე საპარიკმახეროში, არტურასთან. შენ წადი ტასოსთან...

ნელი ატმებს ხონჩებზე ალაგებს, კოტე წასასვლელად ემზადება.

ნელი: ჩანთა არ დაგრჩეს ტასო დეიდასთან... ხომ გაიგე, რა თქვა იმ კაცმა... უნდა გავუგზავნოთ ვერიკოს... კოტე! გაიგე, რას გეუბნები? ჩანთა უკან წამოიღე!

კოტე: გავიგე, ჰო! „კოტე არ შემიწუხდესო“ არა, ვერიკომ?.. წავედი.

(გადის)

ნელი ჩამოარიგებს მეზობლებში ატამს და ძალიან ბედნიერი ბრუნდება სახლში. ემზადება და გადის, მაგრამ ძალიან სწრაფად ბრუნდება უკან და გაჭირვებით მოათრევს „კოტესთვის გატანებულ“ ატმებიან ჩანთას.

ნელი: ეს რა დღე გათენდა... ეს კაცი მაგიჟებს!!! ტაქსიში დარჩა! რა მიჰქონდა, აბა? არა, რა... რა ფეხზე ავდექი! მაინტერესებს, ერთი, რას მოიგონებს, რას იტყვის! მე ჭრიჭინა მეძახა, თვითონ?.. არ შეიფერა ქება?!. როგორ მინდოდა ნორმალურად, მშვიდად მომზადება... (მიმალავს ჩანთას. რეკავს ტელეფონი) ჰოო, ტასო დეიდა! რის მადლობა... არაფერს, არაფერს... ატამი? რაა?...ჰო, ჰო... საუკეთესო ატამია... კი... რჩეული... ჰო... ვერიკომ გამოგვიგზავნა... გადავცემ იმასაც მადლობას, აუცილებლად... კარგი, კარგი... და... ჩანთის წამოღება ხომ არ დაავიწყდა კოტეს? ააა... შენს ჩანთაში გაუცვალე? კარგი, კარგი... ახალი ჯობია, რა თქმა უნდა... კარგი... (დებს ყურმილს) გადავირევი ახლა... ტასოა და ატმებიც აქვს და ჩანთაც... მე იგივე ჩანთა და იგივე ატმები მაქვს... (მიდის ჩანთასთან, ათვალიერებს, იღებს ატამს, უკან დებს) ნეტავ არ გავგიჟდებოდე...

შემოდის კოტე.

კოტე: ვაჰ, სახლში ხარ, ნელიკო, უკვე?

ნელი: რაო ტასო დეიდამ?

კოტე: უჰ! გადაირია! დიდი მადლობები იხადა... მაგრამ, რა დამემართა, რომ იცოდე! სახელური მომიწყდა ჩანთაზე... ორივე !.. გაგიჟდა ტასო, შეწუხდა ძალიან... ახლა, ამ დაგლეჯილ ჩანთას ხომ არ წაუღებ ნელიკოსო... და მით უმეტეს, ვერიკოსო... ჰოდა, თავისი ჩანთა გამომატანა... ქონია, წარმოგიდგენია, ახალთახალი, ეს უზარმაზარი ჩანთა... რა ჯანდაბად უნდოდა, ნეტა! ჰოდა... მოკლედ, აჰა, შენ ჩანთა და ხვალვე გავუგზავნოთ ვერიკოს... უფ!.. ვაააა... არტურა რა მაგარია! რა სხვანაირად გამოიყურები, ძალიან

გიხდება...

ნელი: კერძოდ, რა მოგწონს?

კოტე: რა ვიცი, ყველაფერი... ვარცხნილობა, თმის ფერი... პროფესიონალია, რა!

ნელი: ახლა ვფიქრობ: ოკულისტთან წაგიყვანო, ფსიქიატრთან თუ მმაჩის ბუროში განქორწინებისთვის... თუ მე წავიდე და ყულფში გავუყარო თავი...

კოტე: პარიზში აღარ მივდივართ?.. რა იყო, რა?... რა მოგივიდა... გეხუმრე... მაჭამე, ნელიკო, რამე! მომშივდა ამ გაწამაწიაში!

ნელი: ატამს გაგიფცქვნი ახლავე! ვერიკოს ჩანთიდან...(გამოათრევს ჩანთას)

კოტე: უი, ატამი გვააქვს ? საიდან, კაცო... ეს ჩანთა აქ საიდან?

ნელი: რომ ჩავედი, ეზოში ტაქსის მძღოლი იდგა და კითხულობდა, ასეთი და ასეთი კაცი, ასეთი და ასეთი კეპითო... ჩანთა დარჩაო... წესიერი კაცი... ალალ-მართალი... ზოგიერთ ჭრიჭინას კი არ გავს....

კოტე (ეცინინს): ვაااااა... რაც მე ვიწვალე!!! სულ ალექსანდრეს ბრალია ყველაფერი!

ნელი: მაკედონელის?

კოტე: არა, კაცო, ჩვენი ალექსანდრეს!

ნელი: აჰა, ჭავჭავაძის!

კოტე: რა მოგივიდა, ნელიკო! ძნელაძის! დამეწია ტაქსით რომ მივდიოდი... ატეხა პიპინი, ხელ-ფეხის ქნევა... გადამსვა თავის მანქანაში, მე წაგიყვანო... დამაყარა ანეკდოტები... ამიბნია თავგზა... ტასოსთან რომ მივედით, მაშინ გამახსენდა ჩანთა... ალექსანდრემ - რა ოხერია - აგერ, ხილ-ბოსტანში ვიყიდოთ ატმებიო... ვიყიდეთ! ამასობაში, გამახსენდა დასაბრუნებელი ჩანთა... გავცვივდით მე და ალექსანდრე, დავირბინეთ მაღაზიები - ვიყიდეთ ჩანთა... ავიტანეთ ტასოსთან ეს ყველაფერი... ახლა ტასო გადაირია ...ჩანთა დამიტოვეო, მეხვეწა... ალექსანდრემ მოიფიქრა ისტორია ჩანთის სახელურებზე... მერე ტასო დავარიგეთ... მერე გამოვცვივდით და მეორე ჩანთა ვიყიდეთ... ალექსანდრე ატმებსაც ყიდულობდა - აიჭრა ცოტა... ჰოდა, მერე მომიყვანა სახლში... და ასეა, მოკლედ... და საერთოდ... ნუ გამაგიჟეთ!!!! ვერიკოს ძღვენი დამიჯდა ოქროს ფასი! არ შევაწუხოო, ხომ, ვერიკომ!!!!!

ნელი: ამის ატანა უკვე შეუძლებელია, კოტე! არა, მე მიჩვეული ვარ, შენს მუდამ „მომსახურების ზონიდან გასულ“ მდგომარეობას, მაგრამ ეს ოხერი, შენ უკვე პლანეტიდან ხარ გასული! ხანდახან შემთხვევით შემოიშხუილებ ხოლმე და მერე ისევ მიდიხარ უსასრულობაში! რა გინდოდა, რას მერჩოდი... ვიყავი ჩემთვის, ვსწავლობდი... რაღაც გეგმები მქონდა, იდეალები, მისწრაფებები... რა თვალზე შემომხედე...

კოტე: მშვენიერ თვალზე შემოგხედე და გადაგარჩინე მეცნიერ–შინაბერობას. თორემ ახლა იქნებოდი საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი ბირთვულ–მაგნიტურ რეზონანსში, მაგრამ უშვილძირო და მარტოსული!

ნელი: რას ამბობ, ახლა ხომ შენი სახით ბომონდი მაკრავს გარს! რატომ ვიქნებოდი უშვილძირო და მარტოსული? კოჭლი ვიყავი, ცალთვალა თუ ენამოჩლექილი? თაყვანისმცემლების არმია მერტყა გარს, არმია! ახია ჩემზე! გადაგყევით შენ და შენს მოდგმას! აფსუს, ნელი! მსოფლიო მასშტაბის გაქანების უნარმქონე, ნასტუდენტარი ფიზიკოსის ფეხსაცმელების დაწყვილებაში და მისი ნათესავების ნატურ-პროდუქტების დაბინავებაში ხარჯავ ენერგიას და ნერვებს!

კოტე: სერიოზული მეცნიერ–ფიზიკოსის, დავაზუსტებდი... კარგი ახლა, გაიხსენე, დილით რა ცუდად იყავი... დაწყნარდი... რამე კარგზე იფიქრე...

ნელი: ატამს რა ვუყოთ?...

კოტე: დაურიგე მეზობლებს!

ნელი: დავურიგე, უკვე, დავურიგე!!!! თხუთმეტ წუთში ერთხელ ხომ არ დავარიგებ ატამს!

აივნიდან ისმის ძახილი.

მეზობელი ნატო: ნელი დეიდა! აგერ, მამამ ნაკვეთიდან ხილი მოიტანა და... (აწვდის კალათით მსხალს...) ესეც თქვენი ხონჩა (ხონჩაც სავსეა მსხლით)

ნელი: დიდი მადლობა, გენაცვალე... რატომ შეწუხდი... (ბრუნდება სასოწარკვეთილი)

ნელი: აი, ახლა რაღა ვქნათ?..

კოტე: აღარ ვიცი...

ნელი: ნაგვის ბუნკერს რომ მივუდოთ ეს ხილი?

კოტე: ეგ არის უზნეობა!

ნელი: ვიცი, მაგრამ... აბა რა ვქნათ? ხილ-ბოსტნის მაღაზიას რომ შესთავაზო... აგერ ჩვენთან ქვევით, მზია რომაა... გაყიდოს...

კოტე: რას ლაპარაკობ, ნელი! უფაქტურო საქონელზე არ იცი, რა ხდება?

ნელი: და ფაქტურა რიმ მივცეთ?

კოტე: რა ბედნიერი ხარ, ნელი, უვიცი რომ ხარ.... უფ, სულ მინდოდა ამ ფრაზის გამოყენება!

ნელი: უვიცი ვარ? უვიცი კი არა, ოჯახში გაზრდილი რომ ვარ და ზრდილობიანი იმიტომ ვიტანჯები ასე! შენი ნათესავია ეგ ვერიკო და ეგ ხილიც შენთვისაა სამშობლოს ნაწილი! ბიჭოს! არ გამაგიჟეს!!! მომაცილე, როგორც გინდა! დილით წერილი მიმქონდა... სადილსაც არ გავაკეთებ-მეთქი... დავისვენო-თქო.... მოვწესრიგდე... ამის მაგივრად ნერვების წყვეტაში ვარ... მილიონი მსხალი და ატამი მარტყია გარშემო...

კოტე (ეშმაკური სახით): აქტრისა მარგარიტას მაგონებ რაღაცით! „მილიონ, მილიონ, მილიონ ალიხ ფრუქტ...“

ნელი: ჰოდა, ნიკალ! მიდი, წინსაფარი გაიკეთე და მომეხმარე... შენი საყვარელი ჯემი გავაკეთოთ პარიზში წასვლამდე... მერე დაურეკე არტურას, გინდა ფული შესთავაზე, გინდა ატამი, გინდა ცემით დაემუქრე, ჩამწეროს და მომაწესრიგოს! ქალი კი არა, მხედართმთავარი ვარ, რა! შენი გადამკიდე, სულ ფრონტის წინა ხაზზე ვარ ბრძოლაში ჩაბმული! ცუდად გახდომის საშუალება და პირობებიც კი არ მაქვს! ოჯახი კი არა, ბლენდერია, რა!!!

ცოტა ხნის მერე სურათი: კოტე მსხალს ჭრის ხილფაფისთვის... ნელი გაზქურასთან, უზარმაზარ ქვაბთან ტრიალებს. რეკავს ტელეფონი.

ნელი: ჰო, მანანა! კარგი, რის მადლობა... რაა??? არ გინდა, რა ძალიან გთხოვ... მომისმინე... ერთი წუთით... უკვე წამოვიდა? (დებს ყურმილს)

კოტე: კიდევ რა ხდება დღეს?

ნელი: მანანამ შალვას 20 ქილა მსხლის ხილფაფა გამოვატანეო... მოვა ახლა საცაოო და, თუ რაიმე ქილები გაქვთ შეაგროვეთ და გამოატანეთო, 15 კილო ბულგარული წიწაკა მაქვს გასაკეთებელი ზამთრისთვისო და მსხალმა მთელი ქილების მარაგი შეინირაო... კოტე... ამდენი ქილები არ გვაქვს, ესეც რომ ჩავდოთ და მანანასაც გავუგზავნოთ... მოდი, გავარდი ახლა უცებ და იყიდე, ჰა? მანანაც ცოდოა... ამდენი საქმე დავატეხეთ თავს....

კოტე: კარგი. წავალ და ვიყიდი ქილებს. რა ვიფიქრე, იცი? საკონსერვო ქარხანა ხომ არ გაგვეკეთებინა? გამოცდილება გვაქვს, ხილი გვაქვს, მუშახელი გვყავს, ფული ჩამიდია... კ ჩორტუ პარიზი! მოიცდის! ბიზნესი ვერ მოიცდის!

ნელი: მიდი, შენ ქილებს მიხედე, მოხვალ და ბიზნესგეგმაც განვიხილოთ!.. (საათს დახედავს) კოსმეტოლოგმაც – ჩაყვინთა...

კოტე: კოსმეტოლოგი კი არა, ნეტავი თვითმფრინავს მივუსწრებდეთ, ჩემო ნელი!.. რა იყო, მაინც, ა? მივყოლოდით ნელ-ნელა ამ ხილს, როგორც იმ პატიოსანმა კაცმა გვირჩია და შეგვეჭამა! ბოლოს და ბოლოს, „რა არის სხალი, შეჭამ და-ვსიო!“ წავედი მე ახლა, ქილებს მოვიტან...

საღამო. ნელი და კოტე დაქანცულები ტელევიზორს უყურებენ.

ნელი: არა, მაინც როგორ გვითხრა ზაზამ... კი არ ცხოვრობთ, ტანგოს ცეკვავთო...

კოტე: რამანწიკ!.. ნელიკო, ტანგო იქით იყოს და... მაწონი ხომ არ ჩაგვერტყა ბრუდერშაფტზე, ა? კარგი, სოფლის მაწონი!

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

დაინახე, რაც გესმის!

საქართველოს

რადიოთეატრი

60 წლისაა

საქართველოს რადიომაუწყებლობას თავის ოქროს ფონდში 1953 წლის ორი სპექტაკლის ჩანაწერი აქვს დაცული — ა. ყაზბეგის „მამისმკვლელი“ და „მოძღვარი“. ამ წლიდან არსებობს ქართული რადიოთეატრი, რომლის ზემოხსენებული სპექტაკლების მხატვრულ მნიშვნელობას ღირშესანიშნავს ხდის ის ფაქტიც, რომ მასში მონაწილეობდნენ იმდროინდელი ქართული თეატრის კორიფეები: ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე, გიორგი შავგულიძე, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი და სხვ.

შემდგომი წლების რადიოწარმოდგენებში მონაწილეობდნენ ქართველ მსახიობთა მომდევნო პლეადის წარმომადგენლები: ეროსი მანჯგალაძე (რომლის სახელს ატარებს დღეს სტუდია), ტარიელ საყვარელიძე, იაკობ ტრიპოლსკი, გიორგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, გიზო სიხარულიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რევაზ თავართქილაძე, ზაზა ლებანიძე და სხვ.

დღევანდელ რადიოსერიალებსა და ცალკეულ სპექტაკლებში მონაწილეობენ თანამედროვე ქართული თეატრის ცნობილი მსახიობები: ზურაბ ყიფშიძე, გივი ჩუგუაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, ზურაბ ცინცქილაძე, დარეჯან ხარშილაძე, რუსუდან ბოლქვაძე, ლილი და ნანა ხურითები და სხვ.

საქართველოს რადიოთეატრს განსაკუთრებული ამაგი დასდო რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა. ის 1967 წლიდან მოღვაწეობს ამ განხრით, 1990 წლიდან დღემდე კი რადიოთეატრის მთავარი რეჟისორია. მისი შემოქმედებითი საქმიანობა, ძირითადად, რადიოს დაუკავშირდა, სადაც დღემდე განახორციელა 400-მდე რადიოსპექტაკლი. მათ შორის: კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, ა. ჩეხოვის „სამი და“, ე. ჰემინგუეის „ვის უხმობს ზარი“, ო. ჩხეიძის „ცხრაწყარო“, ლ. გოთუას „ნისლი ნახატარის ტყეში“, გრ. რობაქიძის „ჩაკლული სული“, ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, რ. ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების მიხედვით შექმნილი: — „სანამ ალექსანდრე ცოცხალი იყო“ და „ერი შენი იხსენ სახიერებით“, გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, „ვატერპოლო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“, ნ. შატაიძის „დაჭრილი წერო“, რ. გაბრიაძის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ და სხვ. დადგმული აქვს ტელესპექტაკლები: „გამარჯობა, ჩვენო მამებო“, „ეს არ უნდა მომხდარიყო“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა “, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“, „დავიწყებული ამბავი“, „ენერგიული ადამიანები“ და სხვ. სხვადასხვა დროს განხორციელებული აქვს რადიოსპექტაკლები ბუდაპეშტში, ტალინში, ვარშავაში, მოსკოვში, მინსკში. მისი რადიოპიესები — „რეპეტიცია“, „კურდღლები“, გამარჯობა, სენიორ პირანდელო“, „მელოდრამას ჩვეულებრივი ხიბლი“, „დაუმთავრებელი პიესა“, „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...“ წარმატებით განხორციელდა გერმანიაში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ისლანდიაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ გამოსცა ზ. კანდელაკის მიერ შედგენილი რადიოპიესების ორი კრებული. სწორედ ზურაბ კანდელაკმა მოუპოვა რადიოთეატრს პოპულარობა და გაიყვანა ის ევროპულ ასპარეზზე. რადიოთეატრს მისი

ხელმძღვანელობის პერიოდში მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები: 1990 წ. რადიოდადგმების I საკავშირო ფესტივალი — გრან-პრი. („ბევრი რამ ხდება ჰორაციო“), 1992 წ. დსთ-ს ქვეყნების რადიოდადგმების ფესტივალი — II პრემია, („უფალო, გამიყვანე დერეფნის ბოლოს“), 1994 წ. რადიოდადგმების საერთაშორისო ფესტივალი „ოსტანკინოს პრიზი“, — გრან-პრი, („რეპეტიცია“), 1998 წ. „გამარჯობა, სენიორ პირანდელო“ (შევიდა „PRIX „EURO“—ს საუკეთესო რადიოპიესების ათეულში), 2002 წ. „მელოდრამას ჩვეულებრივი ხიბლი“ (შევიდა„PRIX „EUROPA“-ს საუკეთესო რადიოპიესების ათეულში), 2005 წ. „PRIX „EUR“ — ჟიურის სპეციალური პრიზი („კიდევ ერთხელ სიყვარულზე, ანუ ჩაო, ჩაო...“) და სხვ.

ადრინდელ წარმოდგენებს რადიო პირდაპირ ეთერში გადასცემდა. მაყურებელი მათი ჩაწერისას სტუდიაში მოჰყავდათ და მათი რეაქციებიც იწერებოდა სპექტაკლებთან ერთად. ეს ხდებოდა ევროპული რადიოთეატრების კვალდაკვალ, როდესაც მსახიობები მაყურებლის წინ, მიკროფონთან გაითამაშებდნენ თავიანთ გმირებს. მათ დიალოგებსა და მონოლოგებს ედებოდა მუსიკალური ფონი ხან სცენაზე ამოყვანილი ორკესტრის, ხანაც ცალკეული მუსიკოსის მეშვეობით, იქვე, სპონტანურად კეთდებოდა ხმაურებიც. თუ ევროპულ რადიოთეატრებს ეს ხმაურები ჩაწერილი ჰქონდათ წინასწარ, ქართული რადიო ამ ფუფუნებას მოკლებული იყო და ხშირად ხმაურების შექმნა ხმის რეჟისორთა მოხერხებაზე იყო დამოკიდებული.

რადიოთეატრის იუბილე 23 მაისს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა. ნაწყვეტები ერიხ მარია რემარკის, ჯერომ კილტის, ერვე ბაზენის, ნოდარ დუმბაძის, გურამ დოჩანაშვილის, თამაზ ჭილაძის, გურამ ოდიშარიას, როსტომ ჩხეიძის, ზურაბ კანდელაკის და მაია სარიშვილის ნაწარმოებებიდან წაიკითხეს მსახიობებმა: რევაზ თავართქილაძემ, ზურაბ ყიფშიძემ, ლამზირა ჩხეიძემ, გივი ჩუგუაშვილმა, ზაზა ლებანიძემ, ნინელი ჭანკვეტაძემ, რუსუდან ბოლქვაძემ, ზურაბ ცინცქილაძემ, ლილი და ნანა ხურითებმა, ლევან ბერიკაშვილმა, ნიკა წერედიანმა, დავით ველიჯანაშვილმა (რომელსაც მიყავდა ეს საღამო) და მათ სცენაზე აწ გარდაცვლილი მსახიობების: ზინა კვერენჩხილაძის, გიზო სიხარულიძის, თემურ ნაცვლიშვილის ხმის ჩანაწერები უბამდნენ დიალოგს.

რადიოთეატრს მაყურებელთა დარბაზიდან იუბილე მიულოცეს გურამ დოჩანაშვილმა, რეზო კლდიაშვილმა, ნატო ჯავახიშვილმა, გიორგი ჩართოლანმა, კოტე ჯანდიერმა. მუსიკალურად — ვაჟა აზარაშვილმა, ნიკა მემანიშვილმა, ლიზა ბაგრატიონმა, ნატო მეტონიძემ.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტუდია ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების დადგმას. რადგან რადიოთეატრი, როგორც ზურაბ კანდელაკმა აღნიშნა ამ საღამოზე, ყველაზე ახლოს დგას ლიტერატურასთან. „მე მაინც მგონია, რომ რადიოსპექტაკლი არის ის, რასაც ვერ ხედავ, მაგრამ გესმის. მას მაყურებელი კი არა, მსმენელი სჭირდება, რომელიც ყველაფერს სმენით აღიქვამს, მოქმედების დანახვაში კი თავისი ფანტაზია, თავისი შინაგანი ხედვა დაეხმარება. ეს კი ძალიან ახლოს დგას ლიტერატურასთან.“

მადლობა რადიომაუწყებლობის თანამშრომლებს: ნიკოლოზ ცერცვაძეს, გულიკო კაკაბაძეს და მათ კოლეგებს, რომლებიც ბ-ნ ზურაბ კანდელაკთან ერთად იღებენ მონაწილეობას იმ რადიოწარმოდგენების შექმნაში, რომელთაც ჩვენი შინაგანი ხედვით ვუყურებთ და „სადაც ყველაფერი უფრო ლამაზია“.

ნინო მაჭავარიანი

რუსთაველის თეატრის მუზეუმი იუბილარია

17 მაისს რუსთაველის თეატრმა სამეჯლისო დარბაზში გამართა მუზეუმის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია — „რუსთაველის თეატრის მუზეუმის ფონდებში დაცული მასალის ძიება-ინტერპრეტაცია“.

ბატონი რობერტ სტურუას დახმარებით კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები სრული სახით დაბეჭდა და წიგნად გამოსცა რუსთაველის თეატრმა და ის მუზეუმის პირველი გამგის, მისი დამაარსებლის, მსახიობ ია ქანთარიას ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.



კონფერენცია გახსნა რუსთაველის თეატრის მუზეუმის გამგემ ბელა ჭუმბურიძემ. მის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რობერტ სტურუამ — მან თქვა:

— მინდა მივულოცო ჩვენს მუზეუმს საიუბილეო თარიღი. ბევრ თეატრს არ აქვს ასეთი მდიდარი სათეატრო მუზეუმი, როგორიც — ჩვენ. მე მინდა გავიხსენო ის ხალხი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მას. პირველად რომ შემოვედი მუზეუმში ახმეტელის მასალების გასაცნობად, გამაოცა შავი საღებავით შეღებილმა ახმეტელის პორტრეტებმა, შემდეგ კი გავიგე ესტატე ბერიაშვილის გმირობის ამბავი — მას შეუნახავს და დაუბრუნებია თეატრისათვის უამრავი მასალა. მინდა აქვე აღვნიშნო თეატრმცოდნე ნათელა არველაძის ღვაწლი — ის რომ მოვიდა, საწყობს დამგვანებული საცავი დაალაგა, ყველა ფურცელს თავისი ადგილი მიუჩინა. მუზეუმი შესაძლებელია ყველასათვის გამოსადეგი გახდეს და თუ ყურადღება არ მიაქციე, შესაძლოა, ისეთ ორგანოდაც გადაიქცეს, რომელიც არ სჭირდება არავის. არსებობს ლიტერატურული გმირობის ისეთი მაგალითები, როგორებიცაა ამერიკაში სუდეიკინის წიგნის გამოცემა (არქივი შეინახეს და გადამალეს), ან ეიზენშტეინის მიერ მეიერხოლდის არქივის მოპარვა — ის წლების მანძილზე იმ ლეიბის ქვეშ მალავდა ამ არქივს, რომელზეც იწვა. ახალგაზრდობის წლებში არჩილ ჩხარტიშვილის, როგორც ტექნიკური რეჟისორის, მიერ ჩაწერილი სარეპეტიციო მასალა, დღეს უნიკალურია.

მუზეუმს ყურადღებას არ ვაკლებთ. თუ წარსული არ იცი, წინ ვერ წახვალ. მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო მუზეუმს საიუბილეო თარიღი და ვუსურვო, რომ მისდამი მიძღვნილი არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ კიდევ მრავალი კონფერენცია გაემართოს.

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა ბელა ჭუმბურიძის, ნათელა არველაძის, ნათია ასათიანის, თამარ ბელაშვილის, ნინო გუნია-კუზნეცოვას, მანანა თევზაძის, თეა კახიანის, ხათუნა კიკვაძის, თამარ კიკნაველიძის, მარიკა წულაძის მოხსენებები.

ნინო მაჭავარიანი

ოზურგეთის თეატრი ახალციხეში

ქეთევან კუკულავა

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ტრადიციულად ყოველ ზაფხულს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ატარებს საგასტროლო ტურნეს. წელს გურული სცენის მოღვაწეები ახალციხეს სტუმრობდნენ, სადაც მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოადგინეს სამი სპექტაკლი: შ. დადიანის „გუშინდელნი," (რეჟ შ. ბაბილოძე), აზიზ ნესინის „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო" და ო. ბაღათურიას „მეფე ლირი თავშესაფარში" (რეჟ. ო. კუტალაძე). სამივე სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. სპექტაკლებს ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ოზურგეთის შემოქმედებით ჯგუფს ასეთი მაღალი დონის სპექტაკლების წარმოდგენისთვის.

ლია სულუაშვილი – მესხეთის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი: არაჩვეულებრივი სპექტაკლები ვნახეთ. თითოეულ მათგანში გამოკვეთილია როგორც რეჟისორები, ასევე მსახიობები, შესანიშნავი სცენური სამყარო იყო შექმნილი სცენოგრაფიითა და მუსიკალური გაფორმებით. იყო დრო, როცა ჩვენი თეატრიც დადიოდა გასტროლებზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ შემდეგ მძიმე პერიოდი დადგა და გარკვეული დროის მანძლიზე ვერ შევძელით სხვადასხვა რეგიონში გაგვეტანა სპექტაკლები. მოხარული ვარ, რომ ოზურგეთის თეატრმა შეძლო ჩამოსულიყო ჩვენს ქალაქში და ჩვენი მაყურებლისთვის ეჩვენებინა სამი შესანიშნავი სპექტაკლი. იმედი მაქვს ოზურგეთისა და ახალციხის თეატრებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობა კვლავ წარმატებით გაგრძელდება.

ვასილ ჩიგოგიძე – რეჟისორი: აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი დღით. მაყურებელმა უდიდესი სიხარულით მიიღო სამივე სპექტაკლი. ეს იყო სრული შერწყმა მაყურებელსა და სცენას შორის. ეს არის სწორედ ის სინთეზი, რომელიც ჭეშმარიტად უნდა არსებობდეს თეატრში. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ახალციხის თეატრის ხელმძღვანელობას, რომელმაც ასე გულთბილი შეხვედრა მოუწყო ოზურგეთის თეატრს. ქართულმა თეატრმა ბევრი რამ გააკეთა მესხეთში და მათ შორის ახალციხის თეატრმა. პირადად ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეს თეატრი, სადაც თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლად დავდგი სპექტაკლი. კიდევ ერთხელ ვულოცავ ოზურგეთის თეატრს ასეთ დიდ წარმატებას და მჯერა, რომ ის ხიდი, რომელიც ოზურგეთისა და ახალციხის თეატრებს შორის გაიდო, მყარი და ურყევი იქნება.

ოთარ კუტალაძე – ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: როცა საგასტროლო მოგზაურობის გეგმას ვიხილავდით, თეატრის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად არჩევანი გაკეთდა ახალციხის თეატრზე, სადაც ჩვენ წარმოდგენებს ვაჩვენებდით აქაურ მაყურებელს. შეიძლება ითქვას, ჩვენი იდეა წარმატებით განხორციელდა. სპექტაკლების ჩვენების შემდეგ დავიწყეთ გეგმის მეორე ნაწილის განხორციელება. დავათვალიერეთ რაბათის ციხე, ვიყავით ვარძიაში, ბორჯომის პარკში და მოვინახულეთ ამ მხარის სხვა ღირშესანიშნავი ადგილები. კმაყოფილი და ამაღლებული განწყობით დავბრუნდით მშობლიურ კუთხეში. ამჯერად თეატრის სეზონი დასრულდა, რომელიც სექტემბერში კვლავ წარმატებით განახლდება.

ზაზა ჯინჭარაძე – ოზურგეთის თეატრის მმართველი: საოცარი დღეები გვქონდა ახალციხეში. ჩვენ ყოველ წუთს ვგრძნობდით ადგილობრივი ხელისუფლებისა და თეატრის ხელმძღვანელების თანადგომას. თითოეულ სპექტაკლზე დაიწერა რეცენზიები, ჩაიწერეს ინტერვიუები მსახიობებთან, ჩვენი გასტროლი გადაიცა სხვადასხვა სატელევიზიო არხით. მოხარული ვარ, რომ ახალციხის მოსახლეობა ჩვენი მსახიობებისადმი განსაკუთრებული პატივისცემით განიმსჭვალა, რაც ჭეშმარიტად არის ოზურგეთის თეატრის შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალის ერთობლივი მუშაობის შედეგი. ამ გასტროლით ახალციხისა და ოზურგეთის თეატრებს შორის მეგობრული ხიდი გაიდო.

ფოტო ქეთევან კუკულავა

გამოთხოვება

რევაზ თავართქილაძე

8 ოქტომბერს მოზარდ მაყურებელთა თეატრის დარბაზში გაიმართა გამოჩენილ ქართველ მსახიობთან, რევაზ თავართქილაძესთან გამოსათხოვარი სამგლოვიარო მიტინგი.

რეზო თავართქილაძე ამ თეატრის გამოჩენილი კორიფე და ვარსკვლავი იყო. მას გულისტკივილით გამოემშვიდობა ქართული საზოგადოება.

სამგლოვიარო მიტინგს უძღვებოდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მან აღნიშნა, რომ ბ-ნი რეზო 60 წელი იდგა მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე. წლევანდელ სეზონში ორი პრემიერა ითამაშა და კიდევ ორ სპექტაკლში იყო განაწილებული. ნებისმიერი თეატრი ინატრებდა ასეთ პროფესიონალ მსახიობს, მაგრამ რ. თავართქილაძე მთელი თავისი ცხოვრებით ატარებდა უდიდეს მისიას, რაც მოზარდი მაყურებლის სულიერ და ესთეტიკურ აღზრდაში გამოიხატებოდა.

ვასილ კიკნაძემ გულისტკივილით შენიშნა, რომ გრძელდება ვარსკვლავთცვენა ქართულ თეატრში. რ. თავართქილაძე იყო ინტელიგენტობის განსახიერება, კორექტული, გულისხმიერი, ზომიერი, განათლებული პიროვნება, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი. მისი სახელი იარსებებს მანამ, სანამ ქართველ ახალგაზრდობას ექნება თეატრის მოთხოვნილება.

ოთარ ბაღათურიამ ისაუბრა იმ დანაკლისზე, რომელიც განიცადა თეატრმა დიდი მსახიობის და მეგობრის დაკარგვით. რ. თავართქილაძე იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, თხემით ტერფამდე არტისტი, იშვიათი იუმორის მქონე, არაჩვეულებრივად პლასტიკური, როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად, სხარტი გონების ადამიანი — აღნიშნა მან — ის ცხოვრობდა თეატრით და ბოლო დღემდე არ შეუწყვეტია მუშაობა. ახლახანს ბათუმში ითამაშა, მერე — ჩოხატაურში. უარს არ ამბობდა არც ერთ როლზე, თუნდაც ეპიზოდურზე. ერთხელ დამწყები მსახიობი გახდა ავად და ეს დიდი მსახიობი მის მაგივრად გამოვიდა სცენაზე. ყოველთვის შეეძლო ჩვენი გაოცება. იყო ბრწყინვალე პარტნიორი.

სანდრო მრევლიშვილი: გასული საუკუნის 50-იან წლებში მძლავრი თაობა მოვიდა ქართულ თეატრში. მათ დიდი ღვაწლი დასდეს ქართულ სცენას და ახლა გვტოვებენ. ამ სიკეთით სავსე პიროვნებასთან და დიდ არტისტთან მუშაობა ჩემთვის იყო ნამდვილი ზეიმი. მან აღზარდა მთელი თაობები მოზარდ მაყურებელთა თეატრში მისი ხმა დიდხანს გაისმოდა ქართულ რადიოსა თუ ტელევიზიაში. მადლობა განგებას, რომ ეს უდიდესი ადამიანი არსებობდა ჩვენს გვერდით.

რუსუდან ბოლქვაძე: მე ბედნიერი ვარ, რომ ვმდგარვარ სცენაზე მის გვერდით. ჩემს მიერ დადგმულ სპექტაკლშიც დავაკავე ბ-ნი რეზო და ვფიქრობ, მის წარმატებაში მას ლომის წილი უდევს. ჩუმი მუშაობა იცოდა. რეპეტიციაზე იყო თავისთვის, თითქოს არ ჩანდა, მაგრამ თავისი სიფრიფანა ზურგით ზიდავდა მერე მთელ სპექტაკლს. მისი თავმდაბლობა ნამდვილად არისტოკრატული იყო, რადგან ძალიან კარგად იცოდა თავისი ფასი. გამიკვირდა, ვარსკვლავის გახსნაზე რომ დათანხმდა, მაგრამ ამ საღამოსაც ყველას მიეფერა. ბოლო გასტროლებზე, ავტობუსიდან რომ ჩადიოდა, ტაში დავუკარით, მოტრიალდა და ასე დაგვემშვიდობა: თქვენთან ერთად სიცოცხლეს არაფერი სჯობიაო.

თამარ მამულაშვილი: მთელი სიცოცხლე მსხვერპლად შეწირა თეატრს. ერთხელ შალვა გაწერელიამ თქვა, დაღლილი უნდა ჩახვიდე საფლავშიო. ასეთი დაღლილი წავიდა ის ჩვენგან.

დ. ხვთისიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ თეატრში იხსნება ექსპერიმენტული სცენა, რომელსაც მიენიჭება რევაზ თავართქილაძის სახელი. ასევე აღნიშნა, რომ მსახიობმა მას ხელფასს მოხსნა თხოვა ახალგაზრდა მსახიობების სასარგებლოდ. სამხატვრო ხელმძღვანელმა მას ამ თხოვნაზე უარი უთხრა, მაგრამ ამჟამად გადაწყვიტა, რომ რ. თავართქილაძის ხელფასის ბაზაზე დაწესდეს მისი სახელობის პრემია, რომელიც დაენიშნება ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობებს.

მაყურებელმა, დამსწრე საზოგადოებამ ტაშით გააცილა მსახიობი საბოლოო განსასვენებლამდე — დიდუბის პანთეონამდე.

ნინო მაჭავარიანი

„თეატრი და ცხოვრება“

„THEATRE AND LIFE“

№4, 2013

დამკაბადონებელი
გიორგი მალხასიანი

კორექტორი
მარინე ვასაძე

ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM
ფასი — სახელშეკრულებო
რედაქციის მისამართი: თბილისი 0107, გ. ლეონიძის ქ. №11ᵃ.
ტელ.: 2999096

აიწყო და დაკაბადონდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში

სცენა სენაკის აკაკი ხორავას სახ. თეატრის სპექტაკლიდან „ადამიანის ხმა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი თეატრის შესახებ

„სგბერალაძგრი"

„სგბერალაძგრი"

„სგბერალაძგრი"

თეატრის აუდიტორიებში აკრძალულია

სალუტაღლი დასი: სიოლოგალიზმი – ეს ძე ვარ!

ნიჯარის სტიოლეა ცენაკლეები შეაჩ

ნოეტის კონსტანტინე სიმონოვს

თეატრი
და
ცხოვრება

№4
2013

ISSN 1987-8974
9771987897006